ᲐᲠᲘᲚᲘ

7-8 (214-215) ᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲠᲘᲕ-ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘ ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲘ-ᲜᲝᲔᲛᲑᲔᲠᲘ
ფასი 1.50 ლარი

1134
2005

#7-8, 2005

ᲗᲝᲛᲖᲔ
ᲠᲐᲜᲓᲘᲔᲠᲘᲡ
ᲒᲚᲝᲑᲐᲚᲘᲖᲐᲪᲘᲐ

არილი

საზოგადოებრივ-ლიტერატურული ასოციაცია "არილის" გამოცემა

The Literary Magazine ARILI

არილი - დასასვენებელი სიწმინდეთა(ნი)
სულხან-საბა

არილი - მზის შუქი, რამეზე დამდგარი
ქართული ენის
განმარტებითი ლექსიკონი

რედაქტორ-გამომცემელი
შადიმან შამანაძე

მთავარი რედაქტორი
მალხაზ ხარბედია

სარედაქციო საბჭო

რატი ამაღლობელი
ია ანთაძე
ირმა არჩუაშვილი
ანდრო ბუაჩიძე
ნოდარ ებრალიძე
თამაზ ვასაძე
ეთერ ვიბლიანი
ზაზა თვარაძე
ზურაბ კიკნაძე
ვახტანგ კომახიძე
ვასილ მაღლაფერიძე
ზვიად რატიანი
ირაკლი სამსონაძე
გულსუნდა სიხარულიძე
სოზარ სუბარი
ზაზა ფაჩუაშვილი
ზაზა ჭილაძე
ბესო ხვედელიძე

მენეჯერი - ნანა ჩხვიმიანი

კომპიუტერული უზრუნველყოფა
თამაზ ჩხაიძე
ელისო კალმახელიძე
მანანა კორძაძე

ტელ/ფაქსი: 98-84-00
e-mail: kharbedia@yahoo.com
მისამართი: ლესელიძის ქ. №4

ჟურნალი იბეჭდება გაზეთ
"კავკასიონის" სარედაქციო ბაზაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

გახსოვდეს აფხაზეთი!

№7-8. ოქტომბერი-ნოემბერი. 2005

პროზა

კოტე ჯანდიერი
გლობალიზაცია 1

ნიკუშა ანთაძე
რამდენიმე ერთი გაკვეთილი 25

მიხო მოსულიშვილი
"ალლოპლანტი" 42

პოეზია

გივი ალხაზიშვილი
ლექსები 35

ლუკა ბაქანიძე
ლექსები 39

თარგმანი

მოჰსენ მახმალბაფი
სულის ოპერაცია 49

ესე

იოსიფ ბროდსკი
კარლ პროფერის გახსენება 62

მაია ჩანქსელიანი
წყვდიადის გულის ადგილსამყოფელი 67

ჟურნალი გამოდის საქართველოს კულტურის, ძეგლთა დაცვისა
და სპორტის სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქოდე ჯანდიერი

გლობალიზაცია

დათო აზნიაშვილს და ნოდარ დუგლაძეს

ანეკდოტი ხო გაგიგიათ - კამეჩაანთკარელი კაცი ალაზნის პირას რო წამოწოლილა და ვირებს გასცქერის? დაშლამულ რიყეზე მოსეირნე ვირებსა და თან იძახის - "სოჩაა, მა რაა!" გაგახსენდა-ათ?!. რაღა მაინცადამაინც კამეჩაანთკარელი და არა საზოგადოდ კახელი? ეხლავე გეტყვით. ჯერ იქიდან დავიწყოთ, რო სადღეისოდ აბა სხვა რომელ სოფელში-ღა ჰყვანთ ამდონი ვირი რო ეგრე თავის ნებაზე მიუშვან ნაპირ-ნაპირ საბალახოთ. რაც ბენზინი და სალიარკა გაძვირდა, ტაჩკაშეუბმელი ან საპალნედაუდებელი სახედარი, გენაცვა, კახეთის სხვა სოფლებში მე არ მინახამს, დაუსაქმებელი და უდარდელად გაგორებული კაცი კი - იცოცხლე! თანაც, ხო არა გგონით უქმე დღეებსა და დღესასწაულებზე ვიძახდე? არა კაცო! ჩვენში ყოველ ცისმარე დღესა ნახამ წოლისგან გვერდებდაბუუებულ მხვრინავებსა. მერე და, სად აღარა კოტრიალობენ მამაცხონებულები: ზვარში, პურში, კანტორის უკანა ბაღში, ექსკავატორის ჩრდილში. თივის ზვინზე, კაკლიძირსა და ბალკომის ტახტზე უკვე აღარას ვამბობ! ეგ არი ჩვენი ხალხი დღევანდელ დღესა! კამეჩაანთკარი მაინც თელ კახეთში პირველია როგორც რო გრილ ადგილას წამოწოლის მსურველთა რაოდენობით, ისრე უქმად მოცდენილი და ჩასუქებული ვირების სიმრავლითაც. ვირებია ამ ჩვენ სოფელში - როგორიც გინდა, სულო და გულო: მზეზე შავად მოზიბზიბე, ჯანიანი ჩოკინები; რუხზურგა და თეთრმუცელა წლოკვები; ჯაგარაბურდული, დაჩოლახებული ბებერი სახედრები; გვერდებგაბერილ, მაკე დედლებს აკიდებული ჩოჩრები...

რა არი? პლიონკა გათავდა-ა? ხო, კარქი, დეგელოდები... თქვენა, შვილო, ეგ სად უნდა გაუშვათ? რადიოში-ი?.. და როდის?.. აპა!.. თამარა! გესმის, ქალო, ე ბალღები რას იძახიან? "პარასკევ დილას, ეფ ემ ასოცი და შვიდიო". გაიგე-ე? მე ვერ დავინახსოვრეს, შენ ჩასწერე მაგ პრიხოდ-რასხოდის რვეულში. ნეტა ეგ "ეფ ემი" რა უნდა იყოს? რა ვქნა, კაცო, ძველი რადიოებისა მესმოდა, "ესტონიც" კი გვედგა ზალაში; მემრე "სპიდოლა" მაიტანა ცხონებულმა ანიჩკამ, ჩემმა დამ; ვიჭერდით თბილისსა და მოსკოვს... ამ ახალ რადიოებს კი ჯერთ ალღო ვერ ავუღე.

ისე, მე რო მკითხოს კაცმა, საზოგადოდ, რადიო სჯობია ტელევიზორსა. უსმენ ადამიანების ხმებსა და თვალდახუჭულად თუ დაუხუჭველადაც იგრეთს წარმაინდგენ, როგორიც გეგეხარდება... შენ ჭკუაზე, რა! არ მეგეწონება - მააძრობ თავსა და ახალს დაადგამ. ტანისამოსსაც, როგორსაც გინდა ისეთს ჩააცვამ... ტელევიზორში კი რასაც მოგისჯიან, იმას უნდა უცქირო, ნერვები მეშლება, კაცო-ო! მერე შინაარსითაც უფრო ბოროტული და ავყიაა ე ოხერი! ახლა დენი უნდა... დენი კი ხო იცით კახეთში როგორი იშვიათობაა? ხოდა, მე რადიო მირჩევნია - ფული ფულად მეზოგება და ნერვები ნერვებად... თამარ, მოდი გენაცვა, ამათ კიდე ყავა მაუდუღე, მე კიდევა პივა და ჩიფსები მამიტანე... მიდი, ქალო, ნულა იწმაწნები, ჩასწერე ჩემ ანგარიშზე... ნუ გეშინიან, ჩასწერე, მარინა გაფრთხილებული მყა-ამ!

რა ვქნა, გავაგრძელო?.. ხო-ო, ვირებზე მოგახსენებდით. ისე კი ვირი რა მოსატანია

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული

- ჩვენა, გენაცვა, ადრე კამეჩებით ვიყავით განთქმული. აქა იგრეთი ჰაერია, რო კამეჩი ზორბა და ჯანიანი იზრდება. პატარობაში ბებერ ხარკამეჩზე გადამჯდარი სოფლის ჯოგს მოვერეკებოდი ხოლმე სამხრიჯვრის იალაღებიდან ალაზნის ჭალებისაკენ. მაღლა, ბინებში დარჩენილი კაცები კი კამეჩის რძისაგან მაწონს ადედებდნენ და ყველი ამოჰყამდათ. კამეჩაანთკარის ყველი თელავის ბაზარზე განთქმული იყო. თბილისიდანაც მოდიოდნენ იმის საყიდლად. დღესა, გენაცვა, თელი მსოფლიო რო მაიარო, კამეჩის ყველს ვერსად იშოვნი. პაპიჩემმა მაინც ისეთის გამოყვანა იცოდა, რო შენი მოწონებული! დიდხან არ აჩერებდა წათხში. ახლადმარილგამჯდარ, რბილ-რბილ თავებს ამაიღებდა და ე, ამოდელა ბრტყელ ფიქალზე დააწყობდა. მერმე ემაგ ფიქალს კრამიტდახურული თალარის თავზე შემოსდგამდა, რო ღორი ან ძაღლი არ მიპარვოდა და მზეზე სდებდა. როცა ყველი გარედან შეხმებოდა და ნეკის სიმსხო ქერქს მაიდებდა, ხურჯინებში ჩავაწყობდით, ვირს ავკიდებდით და სოფელში ჩავზიდამდით ხოლმე. იმავე დღეს გრილ სარდაფში ხის თაროებზე ვალაგებდით და ზამთრამდე ეგრე ვაჩერებდით... როცა მზეზე გამთბარ და კანშემომხმარ ყველს სიგრილეში დადებ, შვილო, ჯერ სუ დაოფლამს, მერე კი, ნელა-ნელა თელ ამ ცხიმს უკან შაიწმოს და თეთრი თავი თანდათან ქარვისეეფ ყვითელი ხდება. უჰ, მაგი ჭამას რა სჯობია, ბიჯო-ო! რომელი გუდა და სულგუნი! ეგ ყველი, გენაცვა, ყველას კი არ უნდა აჭამო. სიტყვაზე რო ვთქვათ, ხევსური და მეგრელი კი ვერ გაიგებს მაგის გემოსა. ვერც ამერიკელი დააფასებს... ვერც რუსი და თათარი. ეგა, შვილო, უფრო ფრანგს, ან გერმანელს უნდა გააშინჯო, ანდა იტალიის ხალხსა...

რა-ა? არა, არც საფრანგეთში ვაარ ნამყოფი და არც არსად, ნავარასიისკს არ გავცილებივარ... საიდან ვიცი და იქიდან რომა, თავის დროზე, ილიკო ჯანდიერმა ეგრე თქო, იმას კი არ შაეშლებოდა. ილიკო ჯანდიერი გაგიგიათ?.. არა, აბა საიდან!.. ეგა, გენაცვა, დიდი ზოოტექნიკოსი იყო, ჯერთ რიგაში, მერმე კი გერმანიაში და ხოლანდიაში ნასწავლი. ოცდათორმეტი, თუ ოცდაცამეტი წელი იყო. მე მაშინ 12-13 წლისა ვიყავი და კარქა მახსომს. მამიჩემმა, ტიტემ ჩამაიყვანა თბილისიდან. მაშინა ილიკო თელ საქართველოში დადიოდა, რძისა და ყველის ხალხურ ტეხნოლოგიებსა, თუ რაღაც ეგეთსა სწავლობდა, თანაც მთავრობისაგან ყველის ფაბრიკების გამართვა ჰქონდა დავალებული. მამიჩემი კი სოფლის მექანიზაციაში მუშაობდა და ილიკოს ეხმარებოდა. ზაფხული იდგა, მე და ანიჩკა მაღლა, სამხრიჯვრის ბინებზე ვიყავით ვანა პაპასთან, როცა ილიკო და ტიტე ამოვიდნენ. ცხენებით იყვნენ. მამიჩემი უნფრო ზორბა ტანისა იყო, ილიკო კი - ჩია და დაბალ-დაბალი. გალიფე შარვალი ეცვა, ქამრიანი ფენჯაკ-ტუჟურკა და წვრილი გალუსტიკი. თავზე კეპკა ეხურა. ვანა პაპა გემეეგებათ. სხვა მწყემსებიც მოვიდნენ. ილიკო გაღიმებული ხელს ართმევდა ყველას სათითაოდ. ტიტე და ვანა დაატარებდნენ სტუმარს, აჩვენებდნენ, უსხნიდნენ, ის კი ლურჯი კარანდაშით რაღაცას იწერდა პატარა ბლოკნოტში. ჩვენც დაგვასაქმეს - კოცონის დანთება დაგვავალეს რო მერე წვადები შეეწვათ მოგვიანებითა. მე და ანიჩკა თან წალამს ვაღვივებდით, თანაც თვალს ვაპარებდით ჩამოსული კაცისკენ, რომელიც პირებ უღებდა ჩვენ კამეჩებსა და შიგ ისე დაკვირვებით ჩასცქერდა, თითქო ვარსკვლავიან ცასა ხედამდა მაგათ ბნელ ხახაში. მემრე წათხიან სათლებს ჩამაუარა, ხელი ჩაყო, სიმკვრივე მოუშინჯა ყველის თავებსა. ამასობაში ვანა პაპამ დიდ ფიქალზე პურები, ბოლოკი, ნიორი და ორნაირი ყველი დაალაგა: ერთი ახალი, ჯერ გამოუყვანელი, მეორე კი - შარშანდელი, მკვრივი და ყვითელი. ბებერმა სარქალმა მაწონი გადმაიტანა, ახალგაზრდებმა ზაქი დაკლეს. მამიჩემმა ღვინის ტიკი ჩამოხსნა ცხენს. გაიმართა ქეიფი. ხოდა, მაშინ, როცა ილიკომ ვანა პაპას ყველები გაშინჯა, ყველანი გაყუჩდნენ და მიაშტერდნენ, ისა კი ნელა და საგანგებო გულისყურით ღეჭამდა, თვალები ფიქრიანი და სხვაგან მაცქერალი გაუხდა, გეგონება მეფე ერეკლეა და ქვეყნის ბედსა სწყვე-ეტსო. ანიჩკას გეეცინა კიდეც. ის იყო, ტიტე უნდა გასწყრომოდა, რო ილიკომ გაიღიმა და თქო: "ერი-ჰაა! თქვენი ნახელავით მთელი ევროპა შეიძლება გავაკვირვოთ. ამ ყველის ფასს შვეიცარლები, ხოლანდიელები და ფრანგები გაიგებენ". დაახანა და მერე დაამატა: "იტალიელებიც, ალბათ".

მე და ანიჩკა ქეიფის გახურებას ველოდით, ტიტეს სიმღერას. იცით, როგორა მღეროდა? ცაში გაფრენილი ტოროლები ჩერდებოდნენ მოსასმენადა, მა-აშ. მაგრამ ეგ არის, დედიჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

მის სიკვდილის მერე იშვიათად თუ მოვიდოდა ხოლმე სიმღერის იშტაზე, ისიც ღვინო როცა დასძლემდა - მარტო მაშინა. არც ილიკო იყო ურიგო მომღერალი, ლევან ჯანდიერის შვილი მა რა იქნებოდა! მაგრამ იმ დღეს ქეიფი მაინც არ გამოვიდა - ცოტ-ცოტასა სვამდნენ ხანგამოშვებით, უფრო კი ყველზე ლაპარაკობდნენ: მიწსახკომს მივწეროთ, მათიკაშვილსა და გვარამიასაო; მოსკოვში რაღაცა ქაღალდები გავაგზავნოთო; ახლა ვანას აიმედებდნენ: "გაინად, აპრილში რო სოფლის მეურნეობის ფესტივალი იქნება პარიჟში, შენი ყველი იქ უნდა მოვახვედროთ და ოქროს მენდალი ჩამოგიტანოთო". ვანა კი იცინოდა და ეგრე იძახდა: "რავი, შვილო, დალევით კი თითქო არაფერი დაგილევნიათ რო ეგრე აცა-ბაცადა ლაპარაკობთო. რა მენდალი, რი მენდალი - აბა, ამ გაგანია კომუნისტობაში ჯერ თქვენ ვინ გაგიშვებთ ფრანციაში და მერე ამ ჩემ ყველსაო". ეგრე აგიხდა ყველაფერი!

წერა-კითხვის უცოდინარი იყო ვანა, მაგრამ ალღოიანი. ჭკუითა და გამჭრიახობით ნასწავლ ტიტესა და ილიკოს, ორთავეს ერთად აღებულსა სჯობდა. მაგრამ ეგ მერე გამოჩნდა, რამდენიმე წელიწადში. იმ დღეს კი დაბინდებას არ დალოდებიან, დაილოცნენ, ბალღები დაგვკოცნეს, შესხდნენ ცხენებზედ და ჯერ კიდე წითლად განათებული იალაღიდან დაბლა, ავად ჩაშავებული ღოლუაანთ ხევისკენ დეეშვნენ. ხოდა, კაცო, უცნაური რამე მოხდა... არც ისე უცნაური, მაგრამ დამანახსოვრდა კი: იმ დევის სტომაქივით ჩაწყვდიადებული ხევიდან სიმღერა არ მოგვესმა-ა?! როგორცა სჩანს, უნაგირზე რწევა-ჯანჯღარში ღვინომ თავისი ქნა და ე ჩვენი მხედრები აგვიმღერა. მგონი "გაფრინდი შავო მერცხალოსა" მღეროდნენ. თვალით ვეღარა ვხედამდით, შორ იყვნენ, მაგრამ ხმა ისე კარქა ისმოდა, თითქო სამხრიჯვარს არც გასცილებოდნენ. ჩემი და, ანიჩკა უცბათ მოსწყდა ადგილსა, მინდვრის ბოლოს, ფრიალოების თავზე გადაკიდულ გოდორა ლოდზე შეხტა და ფრთხილად გადაიხედა ხევში. პატარა ვიყავ, მაგრამ მახსოვს, სუყველას გულები გადაგვიფრიალდა - მე და ვანა პაპაც იქით გავრბივართ, ანიჩკასაკენ, გვეშინიან, ემანდ არ გადავარდეს. ის კი არხეინათა დგაა ლოდზე და თავის წკრიალა ხმას იმათ სიმღერას აყოლებს. ეხლაც თვალწინ მიდგას, კაცო, თმაბურძგნული, თითისწვერებზე შემდგარი გოგოცუნა, მოჯაჯული ბამბაზიის კაბიდან კაჭა ფეხები რო მოუჩანს... გაგიკვირდება, ამ ორი წლის წინ რო დამეღუპა, სუ ეგრე ლოდზე მომღერალი მედგა თვალწინ ... მაშინ პირგამეხებული ვიყავ, სიტყვა არ დამცდენია... ეხლა რა მამდის, არ ვიცი...

კარქი, ნუ მიყურებთ... გამივლის... ამ სიბერეში დამჩემდა... განა ვტირი, მაგრამ ე ოხერი ცრემლები თავისთავად ჩამამდიან, გაგიგონია, კაცო?!. ცრემლის გარდა ყველაფერი გამიხმა: ხელები, ფეხები, ტვინი... ისე, მართალი რო ვთქვათ, დიდი ტვინისა არც არასდროსა ვყოფილვარ. ანიჩკა ხო-ო; წარჩინებული ნიჭისა იყო, მე კიდე არა. თელი ჩემი ცხოვრება ქაქანსა და ჩიტირეკიობაში გავატარე. წერა-კითხვა ძლივ მასწავლა ანიჩკამა. როგორა? არა, გენაცვა, დედა საიდან? დედიჩემი ჩემ მშობიარობას გადაჰყვა და დავრჩით ეგრე ობლადა. ჩემთვინ ეგ იყო დედაცა და ყველაფერიცა. ოთხი წლით იყო ჩემზე დიდი. მე ოც წელში ვაარ დაბადებული, ეგა კიდე - თექვსმეტში. პატარობიდან ცქვიტი და მაუსვენარი იყო, უცნაურია - ეგრეთი ჭკუიანი და სწავლისმოყვარე როგორ გამოვიდა ე მამაძაღლი!

ანიჩკა რვა წლისა იყო, მეკი ოთხისა როცა კახეთში აჯანყება დაიწყო. ქაქუცა ხო გაგიგიათ? ხო, ქაქუცა ჩოლოყაშვილი. თავდაპირველად უფრო მატნისა და ლალისყურის ტყეებში იმალებოდნენ მაგისი ბიჭები. ამ ჩვენი სამხრიჯვრიდან ნახევარი დღის სავალიც არ არის მატნამდე. ხოდა, თურმე, პაპიჩემი აბგაში ხმიადებს, ყველსა და მაწონს ჩაუწყობდა ხოლმე ანიჩკას და გადაღმა ხეობაში ატანდა ქაქუცას რაზმელებისათვის. ენდობოდა და იმიტომ, იცოდა მაგისი ჭკუის ამბავი. ერთხელაც მდევარს გადასწყდომია ე ჩემი და. აკი გითხარით, პატარაა, კაცო, რვა წლისა. სამხრიჯვარი გადაუვლია, ბექობს ჩაჰყოლია, საძოვრები ჩაუმთავრებია, ხოდა, ის არის ტყეში უნდა შავიდეს და აბგა სამალავში მიიტანოს, რო ფლოქვების თქარათქური მეესმა. არ დაბნეულა ე თითისტოლა გოგო - სანოვაგე სადღაცა ქვის ქვეშ დაუმალავს, როგორც პაპამ დაარიგა, ზედ ხმელი ფოთლები მიუყრია, თითონ კი წკეპლამომარჯვებული დახვედრია მილიციასა. ათნი ყოფილან. წინ დიდ, შავ ცხენზე გადამჯდარი მალაქია ინაკავაძე მოუძღვით,

ეროვნული ბიბლიოთეკა

კახეთის მილიციის უფროსის მოადგილე, ორმეტროიანი, ცალთვალა პირუტყვი. მაგისი გამოჩენა შიშის ზარსა სცემდა თელ აქაურ მოსახლეობას. დგაა ანიჩკა, გამხდარი, გაკნაჭული და უყურებს ბაყბაყდევივით თავსწამომდგარ ინაკავაძეს. ის კიდე, ტყავის ლაპლაპა, შავ ტუჟურკაში გამოწყობილი, უნაგირზე წამოხორხლილა და თავისი ცალი თვალით ზემოდან ბურღამს შაშინებულ ბალღსა. "აქ რას აკეთებ, პატრონი არა გყამსო?", - ასე უკითხამს. "ჩემი პატრონი ვანა პაპაა, მე კი დაკარგულ ხბორებს ვეძებო, - ანიჩკას უთქვამს, - სამხრიჯვრიდან გაგვექცნენ და უნდა ვიპოვნოო". "ვერა გყოლია კარქი პატრონიო, - გასცინებია ინაკავაძეს, მაგისი შავი ცხენიც ახვიხვინებულა, - ამ სიშორეზე როგორ გამოგიშვა პაპიშენმაო?" ისევ ახვიხვინდა ოდროგელა ულაყი. "საშინელი ცხენი იყოო, - მერე ყვებოდა ანიჩკა, - შავი, შავი, კუნაპეტი, კისერზე ირიბი ნაჭრილობევით, თანაც გიჟურად ატრიალებდა წითელ თვალებს და ბრაზიანად სცემდა ტაშტისხელა ფლოქვებსაო". საღამოთი ჩაფსმულ-ჩასველებული დაგვიბრუნდა პატარა გოგო, მაგრამ ვანას გატანებული სანოვაგე მილიციის წასვლის მერე მაინც მიეტანა სამალავში და იქ დეეტოვებინა. მა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გაუკვირდება, მაგრამ ის რაღაცა გამაყრუებელი და თავზარდამცემი იყო, გრგვინვასეეფ. გავიხედეთ და რასა ვხედამთ? ღოლუაანთ ხევის მხრიდან ვეებერთელა შავი ულაყი ამოვარდა; მოჰქრის გაგიჟებული და მიწას აზანზარებს, წითელი ლაშ-პირიდან თეთრი ქაფი გადმოსდის, მოვერცხლილ უნაგირსა და ფერდზე კი სისხლის კვალი დაჰყვება. რა თქმა უნდა, ანიჩკამ იცნო ინაკავაძის ცხენი, რაღაცა უთხრა პაპასა და ორთავენი იქით გაიქცნენ. მე ვიღას ვახსომდი - ჩამტოვეს ეგრე ტიტველი ლახანკაშია.

როდის-როდის მობრუნდა ანიჩკა, ამამიყვანა ატირებული, კალთაში ჩამისვა და ახლად გარეცხილ-გამზეურებული ფქვილის ტომრით დამიწყო გამშრალება. თან მაწყნარებს - "ნუ სტირი, ბიჭო, სირცხვილია, დაგინახამენო". მე კი, თურმე, ღაპაღუპით ჩამამდის ცრემლები, თან ცალი თვალითა ვხედამ როგორ მოჰყამთ ვანასა და კიდე ორ-სამ მწყემსს დაფლეთილ-დასისხლიანებული, უგონო ინაკავაძე. იქვე, ღოლუუანთ ხევში ჩავარდნილი ეპოვნათ. რაკი სისხლით გაღღენთილი ტანისამოსი არა სცილდებოდა - დუქარდით გაუჭრეს პერანგი, ჩექმები და გალიფე, ტყავის ფენჯაკი გახადეს და მერე სახელდახელო საკაციდან ხის იაშჩიკებზე გადმააწვინეს. მე და ანიჩკა სულგანაბული ვუყურებდით, როგორ სწმენდდნენ არყიანი ჭინჭებით ნატყვიარებსა და ფიქლებზე დავარდნისას გადაფლეთილ ალაგებს. პირველადა ვხედამდით გატიტვლებულ, ბოდიში მამითხოვია და, საოხრე გადმოგდებულ კაცსა. საზიზღი და საშიშარი სანახავი იყო ინაკავაძე. თუმცა ე ვეებერთელა, ბანჯგვლიანი მძორი ჩემთვინ არც ინაკავაძე იყო, და არც საერთოდ ადამიანიშვილი - მაშინ, იმ ხის იაშჩიკებზე ადამიანის მაგივრად თელ ტანზე სისხლისგან ბალანშაწებებული, დაჭრილი მხეცი ეგდო. "რას დაგიყვლეპნიათ თვალები, გადით აქედანაო!" - თავზე ისე დაგვკივლა ბებერმა სარქალმა, რო ორთავენი შავხტით. ანიჩკამ თვალებზე ხელი ამაფარა და ისე გამარიდა მანდაურობას, გეგონება თითონ ძალიან ბევრის მნახველ-გადამტანი ქალი ყოფილიყო... ვინ იცის, ამ ხელის თვალზე დაფარებით ხალხის ყურადღება ჩემზე უნდოდა გადმეეტანა ანიჩკას, რო თავისი ელდა და სირცხვილი დეემალა. რისი სირცხვილიო? რავი აბა, იქნებ იმისი რო დროულად თვალი არ მაარიდა, რო სხვებმაც შაამჩნიეს რა გაშტერებული დაჰყურებდა უსირცხვილოდ გათხლაშულ ოყლაყსა... ჩემი მოკლე ჭკუითა ვფიქრობ, რო იმ დღიდან თელი საკაცეთის შიში და ზიზღი დიდხან გაჰყვა ანიჩკასა, ამიტომაც ძრიალ დააგვიანა გათხოვება. შაყვარებულ ბიჭებს ბუზებივით იგერიებდა და თან იგრე უკმეხად და ბრაზიანად, რო ვინღა გაუბედამდა ხელის თხოვნასა? გენაცვათ, გერმანიასთან ომი უკვე დამთავრებული იყო, როცა, როგორც იქნა ცოლად გაჰყვა ბოჩია პაჩკორიას.

მოკლედ, ეგრეთი იყო იმ დღის ამბები. საღამოზე კი ცხენოსნები მოვიდნენ, ქაქუცასები. მგონი ხუთნი იყვნენ. ჩოხები ეცვათ. ვანამ სახელდახელო პურ-მარილი გაშალა, არყის ბოთლიც დაზდგა და სტუმრები მიიპატიჟა. დინჯად საუბრობდნენ, დილანდელი სროლის ამბავსა ყვებოდნენ. "სულძაღლი ინაკავაძე მგონი გაგვექცაო, - თქვა ერთ-ერთმა, - სამი ტყვია მოვარტყით და ღოლუაანთ ხევში გადავარდა, მაგრამ მოგვიანებით შიგ ჩასულებმა ვეღაც ცოცხალი ვნახეთ და ვეღარც მკვდარიო". რას იფიქრებდნენ, რო კახეთის მილიციის უფროსის მოადგილე, ჭრილობებდაბანილი და გადახვეული, იქვე, ფარეხში ეწვინა ვანას. მაგისი მიბაძვით არც სხვა მწყემსებს დასცდენიათ სიტყვა. ბევრჯელ მიფიქრია, ეგ ჯალათი და ქვეყნის ამომგდები რათ არ გასცა პაპიჩემმა. იქნება გულმა არ გაუშვა, ისედაც სიკვდილის პირას მყოფი კაცი მოსისხლეებისთვინ რო ჩეეგდო ხელში? ან იქნებ თვისი გლეხური ჭკუით მიხვდა, ვის დარჩებოდა საბოლოო გამარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯვება და კომუნისტებთან არ გაიფუჭა საქმე. შაიძლება ერთიც იყო და მეორეცა. რას გაიგებ? ასე იყო თუ ისე, ვანამ წყნარად გაისტუმრა ქაქუცას ბიჭები. სამ დღეს თუთუნში არეულ ბალახებს ადებდა და ანწლის ნაყენს ასმევდა დაჭრილს. სამი დღის მერე კი მილიცია მოვიდა და სიცხისგან გათანგული ინაკავაძე ჯერ თელაველი, მერე კი თბილისელი ექიმების ხელში აღმოჩნდა. კახეთში აღარ დაუბრუნებიათ, იქვე, თბილისში დაიტოვეს. მერე-ღა გავიგეთ, რო თურმე ენკავედეში დეენიშნათ...

თქვენა, შვილო, პივას რად არა სვამთ? თუ ღვინო გირჩევნიანთ? არც ღვინო-ო? ე ჩიფსები მაინცა სჭამეთ, აბა სუ ყავა და ყავა რა არი?.. რა გინდა, თამარა, შენ რასა ჯაჯღანებ? თუ დაიღალნენ, რა, თითონ ვერ მეტყვიან?! არა ვარ, ქალო, თვრალი, აბა, სად გინახამს, რო პივას კაცი დეეთროს? კარქი, ნუ გააწუხე გული!..

ხო-ო... მე უკვე სკოლას ვამთავრებდი, როცა ტიტეს დაჭერის ამბავი მოვიდა კამეჩაანთკარში. ჩემი და იმ ხანად თელავში სწავლობდა საფერშლო კურსებზედ და ბინად ელიჩკა ვახვახიშვილთან იდგა. ელიჩკას დედა ჩვენი გვარის ქალი იყო და შორეულ ნათესავადაც გვერგებოდა. მახსომს, საახალწლოდ და სააღდგომოდ მე და ვანა ყველით, ქათმებით, დედას პურებითა და ქადებით დავტვირთამდით ხოლმე ურემსა, ჭრიალ-ჭრიალით გავივლიდით თელავის ლაფიან გზას და საღამოზე მივადგებოდით ვახვახიანთ სახლსა ნადიკვრის მახლობლად. თითონ ელიჩკა გაუთხოვარი, ალვის ხესავით სწორი და მაღალი ქალი ბრძანდებოდა. გასაბჭოებისთანავე ორი ძმა და სიძე დაუხვრეტეს და იმათი შვილები მაგასთან იყვნენ თავშეფარებულნი; სულ სამი გოგო და ორიც ბიჭი. აბა, წარმაიდგინეთ რა გნიასი და მხიარულება იდგა ვახვახიანთ ჭირგადახდილ სახლში. ე ჩემი ობოლი თამარაც იქ გავიცანი, ეგეც იქ იყო შაკედლებული. ბალღობიდან ენა ებმება და ლაპარაკი უჭირს უბედურსა, თორე ისე განა სულელია, ნუ გეშინიან - ჩემზე მეტი ჭკუა ააქ თავში. ანიჩკა კი მაგათში მგონი ყველაზე უფროსი იყო, ოცდაერთი წლისა. თან კურსებზე სწავლობდა და თან საავდმყოფოშიც მუშაობდა სანიტრადა. ყოველ ჩამოსვლაზე ჩუმად ჩამიკუჭამდა ხოლმე ხან სამ მანეთს, ხან უფრო მეტსაცა. ელიჩკა ვახვახიშვილი იძახდა, ანგელოზი გამამიგზავნა ღმერთმა, უმაგისოდ ამ გადარეულ ახალგაზრდობას როგორ მოვწყემსამდიო. ცოტ-ცოტას დაკვრასაც ასწავლიდა. "ამისი სმენისა და ხმის პატრონს, რა უნდა საფერშლოზე, ტიტეს უნდა ვუთხრა, თბილისში წაიყვანოს და ოპერაში მიაბაროსო", - ეუბნებოდა ხოლმე პაპიჩემსა. მაგრამ აბა სად ეცალა ტიტეს ჩვენთვინა, საქვეყნო საქმეებზე დადიოდნენ ეგა და ილიკო ჯანდიერი, ფერმებს აშენებდნენ თელ საქართველოში, უცხოეთიდან რაღაცა მაშინებისა და მოწყობილობების ჩამოტანასა ცდილობდნენ. არც კამეჩაანთკარული ყველი დავიწყნიათ - იმის წაღება უნდოდათ საზღვარგარეთ და ვერ კი ახერხებდნენ, სუ რაღაცა უშლიდათ ხელსა. რაღა ბევრი გავაგრძელო და, ოცდაჩვიდმეტ წელს გორში დაიჭირეს ორთავენი. მერე გავიგეთ, რო თურმე მათიკაშვილი და გვარამიაც დეეჭირათ, იმათთან ერთად კი - თელი მიწსახკომი. დიდი ამბავი იყო ატეხილი, გაზეთებშიაც სწერდნენ.

...დეკემბერი იდგა, ციოდა. ხანდიხან გადმაუშვებდა მეჩხერ ფიფქებსა და მერმე ისევ გადაიღებდა. გუბეებში წყალი გაყინულიყო, თოვლი კი მაინც თხლად და კანტიკუნტად ეფინა გაქვავებულ ლაფსა და დამჭკნარ ფოთლებს. მე და ვანა უხმოდ, ვიჯექით ბუხართან. მეზობლებიც უხმოდ შემოდიოდნენ. ზოგს კირკაჟი ლობიო შემოჰქონდა, ზოგს მოხარშული კარტოფილი და ლორი, პანაშვიდის დროს რო იციან ხოლმე, ისე. ვანა კი იჯდა ეგრე უბრად, დიდრონი მტევნები მუხლებზე დეელაგებინა და გაშტერებული დასცქეროდა მინავლებულ ნაკვერჩხალს. სალამს არავის აძლევდა. არც მომსვლელები ინუხებდნენ თავს საუბრითა - ორ წუთს დადგებოდნენ კედელთან, მერე გააქნევდნენ თავს, ჩუმად დაზდებდნენ სტოლზე მოსაკითხსა და ისევ ისე გადიოდნენ კარში. ეშინოდა ხალხსა... მე რო ლაქლაქი არ მეზარება, თქვენც კარქათა ხედამთ. იმ დღეებში კი სუმთლად ეშმაკი შემიჯდა, ისრე მამინდა ვინმესთან დალაპარაკება. მაგრამ პაპიჩემის შემხედვარე, რას გავბედამდი ყბედობას, ძალად ვაკავებდი პირზე მომდგარ სიტყვებსა. არადა, ენა მექავებოდა და თელი ხორხი მტკიოდა ვერნათქვამი სათქმელისაგან. ეხლაც არ ვიცი რა მქონდა სალაპარაკო გინების გარდა, რაღა თქმა უნდა.

იმ ყოფაში ვიყავით, რო ჩვენ ღობეს ეტლი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაადგა. იქიდან აცრემლებული ანიჩკა გადმოვარდა და ჩემკენ გამეექანა გულამომჯდარი. გავიხედე - ელიჩკა ვახვახიშვილი და მაგისი ძმისწული, ელიზბარაც არ გადმოდია-ან?! მაგითთვინ უხიფათო არ იყო ესრეთ დროსა და ვითარებაში ჩვენ ოჯახში მოსვლა, რად უნდა ლაპარაკი! მარტოკინა მაინც არ გამოუშვეს ჩემი და... წარმაიდგინეთ, არც თელაველ სტუმრებს გამეეგება ვანა. ერთადერთი, როცა ოთახში შემოლაგდნენ, ფეხზე წამოდგა და ხელი ჩამაართვა. დავსხედით სკამებზე. ელიჩკამ ფუთას თავი მოხსნა და იქიდან თბილი საცვლები, წინდები და ნაქსოვი ხელთათმანები ამააღაგა. მერე პაპიჩემს გახედა და თქვა: "ვანა, თბილისში უნდა წახვიდე. ბიჭს თბილები დასჭირდება; მეტადრე თუ გააციმბირეს... ამ ქაღალდს კი ენკავედში დასტოვებ. შეწყალების თხოვნაა. მე დაგიწერე. შენ მარტო ხელი მააწერე და კანცელარიაში მიიტანე, ოღონდაც გაიკანტროლე, ჟურნალში გაატარონ და ზედ ნომერი დაასვან."

ელიჩკა და ელიზბარი იმ დღესვე თელავში გაბრუნდნენ, ჩვენ კიდე შავუდექით სამზადისსა. გადავწყვიტეთ ანიჩკა სახლში დეგვეტოვებინა. კაცო, ადრე გვინდა დაწოლა - მეორე დღეს თბილისს მივდივართ. უეცრად კარზე კაკუნია. დავიზაფრეთ, არავის ველით ამ დროსა. ფრთხილად გამოვაღე კარი. ვხედამ - მეზობელი კაცია, ნაჯიბგირალ-ნაციხარი. ჯერთ მენშევიკებმა დაიჭირეს თბილისში ჯიბის ქურდობაზე, მერე ახლა - ბოლშევიკებმა. არც გამეგო როდის დაბრუნდა კამეჩაანთკარში. ღელაღუტას ვეძახდით, ერთი არეული და ღვარძლიანი ვინმე იყო. "ტიტიკოს ამბავი მითხრეს, ძალიან მეწყინაო", - ასე სთქვა. მერე ბუშლატიდან არყის ბოთლი გამააძვრინა - "ვიცი გზაზე დგეხართ და მინდა გზა დაგილოცოთო". არ ეამა ვანას, მაგრამ რას იზამდა? ანიჩკამ ყველი, წნილი და პური დაალაგა. მივუსხედით სუფრასა. სამ-სამი დავლიეთ. "მე ციხისა ყველაფერი ვიცი, პოლიტიკურებთანაცა ვაარ ნაჯდომიო", - იძახის ღელაღუტა. "ხმელა არყის სმას, გირჩევნია რამე მიაყოლოო", - პასუხობს პაპიჩემი. "არა გჯერა, ვანა ძია, რო მართლა პოლიტიკურებთანა ვარ ნაჯდომიო, - არა ცხრება ე ოჯახაშენებული, - ჩვენა მაგათა კონტრიკებს ვეძახდით. ისე კი ძრიალ გვეცოდებოდნენ, როცა დაპროსიდან ნაწამებს შამააბრუნებდნენ. ვუვლიდით, ჭრილობებსაც ვუხვევდით ხოლმეო". "ნაწამებსაო?" - წარბი ასწია ვანამ. "მაა, კაცო, როგორღა არ აწამებენ მაგ უბედურებს. დაპროსის ოთახში წყლიანი ვედრო დგაა, შიგა კიდევა ბაწარშამოხვეული ჯაჭვი გდია. ჯერთ იმითა სცემენ გატიტვლებულებსა, მინამ ზურგი და ტრაკი ხინკლის ფარშივით არ გაუხდებათ, მერე კი იმ ვედროდან წყალს დაასხამენ გულწასულს, რო უარესი წამებისთვინ მაიყვანონ გონზედაო. ზოგი გამომძიებელი ნაცემ ადგილებზე პაპიროსებს აქრობს, ზოგი კი კლეშჩებსა ხმარობს ფრჩხილების, ან კბილების დასაძრობადაო". გავხედე ვანასა... პირი მაუმუწამს, სახე სუ დასწითლებია, თვალები კი ნელ-ნელა ემღვრევა. ანიჩკა კი პირიქით, გათეთრებულია და ქვედა ყბა უკანკალებს. მუშტი დასცხო მაგიდას ვანამა და ამაიხრიალა: "რეებსა ჩმახამ, შენ თავი ხო არ მოგძულებია, ბალღოო!" ის კიდე არა ცხრება და აგრძელებს ბრიყვულადა: "არ გატყუებ, შენმა მზემ, სუ მართალს გიყვები. ეგ რა არი, უარესს გეტყვი - ერთი ყოფილი რაიკომის მდივანი პისმენი სტოლზე ხელის მტევნებით მიალურსმეს და ცხელი შამფურები ურტყეს, უნივერსტეტის პრაფესორს კი იქვე გაუსკდა გული, როცა ბოთლზე სვამდენნო". აქ უკვე დავინახე როგორ ამაასხა ვანა პაპას, არც ამდგარა, ისე სთხლიშა ცხვირ-პირში გაშლილი ტორი. მძიმე ხელი ჰქონდა ვანასა; სკამიანად გაფრინდა ღელაღუტა, ზურგით კედელს მიენარცხა და მერე დეეხეთქა პოლ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზე. "დახე, ამ შობელძაღლს, კალოშებიც არ გაუხდია, ისე შამამივიდა სახლში! გაათრიე აქედანაო", - ბრდღვინამდა ვანა. კალოშებიო, კაცო, გესმით თქვენა?! მერე, ჭიშკრამდინ რო მივაცილებდი ოდნავ გონზე მოსულ ღელაღუტას, გულში ღმერთსა ვთხომდი ნეტა არ შაიგინოს, თორე რაც ვანამ დაიკლო, იმას მე დავუმატებმეთქი. ის კი სულელივით იმეორებდა: "ნეტა რა ბზიკმა უკბინა პაპიშენს, მე გზის დასალოცად მოვედი, ეგ იყო და ეგაო..."

თბილისში კი უცნაური რამე მოხდა. ვაგზლიდან ჯერ პირდაპირ ენკავედში მისვლა გადავწყვიტეთ შეწყალების წერილის დასატოვებლად, როგორც ელიჩკამ დაგვარიგა, მერე კი მეტეხის ციხეში. მაგრამ როგორ გინდა რასმე მიაგნო ამოდოლა ქალაქში? გამვლელებს ვაჩერებთ, ვეკითხებით ენკავედეს გზასა. მაგათი დამფრთხალი სახეები არ მავიწყდება, ხმას დაბლა უწემდნენ და ისე გვისხნიდნენ, კაცო-ო! ერთი-ორმა უკმეხად მოგვიცილა თავიდან, ვინ იცის, დანოსჩიკები ვეგონეთ. ვიარეთ ასრე, ხან ტრამვაითა და ხანაც ფეხითა. თოვლის ნასახი არ არის თბილისში, ხანდიხან წუნკალი ქარი წამაუბერამს მტკვრიდანა და ძვალ-რბილში ატანს. მივედით, როგორც იქნა. გავიხედეთ - გრძელი რიგი დგაა რკინის მესრის გასწვრივ. აურაცხელი ხალხია. შაწუხებული და მოღუშული სახეები აქვს ყველასა. ერთმანეთში არავინ ლაპარაკობს. ხანგამოშვებით ხიშტიანი სალდათები გასხნიან მძიმე ჭიშკარს, შაუშვებენ ხუთ კაცს, ისევ ისე დახურამენ. სხვა რა გზაა, ვდგავართ, ველოდებით ჩვენ რიგსა. ზოგჯერ ჭიშკარი ხალხის შესაშვებად კი არ ისხნება, არამედ გარედან მომდგარი მანქანის გასატარებლად. უკვე თითქმის მისულები ვაართ, რო ერთიც ვნახოთ, შავმა მანქანამ ჩაგვიარა და ალაყაფთან გაჩერდა. ვდგავარ დაპატარავებული და მხრებდავიწროებული ვანას გვერდითა და ფიქრიც კი არ მინდა იმ ხალხზე, ვისაც ეგ მანქანები ემსახურება. ჩვენ სხვები ვართ და ეგენი კი სულ სხვანი - ძალის ბეჭედდასმული, ყოვლისშამძლენი და საშიშარნი! გახედვაც კი არ შამიძლია მაგათკენ, ემანდ ზედმეტად არ შავეჩხირო თვალში, რითიმე არ მივიქციო ყურადღება, თავში კი სუ ღელაღუტას მონაყოლები მიტრიალებს... მე იმათკენ არ ვიცქირები, გენაცვა, მაგრამ მთელი ტანითა ვგრძნობ, როგორ დაჟინებით გვაკვირდება მანქნიდან ის ვიღაცა, კარაკულის ფაფახიანი უფროსი, რომლის სახესაც ვერა ვხედამ და არც მინდა დავინახო. სისხლი მეყინება ძარღვებში, კაცო-ო! რა უნდა ნეტა, რას მოგვჩერებია ე დალოცვილი?.. როგორც იქნა გაიღო ალაყაფი, შიგ შასრიალდა ოხერი მანქანა და მეც ამავისუნთქე. გავხედე ვანასა. არაფერი შაუმჩნევია. თავისთვინ დგაა დარდიან ფიქრებში წასული და ხანდიხან ჭაღარა წვერზე ისვამს ხელსა...

ცოტა ხანში ახალგაზრდა აფიცერი გამოვიდა ჭიშკრიდან და პირდაპირ ჩვენკენ არ გამეერთა?! პაპიჩემს ეკითხება - ესენი და ესენი ხაართო? ხოო - მიუგო გაოცებულმა ვანამა. "ორივენი წამომყევითო", - გვითხრა და წინ გაგვიძღვა. უმალ უკაცრიელ ეზოში აღმოვჩნდით და აგურის სამსართულიანი, ყვითელი სახლის შესასვლელს მივადექით. იარაღიანი დარაჯები ეჭიმებიან ამ ჩვენ აფიცერსა, რკინის კარებებს ხსნიან. ახლა კიბეს ავუყევით, მეორე სართულზედ აველით, ბნელი დერეფანი გავიარეთ და რომელიღაცა კართან ავიტუზეთ. აფიცერმა შიგნით შაიხედა, მერე გვერდზე გაიწია და გვითხრა - "შედით, რაღას უცდითო". ვანას გადავხედე. ისევ ისე მშვიდად და აუღელვებლად უჭირამს თავი. გულისფანცქალით შევყევი. წაგრძელებულ ოთახში აღმოვჩნდით. სუ ბოლოში, მაუდგადაფარებული მაგიდიდან ენკავედეს ფორმაში გამოწყობილი ვეება კაცი წამოდგა და ჩვენკენ წამოვიდა. მარჯვენა თვალი გაფუჭებული აქვს, შუბლზედ ნაჭრილობევი ემჩნევა და ოდნავა კოჭლობს ცალი ფეხითა. მალაქია ინაკავაძეა! აღარ ვიცოდი შიშისგან ჩემეფსა თუ გამხარებოდა. ხმაურით გამოგვიწია სკამები, დაგვსხა და თვითონაც ჩამოჯდა. "ვანა, გილოცამ. შენი შვილის საქმე ცალკე გამოყვეს და ტროიკა ამ დღეებში ალბათ რვა წელს მიუსჯისო, - ასე გვითხრა. - რა იყო, არა ხარ კმაყოფილიო?" აბა, რომც არა ყოფილიყო კმაყოფილი, რა უნდა ექნა? პირველად ვნახე, პაპიჩემის თვალზე ცრემლი. "ღმერთმა ააშენოს შენი ოჯახიო", - ამაილულლუა ვანამ და ხელზე წეეტანა საკოცნელად. მალაქიამ არ დაანება და სთქვა: "მე კი არა, შენ უნდა გითხრას მადლობა ტიტიკომ. წადით ეხლა, და მაინცა და მაინც ნუ ილაპარაკებთ ამ ჩვენი შეხვედრის შესახებ. ეგ ფუთები კი აქ დამიტოვეთ, მე შევუგზავნი ციხეში, თორე მანამ თქვენ პერედაჩის უფლებას მოგცემენ, ერთი თვე გავაო."

ილიკო ჯანდიერი და თელი მიწსახკომი ახ-

ალი წლის დადგომამდე დახვრიტეს. მარტო ტიტე გადარჩა მალაქიას მეოხებით და მგონი კიდე ერთი, მდივანი ქალი. ცხოვრება გაგრძელდა. ელიჩკა ვახვახიშვილმა ცხვრის ყაურმის კეთება ასწავლა ჩემ დას და იმას ვუგზავნიდით ტიტეს მარდოვსკაია აესესერში, საცა იყო გადასახლებული. ყაურმა, გენაცვა, მაგრად მოშუშული და ძვლებგამოცლილი ხორცია, რომელსაც ცოტა ნიორს, დაფნის ფოთოლსა და შავი პილპილის მარცვლებს უმატებ, ზეიდან კი მოთუხთუხე ცხიმს ასხამ და ხუფამ. მგზავრობას კარქა უძლებს, თავისივე ცხიმი ინახამს და არა ფუჭდება. კიდე, ცხადია, ბლომად ჩურჩხელებსა და ჩირსაც ვდებდით პასილკაში. "ვიტამინები არ მააკლოთ, თორე უთუოდ ცინგა გაუჩნდებაო", - ამბობდა ელიჩკა... ათასში ერთხელ მამიჩემის წერილიც მოგვდიოდა ლაგერიდან.

ამასობაში ანიჩკამ კურსები დაამთავრა და დაგვიბრუნდა კამეჩაანთკარში. ჩვენ ამბულატორიაში დაიწყო მუშაობა ექთნადა. იძახდა, ამ ორ-სამ წელიწადში ცოტა ფულ რასმეს დავაგროვებ, მასწავლებლებთან კერძოდ მავემზადები და საექიმოზე შავიტან საბუთებსაო. მეკი დავრჩი ასე უსწავლელადა. ტიტე ზოოტექნიკურზე მიპირებდა გამწესებას, მაგრამ აბა, დაიჭირეს და რაღას ვიზამდით. რაკი არც სიბეჯითე მქონდა და არც განსაკუთრებული ჭკუა, დიდად არ მიდარდნია. სკოლაც სამადლოდ დაწერილი სამიანებით დავამთავრე. ცოტა ქართულსა და ისტორიაში არამიშამდა. ტლუ სოფლელად ჩემი დარჩენა ვანას არა სწყენია. პირიქით, მგონი გეეხარდა კიდეც, რადგან ნასწავლ-განათლებული ილიკოსა და ტიტეს მაგალითი წინა ჰქონდა და ხვდებოდა, რო დაწინაურებულ და გამოჩენილ კაცს იმ დროში მეტი ხიფათი ემუქრებოდა, ვინემდის ბოგანოსა და უცოდინარს. თითონ კი ერთი უცნაურობა დასჩემდა პაპიჩემს...

კაცო, მართლა ხო არ დაიღალინით? მითხარით, შვილო, ნუ მამერიდებით! არა? რავი, მაგის დედა ვატირე, დროა ისეთი, რო ყველა ჩქარობს. ამბის მამყოლი ბევრია და მამსმენი კი, აბა რა გითხრა... ხო-ო, იმას ვამობდი - უცნაურობა დასჩემდა-მეთქი. იმ დღეს, ინაკავაძისაგან გამოსულებს, მაგრა მოგვშივდა. ქალაქში გასაჩერებელი არსადა გვქონდა, ამიტომ უკან უნდა გავბრუნებულიყავით. ჯერ მატარებლით გურჯაანამდე უნდა გვევლო, მერე კი ორცხენიანი ლინეიკით - კამეჩაანთკარამდი. ვანამა თქვა - "ამოტოლა გზაზე მშივრები დავიხოცებითო". ჩვენც მანდვე, ვაგზლის მეედანზე რაღაცა პატარა დუქანი ვნახეთ და იქ ჩავედით დასანაყრებლად. დუქანში ოხშივარი იდგა - ხაში მეეხარშათ იმ მამაცხონებულებს. პატარა მაგიდასთან დავსხედით, კუთხეში მოქეიფე იმერლების მახლობლად. თელი დღის გაყინულგათოშილებს ცხელი ხაში გვეამა და ზედ ასასი გრამი "ხლენი" არაყიცა ვსთხლიშეთ. თვალებდაწითლებული იმერლები კი მღეროდნენ - "ბულბულს ენა - ვარდს სინაზეო..." ისრე მღეროდნენ, დალოცვილები, რო დამავიწყდა დილაზე სად ვიყავით და რა საქმისთვინ გავისარჯენით. არადა, ისე ხმაშეწყობითა მღეროდნენ, რო მეც მამანდომეს, კაცო-ო! ჩვენში რო ვთქვათ, დიდი მომღერალი არასდროს არა ვყოფილვარ, აბა ტიტესთან, ან ანიჩკასთან რას მივიდოდი, მაგრამ ბანის მიცემა კი შემეძლო. ხოდა, მივეცი კიდეც. გავიხედე - დიდცხვირა იმერელი, მეორე ხმას რო ამბობდა, მოტრიალდა ჩვენკენ. ცოტა ხან მიყურა ისე რო სიმღერა არ გაუწყვეტია და მერე ხელით მანიშნა - მიდი, ხმას აუწიეო. მეც გავთამამდი და ავუწიე ბანსა. ვანამ ჯერ გაოცებულმა გადმამხედა, მერე ჩუმად მითხრა გაჯავრებულმა: "გაჩე, შე ვირო! მამიშენი ციხეში გდია, შენ კიდე პირი დაგიღია და ღმუი აქაო!" რას ვიზამდი, ხმა ჩავიწყვიტე. იმერლებმა უჩემოდ ჩაამთავრეს მრავალჟამიერი. მერე ის დიდცხვირა კაცი ჩვენთან მოვიდა, გაგვეცნო და მკითხა, რათ გაჩერდი შუა სიმღერაშიო. რო მეთქვა მამა პატიმარი მყაამ - არ გამოდიოდა. ერთი რო იფიქრებდნენ - გიჟია ეს ვირიშვილი, რა ამღერებსო; მეორე კიდე ისა, რომ ხალხის მტრის სისხლთან და ხორცთან ქეიფს ვინ გაბედადა იმ დროში, უხერხულობა რამე შაიქმნებოდა, სუფრა აირეოდა და იმ უცნობ კაცებს, ვინ იცის, სუმთლად ჩაშლოდათ ლხინი. ამიტომ, რაღაცა აბდა-უბდა მოვჩმახე. ის კაცი კი არ გვეშვებოდა - "გადმოდით ჩვენ სტოლში, ბატონო, ვიმღეროთ, გავიცნოთ ერთმანეთიო". "კახეთის მატარებელზედ გვიგვანდებაო", - მოკლედ მაუჭრა ვანამ. მაგრამ იმერელს რას მაიშორებ, კაცო, თან მთვრალ იმერელს! გადაგვიყვანეს, გვადღეგრძელეს, გზა დაგვილოცეს, თითო ნაჭერი გაცივებული კუპატიც მიგვაყოლებინეს და მშვენიერი "ოროველათი" გამოგვაცილეს...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მე მგონი, სუ იმ კუპატმა ქნა, რაც მერე მოხდა. მატარებელში ორთავეს წაგვთვლიმა, გეგონება კამეჩის ბნელ ხახაში ჩავცვინდით. როგორცა შჩანს, დიდხან მეძინა. რო გავიღვიძე უკვე გურჯაანს ვუახლოვდებოდით. გავხედე ვანასა და რასა ვხედამ - გარინდული ზის, სახე სუ გაჰფითრებია, ცივი ოფლი ასხამს და მძიმედა სუნთქამს. რის ვაი-ვაგლახით წამოვაყენე ფეხზე და ვიღაცა მთვრალი სალდათის დახმარებით ჩავიყვანე დაბლა. გურჯაანის ვაგზალში კი ბნელა, ცივა და ლინეიკებიც არა სჩანს - გვიანია უკვე. უცბათ ცხენის ფლოქვების ხმა მემესმა. გავიხედე - ნისლიდან ცხენშებმული ფაეტონი გამოვიდა. ცხენი ჯაგლაგია, ფაეტონი კი ძველი და მონჯღრეული, მაგრამ ამას ვინა ჩივის! ვანა იქვე, ქვის დაბალ ყორეზე ჩამოვსვი, ჯიბიდან ჭინჭებში გახვეული ფული ამოვაცალე და ფაეტონისკენ გავიქეცი. კოფოზე ჩონჩხივით გამხმარი, პირშავი და წვრილ ულვაშიანი მეეტლე ზის. ფინთად მიყურებს, ფულის მიმცემს არა ვგავარ და იმიტომ. ვივაჭრეთ. როგორც იყო სამ თუმანზე შევუთანხმდი, ე პაპიჩემი ლამის ხელში აყვანილი მივიტანე ფაეტონთან, ჩავსვი და წავედით. გურჯაანს გაცილებულიც არ ვიყავით, რო გულისრევა დეეწყო ვანას, დედის რძე არ შაარჩინა კამეჩაანთკარამდი. მე ხელით მიჭირამს რო ემანდ არ გადამივარდეს ფაეტონიდან, ის ჩათლახი მეეტლე კი თავზე დამკივის - "კარქა გადააყუდე, მანდაურობა არ მამითხვაროთ, ვირიშვილებოო!" როგორც იყო, ჩავაღწიეთ ჩვენ სოფელში.

იმ ღამეს მაღალი სიცხე რო მისცა, ორი კვირა არ განელებია. მუცლის ტიფიაო, ტიროდა ანიჩკა. ისევ ვახვახიანთ დახმარებით ექიმი ჩამოვუყვანეთ თელავიდან, წამლებიც ვიშოვნეთ და ამ ქვეყნისკენ მოვაბრუნეთ. ეგ არი, რომ იმ დღის მერე ხორცს აღარ გაკარებია ვანა პაპა, არც ხაშს, არც ბოზბაშს... ჩალაღაჯსა და მუჟუჟზე ხო აღარაფერს ვამბობ. ყველი, მოხარშული კვერცხი და პური გახდა იმისი სარჩო, ხანდიხან ლობიოსა და წნილს თუ მაუნაცვლებდა, ეგ იყო და ეგა.

და კიდე - ღვინოს მიეძალა, კაცო! დღე არ გავიდოდა თავისი ორბოთლიანი შტოფი არ გამეცალა. არც ისე იყო დიდად მოლაპარაკე, ეხლა კი სუ გაულჩათხრობილი და დარდიანი გახდა. თუ მაინცადამაინც რამე საქმე არ იყო გასაკეთებელი - წალდს აიღებდა, შტოფს ამაიიღლიავებდა, პურის ნატეხს გაიყოლებდა და დილიდან ტყეში მიდიოდა, ვითომ წკნელების მოსატანად. დღის ბოლოს კიდე უფრო დაღვრემილი მოდიოდა ტყიდან, დაცლილი შტოფითა და თხილის წკნელებით ხელში. ამ წკნელებს გომურის სხვენში ალაგებდა, დღემდე არ ვიცი რათა. ეგრე იყო სიკვდილამდი...

სიკვდილიც რა უცნაური შეხვდა, ცხონებულს! კარქა მახსომს, ივნისი იდგა, თბილოდა. ვანა დილიდან ტყეში იყო გასული. ჭიშკართან ფოსტალიონ ვალოდას ყვირილი მემესმა: "ტიტიკოს წერილი მოგიტანეთ, აბა, მაღარიჩი თქვენზეაო!" მანამ ანიჩკა არაყსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

თხილს გამაუტანდა, მე ვანას მოსაძებნად გავიქეცი. დავრბივარ წიფლიანში, ვეძახი პაპიჩემს, ხელში კი კანვერტი მიჭირამს. მაშინ კარდონივით სქელი ქაღალდის კანვერტები იყო, კარიჩნი ფერისა. ზედ ქიმიური ფანქრით ეწერა მისამართი და ორი ბეჭედიც ერტყა ხოლმე - ერთი რგვალი, მეორე კი სამკუთხა. ახალი წლის მოსვლა არ გვიხაროდა ისე, როგორც ტიტეს წერილებისა. ხოდა, მინდა ვახარო პაპიჩემსა, ის კი არსადა შჩანს, არც მეხმიანება. თელი ღარტაფები მოვიარე, ნაკადულები ვტოპე. მზე უკვე გადაიწვერა, მეც დავიღალე, გავძაღლდი. ბოლოს ერთ უტყეო ალაგას მოვხვდი. ველობია პატარა, ზედ ერთი დიდი წიფლის ხე იზრდება. ბალახი შარშანდელი ხმელი ფოთლებითაა დაფარული. აქაიქ ჯიმლა-სოკოებს ამოუყვიათ თავი ნეშომპალიდან. ხეზე წყვილი ყვავი ჩამამჯდარა და ავადა ყრანტალებს. ახლო მივე იმ ხესთან. ვხედამ, დაბლა ვანა წემს გვერდულად. ჯერ მამეჩვენა, თითქო რაღაცა თხელი საბანი აქვს წაფარებული. დავაკვირდი და თურმე საბანი კი არა, თელ ტანსა და ხელებზე პატარა ჟღალი ჭინჭველები დასევია ერთთავად. იმდენი არიან, რო კაცი თითქმის აღარცა სჩანს. წიფლის ფესვებთან მიგდებული შტოფიც სუ ჭინჭველებს დაუფარამთ. თვალებზე ხელი ავიფარე, ფინთი სიზმარი მეგონა.

ესე წაიყვანა ჩემი და ანიჩკას პაპა მიქელგაბრიელმა - წყნარად და მოულოდნელად... ღარიბული ქელეხიც ჩათავდა, მეზობლებიც წავიდ-წამოვიდნენ და დავრჩით ორნი თელ ქვეყანაზე. რამდენიმე დღეში კი ომიც დაიწყო და ვისღა ახსომდა ჩვენი ოხერი თავი, ყველას თავისი უბედურება ჰქონდა სადარდებელი. ისევ ელიჩკას ძმიშვილი, ელიზბარი თუ ჩამოგვაკითხამდა ხოლმე თელავიდან, მანამ გაიწვევდნენ. მგონი ანიჩკა უყვარდა, მაგრამ არკი ამბობდა. ხათრიანი ბიჭი იყო, კულტურული. ვარონეჟთან უგზო-უკვლოდ დაიკარგა, საწყალი. მაგრამ ელიჩკა ამას აღარ მოსწრებია... კიდე კარგი.

ორმოცდაორი წლის ზამთარში ანიჩკაც გამაიძახეს კომისარიატში. ექიმებისა და ექთნების მობილიზაცია გამოცხადდა. მაშინ, გენაცვა, დიდი ბრძოლები იყო მარუხზე და კლუხორზე, გერმანელები აფხაზეთს იყვნენ მომდგარნი. სოხუმის ჰოსპიტალი ვეღარ აუდიოდა დაჭრილებს. თელმა კომეჩაანთკარმა გაიგო ანიჩკას გაწვევის ამბავი. აბა, შეიქნა ერთი რია-რია - ზოგს თბილი წინდები მოჰქონდა, ზოგს საგზალი; ხანდაზმულები ჭკუას არიგებდნენ, გოგოები ტიროდნენ და იწირპლებოდნენ. მე კი ვიჯექი პირგამეხებული, გულში ცეცხლი მიტრიალებდა და ვერკი ვამბოდი იმას, რაცა მდაგამდა. ანიჩკა აქეთ მამხნევებდა და მეანგლებოდა. როცა ბუშლატში გახვეული და თბილი კასინკით თავწაკრული გრუზავიკზე ადიოდა, მაშინ-ღა აუცრემლდა თვალი. "დარდი ნუ გაქ, მე არაფერი მამივა, საღსალამათი დაგიბრუნდებიო, შენ მთავარია თავს მიხედორო", - მითხრა და აცოცდა კუზაოზე.

დაბრუნებით კი მართლა დაბრუნდა ორმოცდახუთში, მაგრამ სამ კვირაში მლადში ლეიტენანტი, ბოჩია პაჩკორიაც ჩამოჰყვა თავისი დოსტებით, ხორაგითა და საჩუქრებით. სოხუმის ჰოსპიტალში გეეცნოთ ერთმანეთი. ანიჩკა წამლობდა და უვლიდა დაჭრილ-დაფლეთილს. შაუყვარდათ ერთმანეთი. მერე ომმა ერთი უკრაინაში გადააგდო, მეორე კი - ბელარუსიაში, თუმცა წერილებს მაინცა სწერდნენ ერთმანეთსა. ეხლა ეს მენდლებიან-ორდენებიანი ბოჩია ცოლობასა სთხომდა ჩემ დას, ის კი ღელამდა, ნერვიულობდა, არც ჰოს ამბობდა, არც არას. სამ დღეს ვიქეიფეთ, დავახლოვდით, ანიჩკა კი ისევ ყოყმანობდა. ერთხელ ყური მოვკარი, ბოჩიას ეუბნება: "მე ჩემ ცალხელა ძმას უპატრონოდ ვერ დავტოვებო". აქ კი გაუვარდი თვრალი და ბოჩიას დავსჭყივლე: "რა გაატრიზავეთ ე ქორწილი, მოკიდე ხელი ამ ჩემ სულელ დასა და წავედით შენთან სამეგრელოში მეთქი!" ეგრე გავათხოვე ანიჩკა. ხან მე ჩავდიოდი წალენჯიხაში, ხან ისინი - კამეჩაანთკარში. მერე გოგოები ეყოლათ: მარინა და ეთერი. მარინას მაინც სუ პატარობიდან აქეთ მაუწემდა გული. უკვე ინსტიტუტში სწავლობდა და მაინც, არდადეგებს ისე არ ჩაამთავრებდა, რო ერთი კვირით ჩემთან და თამარასთან არ ჩამოსულიყო. სერგო გოგოჭურიც აქ გაიცნო, შაუყვარდა და ასე დარჩა კამეჩაანთკარში ჩვენდა გასახარად. ეთერი კი ზაფხულობით უფრო მამიდამისთან, კლარა პაჩკორიასთან იყო ხოლმე სოხუმში. "კახეთის ჰაერი არ უხდებაო", - გულის გასაკეთებლად გვატყუებდა ანიჩკა.

ზოგი ჭირი მარგებელიაო, ხო გაგიგონიათ? მე, გენაცვა, ჩემმა ხეიბრობამ გადა-

მარჩინა ფრონტისაგან. ომამდე ერთი წლით ადრე, რაჭველ დურგლებს მიმაბარა ვანამ - "რაკი საქონელს გულს ვერ უდებ და არც მიწის მუშაკობა მოგდემს, სეზონზე შეგირდად გაჰყევი დომენტისა და ხარიტონს, იქნება ხელობა მაინც ისწავლო, თავი რითიმე რო გაიტანოო". იმ ხანად კერძო სახლის მაშენებელი ცოტა თუ ვინმე იყო კახეთში - უჭირდა ხალხსა. ჩვენც უფრო საკოლმეურნეო მშენებლობებში გვეძახდნენ დამხმარე მუშაკებად. ვანას დიდი ხათრი ჰქონდათ მაგ დურგლებს, თორე ჩემნაირ უხეირო შეგირდს არ გაიჩერებდნენ. თელი კახეთი მოვიარეთ, საჭმელ-სასმელს არ გვაკლებდნენ ჩვენი დამქირავებლები. ღამე სოფლის კლუბებში, ან პირდაპირ მშენებლობებზე გვეძინა ნაბდებში გახვეულებს და ვიყავით ასე. ხარიტონს ერთი ჩიხოლიანი აკარდიონი ჰქონდა. ვახშმობას რო მოვრჩებოდით, გაწელამდა და მღეროდა. მეც ავყვებოდი ხოლმე. დომენტის კი არ ვამღერებდით ანგელოზები რო არ დეეფრთხო თავისი უამური და ფარშავანგივით მკივანა ხმითა.

ერთხელაც ვაქირში ვართ, ფერმას ვაშენებთ. ვაქირი ხო იცით, დიდი სოფელი როა ტრასაზე? კალატოზები მორჩნენ თავიანთ საქმეს, კედლები ამაიყვანეს. ეხლა ჯერი ჩვენზეა, კოჭები უნდა გამოვთალოთ და გადავხუროთ. დომენტი და ხარიტონი მორებსა ხერხამენ, ამუშავებენ, მე კი სოფლელებს ვეხმარები - კოჭები მაღლა აგვაქ და თავთავის ალაგას ვაწყობთ. ორ-ოლი კაცი კედლებზე ვდგავართ აქეთ-იქიდანა, თოკები ხელზე გვააქ დახვეული. ქვემორეები თავსა და ბოლოში ჩააბამენ კოჭსა, ჩვენ კიდე მაღლა ვეზიდებით. მძიმეებია ე შობელძაღლები. ერთიც ავითრიეთ, ავზიდეთ მაღლა და ის არის ფოსობში უნდა ჩავაყენოთ, რო გაღმელების თოკმა ვეღარ გაუძლო და გაწყდა. გაქექილი იყო, როგორცა სჩანს. კოჭის იქითა ბოლო დაბლა დაქანდა, გრუხუნით დეენარცხა მიწაზე, ეს ბოლო კი მე მაქვს დაჭერილი და თოკი მაჯაზე შემოხვეული. აბა, რას გაუძლებდა ე ჩემი ხელი ამოდონა სიმძიმეს, საშინელი ძალით დამქაჩა თოკმა, დასწყიტა ძარღვები და თელი მტევანი წამაცალა. ეგ მერე გავიგე, მაშინ კი ტკივილისაგან თვალთ დამიბნელდა, კედლიდან გადმოვვარდი და გონება დავკარგე. სისხლში მოთხვრილსა და გონწასულს თურმე დომენტი და ხარიტონი მამცვინდნენ. მე არაფერი მახსომს. გონს თელავის საავადმყოფოში მოვე. ანიჩკა, ვანა და ელიჩკა ვახვახიშვილი მადგანან თავს. იქვეა ქუცნა შაქარაშვილი, კახეთში განთქმული ხირურგი. "ალავერდში სანთლები გაქვს დასანთები და ცხვარი დასაკლავი, ვეჟო, ღმერთს მადლობა უთხარი რო კიდე ესე იოლად გადაგარჩინაო", - იძახის ქუცნა. "აბა, გენაცვალე, ეხლა უნდა მაგრა დადგე, ეხლა გამოჩნდება შენი ვაჟკაცობა. ეგ არაფერი, უარესებსაც უძლებს ხალხიო", - მაწყნარებს ელიჩკა. მე კი, სულელი, ვერა ვხვდები რა უნდათ, რას მეუბნებიან, მარტო ყრუ ტკივილსა ვგრძნობ მარჯვენა ხელში. როდის-როდის დავიხედე და მტევნის მაგივრად მაჯაზე შემოხვეული სისხლიანი ბინტები რო დავინახე ცრემლები გადმამცდა. მივხვდი - სიცოცხლის ბოლომდი სხვისი ხელის შამყურესა და ხეიბარს უნდა მეჩანჩალა.

ერთი კვირის მერე ქუცნას გამოტანებული მალამოები წამოვიღეთ და დავბრუნდით სოფელში. მაგრამ მე ოხერს, არც სოფლის საქმე მამდემდა და მემარჯვებოდა. ისე რო ვთქვათ, აღარც საქმე იყო იმდენი. ჩვენი კამეჩები კოლმეურნეობაში რო შარეკეს, გული აუცრუვდა ხალხსა. ისევ ვანა და ძველები პატრონობდნენ პირუტყვს, ენანებოდათ მაინცა. მაგათ მერე კი ვინლა იყო კამეჩის მომვლელი და ყველის გამამყვანი. ჩქარა-ჩქარა და უცეფ-უცეფ, გეგმის შესასრულებლად გაკეთებული ყველი აბა რა უნდა იყოს?! მენანება რო ვიხსენებ ჩვენ პადვალში ნასვენებ ყვითელ-ყვითელ თავებსა.

ეგე, შვილო, დახე ვიტრინასა, სადაური ყველები აღარ არის: შვეიცარიული, გინდა ხოლანდიური, გერმანული, მგონი ფრანგულიცაა. თან სადა, კაცო - ჩვენთან სოფელში, კამეჩაანთკარში! ვინ იცის, ილიკო ჯანდიერსა და მამიჩემ ტიტეს მაშინ რო მეეხერხებინათ აქაური ყველის გატანა პარიჟში, ეხლა განთქმულები ვიქნებოდით. სადმე ხოლანდიის ან გერმანიის სოფლის მაღაზიაში იდებოდა ლამაზად შეფუთული თავები, ზედ "კამეჩაანთკარი" და "გრუზია" ეწერებოდა და კიდე ვინ იცის, იქნებ ვანა პაპას კარტიჩკაც დეეხატათ ეტიკეტკაზედ! ეხლა კი ვაართ ეგრე სხვისი მოიმედე და ხელში მაცქერალი. ეგენი თავისას აკეთებენ, კოხტადა ფუთამენ და თელ მსოფლიოში აგზავნიან. მაგათი მატარებელი დიდი ხანია დაძრულია. ჩვენა კიდევა, ე ქართველები, მივჩანჩალებთ უკანა. ჩვენი არაფერი მიდის აქე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დან იქით - არც ყველი, არც პური და არც სიტყვა. ეგ არი ფინთი, თორე სუპერმარკეტ რა სჯობია. ვზივართ მე და ეს საცოდავი თამარა მარინას გახსნილ სუპერმარკეტში, ვყიდით უცხოეთის სანოვაგესა და თან ბედს მადლობას ვეუბნებით, რო პურის ფულ მაინცა ვშოულობთ.

ღმერთი ამ მარინას გაახარებს, როგორი მარჯვე გამოდგა. ეგა, გენაცვა, ჩემი დის, ანიჩკას უფროსი გოგოა, როგორც გითხარით. რაღა გოგო, ორმოცდაექვსშია დაბადებული, ლამის სამოცი წლის დედაკაცია, უკვე ორივე შვილი რუსეთში ყაამ. ერთი თვალის ექიმია, მეორე კიდე აპერატორია, მოსკოვის ტელევიზიაში მუშაობს. მარინას აქაური ქმარი ჰყამდა, სერგო გოგოჭური. კუპონები რო შამაიღეს, იმ წელს დაიღუპა ავარიაში საცოდავი, - ველისციხესთან კამაზს დეეჯახა თავისი "ნოლშესტითა". ეგენი კამეჩაანთკარელი გოგოჭურები არიან, დაბლა უბანში დგანან. მარინას მაზლი, ანდრო გოგოჭური, თელავშია. კარქი ბიჭია, ენაკვიმატი და პურმარილიანი. ერთ დროს თეატრში იყო მსახიობადა, ვანიჩკა იანტბელიძესთან ერთადაც კი უთამაშნია "ღალატში". მაგრამ დრო რო აირია და ცხოვრება გაჭირდა, მეეშვა არტისტობასა და ეხლა ნავთი შემოაქვს ძმაკაცებთან ერთად. მარინასაც ეხმარება, რაც შეუძლიან.

ანიჩკას პატარა გოგო, ეთერი, ხაშურშია გათხოვილი მილიციის უფროსზე. გელაშვილია გვარად. სამი შვილი ჰყამთ - მარიამი, ქეთევანი და გელა. ისე, რო ვთქვათ, მე მაგითი ამბები კარქა არ ვიცი; არ ჩამოდიან, გენაცვა, აქეთა. არც ჩვენ გვიძახიან და აბა, მე და თამარა ხო არ ჩავადგებით ხაშურში. ანიჩკას დასაფლავებაზე იყვნენ ჩამოსული ერთი დღითა, ეგ იყო და ეგა. ეთერს იმითი მააქ თავი, რო მაგის ქმარს ქვიშხეთში რაღაცა საყდარი გაურემონტებია, თუ ხელახლა აუშენებია. ააშენოს, კაცო, მაგას რა უშამს, მილიციის უფროსია მაინცა. აი, ჩვენთან კი, კამეჩაანთკარში, ღელაღუტას ძმიშვილმა, კარლომ ააშენა ეკლესია წმინდა გიორგის სახელზედ. ეგ კარლო ცნობილი ქურდია მოსკოვში. რუსებიცა და ჩეჩნებიც დიდ პატივსა სცემენ თურმე. უნდა გენახათ, სამი მანქანით, - დაცვით, მომღერლებითა და მღვდლებით რო მაადგა ღელაღუტაანთ სახლსა. სამ დღესა ქეიფობდა თელი სოფელი, ზოგ-ზოგებს ფულებიც აჩუქა კარლომა. მეც დამიძახეს, მაგრამ არ წავე, ავად ვიყავი. მარინა კი საგანგებოდ გამაიძახეს, სტუმრებისათვის ყავის მოსადუღებლად. მაგისი ყავა და მკითხაობა უკვე განთქმული იყო თელ სოფელში. ჩუმლაყიდან და მელაანიდანაც კი მოდიოდნენ მოცლილი დედაკაცები სამკითხაოდა!

მკითხაობაზე ბოდიში, ეს ბოლო ხანებია მამა ზაზამ აუკრძალა, მაგრამ ყავა თქვენც ხო მეგეწონათ? ეგ მარინამ ასწავლა თამარას, მაგრამ თითონ რო ადუღებს, ის მაინც სუ სხვაა. საცაა უნდა მოვიდეს, დეელოდეთ და არ წაადგებთ - ნამდვილი სოხუმური რეცეპტი იცის მამიდამისისაგან, კლარა პაჩკორიასაგან... ხოდა, გენაცვა, სწორედ მაგ ყავით დაიწყო ყველაფერი, ეს კაფეცა და სუპერმარკეტიცა.

აფხაზეთის ომი ახალი დამთავრებულია, დიდი გაჭირვებაა, არც შუქია კახეთში, არც კორმა და ბენზინიცა ჭიირს. ლტოლვილებით გაიმსო აქაურობა. არ ვიცი მაშინ ვინ მაიფიქრა და ითავა, მაგრამ თბილისელი არტისტების დიდი კონცერტი გაიმართა თელავში. ვინც კი ცნობილი მომღერალი და მოცეკვავე იყო, ყველანი ერთიანად ჩამოვიდნენ. აბა უპატივცემულოდ ვინ გაუშვებდა სტუმრებსა? სუფრა გაიმართა, მა რა იქნებოდა!

მეორე დღეს, დილაადრინ გაღვიძებია კონცერტის რეჟისორს. ხალხს სძინამს ჯერა, არც მასპინძლები სჩანან. ყავის დალევა მონდომებია. ყავა ხო არტისტების პური და ღვინოა, თქვენც კარქა იცით! გამოსულა კარში, მანქანაზე დამჯდარა, უფიქრია - ქალაქში გავივლი და სადმე დავლემო. აბა, გენაცვა, თელავში დილაადრიან ამისთანა სისულელეს რო აიკვიატებ, რა გამოგივა? ხაშისა და ხინკლის მეტს იშოვნი რამესა? მეტადრე იმ დროში. ინტურისტის ბარი აჭედილი დახვდა, იქ ლტოლვილებს სამრეცხაო გეემართათ, აფსაიტში და ზუზუმბოზე სიცილით მოკვდნენ ბუფეტჩიკები - რა ყავა, რი ყავა, მოდი ხაში დაარტყი და ასი გრამი დააყოლეო. ვირზე შაჯდა ე ჩვენი რეჟისორი: - "ვერაფერს შავჭამ და დავლემ, მანამ ყავას არ მამიტანენო." ბოლო-ბოლო დაბლა, აერაპორტისკენ რო კაფეა, იმას მიადგა. კაფე აწერია, რა უნდა იფიქრო კაცმა?! შევიდა და რასა ხედამს - აქაც ხალხი პახმე-

ლიაზე გამოდის, წინ პივის ბაკლები უდგათ და გალიფული ხინკლები ლანგრითა. ანდრო გოგოჭურიც თურმე იქ არ არი?! მიიწვიეს სტუმარი სუფრასთან. ამ რეჟისორს კი თავ-პირი ჩამოსტირის, უარს ამბობს დასალევზე, ყავა და ყავაო - გაიძახის, ბოდიში მამითხოვია და შასცა ვირის დედასა. ხოდა, მაშინ უთქვამს ანდროსა: - "თუ მანქნითა ხაარ, აქვე კამეჩაანთკარში მიდი, ჩემი რძალი იკითხე, მარინა პაჩკორია, და ისეთ ყავას დაგალევინებს, რო გაოცდებიო". წამოსულა ე რეჟისორი. არ იცის - უკან დაბრუნდეს, თუ ანდროს რჩევას დაუჯეროს. ხედამს - ორი მოცეკვავე გოგო მოდის ქუჩაში. მაგათაც ყავა სდომებიათ, კაფე უკითხამთ და ვიღაცას გამოუშვია აერაპორტისკენა. დაისვა ორთავენი მანქანაში და წამაიყვანა ჩვენკენა. მართლაც, ცოტა ხანში მაადგნენ მარინასა. ეგრე-ეგრეო. "ჩემ მაზლს სწორი უთქვამს, ასეთ ყავას ვერ დალემთ თელ კახეთშიო", - გასცინებია მარინასა. ამ დროს ჯიბის ტელეფონზე დაურეკეს ერთ-ერთ გოგოსა - სადა ხართო? იმ გოგოს კი მარინასთვინ უკითხამს, ჩვენი ანსამბლის მოცეკვავეებმა გაიღვიძეს, უყავობითა კვდებიან და რა იქნება, ეგენიც ჩამოვიდნენ, ფულს გადაგიხდითო. "ფული რა საკადრისია, უთხარით მოვიდნენ, ხოლოთ ესა და ეს ყავა წამაიღონ, თორე, ვშიშობ, ამდენ ხალხს ჩემი ზაპასი არ გასწვდებაო", - უპასუხნია მარინას.

მე და თამარამ არაფერი ვიცით, ეზოში მატყლია გაშლილი და ვბერტყამთ. მეზობელმა ამაიარა ტაჩკითა და გვეუბნება: - "აბა, დროზე ჩადით სერგუაანთ, თორე იმოდოლა სტუმარი დეეხვა მარინასა, რო ვეღარ აუდისო". გამიკვირდა კი, ამ დილაადრიან სტუმარს რა უნდა-მეთქი, მაგრამ რას ვიზამდით, გადავცვინდით საჩქაროდ. გავიხედოთ, მარინას ჭიშკართან ორი მანქანა და ერთი რაფი დგაა, ეზო კი კოხტად მორთულ-მოკაზმული ხალხითაა სამსე. მაგიდები გარეთ გამაუდგამთ. გასცქერიან კავკასიონის მთებსა და თან ყავასა სმენ მორიგეობით, რაკი იმდენი სკამი და ფინჯანი არ არი, რო ყველას ერთბაშად ეყოს. საწყალი მარინა ჯარასავით ტრიალებს, ლამის არის ბოლი გაუვიდეს. რეჟისორი კმაყოფილი ჩაანს, რანაირი ყავა არ მოუხარშა მარინამ - ჩვეულებრივი თურქული, სქელი ქაფითა; პა სულტანსკი, წყალგარეული რძითა; დარიჩინიანი, დიდი ჭიქითა. "ესეთი ხედი, ესეთი ჰაერი და ესეთი ყავა ერთად დედამიწის ზურგზე არ-სად არ არისო" - თავისებს ეუბნება. "ირგვლივ კი ნაირ-ნაირი ჩოჩრებიო, - იცინიან არტისტები. - სოჩაა, მა რაა, შენ აგაშენა ღმერთმა ჩვენი აქ მოყვანისთვინაო!" ანგლობენ, კუჭკუჭებენ, ყავასა წრუპამენ, წასვლას არავინა ფიქრობს. მგონი არც წავიდოდნენ იმ დღესა, მაგითი უფროსი და თელავის გამგებელი თავისი ფეხით რო არ მოსულიყვნენ და არ დეეჭქარებინათ: - "ხალხო, გუბერნატორი გიცდით საუზმეზე, წინანდალში პურმარილია გაშლილი და რა დროს ყავის სმაა, ხო არ გაგიჟებულხართო?" ჩქარობდნენ კიი, მაგრამ თითო ჭიქა, რო გაშინჯეს, თითონაც გაგიჟდნენ.

ხოდა, გენაცვალე, ის დღე იყო და ის დღე - თუკი თელავში ვინმე ჩამოვიდოდა სტუმარი, ყავის დასალევად ჩვენთან მოჰყამდათ, კამეჩაანთკარში. მარინას ყავას თამარას ნაზუქები და ელიჩკა ვახვახიშვილის რეცეპტით გამამცხვარი "ყოზეფინაც" დეემატა. გამგებელმა წინდაწინ მაამარაგა მარინა, თან შიგა და შიგ ფულად დახმარებასაც გამოუწერდა ხოლმე. თავიდან ვითომ უარზე ვიყავით, მაგრამ ჩვენი ხარჯით, აბა რას აუვიდოდით ამოდელა დელეგაციებსა. ნელ-ნელა ეზო მოვაკოხტავეთ, ყვაილები დავრგით და ახალი ფეხსადგილიც ჩავდგით თავისი კაფელითა და პირსაბანებითა. მეც, რაც შამეძლო, ვეხმარებოდი ამ ჩემი ცალი ხელითა. ე პლასმასის მაგიდები და სკამები ანდრო გოგოჭურმა ჩამიტანა სადღაციდან, მსოფლიო ბანკის ხალხმა კი კოხტა ფინჯნები და ლამბაქები გამააგზავნეს საჩუქრადა, თან ცოტა კი არა - ოცდაათი ცალი. კარქა ეეწყო საქმე. ცოტათი გავიმართეთ წელში.

კამეჩაანთკარში უკვე ეკლესიის მშენებლობა თავდებოდა, როცა მარინამ ორი დღით ჩამოსული ღელაღუტაანთ კარლო მიიწვია. ანდრო გოგოჭურიც საგანგებოდ ჩამოვიდა თელავიდან. ჩემთვინ, სწორე გითხრა არ დაუძახნიათ, არც თამარასთვინა. მთელი საღამო და მეორე დღე ბჭობდნენ რაღაცასა. ცოტა ხანში კი ეკლესის მშენებლებმა მარინას ეზოში გადმაინაცვლეს და მუშაობა გაჩაღდა. მეტლახი და კრასკები პირდაპირ თურქეთიდან მოდიოდა, ტრუბები და სანტეხნიკა რუსეთიდან, კარ-ფანჯრები და ვიტრინები გერმანიიდან. ყველაფერი ესა, ცხადია, კარლოს მარიფათი იყო. თავიდან არ მამწონდა ეს ამბავი. ვუთხარი კიდეც მარინას: - "ე ამ ღელაღუტაანთ ნაშიერს რო გედე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეკიდე, ხეირს არაფერს მოგიტანს-მეთქი", - მაგრამ აბა მე როდის რა მითქვამს ჭკვიანური!.. საშემოდგომოდ ე პატარა კაფე და სუპერმარკეტი წამაიჭიმა. გიორგობა დღეს მამა ზაზას ვაკურთხებინეთ. თელავში, გენაცვა, ეხლაც ვერა ნახამ ესრე მოკოხტავებულ კაფე-მაღაზიასა; სხვა სოფლებსა და დაბებზე ხო აღარას ვამბობ.

თითქო ყველაფერი ეეწყო, დალაგდა და დამშვიდდა. მაგრამ, აბა, წუთისოფელი მაასვენებს კაცსა? კურთხევაზე ანიჩკა რო არ ჩამოვიდა, მაშინვე უნდა მეაზრნა, რო რაღაცა ფინთი ამბავი იყო. არ უნდა დეგვეტოვებინა სამეგრელოში ეგრე უპატრონოდ. ბოჩიას დაღუპვის მერე სუ ამას ვიძახდი: - "იქ რაღა უნდა? ჩამავიყვანოთ, ჩვენთან ვაცხოვროთ-მეთქი", - მაგრამ ვინ გამიგონა. "დედაჩემი სახლს არ დასტოვებსო", - ამბობდა მარინა. არ დასტოვა და, ეგე - სასაფლაოც არ ეღირსა ადამიანური, ძაღლივითა მარხია უდაბურ ალაგას. არა, ისე რო ვთქვათ, ადგილი კი ლამაზი შევურჩიე: სამხრეთვრის გზას რო დაადგები, ხელმარცხნით პატრა ბორცვია და ზედ ორი ძელქვა დგა; ქვეითკენ თათრული ხმალივით მოხრილი და მზეზე მოლაპლაპე ალაზანის ტოტი ჩანს, ზეით კიდე - ტყიანი მთა და თეთრი მწვერვალები. თუმცა ამით რა ანიჩკასა?

ე-ეჰ! კარქი, აღარ დავლემ პივას, თორე უკვე გამოვშტერდი, კაცო! თამარა-ა! თამარ! წაიღე, გენაცვა, ე ცარიელი ბოთლები! ისა, რა ქვიან - ტრიაპკაც წამაიღე, გადასწმინდე, თორე ქაფი დემეღვარა... ხო, კარქი, ნუღა მიშლი ძარღვებს! აღარა ვსვამ-მეთქი, ვეღარ გაიგე-ე? ესენიც წასასვლელნი არიან... შენა, შვილო, თაკო გქვია, არა-ა?.. შენა?.. როგორა? ტუკა? ტუკა რა სახელია, ადამიანო? ახ, გია? ხო, გია სხვა საქმეა. თაკო და გია, ესე იგი... რამოდენა ვილაპარაკე, კაცო!

რა მკითხე, ვერ მესმის. ყურთაც დამაკლდა ბოლო ხანებია. სასაფლაოზე რათ არ დავასაფლავეთ? არ მინდა ამაზე ლაპარაკი. ან თქვენ რაში გეინტერესებათ უბედური ანიჩკას ამბავი? მართალია, უცნაურია სასაფლაოს გარეთ ადამიანის დასაფლავება, მაგრამ სხვა გზა არ იყო. არა, არ მინდა... როცა ამაზე ვფიქრობ სულ გულ-მუცელი მემღვრევა. მაინც უნდა ჩასწეროთ? კარქი, თქვენთვინ იცოდეთ, მაგრამ რადიოში კი ნუ გამაცხადებთ, მრცხვენია... როგორ-თუ "რათა"?! აბა, რა გამოსაცხადებელია, ადამიანი იელოველი რო გახდა?! იელოველი გახდა ანიჩკა, აბა!

პირდაპირ გეტყვი, დიდად მორწმუნენი ჩვენ არასდროს არა ვყოფილვართ. ვანა ზოგჯერ პირჯვარს გადაიწერდა ხოლმე, აღდგომაზე კი საკლავსა ჰკლამდა და კვერცხებ ენდროთი აღებვინებდა ქალებს, ეგ იყო და ეგა. იქნება სწორია მამა ზაზა და მართლაც ამის ბრალია ყველაფერი, რაც დეგვემართა. მაგრამ, ეს ოხერი - დროც იგრეთი იყო, რო იშვიათად თუ ვინმე დადიოდა საყდარში. ეკლესიებიც ძირითადად კარაჭედილი და ღამურების ანაბრად მიგდებული იყო. ალავერდობას თუ მაიკითხამდა ხალხი ღვდელსა და სანთელს. მარტო ორმოცდაორში დაუშვეს წირვა-ლოცვა სტალინის ბრძანებითა. ისიც ალბათ უფრო იმიტო, რო გერმანელი უკვე მოსკოვთან იდგა და ხალხი ძრიალ შაშინებული იყო. სალდათები რო აღარა ჰყოფნიდათ, ლაგერებიდან დაიწყეს პატიმრების გაშვება ფრონტზე. მამიჩემის ბოლო წერილიც მაშინ მივიღეთ. "მანამ ეშელონებში დაგვსხამდნენ, ლაგერის უფროსმა გვითხრა, თუ ვინმე მორწმუნეა, შეუძლია ეკლესიაში ეზიაროსო", - გვწერდა ტიტე. გაოცებულა ამდენი ჭირის მნახველი ხალხი. თელ ამოდელა ლაგერში ხუთად-ხუთმა კაცმა გაბედა ზიარება. იქვე, სოფელ პატმაში, პატარა ხის ეკლესიაში მიუყვანიათ გალეშილ მღვდელთან, რომელიც თურმე სკლადშიაც მუშაობდა გამგის მოადგილედა. აბა, რა მადლი უნდა ჰქონოდა იმის ზიარებას?! მაიმუნობაა, მეტი არაფერი! მაშინ ხო ნამდვილი ღვდლები ან გაკრეჭილები, ან დახოცილ-გაციმბირებულები იყვნენ. ტიტე, მე მგონი, უფრო კომუნისტების ჯიბრით წავიდა ეკლესიაში, ვიდრემდინ რწმენითა. თუმცა ვინ იცის, გაჭირვებასა და უიმედობას ღმერთამდინ მიჰყამს ხოლმე კაცი... მაინც, ავად იყო თუ კარგად, მამიჩემმა ზიარება მიიღო და ისრე წავიდა ფრონტზე. ერთი წლის მერე იზვეშჩენია მამიტანა ვალოდა ფოსტალიონმა. "პრაპალ ბეზ ვესტი პოდ სტალინგრადამაო", - ეგრე გვატყობინებდნენ. ანიჩკა სოხუმის გოსპიტალში იყო და გადავწყვიტე არ მიმეწერნა ტიტეს ამბავი, რო ჩამოვა მერეღა ვეტყვი, ეხლა ტყუილა რათ ავუშალო ძარღვები მეთქი. რა მექნა, როგორ გამამეტირებინა მარტოს უიღბლო მამიჩემი? ჩემი ხნის კაციც აღარ იყო კამეჩაანთკარში, ყველანი ფრონტზედ

წაასხეს. ავამსე ვანა პაპას შტოფი, დავჯე და მარტოკინამ დავლიე. ეგ იყო და ეგა...

მამიჩემის პანაშვიდი სუ ეხლახან, ერთი სამი წლის წინ გადაიხადა მამა ზაზამ ჩვენ ეკლესიაში. მე ეგ არც მამაფიქრდებოდა, მაგრამ მარინამ აიჩემა, ჩემმა დიშვილმა. მაშინ ანიჩკა უკვე ჩამოყვანილი გვყამდა კამეჩაანთკარში. კიდე ვიძახი, ბოჩიას დაღუპვის მერე არ უნდა დეგვეტოვებინა მარტო, დროზე უნდა წამოგვეყვანა აქეთ. ის ოხერი სახლიც უნდა გეგვეყიდა წალენჯიხაში, ფული კი მარინასა და ეთერს გეეყოთ შუაზე. არ გამიგონეს და აბა რა გამოვიდა? არც ანიჩკას უნდოდა სახლის გაყიდვა და არც ბოჩიას დას, კლარა პაჭკორიას. ეგ კლარა და მაგისი ქმარი, რამაზა ზგურიდი, ჭკვიანები არიან. როგორც კი აფხაზეთში პირველი თოფი გავარდა, აიბარგნენ, აიკიდეს რისი წაღებაც შაიძლებოდა და მოსკოვში გადავიდნენ. მერე იქ რამაზამ ბერძნების სათვისტომოს მიაკითხა, ჩააწყო კიდეცა და ეხლა ე ბებრები, თავიანთ გაუთხოვარ გოგოსთან ერთად სალონიკებში ცხოვრობენ, პასობიასაც იღებენ მთავრობისაგან, მაა კაცო! მარიფათიანი ხალხია ე ბერძნები!

საწყალი ბოჩია კი მოჰკლეს... ვინა? აბა, რას გაიგებ, გენაცვა?! აფხაზეთში მეორე წელია ომი მიდიოდა. თელ სამეგრელოში ძარცვა და ყაჩაღობა იყო, როგორც დანარჩენ საქართველოში, მაგრამ იქ მაინც მომეტებულად. სახლებში უცვინდებოდნენ ხალხსა. აღარც სახსარი იყო, აღარც სანოვაგე. კიდე შვილები ეხმარებოდნენ ბებერ ცოლ-ქმარს - ხან ფქვილს გაუგზავნიდნენ, ხან შაქარს, ხანაც ორ კაპიკს, თუკი რასმე იშოვნიდნენ შემთხვევითა. ბოჩიამ და მაგისმა ორმა მეზობელმა, ყარამან წოწორიამ და ანზორა კაუემიაკინმა ერთი რაღაცა პატარა, დანჯღრეული ტრაქტოლი გადაინარჩუნეს კომუნისტების დროიდან. მალვით ინახამდნენ, რო ვინმეს არ წეერთმია. თითონ გამართეს, გაარემონტეს და შეღებეს ახლიდანა. ოქროს ხელი ჰქონდა ბოჩიას. მაგისი გაუკეთებელი არაფერი იყო წყლის მატორებიდან დაწყებული, საათით გათავებული. მაგ ტრაქტოლის მეოხებით ტყიდან დიდრონი მორები გამოჰქონდათ ბერიკაცებს, სჭრიდნენ და ეგრე თბებოდა ნახევარი უბანი.

იმ დღესაც მილიციის ბეტეერშიკისათვინ ჭაჭა გეეცვალათ ხუთ ლიტრა სალიარკაში, რო ტყეში წასულიყვნენ შეშის ჩამოსატანად. ორნახად ჭაჭაზე უარს ვინ ეტყოდათ?! ე ბეტეერი მაინც უქმად ეგდო მილიციის ეზოში. თითონ მილიციები კი შიშით ცხვირსაც ვერა ჰყოფდნენ გარეთ, დღედაღამ შენობაში ისხდნენ და ლოთობდნენ. მარტო იმასა ფიქრობდნენ, როგორ დეეცვათ თავი თუკი ყაჩაღები დეეცემოდნენ.

მოკლედ, ბოჩია და მაგისი მეზობლები წასულან ტყეში, დიდი თელა მაუჭრიათ, ჩაუბამთ ტროსითა და ის იყო უკან უნდა გამობრუნებულიყვნენ, რო ტრაქტოლი ველარ დაუქოქამთ. როგორც მერე სთქვეს, სალიარკა გამოდგა უვარგისი და რაღაცა შლანგი თუ ნასოსი გასჭედა. მინამ დაშალეს და გასწმინდეს, რაც გასაწმენდი იყო, შაბინდდა კიდეც. ამ დროს კი რა ხდება - გაგანია ომია აფხაზეთში, კაცო! ფინთათ არი საქმე, გამსახურდიას ხალხსა კიდე გზები შაუკრამთ, არავის ატარებენ სამეგრელოზე, რო ჩავიდნენ და ჩვენებს დეეხმარონ. ჩემზე კარქა იცით, როგორც იყო ეგ ამბავი... წინა დღეებში კიდე ვიღაცა დიდი კაცი ჩასულა თბილისიდან წალენჯიხაში იქაურებთან სალაპარაკოდ, იმათ კი აუღიათ და გაუტაცნიათ. ეხლა აქედან მხედრიონი მაადგა წალენჯიხას. ესენი აქეთა დგანან, ისინი - იქით, შუაში კი ახოებია. ტყიდან გამამავალი საურმე გზაც ზედ ამ ახოებზე არ გადი-ის?! მხედრიონები ჯერ უცდიან, იქნება ჯონზე მოვიდნენ ე მამაცხონებულები, ი კაცი მაინც გამოუშვან რო ყველაფერი უსისხლოდ დამთავრდეს. ამ ყოფაში არიან და არავინ იცის როდის გავარდება. მაგრამ ეგ ამბები, აბა, რა იციან შეშაზე წასულებმა?! რაღა ბევრი გავაგრძელო და, ტყიდან მოულოდნელად გამოთრახთრახებულ მორებჩაბმულ ტრაქტოლს ორთავე მხრიდან დაუწყეს სროლა პულიმიოტებიდან და ავტომატებიდან. როგორცა სჩანს, იფიქრეს - გზასა ხერგამენო. ანზორა და ბოჩია ადგილზე მოკვდნენ, ყარამან წოწორიას კი სამი ოპერაცია გაუკეთეს, ერთი მარტვილში, ორი კი ქუთაისში. თითქო გადაარჩინეს, ფეხზედაც წამააყენეს, მაგრამ ბოლოს მაინც გადაჰყვა ბერიკაცი ამოდონა ჭრილობებსა და ნარკოზებს.

ბოჩიას ორმოცმა ნელა და ტაატით გაიარა, გაუსაძლისად. ანიჩკა სუმთლად მაიკუნტა, გახმა, ერთბაშად დაჰკარგა ცხოვრების ხალისი. ადრეც თავისნათქვამი იყო, ეხლა ხო სუმთლად ვირზე შაჯდა: - "რა გინდათ? ყველას თქვენ-თქვენი ცხოვრება გა-აქვთ, მე თავი დამანებეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩემი ქმრის სახლში მინდა დარჩენაო.“ დარჩა ეგრე მარტო ჩემი და. ღორსა და ქათმებს უვლიდა, ქსომდა და კიდე, საღამოობით მიუჯდებოდა ხოლმე როიალსა და ჯერ კიდე თელავში, ელიჩკა ვახვაშიშვილის სახლში ნასწავლ რამე-რუმეებს უკრამდა. სიმღერით კი, აღარ უმღერია. ბოჩიას დაღუპვის მერე მაგისი კრიალა ხმა აღარავის გაუგონია. სიმღერა კი არა და, ლაპარაკითაც თითქმის არა ლაპარაკობდა.

ამასობაში, სოხუმი დეეცა. უსახსროდ და ბოგანოდ დარჩენილი ხალხი მააწყდა სამეგრელოს. შაიფარეს მეგრელებმა, რაც კი შეეძლოთ. ანიჩკასთან რამაზა ზგურიდის დეიდაშვილები მისულან ღამის გასათევად... ლობჟანიძეები, ალინა და თინა. ალინა სუბტროპიკული ინსტიტუტის ბუღალტერი იყო თავის დროზე, თინა კი სკოლაში ინგლისურს ასწავლიდა. სოხუმიდან ძლივს გამეესწროთ. საშინელ ამბებსა ჰყვებოდნენ. თავიანთი თვალით ენახათ, ცოცხლად როგორა მარხამდნენ ჩვენ უიარაღო ჯარისკაცებს. კიდე კარგი, სამოცდაათს მიტანებულ შინაბერა დებს მარტო გაძარცვა აკმარეს, ჯიში და ჯილაგი შააგინეს და ეგრე გადმოუშვეს ენგურის ხიდზედ. საცოდავებს ბაშმაკები დახეოდათ ამხელა გზაზე, გაყინული ფეხებიდან სისხლი სდიოდათ. ერთი ღამით მოსულები, თავისთან საცხოვრებლად დაიტოვა ანიჩკამ, მა რას იზამდა?! ჩვენც გვიხაროდა, რო სუ ეგრე თაგვივით მარტო აღარ იქნებოდა ამ ხნის დედაბერი.

ცოტა ხანში ეგ ალინა და თინა მიდგნენ, მოდგნენ, ლტოლვილის კნიჟკები გაიკეთეს და სანოვაგის მოტანა დაწყეს: ეს მაკარონი და ზეთიო, ეს შაქარი და ფქვილიო. თან ცოტა კი არა, ბლომ-მბლომათა, კაცო! თავიდან თითონ მოჰქონდათ ზუგდიდან, მერე კი მოტანითაც აღარ ინუხებდნენ თავსა - ვიღაცაეები უზიდამდნენ მანქნითა. ანიჩკას სახლში უცხო ხალხმა დაიწყო სიარული. “უწყინარი იერისანი იყვნენო“, - მე ასე მითხრა. ხოდა ნელ-ნელა გაუშინაურდნენ კიდეცა. სმით ეგენი არა სვამენ, ამიტომაც ხან ჩაიზე მოვიდოდნენ, ხან დილის საუზმეზე. თან რაღაცა წიგნები მოჰქონდათ ფერად-ფერადი, გაზეთები სხვა ასეთი. რაღაცეებს უკითხამდნენ, ელაპარაკებოდნენ ანიჩკასა. ჩვენაო, მამა ღმერთის - იეღოვას მოწმეები ვაართო. როცა სხვადასხვა ხალხების ღმერთებს ასამართლებდნენ - იქ მოწმედ დავუდექით ჩვენ ღმერთსაო. მაა, კაცო!.. რა-ა შვილო? რავი, ერთი, წესივრად არც მახსომს. მგონი ეგ მსოფლიო სასამართლო ბიბლიაშია აღწერილი. მაშინ იეღოვა წინ გამოსულა და უთქვამს: “ხალხო, თქვენა ხაართ ჩემი მოწმეები... მე აგირჩიეთ მოწმეებად, რო მცნობდეთ და გჯეროდეთ ჩემიო!“ ეგ ანიჩკამ მითხრა სიკვილამდე ერთი-ორი დღით ადრე. იმ ხანად ბევრი გაიეღოველდა სამეგრელოში, ზოგი სიბრიყვით, უფრო მეტი კი გაჭირვებითა. რას იზამ, შვილო, სული ტკბილია და როცა სხვა სახსარი და მამხედავი არა ჩანს, იეღოვასაც დაუდგები მოწმედ. ზოგიერთები, გენაცვა, იეღოვას კი არა, პროკურატურასა და გამომძიებლებს უდგებიან ცრუ მოწმეებად და ვითომ არაფერი. ეგეთი ამბავი იყო სამეგრელოში და სხვაგანაც... თელ საქართველოში.

მერე ხმა გამოვარდა, იქაურმა მიტროპოლიტმა იეღოვლები შააჩვენაო. ამას კიდე ისიც დეემატა, რო საქონელს ჯილეხი დეერია. გაწყდა ხარ-ძროხა, სარჩო-საბადებელი მეესპო ისედაც გაღატაკებულ ოჯახებს. “იეღოვლების ბრალი იქნებაო“, - იძახდნენ ვიღაც ვიღაცეები, - “ჯერ ხალხს შიმშილით წელში

23711

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

გასწყვეტენ, რო მერე თავიანთი ნაჩუქარი ფქვილ-ზეთებით თავის რჯულზე ადვილად მაქციონო". მარტვილში ვიღაცა ილარიონ ფიჩორი გამოჩნდა, თავის დროზე ეკლესიიდან ქურდობისათვის გაგდებული, ორჯერ საგიუეში ნაჯდომი. ხალხი შამიკრიბა - სამეგრელო იეღოვლებისაგან უნდა გავწმინდოო, გამააცხადა. მალე იმდენნი შაიქნენ, რო მაგითი შიშით ვერც მიტროპოლიტი და ვერც მილიცია ვერაფერს ამბობდა. მერე, თურმე ფოთში მიუვარდნენ იეღოვას მოწმეებს, სკლადები გაუტეხეს, წიგნები დაუწვეს, ხალხისთვის დასარიგებელი ფქვილის მეშოკები დაფატრეს და პალიასტომში ჩაჰყარეს, შაქარს კი წყალი მიუშვეს შლანგებითა. მაა, კაცო! ხალხს აშინებდნენ, სახლებში უცვივდებოდნენ, აწიოკებდნენ. ჩემი დისთვისაც შემეეთვალა იმ ფიჩორს - "ჭკუაზე მოდი და ჩამოშორდი იეღოვლებს, თორე შენც მოგწვდებითო". აბა, მაგის თქმა იქნებოდა ანიჩკასათვის? უფრო გაკერპდა. უთქვამს: "ილარიონ ფიჩორი ვინ ოხერია, რო მე, ბოჩია პაჭკორიას ქვრივს, ჭკუას მასწავლის და მემუქრებაო?!" მეზობლებმა ალმაცერად დაუწყეს ყურება ანიჩკას. გაიყო და აირია ხალხი. ზოგნი ალინასა და თინას გაგდებას ურჩემდნენ, ზოგნი ჩუმ-ჩუმად მაგითებურ შეკრებებზე დადიოდნენ, ზოგიც გაიყურსა და დეელოდა რა მოხდებოდა.

რო იცოდეთ, ბოჩიას სახლს კარგა დიდი, ჩრდილიანი ეზო აკრამს. შუაში ძველი კაკლი ხე უდგათ, მოშორებით - ბლები და ხურმა. ირგვლივ ბალახი ბიბინებს. ნეხვსა და ლაფს ვერსადა ნახამ, ჩვენგან განსხვავებითა. ხოდა, იქ უთხოვიათ იეღოვლებს თავიანთი ყრილობისა თუ რაღაცა ოხრობის გამართვა. ვერ უთხრა უარი ანიჩკამ. სხვა დროს იქნება უარიც ეთქვა, მაგრამ მე ხო კარქა ვიცნობ ჩემ დასა! უთუოდ იმ ოხრის, ილარიონ ფიჩორის ჯიბრით დასთანხმდა. ხალხს იმას როგორ ათქმევინებდა - მუქარის შაეშინდაო! ხოდა, წინდღით გრუზავიკები მაადგა ანიჩკას ჭიშკარს. გრძელი მერხები გადმაიღეს, დაალაგეს, ტენტი გადასჭიმეს, თავიანთი ფერად-ფერადი წიგნები, ჟურნალები და ფანქრები მოზიდეს, ე ამნაირი ჩიფსები და კოკა-კოლები დააწყვეს იაშიკებითა. ეგრე იყო ეგ ამბავი, კვირა დილით კი თუ ვინმე იეღოველი ჭაჭანებდა სამეგრელოში - სუყველა პაჩკორიების ფუძეს მააწყდა. მოდიოდნენ მანქნებითა და მარშრუტკებითა, ავტობუსებითა და მატაციკლეტებითა, ტაჩკითა და ფეხითა. ვიღაცა ინგლისელი ქალი და ორი ფინელი კაცი ჩამოჰყვათ თავიანთი თარჯიმნებიანათ.

გაიმსო თელი ეზო იეღოვლებით, ტევა აღარ არის. დები ლობჟანიძეები ეზოს შესასვლელში დგანან და უცნობ-ნაცნობს ესალმებიან. მოსულები კი დინჯად ირჯებიან, ნელა შემოდიან ჭიშკარში და წყნარადა სხდებიან მერხებზედ. სუყველანი, ქალიან-კაციანად ერთი დედის გაჩენილებივით ჩლუნგად იღიმებიან და თვალებს დაბლა ხრიან, თითქო იმის თქმა უნდათ - ხო ხედამთ, რა მორჩილი და სათნო ხალხი ვაართო. ჯერ კიდე ახალი დაწყებული იყო მაგითებური ლოცვაა, თუ რაღაც ოხერი, რო მეზობლის გოგო შემოვარდნილა ეზოში, ანიჩკასთან მიურბენია და უთქვამს: -"წალენჯიხაში ილარიონ ფიჩორი გამოჩნდა დიდძალი ხალხითა და ეხლა შენკენ მოდიანო." რა უნდა ექნა ანიჩკასა? ამოდოლა სტუმრებს ხო ვერ გაყრიდა? ცოტა ხანში მართლაც ზარების ხმა და რაღაცა გუგუნი მეესმათ. მერე ყოველის მხიდან ეზოსკენ მომავალი უშველებელი ბრბო დაინახეს. ზოგს კეტები და არმატურები უჭირამს ხელში, ზოგს კი ადლიანი ჯვრები. წინ გიჟი ფიჩორი მოუძღვით და კიდე სამი ახმახი მნათე, ზარებით ხელში. მოდიან, მაალაჯდებენ, თან ზარებს არისხებენ, თითქო მოსიარულე სამრეკლოები ყოფილიყვნენ. იმ ინგლისელ ქალს ალბათ, შიშისაგან ხმა ჩაუწყდა. ვერც ალინა და თინა იქნებოდნენ ყოჩაღად. ისევ ანიჩკამ იმარჯვა - გარეთ გავიდა და ჭიშკრის წინ დადგა გულზე ხელებდაკრეფილი. კუშტად მომზირალი შავოსანი დედაბრის დანახვაზე ბრბო შეჩერდა ძალაუნებურადა. ერთხანს ი ფიჩორიც კი შემცბარა. ანიჩკას უთქვამს: -"ვინა ხართ და რა გინდათ? თუ სასიკეთოდ მოსულხართ, თქვენც ამეებივით სტუმრად მიგიღებთ, თუ არა და ნუ აშინებთ ხალხს, წყნარად უთხარით თქვენი სათქმელი და გაბრუნდითო." ამის გაგონებაზე ისევ აიჯაგრა, აყვირდა ბრბო. ანიჩკამ ხელი აიქნია და ხმას აუწია: -"მე ბოჩია პაჩკორიას ქვრივი ვარ, თელი სამეგრელო ჩემ ოჯახს პატივსა სცემს და მოდი, ცუდ საქმეს ნუ იზამთ, უბედურებას ნუ დაატრიალებთ, თორე არც ღმერთი და არც ხალხი ამას არ გაპატიებთო!" აქ კი გონს მეეგო ფიჩორი, საზარელის ხმით დასჭყივლა: - "რას უსმენთ მაგ სატანის მოციქულს, დასცხეთ

ზარებსაო!“ მნათეებმაც შემოჰკრეს ზარებს რაც ძალა და ღონე ჰქონდათ. ორმა კაცმა ანიჩკა გვერდზე მოისროლა და გამხეცებული ბრბო ყიჟინითა და ღრიალით შეიჭრა ეზოში. განურჩევლად სცემდნენ დიდსა და პატარას, ამტვრემდნენ ყველაფერს, რაც გზადა ხვდებოდათ. უცხოელებს გადაფარებულ ალინას მნათემ იდაყვი სთხლიშა ცხვირ-პირში და კაკლის ხეს მიანაცხა, დაბლა დაცემულ თინას კი გააევებული ქალები თმებით დაათრემდნენ. ამ დავიდარაბაში ტენტი ჩამოწვა და ზედ დეეფინა ერთად შეჯგუფულ იეღოვლებსა. ტენტქვეშ მოყოლილ შაშინებულ ხალხს სუყველა მხრიდან მიესივნენ და გამეტებით ურტყამდნენ კეტებსა და არმატურებს. დასისხლიანებულთა კივილი და კვნესა ცასა სწვდებოდა. ამასობაში მნათეებმა შუა ეზოში კოცონი გააჩაღეს და ზედა სწვამდნენ წინდღით მოტანილ მერხებსა და დაფებს, იეღოვურ წიგნებსა და ჟურნალებს. მერე ანიჩკას აივანზეც ავარდნენ, შაგლიჯეს კარებები და ოთახებში შაცვივდნენ. ოთხი კაცი წიგნის კარადას დეეჯაჯგურა, საცა ბოჩიას ნაგროვები წიგნები ინახებოდა. ჭიანჭველებივით წეესივნენ, გამაათრიეს ეს შკაფი ბალკომში, ასწიეს და ზათქით გადაუძახეს ეზოში. შუაზე გამსკდარი კარადიდან გადმოცვენილ წიგნებს პირდაპირ კოცონში უძახებდნენ. ვინღა იყო იეღოვურისა და ქრისტიანულის გამრჩევი. როდის-როდის მილიციაც მოვიდა, უფრო უცხოელების გამოსაყვანად. ე უცხოელები რო არა, ვინ იცის, სულაც არ მოსულიყვნენ.

ჩვენა, გენაცვა, ეგ ამბები მერე გავიგეთ - ეთერმა შაატყობინა მარინასა. წალენჯიხის მილიციის უფროსს, ბორია ცეკვავას რაციით დეერეკნა ეთერის ქმრისთვინ:

- “კაკო, მანამ ბოჩიას სახლ-კარი სულ გადაუბუგამთ, შენი იეღოველი სიდედრი დროებით გაარიდე აქურობას. ხალხი ძალიან გამხეცებულია. მე, ძმაო, ჩემი ძალებით მაგას ვერ დავიცამ და უბედურება რამე არ დატრიალდესო“. კაკო გელაშვილს თავისი ცოლი და მოადგილე მილიციის მანქნით გაუშვია წალენჯიხაში ანიჩკას ჩამოსაყვანად. იმათაც ჯერ ცეკვავასთან გაუვლიათ, განყოფილობაში.

ბორიასგან გაიგეს, რო დარბევის დღეს მეზობლის ბიჭებს გადაურჩენიათ ანიჩკა, ჩუმად გაურიდებით გაავებული ბრბოსთვის და ფერმაში გადაუმალავთ. უცხოელები ჰაერში სროლითა და დავიდარაბით გამოუყვანია მილიციას. იმათ კი ალინასა და თინას წამოყვანაც მოუთხოვიათ ბორიასთვინა. “ჩვენ აქ ვერ დავტოვებთ ჩვენს დებს! ეხლავე გამოიყვანეთ და გაგვატანეთ, თორე თელი უცხოეთის გაზეთებსა და ტელევიზორებს მოვდებთ ქართველების მხეცობისა და მილიციის უვარგისობის ამბავსაო!“ რას იზამდა ბორია ცეკვავა, რის ვაივაგლახით ჩაუსვამს მანქანაში თავპირდასიებული და ტანსაცმელშემოგლეჯილი ლობჟანიძის ქალები. მერე იმ უცხოელებმა თბილისში თინას ინგლისური განცხადება დააწერინეს, საქართველოდან წასვლა მაათხოვინეს და ეხლა ეგენი, გენაცვა, მგონი ფინეთში არიან, იეღოვლების მთავარ ბუდეში, მა-ა კაცო!

ბორიასთან ლაპარაკის მერე ხაშურლები ბოჩიას გაპარტახებულ კარ-მიდამოში მისულან. სახლს აღარც ღობე შარჩენოდა და აღაც ბალკომის მოაჯირები. ეთერმა ვერაფრით ვერ დაითანხმა დედმისი ხაშურში წასვლაზე. არ მისდევდა ჩემი და, ჯიუტობდა. ეგ ჯიუტობაც გვარში გვააქ, კაცო, ცხონებული ვანას პაპიდან მოგვდემს. ბოლოს, როგორც იყო, ბორიამა და კაკო გელაშვილის მოადგილემ იძალეს, ერთ ჩემადანში ჩაალაგებინეს რამე-რუმეები და მაინც გამაამგზავრეს წალენჯიხიდანა. ასე დასახლდა ანიჩკა ეთერთან და კაკო გელაშვილთან.

ეგ ამბები რო გავიგე, მინდოდა ხაშურში წავსულიყავ, ჩემი და მენახა. მაგრამ მარინამ არა ქნა: - “არ გინდა, ბიძაჩემო, ხო იცი, ეგ კაკო ცოტა ურჯუკი კაცია, ამოდელა დელეგაციით ნუ ჩავადგებით, ემანდ ნერვები არ ეეშალოს. ჯერ მე ჩავალ, ვნახამ რა ხდება და მერე, უფრო მოგვიანებით, შენ და თამარაც ესტუმრეთო.“ როცა სამი დღის მერე დაბრუნდა ხაშურიდან, პირდაპირ მამა ზაზასთან მივიდა. რაღაცა ითათბირეს. მე მარტო ის მითხრეს, რო ჩვენ ოჯახს დიდი ცოდვა აწემს, ეხლა უნდა მარხვა შავინახოთ და ვილოცოთ ანიჩკას სულის გადარჩენისათვის, იქნება შაუნდოს ღმერთმა და აპატიოს ჭეშმარიტი რჯულიდან გადაცდენაო. სამ კვირას ვმარხულობდით. მერე მარინა და თამარა აღსარებაზე მივიდნენ ეკლესიაში და ზიარებაც მიიღეს მამა ზაზასაგან. მე კი ვერ შავძელ მისვლა, თირკმლის ტკივილმა შამაწუხა. მაშინვე გადაწყდა, წესი აგვეგო მამიჩემისათვის. არ ვიცი რას არგებდა ტიტიკოს სულს ეგრე დაგვიანებული პანაშვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, მაგრამ წესი წესია და რაკი ჩვენი ოჯახი ეკლესიურ ცხოვრებას შაუდგა, მამა ზაზას დანაბარები უნდა აგვესრულებინა. სწორე რო გითხრათ, მე უფრო ჩემი დისთვინა ვცდილობდი, თორე ამ წესებისა ბევრი არაფერი გემეგება. დღეც დანიშნა მარინამ - აპრილის ბოლო შაბათი. მეზობელ-ახლობს შავატყობინეთ და მზადება დავიწყეთ პანაშვიდისა და პატარა სუფრისათვის. დათქმულ დრომდინ ხუთიოდე დღე-ღა რჩებოდა, რო ხაშურიდან ეთერმა დარეკა და სასწრაფოდ გამაიძახა მარინა: - "მე დედაჩემს ველარ ვერევი, სუმთლად გაუგიჟებიათ იელოვლებსა. ჩამო, დემეხმარე რამე, თორე ემერია ე დალაგებული ოჯახიო!" აბა, ავღელდით სუყველანი, ავფორრიაქდით. მარინამ ანდრო გოგოჭურსა სთხოვა, თავის მაზლს: - "დედა მეღუბება, მიშველე, იქნება მანქინთ წამიყვანო, რადგან, ვინ იცის, აქეთ წამოსაყვანი გამიხდესო". ოქროს გული აქვს ანდროსა, უარს როგორ ეტყოდა, გაჰყვა. მე და თამარა კი დავრჩით ამ სუპერმარკეტისა და კაფეს საპატრონოდ. ვღელამ, კაცო, არ ვიცი რა წყალს მივცე თავი. თან იმასა ვფიქრობ - ნეტა ისეთი რა უნდა დეეშავებინა ამ ჩემ უბედურ დასა, რო ღვიძლ შვილს ვერღა აუტანია მაგისი თავი? მერე-ღა გავიგე რაც მამხდარა ხაშურში. მარინამ მითხრა ატირებულმა, როცა დაბრუნდნენ.

დაბრუნებით კი მეორე დღესვე დაბრუნდნენ და ანიჩკაც ჩამაიყვანეს. ანდროს მანქნიდან მე და თამარამ გადმოვიყვანეთ დაჩიავებული და ხელშეხვეული ჩემი და. უცნაურად მიყურებდა, ცხონებული - არც სიხარული ეწერა სახეზედ და არც მწუხარება. - "რა არი, ანიჩკა, გენაცვალე, რა ამბავია, მითხარი როგორა ხარ-მეთქი." იმან კი მიპასუხა - "კარგადაო". ნელა მიტრიალდა და წავიდა მარინას სახლისაკენ.

ეგ კაკო გელაშვილი, ეთერის ქმარი, როგორც გითხარით, ხაშურის მილიციის უფროსი იყო. იქნება დღესაც მილიციის უფროსია, მაგრამ მე მაგისი აღარაფერი ვიცი. კარქა მოგეხსენებათ, ეკლესიის ამშენებელ კაცს, როგორი წელგამართული ოჯახი ექნება. მაგის სახლს, გენაცვა, დაცინკული ეუშტის სახურავი ადგას, ბოლოში კრემლითა და აქეთ-იქიდან მომდგარი ეუშტისავე ირმებით. სოფლის ორლობესავით ფართო ბალკონები და კიბეები სუ ერთთავად ვაზით არის შაბურული. ახლა მარანი, პადვლები და სანოვაგით სამსე საკუჭნაოები!

კაკო მილიციის უფროსი რო არ ყოფილიყო, არაფრით არ შამაიყვანდა თავის ოჯახში იელოველ სიდედრს. მაგრამ ბორია ცეკვავასგან შეფუცხუნებულმა, იფიქრა საქმის გართულებასა და აურზაურს, ჯობია ანიჩკა წალენჯიხას გამოვარიდო და აქ, ჩემ კანტროლქვეშ ვაცხოვროო. კანტროლი კი, იცოცხლე, არ უჭირდა. მეორე სართულის ერთ ყველაზე პატარა ოთახში გაამწესა დედაბერი. იქ საწოლი, გარდირობი და პიანინო იდგა. საერთოდ, როგორცა ვხვდები, ეგ პიანინო ზალაში უნდა ყოფილიყო, მაგრამ სწორედ მაშინ იქ პოლი ეეყარათ და პარკეტს აგებდნენ. ამიტომაც, სერვანტები დერეფანში მოხვდა, დივნები და კრესლოები მარანში, პიანინო კი ანიჩკას ოთახში. დღეში სამჯერ ქვევით, სამზარეულოში უშლიდნენ მაგიდას. სახლის უკან, ბოსტანშიც შაეძლო გავლა, მაგრამ წინა ეზოში, მეტადრე კი ჭიშკრის იქით, ორლობეში ფეხი არ უნდა გეედგა. თუკი ვინმე იყო მოსული, ანიჩკა თავის ოთახში ადიოდა და იჯდა მინამ სტუმარი არ წავიდოდა. წიგნებიცა ჰქონიათ გელაშვილებს, მაგრამ წიგნების შკაფი გასაღებით ჩეეკეტნათ. მარტო სახარება იდო გარეთ. "იკითხოს, იფიქროს და შეინანოსო,"- უბრძანებია კაკოსა. "რეცხვაში და საჭმლის მომზადებაში მაინც მომიხმარეო", - ეთერისთვის უთქვამს ჩემ დას, მაგრამ უარი მიუღია - "იელოველის გაკეთებულ კერძს კაკო არც თითონ შეჭამს და არც ბალღებს აჭმევსო." რა ექნა მარტოობითა და უსაქმობით გაბეზრებულ ქალსა? მიუჯდებოდა პიანინოსა და უკრამდა. რა იყო მაგისი დაკვრა? ძირითად ის, რაც ელიჩკა ვახვახიშვილისაგან ახსომდა და კიდე თავისით აწყობილი მუსიკები. კარქი სმენა ჰქონდა. თუკი რადიოში ყურს მოჰკრამდა რამე სიმღერას, იმ საათში როიალზე შეეძლო დეეკრა. ყოველ დღე გელაშვილიანთ ფანჯრებიდან მუსიკა ისმოდა. კაკო ცოლს ეჯაჯღანებდა: - "გააჩერე, ნუ უკრამს ე მამაცხონებული, თორე უკვე თელი მეზობლები მეკითხებიან, ვინ მუზიკანტი გყამთ სახლშიო". ეთერი იძახდა: - "კარქი, დაუკრას, მაგასაც ხო მართლმადიდებლობა არა კრძალამს?! გულს გადააყოლებს და იელოვლებსაც დაივიწყებსო."

ბავშვებს ძრიალ მოსწონებიათ ანიჩკას მუზიკანტობა, განსაკუთრებით პატარა ბიჭს, გელასა. უფროსები, მარიამი და ქეთევანი, მამის შიშით მაინც ერიდებოდნენ იელოველ ბაბოს, ბიჭი კი წამდაუწუმ მაგის ოთახში შერბოდა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხან დაკვრასა სთხოვდა, ხან რიღაცის დახატვას, ხან ქაღალდის სალდათების გამოჭრას. ეთერი უწყრებოდა, უშლიდა, მაგრამ ბიჭი, როგორც კი დროს იხელთებდა, დედ-მამის უჩუმრად მაინც ბაბოს ოთახს მიაშურებდა ხოლმე. ბოლოს მით გათამდა ყველაფერი, რო მაგრა სცემა კაკომა, ანიჩკას კი ბალღებთან დალაპარაკება აუკრძალა. სუ უმადური ღორი უძახნია ჩემი დისათვის! თურმე ეთერსაც კარგა მაგრა ეჩხუბა, ლანძღა და ეღრიალა: "ეგ გათახსირებული დედაშენი აქ იმისთვინ კი არ ჩამამიყვანია, შვილები რო მამიწამლოს და იეღოვურად მაუღრიცოს ტვინებიო!" ახლა ეთერი დასტაკებია ანიჩკას: - "რა გინდა, რათ მინგრევ ოჯახს? დაანებე თავი ჩემ შვილებსაო! დედოფალივით გაცხოვრებ, საქმეს მე შენ არ გაკეთებინებ, საჭმელ-სასმელს არ გაკლებ და ეგრე უნდა გადამიხადო სამაგიეროო?!" ეგ ჩხუბი სამზარეულოში მამხდარა. ჩემი და ჩაის დასალევად ყოფილა დაბლა ჩამოსული. გაოგნებული უყურებდა გაწიწმატებულ შვილსა და სიძეს, თავს იმართლებდა რაც შაეძლო, ტიროდა და ასავსავებდა ხელებს. ხოდა, ამ დროს, შემთხვევით ჩაის ჭიქა წაქცევია და ახლად დასხმული ქაფქაფა ჩაი სტოლზე დასხმია. "შეხედე ამ უნამუსო დედაკაცს, ჩემი დაწვა მაინდომა, ლამის სახეში შემასხა ჩაიო," - უყვირია კაკოს, - "გეეთრიე შენ ოთახში და აღარც შენი ხმა გავიგო და არც შენი დაკვრაო". ამაოდ უსხნიდა ანიჩკა, რო ბოროტი ზრახვა არა ჰქონდა და ჭიქა უნებურად წეექცა. გაავებული კაკო და ეთერი ლანძღამდნენ და სთათხამდნენ. თანაც, გენაცვა, ეგ ამბავი კაკოს ყვირილზე შემოცვენილი შაშინებული ბავშვების თვალწინა ხდებოდა, თურმე. რამდენი უნდა ეთმინა ჩემ დასა? ჩვენმა ჯიშმა იფეთქა ბოლოს და ბოლოს - ნამაიმართა გამხმარი დედაკაცი, არაფერი სთქვა, კიდე ბალღებ მეერიდა, მაგრამ უცნაურად, მძიმედ გახედა დუუმორეულ ცოლ-ქმარს, მარტო მაგან რო იცოდა გამოხედვა ისე. მერე უხმოდ ჩაუარა სიძესა და ქალიშვილს, თითქო მყეფარა ძაღლები იყვნენ და მაღლა ავიდა თავის ოთახში. ცოტა ხანში კი იქიდან თურმე პიანინოს ხმა მოისმა. ვინ იცის რას უკრამდა ანიჩკა, ან რამდენ ხანს უკრამდა, ერთი კი ცხადია, ეგ დაკვრა თავზე ნეხვის დადება იყო მასპინძლისათვინ. გაცოფებული ავარდა ზეით კაკო გელაშვილი, შაგლიჯა ოთახის კარი, მაგრამ ანიჩკას კი წარბიც არ შეუხრია, ისე გაუგრძელებია დაკვრა, გენგონება აქ არაფერიაო. "გაჩუმდი შე ბებერო ძაღლოო!" - იყვირა კაკომ, მივარდა და პიანინოს სახურავს ბრახვანი გაადენინა. მარცხენა ხელის გაწევა კი მაასწრო ანიჩკამა, მაგრამ მარჯვენა შიგ მოჰყვა და გამეტებით დაბრეხვებულმა სახურავმა თითები გადაუმტვრია, საჩვენებელი და შუა. ტკივილისაგან გულწასული, ხაშურის საავადმყოფოში მიუყვანიათ. ეგ იყო, რო ეთერმა მარინას დაურეკა და სასწრაფოდ გამაიძახა... ეგრე დაბრუნდა ჩემი და კამეჩაანთკარში.

მე ვიძახდი, ჩვენსა დავასახლოთ, მამა-პაპის სახლში მეთქი, მაგრამ მარინამ არა ჰქნა: - "ჩემთან იყოს, მე უფრო მოვუვლიო". მართლა მოუარა, მელაანელი ექიმბაშისაგან მალამო წამოიღო, მოტეხილ თითებზე უსვამდა, საფენებს ადებდა, არაფერს ეუბნებოდა აუგად, ცდილობდა როგორმე დეევინყებინა დედისათვის ფინთი ამბები. მაგრამ მე ხო ვამჩნემდი - ანიჩკა ამ ქვეყნისა აღარ იყო. თითო-ოროლა სიტყვა თუ დასცდებოდა, უფრო კი გაყუჩებული ივჯდა ბაღში და დათოვლილ კავკასიონს გასცქერდა.

ამასობაში ტიტიკოს პანაშვიდიც მოახლოვდა. დავსხედით კაფეში მე, თამარა და მარინა და ბჭობა გავმართეთ. მე პანაშვიდის გადატანას ვურჩევდი ჩემ დიშვილს. "რა გვეჩქარება, ანიჩკა მოვაღონიეროთ, ხელი მოუშუშდეს, ცოტათი გონს მოვიდეს და მერე გავმართოთ წვეულება მეთქი". მარინაც თითქო ამ აზრზე იდგა, მაგრამ მაინც მამა ზაზასთან გადასწყვიტა მისვლა ჭკუის საკითხავადა. მართლაც მივიდა, არ დაუმალა ჩვენი ოჯახის ამბავი და პანაშვიდის გადატანის ირგვლივ ჩამაუგდო სიტყვა. მე როგორც მივხვდი, მარინას მოძღვარს დიდად არ ეპიტნავა იეღოველი დედაკაცის კამეჩაანთკარში ჩამოსვლა. აუცილებლად უნდა მოინანიოსო, უთქვამს. არ არი ცუდი ყმაწვილი მამა ზაზა, აუგს ვერ ვიტყვი. თუმცა, ერთი კია - დილას რო ელაპარაკა მარინა, საღამოთი უკვე თელი კამეჩაანთკარის მრევლმა იცოდა ანიჩკას ამბავი. ტიტიკოს პანაშვიდის გადატანას რაც შეეხება ასე უბრძანებია: - "ნება თქვენია, მაგრამ მიზეზს ვერა ვხედამ, რათ უნდა გადაიტანოთო?" ხოდა, რაკი ეგრე სთქვა, ჩვენც გადავწყვიტეთ დათქმული დრო აღარ შეგვეცვალა, მაინც უკვე ხარჯი გვქონდა გაწეული და ხალხი დაპატიჟებული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბედი არ გინდა, კაცო, მანცდამაინც შაბათ დღეს წამოვიდა ღრუბელი სამხრეთიდან, ცა მაიქუფრა და საავდროდ გეემზადა. ჩვენში ეგრე იცის მაისის დამდეგს. თამარამ დილიდანვე ქადები დამაცხო, მარინამ მამალი დაკლა. სუფრა ჩვენსა გავშალეთ, ვანა პაპას სახლში. დავიბანეთ, გამავეწყეთ სუფთა ტანისამოსში, როგორც შეგვეძლო, და წავედით პანაშვიდზე. წინდაწინ გაგვაფრთხილეს, რო ანიჩკას საყდარში მისვლა არ იქნებოდა. დავტოვეთ, ეგ საცოდავი, სახლში. ჩვენა ვართ - მე და თამარა, მარინა, ანდრო გოგოჭური და რამდენიმე მეზობელი. წვიმას მივასწარით ეკლესიაში. ვდგავართ, ველოდებით როდის მორჩება წირვა და დაიწყება პანაშვიდი. მამა ზაზა ოლარშია გამოწყობილი. ცალ ხელში კანდელი უჭირამს, მეორეში - სახარება. ლოცვასა კითხულობს, დუდუნებს თავისთვინ. პატრა ბიჭი ეხმარება, წიგნის ფურცლებსა შლის.

უცბათ კარმა გაიჭრიალა. გავიხედე - ანიჩკა შემოდის ეკლესიაში ბებრულად წელში მოხრილი. გაფითრებულია, პირმოკუმული, ხელშეხვეული. შავი თავსაფრის ქვეშიდან თეთრი თმა მოუჩანს. თვალები უცნაურად უელამს. მრევლს ჩურჩულმა გადაუარა. მამა ზაზამ შასწყვიტა კითხვა და წარბშეჭმუხნულმა გადმოხედა ანიჩკას. ისიც გაჩერდა და უცნაურად მიაშტერდა ღვდელსა. ერთხან ასე უხმოდ უყურებდნენ ერთმანეთს. მერე მამა ზაზამ დაიძახა: - "დაგვტოვე, ცოდვილო სულო! არ არი შენი ადგილი ღვთის სახლშიო!" ხმაგაკმენდილი ვუცდით, რას იზამს ანიჩკა. ის კი ბებრული, აკანკალებული ხმით ამბობს: - "მე მამიჩემს მინდა სანთელი დავუნთო." მამა ზაზა კი: - "როცა ცრემლითა და სინანულით დაუბრუნდები მრევლსა და დედა ეკლესიას, მაშინ დაანთებ სანთელსაო!" მეზობლის ქალმა მიაძახა: - "რომელ ღმერთს უნთებ სანთელს, შე უწმინდუროო?!" ახლა მეორე კივის: - " დახე, ამ ღვთისპირიდან გადავარდნილს, ამას!" მივვარდი ჩემ დას, ვეუბნები: - "წამო, გენაცვა, არ შაიძლება... ტიტიკოს სულსა ვცეთ პატივი, წავიდეთ აქედან-მეთქი". იმას კი თითქო არ ესმის, ჯანმრთელი ხელი გაიშვირა შანდლისაკენ, სანთელს მოუკიდა და ბუდეში ჩასვა. ეხლა უკვე კაცებმაც იყვირეს. ატირებული მარინა ღვდელს მივარდა, დაუჩოქა, იმის კაბის ბოლოსა ჰკოცნის და პატიებასა სთხომს. მე გასასვლელისაკენ მივათრევ ანიჩკას, თან ხალხის წყევლა-კრულვა ჩამესმის ყურში.

როგორც იყო, გარეთ გამოვაღწიეთ. ეკლესიის კიბეები ჩავიარეთ თუ არა, საშინლად დაიგრუხუნა. მე ვუყვავავე ანიჩკას, მინდა დავამშვიდო, თანაც დროულად გავარიდო ხალხს. ისიც მორჩილად მამდევს, მაგრამ ვხედამ რო ჩემი არაფერი ესმის, ცარიელი თვალებით იყურება და ზეზეულად ჩაძინებულივით მააფრატუნებს ფეხებსა. ეკლესიის ეზო ჯერ ბოლომდინ არა გვქონდა გავლილი, რო იელვა, დაიგრუხუნა და წამოვიდა თქეში. ეს ოხერი, ახლომახლო არც ხეა რამე, რო თავი შააფარო, უკანაც ვერ დავბრუნდებით, თავისთავად. ე ორი ბებერი მივტოპამთ ლაფის მდინარედ ქცეულ ორღობეში - ერთი უხელო, მეორე კი თითებდამტვრეული. გაწუწულები და ტალახით მოთხვრილები ვეხუტებით ერთმანეთსა. ვერცა ვგრძნობთ, ვტირით თუ ცის წყალი დაგვდის პირი-სახეზე.

ღმერთი გაახარებს ანდროსა, ისევ იმან გვიშველა - დეგვეწია თავისი მანქნითა და ჩაგვსხა. ეხლა ვფიქრობ: ჩემთან წავიყვანო ანიჩკა, - არ ივარგებს, საცაა სტუმრები მობრუნდებიან საყდრიდან, მამა ზაზაც მოვა და ეხლა ამათი შახვედრა არ იქნება. მარინასთან სახლში არავინაა, იქ მარტოკინას ვერ დავტოვებ, არადა მე უნდა სტუმრებთან მოვბრუნდე, სუფრას მივხედო. გავხედე ჩემ დას - თავი ჩემ მხარზე უდემს, თვალები დაუხუჭამს და სუ ერთთავად ბაბანებს. მა რა იქნება - თავით ფეხამდე სველია, ტანისამოსი კი იქა აქვს, მარინასთან. ჯანდაბას სუფრაცა და სტუმრებიც.

წვიმამ მალე გადაიღო. ცა გადიწმინდა და ირგვლივ სველი მიწისა და ტყის სუნი დატრიალდა. კამეჩაანთკარის სანახებში თავისებური, მსუყე სუნი აქვს ნაწვიმარ მიწას, ვერაფერში ვერ აურევ. მახსენდება: პატარები ვართ მე და ანიჩკა, ტყის პირას, ველობზე ვისვენებთ. ვანა პაპაც იქვეა, მიწაზე ჩამომჯდარა, დაკოჟრილ ხელებში მოზრდილი ბელტი უჭირამს, ჩვენ კი მუხლებზე ვდგავართ და ერთმანეთზე შუბლმიდებულნი ვყნოსამთ. ბელტს კი ნეშომპალის, სოკოსა და სიგრილის სუნი სდიის... მაშინაც ეგ გამახსენდა, როცა გოგოჭურიანთ სახლში ვიჯექი ჩემი დის სასთუმალთან, ცხელ ჩაისა ვსვამდი და სველი ხეებიდან ჩამოვარდნილი წვეთების წკაპუნს ვუსმენდი. ვინ მიხვდებოდა ეძინა თუ ეღვიძა ანიჩკას? მაგრამ ნატანჯ სახეზე უცნაური ღიმილი ეფინა. ნეტა რა აღი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მებდა, ან რისი ნიშანი იყო ეგ ღიმილი?... ეხლაც ვერ ვიცი.

ორი დღის მერე კი მამა ზაზა მოვიდა ავადმყოფის სანახავადა. მარინა დაფაცურდა, განჯინას მივარდა, თეფშებისა და ჭიქების გამოლაგება დააპირა, მაგრამ ღვდელმა გააჩერა, დედიშენთან მინდა დალაპარაკებაო. ცხადი იყო - იმდღევანდელი ამბავი აწუხებდა. აკი გითხარით, არ არი ეგ ცუდი ბიჭი. შევედით ანიჩკასთან სამთავენი. ღვდლის დანახვაზე ანიჩკა რაღაცნაირად შაიკუმშა საბანქვეშ, თავისებური მძიმე მზერით გადმოგვხედა. მამა ზაზამ პირჯვარი გადაიწერა და ჩვენ გვითხრა, მარტო დამტოვეთ ქალბატონთანაო. კარქა არ ვიცი რა ილაპარაკეს. როგორც მერე გავიგე, ერთ კვირაში ალავერდელი მეუფე აპირებდა კამეჩაანთკარში ჩამოსვლას. ამ დროისათვის ანიჩკას მარხვა უნდა შაენახა, ფსალმუნები ეკითხა, და მოღონიერებულიყო. მერე ეპისკოპოსთან შესახვედრად ფეხშიშველი უნდა მოსულიყო ეკლესიაში, მუხლებზე დამდგარს საქვეყნოდ მოენანიებინა ცოდვა, მეუფე კი ეპიტიმიას დაადებდა. რა მკითხე? ეპიტიმია? მეც მაშინ პირველად გავიგე ეგ სიტყვა. მგონი სასჯელია საეკლესიო, თუ რაღაცა ეგრეთი. თუ ყველაფერს ისე შაასრულებდა, როგორც ეტყოდნენ, ზიარებას მიიღებდა და გახარებული ჩვენი მრევლი გულში ჩაიკრამდა გზააბნეული და უკან მობრუნებული კრავივითა. "აბა, შენ იცი, დედი, თავს ნე მოგვჭრი თელ კახეთში, ისრე გააკეთე, როგორც ბამა ზაზამ დაგარიგა. ხო გვაძლევ სიტყვასაო?"- ჰკითხა მარინამ. ანიჩკა კი დუმდა, არ აძლევდა პასუხს. ტირილი აუვარდა მარინასა. ეხვეწებოდა, ემუდარებოდა - "ნუ გვღუპამ, ნუ წაიწყმიდავ სულსაო." რო აღარ მეეშვა, ანიჩკამ ერთი ამოიოხრა, წამოჯდა ლოგიში და მშვიდადა სთქვა: - "კარქი... ოღონდ ეხლა წადით და მშვიდად დაიძინეთ. მე არაფერი მიჭირსო."

მართალი რო გითხრათ, ვერკი წარმამედგინა ამ ხნის დედაკაცის ფეხშიშველა მიტანტალება საყდარში, ისიც საქვეყნოდ და თელი სოფლის დასანახად. გონებითა კი ვხვდებოდი, რო ეგრე იყო საჭირო და ამით, ბოლოს და ბოლოს დაწყნარდებოდა ჩვენი აწწილი ოჯახი, მაგრამ გული სულ სხვასა მთხომდა. ახალგაზრდა რო ვყოფილიყავ, ვინ იცის, ბალკომზე გამოვმდგარიყავ და მეყვირა: - "წადით, თქვენი პატრონი დედაც თქო!". მაგრამ ჯერ საზოგადოდ ბებერ კაცს რა ვუთხარი და ბერე კიდე ცალხელასა... ასე დაფიქრებული და კუდამოძუებული გამოვბრუნდი ჩემ სახლში.

დილით კი გოგოჭურიანთ მეზობლის ბალღი ამოვარდა და შეგვატყობინა - ანიჩკა ბაბო კაფეშია და კვდება, ღამით შუშის ბოთლი დაუნაყამს და შაუჭამიაო... თამარა აღმუვლდა დასაკლავი ძროხასავით, ხელების ქნევას მოჰყვა გაგიჟებული. მე კი ვიდექი პირგამშრალი და გაქვავებული. თავდაპირველად, როცა ბალღმა ანიჩკას ამბავი მომახალა, თელ ტანში ტკივივილმა დამიარა ბლაგვად და მძიმედა. თითქო მუხის ვეება კოჭი კიდე ერთხელ ძირ დაქანდა და მაგაზე დახვეულმა თოკმა ეხლა მეორე ხელიც მამაწყვიტა. ტკივილი მაგარი იყო, მაგრამ ხანმოკლე. მერე უკვე ვხედამდი, მესმოდა რაცა ხდებოდა ჩემ გარეშემო, იმას ვაკეთებდი რასაც მეტყოდნენ, მაგრამ გრძნობით კი ვეღარა ვგრძნობდი ვერაფერსა. დანა რო დეესვა ვისმე, სისხლი არ გამამივიდოდა. თელი ის დღეები, მინამ ძაღლივით სოფლის გარეთ დავფლამდით, ცრემლი არ გადმამვარდნია... არც მაშინ, როცა ამ კაფეში, მეტლახის პოლზე მწოლიარე და პირიდან წამსკდარ სისხლში მოთხვრილი ვნახე... არც მერე, როცა უკვე ჩაცმულ-გაპატიოსნებული ხის ტახტზე იდო კუბოს მოლოდინში... არც მაშინ, როცა მარინამ მაგისი ერთი კაბიდან სათუთად ჩაკეცილი ქაღალდი ამაიღო ბავშვის ნახატითა და წარწერით: "ანიჩკა ბაბო, ძაან მიყვარხარ. შენი გელა გელაშვილი."

მერე, როცა ყველაფერი მორჩა, ვანას შტოფი გავამსე ჭაჭითა და გზას გავუყევი. ვერ ვიცოდი სად მივდიოდი, ან რათ მივდიოდი. შუადღის მზე უკვე კარგა გადაწვერილი იყო, როცა ბოლო აღმართი ავამთავრე. ქანცგაწყვეტილი დავჯექი მინაზე, შტოფი მოვიყუდე და ხარბად მოვსვი. მერე მიმოვიხედე და მივხვდი - სამხრიჯვარზე ამოვსულვარ. ეგე, ჩვენი იალაღები, წყარო, თალარის კრამიტები და ჩაქცეული ბაგები. მერე ღოლუაანთ ხევისკენ მიბრუნდი და უცბათ შორეული სიმღერის ხმა მემესმა. ვხედამ - იქ, უფსკრულის პირზე პატარა გოგო დგა. იმასაც ვხედამ, რო მე და ვანა პაპა იქით გავრბივართ, ანიჩკასაკენ, გვეშინიან, ემანდ არ გადავარდეს. ის კი არხეინათა დგაა ლოდზე და თავის წკრიალა ხმითა მღერის, ე თმააბურძგნული, თითისწვერებზე შემდგარი გოგოცუნა, მოჯაჯული ბამბაზი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ის კაბიდან კნაჭა ფეხები რო მოუჩანს...

იმ ჰაერში გადაკიდებულ ლოდზე ჩამოვჯექ. მაშინ კი, იცოცხლე, წამსკდა ცრემლები. ვტიროდი, და აღარა თავდებოდა ე ოხერი ვარამი. არაყსა ვსვამდი და ჩავკიოდი უძირო ღოლუაანთ ხევსა. ბოლოს არაყიც გათავდა და ხმაც ჩამიწყდა, ხრიალი-ღა ამამდიოდა დამწვარი ხორხიდან. მერე თითქო რაღაცამ მამიჭირა და მამკრუნჩხა, თელი ტანი და ხელ-ფეხი გამიშეშდა და თვალთ დამიბნელდა...

მესამე დღეს მწყემსს ვუპოვნივარ წითელ ლოდზე უგონოდ დაგდებული და მოკუნტული. ვერას გზით ვერ გამაშლეინეს ხელ-ფეხი. ისევ ასე მოკუნტული ჩამამიყვანეს სოფელში. არცა ვჭამდი და არცა ვლაპარაკობდი. არც ის მესმოდა, რას მეუბნოდნენ. თელავის საავადმყოფოში-ღა მოვედი გონზე. მარინას პრაფესორი ჩამეეყვანა თბილისიდან, გიუების ექიმი. აურაცხელი ნევსები გეეკეთებინათ ჩემთვინა. არაფერი აღარ მახსომდა. "ნუ გეშინია, მახსოვრობა ნელ-ნელა აღგიდგება, ოღონდ მე რა წამლებსაც გამოგიწერ, ისინი უნდა სვა. არაყი და ღვინო კი დაივიწყეო!", - ეგრე მითხრა პრაფესორმა. მერე ეტყობა შავეცოდე და დაამატა: - "ექვსი თვის მერე, როცა მეხსიერება დაგიბრუნდება, ცოტა პივა შაიძლება. ოღონდ ღვინო ან არაყი ერთი ჭიქაც რო დალიო, ისევ დაგკრუნჩხამსო". ხოდა, გენაცვა, იმიტომაც ვეტანები პივასა, თორე ამას კახეთში ხო იცით რასაც ეძახიან? მაიმუნების კაკაოს. ჩიფსები და პივა! მართლა მაიმუნი გავხდი ამ სიბერეში.

განა პატარა ასაკისა ვარ - წლეულს ოთხმოცდაოთხი წელი მისრულდება. ცხოვრება ადგილზე არა დგას გენაცვა, დრო გარბის და ყველაფერი იცვლება. თან იგრე მარდად რო დილაზე გაღვიძებული, გუშინდელ ალაგს ვეღარა ვცნობ. თითქო სხვისას დამთვრალ-დაძინებული, პახმელიაზე ვიღვიძებდე და შაშინებული ვაცეცებდე თვალებს - ღმერთო, მამაგონე სადა ვარ და როგორ მოვხვდი აქაო... ე ცხოვრება წინ მიდის თუ უკან, ვერ გეტყვით, ადგილზე რო არა დგა - ეგ ხო ნაღდია. აბა, პაპიჩემი რას იფიქრებდა რო კამეჩაანთკარში კაფე და სუპერმარკეტი გაიხსნებოდა! რო ბალღები ჟუვაჩკებსა და კოკა-კოლებს შაეჩვეოდნენ, რო ქალები, ნუკი გეწყინება და, შენსეეფ ჭიპშიშველანი ივლიდნენ, ქურდები და მილიციის უფროსები ეკლესიების შენებას მიჰყოფდნენ ხელსა, უბრალო ხალხი კი ვიღაცა მამაძაღლების ნაჩუქარ ფქვილსა და შაქარს დაპხარბდებოდა.

ერთადერთი, რაც არ გამაიცვალა, ისევ ეს კავკასიონის მთებია, მაწონგადასხმულებივით რო დაგვქათქათებენ თავზე... ისე როგორც ადრე, მეფე ერეკლეს დროსა.

ნიკუშა ანთაძე

რამდენიმე ერთი გაკვეთილი

2005 წლის დეკემბრის თვეში გამომცემლობა "არეტე" გამოსცემს ნიკუშა ანთაძის მოთხრობების პირველ, სადებიუტო კრებულს "ახალგაზრდა სერიული მკვლელის მოგონებები".



თავი პირველი
ერთი გაკვეთილი

საკლასო ოთახი #42

ქალბატონი მარინა ამაოდ ცდილობს ბავშვების დაწყნარებას და ფიზიკის შესახებ საუბარს. არაფერი გამოსდის. ბოლო-ბოლო, რაღაცას აღწევს, ოღონდ ფიზიკისთვის თავის დანებება უხდება.

ბავშვებს უთხრა ილაპარაკეთ, ოღონდ დასხედით და ცოტა ჩუმადო. თვითონაც მაგიდასთან ჯდება და მობილურზე თამაშს იწყებს.

საკლასო ოთახი #55

გოგონები გამალებით ჭორაობენ. ერთი ლიზუნა ზის თავისთვის... ფიქრობს და ფიქრობს... რთული საკითხი აქვს გადასაწყვეტი... ბიჭები ფეხბურთის სათამაშოდ გავიდნენ გარეთ, სტადიონი თავისუფალი იყო.

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

ბექა და კობახიძე გაკვეთილზე არ შევიდნენ. ფიზიკაზე. დგანან ტუალეტში, არც ისე სასიამოვნო სუნში და ეწევიან. სხვა რა გზა აქვთ... თან საინტერესო ამბებს იხსენებენ უბნის ცხოვრებიდან.

საკლასო ოთახი #37

ცარიელია.

საკლასო ოთახი #49

25 ბავშვი ზის კლასში. სიჩუმეა და მოწყენილობა. რამდენიმე ყმაწვილს მერხზე ძინავს. აბა რა იქნება, ქართულის მასწავლებელი გაკვეთილს ხსნის... გაბელამ აღარ იცის რა ქნას უსაქმურობისაგან. ფურცელს და კალამს იღებს. რამდენიმე წამს ფიქრობს, მერე კი წერას იწყებს:

"25 ბავშვი ზის კლასში. სიჩუმეა და მოწყენილობა. რამდენიმე ყმაწვილს მერხზე ძინავს. აბა რა იქნება..."

დირექტორის კაბინეტი

რაღაც საეჭვო ხმები გამოდის. არც მდივანი ზის თავის ადგილზე... მგონი ჯობია ამათ თავი დავანებოთ და მარტო დავტოვოთ.

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

...ხოდა ბიჭო, აზზე ხარ რას ეუბნება?

- რაო?

- შენ წადი რა, ჯერ ქოლგეით ტოტალ 12 იყიდე და კბილები გამოიხეხეო.

- აუ ჩემი, მართლა? ჰეჰეჰეჰე...

- აბაა, ტო... და მაგარი დაიგრუზა გოგო და ეს კიდე აგრძელებს, გინდა ეხლა ჩამოგითვალო დღეს რა გაქ ნაჭამიო, კბილებზე გაწერია მთელი მენიუო.

- აუ ჩემი, მართლა? ჰეჰეჰეჰე...

- აბაა, ტო...

საკლასო ოთახი #42

ირაკლი უკვე მესამე სნიკერსს უგებს ტვიქსას. ნიკუშა და შელო იქვე სხედან და უცქერენ. ლევანა არ არის... ბექა და კობახიძე არ შემოვიდნენ გაკვეთილზე. გოგონები რაღაც მიყუჩებულები არიან, ზოგი რაღაცას კითხულობს, ზოგი შეყვარებულს ემესიჯება... მასწავლებელს უკმაყოფილო სახე აქვს... ახალი ტელეფონი შეიძინა და თამაშები ჯერ არ დაუმუღამებია კარგად...

საკლასო ოთახი #49

გაბელამ ჩანაწერი დაასრულა და ფიქრებს მიეცა. ლიზუნა უყვარს... უეჭველად... ნახავს თუ არა, მაშინვე აუხსნის სიყვარულს. ნეტა ის რას ეტყვის... დათანხმდება? ამ მასწავლებელს რაღა ალაპარაკებს? არ ბეზრდება მაინც...

საკლასო ოთახი #37

ისევ ცარიელია.

საკლასო ოთახი #55

"ტვიქსა თუ გაბელა? გაბელა თუ ტვიქსა? გაბელა? არა, არა, ტვიქსა... ტვიქსა? არა, არა, გაბელა..."- ლიზუნა ვერაფრით აკეთებს არჩევანს... ორივე ბიჭის მიმართ გააჩნია რაღაც სიმპატიები, მაგრამ ჯერ არაფერი იცის ზუსტად... ალბათ, რომელიც პირველი გამოუტყდება სიყვარულში, იმას დათანხმდება...

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

...აუ ბიჭო, მოდი გაკაიფო, ეს ანეკდოტი აზზე ხარ?

- რომელი?
- მოიცა გეტყვი ეხლა, ჰეჰეჰეჰე...
- მიდი, მიდი...
- კაროჩე ტიპი მიდის მარკეტში რა და დირექტორს ეუბნება, მაგარი გამყიდველი ვარო რა, და უნდა მამუშავოთო თქვენთანო, არ ინანებთო რა, და კაიო, ხვალიდან დაიწყებო.

მეორე დღეს მოდის ეს დირექტორი მარკეტში და ხედავს ამ ტიპს კლიენტი ყავს და ებაზრება. კაროჩე ეგო, ყველაზე მაგარი ანკესიაო რა, ყველაფერს დაიჭერო და მიაყიდა. მერე ეხაო, ჭიები და რაღაცეები ხო გინდაო, და ეგენიც მიაყიდა, მერე კიდე სათევზაოდ ერთი დღით ხო არ წახვალო რა, სამი დღე ხო მაინც უნდა დარჩეო და ამანაც მართალი ხარო. ჰოდა აი საკაიფო სპალნი მეშოკები გვაქო, ესეც მიაყიდა რა. და სამი დღით თუ მიდიხარ საჭმელიც ხო დაგჭირდებაო რა, და ჩაულაგა ერთ დიდ პარკში კონსერვები და რაღაცები. იმანაც აიღო ყველაფერი. ეხა ეუბნება, სამი დღით თუ მიდიხარო, მარტო ხო არ წახვალო რა, მეგობარი წაიყვანეო, ვაააა, მართალი ხარო, ხოდა ეხა ზუსტად კიდე ერთ ესეთ კომპლექტს გაგიკეთებო რა და გაუკეთა. მერე ეუბნება კაროჩე იქ მიწაზე ხო არ დაწვებითო რა და აგერო, უძლიერესი კარავი გვაქო რა და ესეც აიღეო. ამანაც აიღო. ჰოდა ეხა ამ ყველაფერს როგორ წაიღებო, ერთი დიდი მანქანა არ გინდაო? და კაროჩე მანქანაც მიყიდა და გაუშვა. ეს დირექტორი დაშტერებული უყურებს და ეუბნება რო საღოლო ძმაო, მართლა მაგარი ვაჭარი ყოფილხარო რა, და ეს ეკითხება, შენ რა დროს მოხვედიო. ამან უთხრა, აი მაშინო რა, ანკესი რო მიყიდეო. ეე, გვიან მოსულხარო, ეგ ანკესზე კი არ იყოო შემოსულიო, ოლვეის ულტრა უნდოდაო რა, და მე ვკითხე რად გინდა-თქო, და ცოლს თვიური აქო რა, ხოდა მეთქი თუ ცოლს თვიური აქ, რა უნდა აკეთო, წადი ითევზაე-თქო... ჰეჰეჰეჰე...

- ჰეჰეჰეჰე...

საკლასო ოთახი #42

საბოლოოდ ტვიქსამ რვა სნიკერსი წააგო და ადგა. არა, იმ დღეს კარტზე ნამდვილად ვერ ფიქრობდა... მისი ფიქრები უფრო ლიზუნას კაბის ქვეშ დაფრინავდნენ... რა ხანია, მაგ გოგოს დაადგა თვალი... თან ეჭვობდა, მგონი მაგასაც მოვწონვარო... კაროჩე უნდა დავებაზრო რა... მიიღო გადაწყვეტილება.

დერეფანი მე-4 სართულზე

ლიზუნა კლასიდან გამოდის. კვლავ იმ ორი ბიჭის სახელი უტრიალებს გონებაში... ქვემოთ აპირებს ჩასვლას წყლის დასალევად... იქამდე კი, მესამე სართული უნდა გაიაროს, სადაც...

დერეფანი მე-3 სართულზე

გაბელა საჭირო ოთახისაკენ მიემართება, ტვიქსა კი სნიკერსების საყიდლად... ზუსტად სამი წამის მერე, მას შემდეგ, რაც გაბელა საჭირო ოთახში შედის, ლიზუნა უახლოვდება მე-3 სართულის დერეფანს... გადაწყვიტა წყალზე ჩასვლამდე ამ დერეფანს დაარტყას ერთი წრე... მისი გულის ორივე მპყრობელის კლასები ხომ ამ სართულზეა...

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

- ბიჭო, ამას ის გოგო არ უყვარს, ტვიქსას რო ევასება?
- ხო, მგონი ეგაა...
- ეე, შეხედე ამ ახვარს...
- ვცემოთ?
- ბაზარი არაა.
- ე, ბიჭო, ერთი აქეთ მოიწიე რა... ჰო, ჰო, შენ...

დერეფანი მე-3 სართულზე

სანამ ბექა და კობახიძე გაბელას ურჩევენ საქმეს, ლიზუნა ტვიქსას შეხვდა... ტვიქსა სიყვარულს უხსნის და ლიზუნაც მცირე ყოყმანის შემდეგ მეც მიყვარხარო ეუბნება...

- შეიძლება გაკოცო? - ეკითხება ტვიქსა.
- აუ, აქ ტეხავს რა... - მორცხვობს ლიზუნა.
- კაი, წამო, - ტვიქსას ერთ-ერთი საკლასო ოთახისკენ მიჰყავს...

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

- ვის დაარტყი ბიჭო!
- ეე, შენ ვის უყვირიხარ, ჩემი დედა...
- მოდი აქ შე ახვარო!
- სახის ძვლებს დაგილეწავ!
- ვისა ბიჭო?!
- ვახ, ჩემი...
- ურტყი, ამის დედა....

ეროვნული ბიბლიოთეკა

დერეფანი მე-3 სართულზე

ჩხუბისა და გინების ხმაზე დირექტორი მიემართება მესამე სართულისაკენ. შარვლის ღილები შეხსნილი დარჩენია და არც სარორჩკა აქვს შეკრული ბოლომდე... ლოყებზე პომადის ნაკვალევი ემჩნევა წითლად... ძლივძლიობით ახერხებს მოჩხუბრების დაშოშმინებას...

საკლასო ოთახი #37

ტვიქსა ლიზუნას კოცნის... მგონი ცოტა უხერხულია ეხლა ამათი ყურება... გავედით, გავედით...

პირველი სართული

გასისხლიანებული გაბელა ექიმთან შეყავთ... წარბი აქვს გახეთქილი...

ამ დროს ზარიც ირეკება...

თავი მეორე
ერთი გაცდენილი გაკვეთილი

დირექტორის კაბინეტი

ლევანა, ბექა, კობახიძე, შელო და ტვიქსა სიცილს ძლივს იკავებენ. გაალმასებული დირექტორი რაღაცებს ყვირის, თავის ჭკუით ყმაწვილებს გამოსწორებისაკენ მიუთითებს. ისინი კი ჯერ-ჯერობით გაღიმებული სახეებით, თავჩაღუნულები დგანან...

დერეფანი მე-2 სართულზე

ბექა ფანჯრის რაფაზე მოკალათებულიყო, ზუსტად სამასწავლებლოს წინ. ხელში "ფლეიბოის" ბოლო ნომერი ეჭირა და აქეთ-იქეთ ფურცლავდა. კობახიძე მიუახლოვდა. სიგარეტი გაუწოდა, მოუკიდა, მერე კი მის გვერდით ჩამოჯდა და ერთად განაგრძეს ჟურნალის თვალიერება...

საკლასო ოთახი #55

ყმაწვილმა კარები შეაღო.

- უკაცრავად, ლიზუნა შეიძლება ერთი წუთით?

მასწავლებელმა უკმაყოფილო სახით გახედა სტუმარს და შეყოყმანდა, თითქოს სულ ფეხებზე არ ეკიდა, იჯდებოდა თუ არა მის გაკვეთილზე ლიზუნა... მალე შემოდიო, მიაძახა და გაუშვა.

საკლასო ოთახი #49

საკონტროლოს წერენ. მათემატიკაში. მგონი ყველა იწერს... გაბელას გარდა. მასწავლებელმა უკვე ორი შპარგალკა ჩამოართვა და დაპირდა ერთხელაც დაგინახავ რო იწერ და გაკვეთილიდან გაგაგდებო.

დერეფანი მე-3 სართულზე

ყველანი ერთად შეიკრიბნენ. ტვიქსა, მისი ოთხი ძმაკაცი და ლიზუნა.

- ირაკლის წითელა აქვს, - აღნიშნა შელომ.

- აბა, ტო, საწყალი, - ხელი ჩაიქნია კობახიძემ.

- ე, ესე ტყუილა ხო არ ვიქნებით. ამას ჯობდა ნიკუშასნაირად ჩვენც სახლებში წავსულიყავით! რამე ვქნათ რა, - განაცხადა ლევანამ.

- ვქნათ, - დათანხმდნენ სხვებიც და ჩაფიქრდნენ.

საკლასო ოთახი #42

"- ჩიგოგიძე!

- ვარ მასწავლებელო!

- კალანდაძე!

- ვარ მასწავლებელო!

- სიხარულიძე!

- ავად გახდა მასწავლებელო და ჭყონიამ, ცენტერაძემ, ბურჭულაძემ, ქორიძემ, ნინიძემ და ღლონტმა გააცილეს სახლში.

- მთელი კლასი ვერ გაყევით? - იკითხა გულჩვილმა მასწავლებელმა.

- ხელის მოსაკიდებელი ადგილი აღარ დარჩა, თორემ გავყვებოდით..."

- ისე მართლა სად არიან დღეს ბიჭები? - გააწყვეტინა ქალბატონმა ლიანამ გაკვეთილის, "მე, ბებია, ილიკო და ილარიონის" მოყოლა ხათუნას, - დილით მგონი ლევანის და კობახიძეს მოვკარი თვალი...

საკლასო ოთახი #51

- ეთერი მასწავლებელმა გთხოვათ, თუ შეუძლია ჟურნალი მათხოვოს ცოტა ხნითო, - დაიწყო ლიზუნამ, ქიმიის კაბინეტის შეღებისთანავე.

- წაიღე გენაცვალე, ოღონდ მალე დამიბრუნე, - გაუღიმა მასწავლებელმა და თან გულში გაუხარდა, რომ ჟურნალის უქონლობის გამო, ბავშვების გამოძახებას აარიდებდა თავს...

სკოლის ეზო

ჯერ მესამე გაკვეთილიც არ იყო დამთავრებული, ნიკუშა კი უკვე შატალოზე გახლდათ და სახლისაკენ მიემართებოდა. არც მისი კლასელები შევიდნენ გაკვეთილზე, თუმცა ისინი სკოლაში დარჩნენ დერეფნებში სახეტიალოდ.

დერეფანი მე-4 სართულზე

- ეგ ქიმიკოსი ნანულა მაინც სომეხია და მოდი ნაომი კემბელის სურათი ჩავუკრათ, - შემოიტანა წინადადება შელომ.

თქმა და ასრულება ერთი იყო. ქიმიის ნიშნების ფურცელი, ნაომი კემბელის შიშველმა სხეულმა დაიკავა. "ფლეიბოიდან" ამოხიეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დირექტორის კაბინეტი

...ესეთი რაღაცების გაკეთებას როგორ ბედავთ! გაკვეთილებზე არ შედიხართ, სკოლის შენობაში ეწევით, ჩხუბობთ!.. მიპასუხეთ, რა ქვია თქვენ საქციელს?! სად გგონიათ თქვენ თავი!? მიპასუხეთ!..

საკლასო ოთახი #51

ლიზუნამ ჟურნალი დააბრუნა.

კიბეები მე-3-დან მე-2-ზე

- დილით არ მისაუზმია, წამო ბუფეტში, - ტვიქსამ ლიზუნას ხელი გადახვია.

- წამო, - დათანხმდა ლიზუნა, თვალებში ჩახედა და აკოცა...

დერეფანი მე-3 სართულზე

გაბელა გამოვიდა თავის საკლასო ოთახიდან. უფრო სწორად, კი არ გამოვიდა, გამოაგდეს. წარბი, ჯერ კიდევ არ ჰქონდა მორჩენილი... ვერც ის გოგო დაევიწყებინა ბოლომდე, ვის გამოც წარბი გაუსკდა... სწორედ ამ დროს შენიშნა... ლიზუნა ტვიქსასთან ერთად მოდიოდა ხელგადახვეული... შურით გააყოლა თვალი და თავი ჩაღუნა...

რომელიღაც მაღაზია

საღეჭი რეზინის ყიდვისას ნიკუშამ უეცრად აღმოაჩინა, რომ მაისური უკუღმა ჩაეცვა. ნეტავ რას უნდა ნიშნავდესო გაიფიქრა...

დერეფანი მე-3 სართულზე

გაბელასთვის საბედისწეროდ, მისი შურიანი მზერა არ გამოპარვიათ ბექას და კობახიძეს, რომლებიც იქვე იდგნენ შორიახლოს.

- ე, ამ ახვარს შეხედე რა, ცემა მოენატრა?

- მოდი აბა ვკითხოთ.

- ე, ბიჭო... ჰო, ჰო, შენ... რა სახით უყურებ ტვიქსას?! - შეუტიეს ერთად.

- რა ტვიქსას? - დაიბნა გაბელა.

- რა ტვიქსა კი არა, ვინ ტვიქსა ბიჭო!

- რა შენ ხარ!

- მოიწიე აბა ერთი აქეთ...

მთელი დერეფანი ხოხიალ-ხოხიალით მოაწმენდინეს საცოდავს... ბოლოს ერთ-ერთ კუთხეში მიაგდეს მტვრის ნახმარი ჩვარივით...

ბუფეტი

ტვიქსას და ლიზუნას ბუფეტში შელო და ლევანა დახვდნენ. რამდენიმე წუთში ამ მშვენიერ სასტავს ბექა და კობახიძეც შეუერთდნენ. ყველამ მიირთვა, რაც სურდა. ტვიქსამ და ლიზუნამ ერთი ბოთლიდან დალიეს "კოკა-კოლა"(თითქოს ორის ფული არ ჰქონდათ). ზარის დარეკვამდე ცოტაღა რჩებოდა. უეცრად ენერგიული ნაბიჯების ხმა მემოესმათ. დაახლოებით მიხვდნენ, ვინც უნდა ყოფილიყო და თავქუდმოგლეჯილებმა მოკურცხლეს...

რომელიღაც ქუჩა

ნიკუშას შეყვარებულმა დაურეკა მობილურზე. შევხვდეთო. რა თქმა უნდა, დათანხმდა და სახლში წასვლის ნაცვლად პაემანზე წავიდა. იქვე ახლოს უნდა შეხვედროდა შეყვარებულს. ქუჩის გადაღმა და მერე ცოტა მარცხნივ. ახლო-მახლო მიწისქვეშა გადასასვლელს ვერსად მოკრა თვალი, არადა ეჩქარებოდა...

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

- ფუ რა საზიზღარი სუნია, - ლიზუნას სახეზე გულისრევის შეგრძნება გამოეხატა.

- გაივლის ის კვერცხი კაცი და გავალთ, - დაამშვიდა ტვიქსამ და ცხვირზე ხელი ააფარა.

- ეჰ, რაც ჩვენ აქ დრო გაგვიტარებია, - ჩაილაპარაკა ბექამ.

- აბაა ტო, უკვე შევეჩვიეთ ამ სუნს, - დაუმატა კობახიძემ.

შელომ და ლევანამ მოფსეს.

* * *

სწორედ მათ დაეძებდა ის "კვერცხი კაცი", ანუ დირექტორი.

უკვე შეეტყო, გაკვეთილზე რომ არ შესულიყვნენ და სხვა საგმირო საქმეების შესახებაც... ძალიან გაბრაზებული ჩანდა, ,,სასწავლო ნაწილი და ყველა მასწავლებელი გააფრთხილა, ხუთივე ბიჭი ჩემ კაბინეტში იყოს ზარი დაირეკება თუ არა მაშინვეო.

საკლასო ოთახი #42

გამოვიდა თუ არა საკლასო ოთახიდან ქართულის მასწავლებელი, ბიჭები შევიდნენ. თანაკლასელებმა და დამრიგებელმა დაახვედრეს საშინელი ამბავი იმის შესახებ, რომ დირექტორს სასწრაფოდ სურდა მათი ნახვა. სხვა რა გზა ჰქონდათ, ვაჟკაცურად გასწიეს მისი კაბინეტისაკენ. იქ კი, როგორც მოგეხსენებათ, დირექტორმა ღრიალსა და მათთვის რჩევა-დარიგებების მიცემას მიჰყო ხელი...

ქალაქის ერთ-ერთი საავადმყოფო

ნიკუშა უმძიმეს მდგომარეობაში მიიყვანეს საავადმყოფოში.

17 ნომერი მარშუტკა დაეჯახა...

საკლასო ოთახი #55

ლიზუნასაც მოხვდა ცოტა დამრიგებლისაგან, მაგრამ ეგ

არაფერი... ვის არ გაჯავრებიან... ნამდვილად

ღირდა, მაგარი დრო გაატარა ტვიქსასთან და მის ძმაკაცებთან ერთად...

დირექტორის კაბინეტი

უკვე ძალიან რომ მობეზრდათ ბიჭებს დირექტორის ყვირილი, მიცვივდნენ. შელომ პირზე ააფარა რაღაც, ლევანამ და ბექამ ხელები დაუჭირეს, კობახიძემ და ტვიქსამ კი შარვალი გახადეს, თავზე ჩამოაცვეს და სასწრაფოდ გაეცალნენ იქურობას...

თავი მესამე
ერთი გაკვეთილი ახალ სკოლაში

კარგმა ხანმა განვლო მას შემდეგ, რაც დირექტორი საკუთარ კაბინეტში იპოვეს, საკუთარი შარვლით თავზე. ტვიქსა, შელო, ლევანა, ბექა და კობახიძე, რა თქმა უნდა, გარიცხეს. ირაკლი, ნიკუშა და ლიზუნა კი საკუთარი სურვილით გადავიდნენ მათთან ერთად ახალ სკოლაში.

ახალი სკოლა

ახალი სკოლა ძველისაგან ბევრით არაფრით განსხვავდებოდა. აქაც ისეთივე "ძალიან კარგი" მასწავლებლები, "სწავლაზე თავგადაკლული" ბავშვები და თითქმის ისეთივე კვერცხი დირექტორი იყო (ისევ კაცი). ამ უკანასკნელს სხვათა შორის დიდი რიდი ჰქონდა ახლადგადმოსული ყმაწვილებისა. როგორც ჩანს, გაეგონა იმ ინციდენტის შესახებ, რაც წინა სკოლაში მოხდა დირექტორთან დაკავშირებით. ბიჭები ერთ კლასში მოხვდნენ, ლიზუნა კი ცალკე. ის ხომ ერთი წლით პატარა იყო.

საკლასო ოთახი #41

- დგებუადეს მოტანილი აქ... ძალიან კარგი. სახვაძე შენ?

- მეც მოტანილი მაქ.

- კარგი ბიჭი ხარ. გამოდის მარტო ჭედიას და ნიკურაძეს დარჩათ მოსატანი და თუ უახლოეს ნახევარ საათში არ მოიტანენ, მაგათ გავუხევ დებილ თავებს, - ზუმბიკა გაბრაზებული სახით იყურება აქეთ-იქეთ. მერე ახლადდაგროვებულ ფულს ჯიბეში იდებს და ლომისას თვალს უკრავს.

- ეს კლასი რომ არ გვყავდეს, რა ეშველებოდა უბანს, სად ავაგდებდით ამდენ ფულს... - ამბობს ლომისა თავისთვის.

საკლასო ოთახი #30

ტვიქსა, ბექა, კობახიძე, შელო, ირაკლი და ლევანა ერთ რიგში სხედან. ნიკუშა უკვე თითქმის სრულიად გამოკეთდა ავარიის შემდეგ. სკოლაშიც დადის ხოლმე ხანდახან.

ახლა ფეხზე გიფსის გამოსაცვლელადაა ნასული. კლასში უმრავლესობა გოგონები არიან. ბიჭების უმრავლესობაც გოგონები არიან. ყოველ შემთხვევაში ჩვენს ბიჭებს თავიდანვე ასეთი შეხედულება შეექმნათ მათზე და მაინცდამაინც არც ერთს არ ემეგობრებიან.

საკლასო ოთახი #36

ლიზუნა კარგად მიიღეს ახალ კლასში. უკვე რამდენიმე დაქალიც კი გაიჩინა. არც თაყვანისმცემლები აკლია...

საკლასო ოთახი #30

- ირაკლი, იცი გაკვეთილი? - მკაცრი ტონით ეკითხება ბიოლოგიის მასწავლებელი.

ირაკლი ფეხზე დგება, თავს დაბლა ხრის და ხმას არ იღებს.

- უკვე იცი მერამდენე შემთხვევაა, რომ მოუმზადებელი მობრძანდები სკოლაში? - განაგრძობს ქალბატონი ქეთინო.

ირაკლი კვლავ დუმს.

- დაჯექი, ორიანი, - მასწავლებელი კალამს იღებს და ნიშნის ჩაწერას აპირებს. კლასში სამარისებული სიჩუმეა.

- შეიძლება რაღაც გკითხოთ? - არღვევს სიჩუმეს ირაკლი და მას შემდეგ, რაც მასწავლებლის თავის მოძრაობით თანხმობას იღებს, განაგრძობს, - თქვენ იცით რას უშვრებით ჩემ ტვინს?

- არა, - მოულოდნელი გულუბრყვილობით პასუხობს ქალბატონი ქეთინო.

- და იცით, უკვე მერამდენე შემთხვევაა, რომ თქვენ ამას უშვრებით ჩემს საცოდავ ტვინს? - არ ჩერდება ირაკლი.

ახლა კი ხვდება მასწავლებელი რაშიცაა საქმე და მთელი ხმით ყვირის.

- გაეთრიე კლასიდან!

- იეს! - უხარია ირაკლის. კარგა ხანია ამ სიტყვებს ელოდა. დერეფნისკენ მიეშურება ღიმილით და გასვლის წინ შუა თითს აჩვენებს მასწავლებელს, დამშვიდობების ნიშნად.

საკლასო ოთახი #41

- ბიჭო, ლომის, იცი ვინ მევასებაა? - დანას ხსნის ზუმბიკა, - ახალი გადმოსული გოგო როა.

- ლიზიკო თუ რაღაცა? მეცხრე კლასელი?

- ჰო, ლიზუნა. მაგარი ნაშაა არა?

- კი, ტო, მეც შევნიშნე.

- უნდა დავითრიო.

- მიდი, მიაწექი... ოღონდ შეყვარებული ყავს ხო იცი?

- გავკარი მაგის შეყვარებულს...

ახალი სკოლის შესასვლელი

სკოლის კარებს ყმაწვილი უახლოვდება. დაკაკუნებას აპირებს. წარბზე დიდი შრამი აქვს. შარვლის ერთ ჯიბეში ვიქტორინოქსი უდევს, მეორეში ოპინელი. ირგვლივ იყურება, შენობას ათვალიერებს. ბოლოს აკაკუნებს.

დერეფანი მე-3 სართულზე

დერეფნებში მოსაწყენი ხეტიალის შემდეგ ირაკლი ტვიქსას და ლევანას ხვდება.

- ვაა, თქვენც გამოხვედით?

- აბა რა, - პასუხობს ტვიქსა და თან ხელში რაღაც უცნაურ მოწყობილობას ატრიალებს.

- ეგ რა არი? - ინტერესდება ირაკლი.

- ოო, ეს მაგარი რაღაცაა, დარაჯის კაბინეტში ჩამოვხსენით.

მგონი ამით ზარს რეკავდნენ ხოლმე... - უხსნის ლევანა.

საკლასო ოთახი #30

- მასწ, ვინ იყო ის ბიჭი, ჯიპით რო მოგაკითხათ? - მიმართავს ბიოლოგიის მასწავლებელს ერთ-ერთი გოგონა, - მასთან ერთად დაგინახეს გუშინ ღამის კლუბში?

- აუ ჩემი ეს ვინაა, - იცინის ბექა, - სპრაიტი ხო არა აქ დალეული?

- ჰეჰეჰეჰე... - იცინის კობახიძეც.

დერეფანი მე-4 სართულზე

მობილურზე სალაპარაკოდ გამოსულ ლიზუნას ზუმბიკა აჩერებს.

- აუ მაგრა მევასები რა და მინდა რომ ჩემი შეყვარებული გახდე, - ეუბნება პირდაპირ.

- მე შეყვარებული მყავს და... - იბნევა ლიზუნა.

- მკიდია შენი შეყვარებული, - ზუმბიკა გოგონას კედელთან იმწყვდევს და კოცნას უპირებს...

კიბეები მე-2-დან მე-3-ზე

შრამიანი ყმაწვილი ამოდის.

დერეფანი მე-4 სართულზე

- მე კიდე დედაშენი მკიდია, - ზუმბიკას და ლიზუნას ტვიქსა წამოადგა თავს, ირაკლისთან და ლევანასთან ერთად - გამიგე ბიჭო?!

ზუმბიკას ცხვირიდან სისხლი ასხამს ტვიქსას ძლიერი დარტყმის შედეგად. ლიზუნას თეთრი მაისური წითლად იღებება.

- სად ხართ ძმებო?! - ღრიალებს ზუმბიკა, - ახალგადმოსული კვერცხები ბლატაობენ.

ახლა უკვე ტუჩიდანაც ეოსდის სისხლი. ლევანამაც ხია.

პირველი ლომისა მორბის საშველად, მერე კი ზუმბიკას სხვა ძმაკაცებიც.

კიბეები მე-3-დან მე-4-ზე

ისევ ამოდის.

დერეფანი მე-4 სართულზე

ჩვენ ბიჭებს მაგრა ხვდებათ. სიტუაცია უკვე უკონტროლოა.

ამათ შველას ვერც ხმაურზე კლასიდან გამოცვენილი ბექა, კობახიძე და შელო ახერხებენ. მაგრად კი ურტყამენ მონინააღმდეგეს, მაგრამ მათგან უფრო მაგრად ხვდებათ. ბექას ჭრიან კიდევაც. ფეხში. ლომისა და ზუმბიკა, რომელიც გასისხლიანებულ სახეს შიგადაშიგ ცხვირსახოცით ინმინდავს, ლიზუნას კიბეებისაკენ მიათრევენ.

დირექტორის კაბინეტი

- ბატონო დირექტორო, საშინელი ჩხუბია მეოთხეზე, - ატყობინებს მდივანი.

- მოვდივარ ეხლავე, - ფეხზე დგება დირექტორი, - ვინ ჩხუბობს თუ იცი?

- ახალ ბიჭებს დაერიენ ჩვენი მეათეკლასელები.

- ახალ ბიჭებს?

- დიახ.

- იცი რაა, ეხლა გამახსენდა, რომ სასწრაფოდ უნდა დავრეკო. გადაუდებელი საქმეა. იქნებ უჩემოდ დაარეგულიროთ რა სიტუაცია...

კიბეებისა და მე-4 სართულის გასაყარი

ამოვიდა. უცბად ერკვევა შექმნილ სიტუაციაში და სასწრაფოდ ჯიბეში იყოფს ხელს...

დერეფანი მე-4 სართულზე

ლომისას მოულოდნელად დანა ხვდება ზურგში. ეცემა. გაოგნებულ ზუმბიკას ვერაფერი გაუგია და ამ დროს კიდევ ერთი მუშტი ხვდება სახეში. ამჯერად უკვე შრამიანი ყმაწვილისაგან.

* * *

- გაბელა?! - კივის ლიზუნა, - შენ მე გადამარჩინე! - ეხუტება და კოცნის. თანაც ტუჩებში. მერე უკანმოუხედავად ჩარბიან კიბეებზე, კარს აღებენ, გარეთ გადიან და იქ კიდევ ერთხელ ეხუტებიან ერთმანეთს...

წესით ამ დროს ზარი უნდა დარეკილიყო...

თავი მეოთხე
ერთი გაკვეთილი ძველ სკოლაში

მეთერთმეტე კლასი... ეს ის დროა, როცა ყველაზე მეტად გწყდება გული სკოლაში გასულ წლებზე და შენ თავზე ბრაზდები - რატომ გეშინოდა ბავშვობაში დირექტორის და რატომ უფრო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამამად არ დადიოდი შატალოებზე. სწორედ მეთერთმეტე კლასში გადავიდნენ ჩვენი მოთხრობის გმირი ყმაწვილები. თანაც, საშუალება მიეცათ სწავლის უკანასკნელი წელი თავიანთ ძველ სკოლაში გაეტარებინათ (ახალში მაინც აღარ დაედგომებოდათ). დირექტორს, რომელთანაც ამათ ერთი უსიამოვნო ამბავი შეემთხვათ, დაეტოვებინა ამ სკოლის დირექტორის თანამდებობა და სხვაგან გადასულიყო. ახალი დირექტორი ქალი გახლდათ... ახალგაზრდა... პამელა და ჯენიფერი, ორი ერთში - ასე ეძახდნენ მას მოსწავლეები... კარგი ქალი იყო... სწორედ მან შეინყალა ერთ დროს ამ სკოლიდან გაყრილი ბიჭები და უკან დააბრუნა...

საკლასო ოთახი #42

- არც კი მჯერა, რომ ჩვენს მშობლიურ სკოლას დავუბრუნდით, - კობახიძე სიგარეტის კვამლით რგოლებს უშვებს, - ძალიან მენატრებოდა აქაურობა.

- აბაა, ტო, - უერთდება ბექაც, - მეც მაგრად მენატრებოდა.

- ბიჭო, ჩვენი ტუალეტი არ მოვინახულოთ?

- ჰეჰეჰეჰე... აბა რა, წამო...

საკლასო ოთახი #60

- მარინა მასწ, დავიტოვებ რა ჩვენთან ამ ლამაზ გოგოს ერთი გაკვეთილით, - ეუბნება ლაშა მასწავლებელს.

- კი, ლაშიკო, დაიტოვე, - უღიმის ქალბატონი მარინა.

- მადლობთ მასწ, - ლაშა და ლიზუნა ერთად სხდებიან შუა რიგის ბოლო მერხზე.

* * *

ლიზუნა შარშანვე დაბრუნდა ამ სკოლაში, გაბელას გამო.

საკლასო ოთახი #49

ვერ არი კარგ ხასიათზე გაბელა. ვერ ახერხებს იმ ამბის დავიწყებას... ბიჭი შემოაკვდა კინაღამ... თან უკვე რამდენიმე დღეა ლიზუნაც დაშორდა... ვიღაც ლაშა შეუყვარდა... ფუ მაგის ბოზი დედაცო, - ფიქრობს ხოლმე თავისთვის, - მაგის გულისთვის ლამის კაცი დავბრიდე, მაგან კიდე ვიღაც მანქანიან პიდარასტზე გამცვალაო...

დირექტორის კაბინეტი

რაღაც საეჭვო ხმები გამოდის. არც მდივანი ზის თავის ადგილზე... მგონი ჯობია ამათ თავი დავანებოთ და მარტო დავტოვოთ.

რომელიღაც ქუჩა

ნიკუშა როგორც ყოველთვის შატალოზეა. ამჯერად შელოსთან ერთად. ქუჩა-ქუჩა დაიარებიან.

საკლასო ოთახი #42

- ლიზუნას ახალ შეყვარებულს იცნობ? - ირაკლი ტვიქსას გვერდით ჯდება.

- ისე რა, ვიცი ვინცაა, - თვალებს ხუჭავს ტვიქსა, - მე მაგარი მკიდია ეგეც და ლიზუნაც.

- ლაშა ქვია, ამბობენ მასწავლებლებს ევასებათ ძაანო.

- ჰო, ევასებათ აბა რა, მაყუთაა და ფულს აძლევს უეჭველად.

- ალბათ ლიზუნასაც აძლევს.

- მარტო ფულს? - ორივეს ეცინებათ.

საკლასო ოთახი #55

- ლიზუნა არ არის დღეს?

- არა მასწ, გლანდების შესამოწმებლადაა წასული.

საკლასო ოთახი #49

რაღაც ნიტო პონტშია რა. მტრები გაიჩინა, შეყვარებული დაკარგა... ცოტა კიდევ გაუმართლა, ის ბიჭი რომ არ მოკვდა... იმ შემთხვევის მერე, დანას აღარ გაჰკარებია... რა ქნას? როგორ მოიქცეს? ამ შეკითხვაზე ჯერ-ჯერობით მხოლოდ ერთი პასუხი უტრიალებს თავში - ...

საკლასო ოთახი #42

- ლაურა მასწ, - მიმართავს მათემატიკის მასწავლებელს ირაკლი, - თქვენ ლაურა კოლტის ნათესავი ხომ არა ხართ?

- რა გინდა ირაკლი?! - მასწავლებლის ხმაში გაბრაზება შეიმჩნევა.

- მინდა ფული, მინდა ხუთები, მინდა დანა, მინდა კუნთები, მინდა ტანსაცმელი, მინდა საჭმელი, მინდა ფეხსაცმელი, მინდა სანთელი, მინდა ბასეინი, მინდა ლოგინი, მინდა "ფავორიტი", ბევრი "ფავორიტი", მინდა კივილი...

- გაეთრიე კლასიდან! - კივის ლაურა მასწავლებელი.

- კარგით რა მასწ, არ გააგდოთ, - ტვიქსას თან ეცინება.

- შენ რაღა გინდა? - ახლა მას უტევს მასწავლებელი.

- მინდა ქალები, ერთი ტრაილერი, მინდა ბრიტნი სპირსი და ლივ ტაილერი, მინდა კროუფორდი, მინდა კურნიკოვა, მინდა კლაუდია, მინდა შარაპოვა, მინდა პამელასი, ორივე, მინდა ჯენიფერის, დიდი, მინდა მათთან ერთად... ცხოვრება "მშვიდი"...

ანჯელინა ჯოლი მინდა!

- გაეთრიეეეთ!!!

ეროვნული ბიბლიოთეკა

მარშუტკა #17

ერთ-ერთი ქალბატონისათვის ხურდის დაბრუნებისას მძღოლმა აღმოაჩინა, რომ მაისური უკულმა ჩაეცვა...

დერეფანი მე-3 სართულზე

გაბელა ბუფეტისკენ მიმავალ ტვიქსას და ირაკლის ხვდება, რომლებიც როგორც ყოველთვის, ნი ვიჟუს ურტყამენ. თუმცა ამჯერად გაბელა აჩერებს მათ და საუბარს უწყებს. ბოლო-ბოლო რამდენიმე წუთიან საქმის გარჩევას ხელის ჩამორთმევით ასრულებენ. არ ვიცი, რა ელაპარაკა ასეთი გაბელა, მაგრამ როგორც ჩანს, შერიგდნენ და დამეგობრება გადაწყვიტეს.

საკლასო ოთახი #60

- ლაშიკო, ხელს ხო არ გიშლით ჩვენ? - აწყვეტინებს

მასწავლებელი შეყვარებულის "გლანდების შემოწმებას".

- არა მასწ, - ძლივს ითქვამს სულს ლაშა, - როგორ გეკადრებათ.

- კარგით, კარგით, განაგრძეთ მაშინ...

დერეფანი მე-4 სართულზე

ბიჭებს, რომლებმაც უკვე მოინახულეს საჭირო ოთახი და ახლა მშობლიური დერეფნების დათვალიერება გადაუწყვეტიათ, უეცრად კიბეებზე ამომავალი ყმაწვილი ხვდებათ თვალში.

- აუ, ამას შეხედე, რა სიფათით დადის, - კობახიძე გაბელასკენ იშვერს ხელს.

- არ გავუჩალიჩოთ სახის რეკონსტრუქცია? - ხუმრობს ბექა.

- ჰეჰეჰეჰე... კიი, ტო, მარა რო აგვჩეხოს ამ ჩემისამ?

- არა რა უნდა აგვჩეხოს, ამბობენ იმ ამბის მერე დანას აღარ ეკარებაო.

- კაი მაშინ... ე, ბიჭო, მოდი აბა აქ...

დირექტორის კაბინეტთან

ბუფეტში შესვლამდე ტვიქსა და ირაკლი დირექტორის კაბინეტს უახლოვდებიან.

- როგორც ჩანს აქ ყველაფერი ძველებურადაა, - ირაკლი ყურს ადებს კარებს.

- კი მარა, ლეზბიანკაა ეგ ჩემისა? - გაოცებულია ტვიქსა.

- არა ბიჭო, კაცი ყავს მდივანი...

მარშუტკა #17

- გაიწიე მე შენი!!!! - აპიპინებს მძღოლი.

დერეფანი მე-4 სართულზე

კიდევ ერთხელ გაილახა გაბელა. როგორც ბექა იტყოდა,

სახის რეკონსტრუქცია ჩაუტარდა. არადა რატომ? ტვიქსასთან

ხომ შერიგებული იყო უკვე... ძლივსძლიობით დგება ფეხზე და ბარბაც-ბარბაცით მიდის... სად? ...

გადასასვლელი რომელიღაც ქუჩაზე

3 წამის შემდეგ 17 ნომერი მარშუტკა ჩაიქროლებს იმ ადგილას, სადაც ახლა ნიკუშა დგას...

- ნიკუუუუუშ, - შელო მთელი ძალით ეჯახება ნიკუშას და გვერდით აგდებს.

ბუფეტი

ტვიქსა და ირაკლი ბექას და კობახიძეს ხვდებიან. მას შემდეგ, რაც ტვიქსა ყვება თუ როგორ შერიგდნენ გაბელასთან, ბექა და კობახიძე ძალიან ნანობენ, რომ ეს უკანასკნელი ცემეს...

- მერე ვერ თქვა მაგ კაი კაცმა? - თითქოს თავს იმართლებს კობახიძე.

- თქვენი ამბავი რომ ვიცი, ხმის ამოღებას არ დააცლიდით, - კარგად იცნობს ამათ ტვიქსა.

- რო ვნახავთ, ბოდიშს მოვუხდით რა, - წყვეტს ბექა.

- ჰო, ეგრე ქენით, - ეთანხმება ირაკლი.

- კაი, ეგ რაც იყო იყო, ეხლა რატომღაც სურვილი მაქვს, ის მაყუთა ლაშა გავხიო ცემაში... - ამას ტვიქსა ამბობს.

- მოიცა, ჯერ ფული ავახიოთ იქნებ... - კობახიძის წინადადებაა.

- ფული კაია, მარა მე ჩხუბი მინდა...

- ვნახოთ, ვნახოთ...

- თუ ჩხუბი გინდა, მოდი ერთმანეთში ვიჩხუბოთ, - მხარზე ხელს ურტყამს ტვიქსას ბექა.

- მოდი... - თანხმდება ტვიქსა ღიმილით.

არადა ამათ რომ იცოდნენ, რარიგად საჭიროა ახლა ყოველგვარი სისულელეების, კონფლიქტების დავიწყება და გაერთიანება... ზუმბიკა და ლომისა ხომ შურისძიებისათვის ემზადებიან...

ამ დროს ზარიც ირეკება...

თავი მეხუთე
ჩემი ერთი გაკვეთილი

საკლასო ოთახი #42

- დღეს რაღაც ცოტანი ვართ, - აღნიშნავს ტვიქსა.

- ნიკუშა არ ვიცი სადაა და ლევანა უეჭველად მოვა, - მერხთან ჩაცუცქული ირაკლი ვიღაც გოგოს თმის სამაგრს ათამაშებს ხელში.

- რა იცი? - ეკითხება შელო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

- გუშინ დამირეკა და მთხოვა, ხვალ შატალოზე არავინ დააწვეთ, მესამე-მეოთხე გაკვეთილზე მოვალ და საბაზრო მაქო.

- კაია, მარა ბექა და კობახიძე ხო არ წავიდნენ უკვე?

- არა, ეგენი გაფრთხილებული გვყავს.

- ახლა ალბათ სადმე დერეფანში ან ტუალეტში იქნებიან, - ტვიქსაც გადის.

საკლასო ოთახი #55

"ლუკა თუ სანდრო თუ დათო თუ ვაჟიკო თუ იკა თუ ლუკა თუ გიო თუ მიშკა თუ ნიკი თუ მერაბი თუ რა ქვია იმას..." - ლიზუნა უკვე იბნევა. ყველას მიმართ აქვს რაღაც სიმპატიები, მაგრამ ჯერ არაფერი იცის ზუსტად... ალბათ იმ პირველ სამს დათანხმდება, რომლებიც ყველაზე ადრე გამოუტყდებიან სიყვარულში...

დერეფანი მე-3 სართულზე

ტვიქსა ლაშას უყურებს, რომელიც ვიღაც გოგოსთან ერთად მოდის ხელგადაჯვეული. როგორც ჩანს ლიზუნა ამასაც დაშორდა უკვე...

- პირდაპირ ვცემოთ თუ ჯერ ფული ავახიოთ? - ბექა ხვდება რაზეც ფიქრობს ტვიქსა.

- მე რო ეხლა ამას მივდგე, ალბათ სანამ არ მოვკლავ ვერ გავჩერდები და არ ვიცი რა ვქნა... - ჭოჭმანობს ტვიქსა.

- მაშინ ჩვენ მივხედავთ, - თვალს უკრავს კობახიძე, - ე, ბიჭო, ერთ წამს მოდი რა აქ.

- არა, არა, გოგო დატოვე, - უხეშად ელაპარაკება ბექაც, - ანდა თუ გინდა წამოიყვანე, მარა ისეთ ადგილას მივდივართ რომ...

ბექას და კობახიძეს ლაშა საჭირო ოთახში შეყავთ.

მარშუტკა #17

ნიკუშა ბებიასთან მიდის, რომელიც ავად გამხდარა. თან დედის გამომცხვარი ნაზუქები მიაქვს კალათით...

დირექტორის კაბინეტი

სრული სიჩუმეა.

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

- მოიტან ას ლარს? - თვალებში უყურებს ბექა.

ლაშა ხმას არ იღებს.

- ასი ლარი ერთი, - იწყებს კობახიძე, - ასი ლარი ორი.

- დაა, ასი ლარი სამი, - ამთავრებს ბექა.

- აი ახლა კი დაგენძრა, - ერთხმად ეუბნებიან.

საკლასო ოთახი #41 (ახალი სკოლა)

- ოცდათხუთმეტი დანა, თერთმეტი სასროლი, შვიდი ნაჯახი და სამი ლიმონკა, - ლომისა სიამაყით უცქერს იმ არსენალს, რომლითაც თავის ძმაკაცებთან ერთად ამათ სკოლაში აპირებს წამოსვლას.

ძველი სკოლის შესასვლელი

კარებს ორი კაცი უახლოვდება. შავებში არიან გამოწყობილები. შავი კოსტუმი, შავი ჰალსტუხი, შავი ფეხსაცმელი და შავი სათვალეები. ერთ-ერთი მათგანი ზანგია, მეორე, ცოტათი უფრო ხნიერი, თეთრკანიანი.

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

ბექა და კობახიძე ლაშას ცემენ.

მარშუტკა #17

- ახალგაზრდავ, - მიმართავს მძღოლი ნიკუშას, - მგონი მაისური უკულმა გაცვიათ, - რატომღაც ამ ბოლო დროს ყველას ტანსაცმელზე აკვირდება.

- თქვენც, - ღიმილით პასუხობს ნიკუშა.

პირველი სართული

ახლადმოსულები შედიან სკოლაში, სათვალეებს გულის ჯიბეებში ინახავენ და კარებთან ახლოს ჩერდებიან...

საკლასო ოთახი #49

მასწავლებელი გოგონებს ეჭორავება. მათ საუბარს შემთხვევით გაბელამაც მოკრა ყური.

- გუშინ გაპარულან, მგონი ბულგარეთში წავიდნენ, - ყვება მასწავლებელი, - ნეტავ ახლა რა მოხდება, ახალ დირექტორს დაგვინიშნავენ თუ ამათ ჩამოსვლას დაელოდებიან...

საჭირო ოთახი მე-3 სართულზე

ისევ ცემენ.

საკლასო ოთახი #41 (ახალი სკოლა)

- კარონჩე, გავდივართ მე და ზუმბიკა და ზუსტად სამ წუთში გამოდიხართ თქვენც. ოღონდ, სამ-სამი წამოდით თორემ ხომ იცით, რამე საეჭვო დვიჟენია და ეგრევე პატრული გაეძრობა.

- ბაზარი არაა, - პასუხობს ვიღაც, - ფრთხილად ვიქნებით.

დერეფანი მე-3 სართულზე

- გაბელას და ლიზუნას უკვე ვუთხარით, - ეუბნება შელო.

- ეს ლაშაც წამოათრიეთ რა, - ვინმე ხო არ მავიწყდებაო, ფიქრობს ლევანა, - ჩვენ კლასში შევიკრიბოთ.

ყველანი იქეთ მიდიან. ბექა და კობახიძე ლაშას მიათრევენ, რომელიც ისეა ნაცემი, სახის ძვლები ხელში უჭირავს.

საკლასო ოთახი #42

ლევანას მონაყოლის შემდეგ ბავშვები ჯერ კიდევ პირდაღებულები სხედან.

- ესე იგი გამოდის, რომ ვიღაც როჟა ჩვენზე მოთხრობებს წერს? - ტვიქსა გაბრაზებულია.

- ეგრე გამოდის, - უმოწმეს ლევანა, - ვიღაც ნიკუშა ანთაძე.

- და ამ მოთხრობებს, რომლებშიც ჩვენი ყოველდღიური ცხოვრებაა აღწერილი, ხალხი კითხულობს?! - შელო პასუხის გარეშეც ხვდება, რომ ასეა.

- აუ ჩემი, მაგრად ტეხავს, - სიგარეტს უკიდებს ბექა.

- აბაა, ტო, - კობახიძეც უკიდებს.

- ვაიმეე, ჩემზეც წერენ? - კივის ლიზუნა და თავისი ბოლო თხუთმეტი შეყვარებული ახსენდება...

მარშუტკა #17

უეცრად ქალები კივიან.

მძღოლი ვეღარ ასწრებს დამუხრუჭებას და...

საკლასო ოთახი #42

- წამო ვნახოთ და დაველაპარაკოთ რა, - სთავაზობს დანარჩენებს ირაკლი.

- დაველაპარაკოთ კი არა, სახის ძვლებს დავულეწავ, - გაბრაზებულია ტვიქსა.

სხვები ლაშას უცქერენ.

- წამო, წამო რა, გავიდეთ, - ფეხზე დგება გაბელა.

დანარჩენებიც დგებიან.

რომელიღაც ქუჩა

გზაზე ორი ბიჭი აგდია. უგონოდ არიან. მოძრაობა გადაკეტილია. იქვე 17 ნომერი მარშუტკა დგას. სწორედ ის დაეჯახა ბიჭებს, რომლებშიც ადვილად ამოიცნობდით ზუმბიკას და ლომისას...

პირველი სართული

- ახალგაზრდებო, ერთი წუთით თუ შეიძლება, - აჩერებს ბიჭებს და ლიზუნას ზანგი, - რაღაც საქმე გვაქვს თქვენთან. შეიძლება დავილაპარაკოთ?

- კი ბატონო, - პასუხობს ტვიქსა დაუფიქრებლად, - ოღონდ გვეჩქარება ცოტა.

- თქვენ მართლა შეიტყვეთ იმის შესახებ, რომ ვინმე ნიკუშა ანთაძე თქვენზე მოთხრობას წერს? - განაგრძობს ზანგი.

- დიახ, - ბავშვები გაოცებულები უცქერენ, ახლაღა გააცნობიერეს, რომ ზანგი ქართულად ლაპარაკობს. თანხმობის ნიშნად თავს უკრავენ.

- დაახლოებით როდის მოხდა ეს? - საუბარში ერთვება ცოტათი უფრო ხნიერი თეთრკანიანი.

- ამ დილით, - ტვიქსას ეტყობა, რომ ვერაფერი გაუგია.

- გასაგებია. თორმეტსაათიანზე დავაყენოთ, - თეთრკანიანი ახლა უკვე ზანგს მიმართავს.

- კარგი, - პასუხობს ის, მერე კი პატარა, ვერცხლისფერ მოწყობილობას იღებს. მოწყობილობა წვრილ ფანარს ნააგავს.

ლითონისაა. ზანგი რაღაც ციფრებს კრეფს და ბავშვებისკენ ბრუნდება, - რამდენიმე წამში, მე აი ამ ღილაკს დავაჭერ... დავაჭერ თუ არა მაშინვე ყველაფერი დაგავიწყდებათ, რაც თქვენს ცხოვრებაში მოხდა უკანასკნელი თორმეტი საათის განმავლობაში. შეიძლება ვერც ჩვენ ვეღარ გვნახოთ, ასე რომ, მშვიდობით, - ზანგიც და თეთრკანიანიც შავ სათვალეებს იკეთებენ. ზანგი ღილაკს აჭერს...

გონს მოსული ბავშვები გაოგნებულები იყურებიან აქეთ-იქეთ. ზანგი აღარსად ჩანს. ცოტათი უფრო ხნიერი თეთრკანიანი ისევ იქაა.

- რა ხდება? - პირველი შელო გამოერკვა.

- ექსკურსია გადაიდო, - იღებს პასუხს თეთრკანიანისაგან, - გთხოვთ ყველანი თქვენ-თქვენ კლასებში დაბრუნდეთ.

დაბნეული ბავშვები უსიტყვოდ მიემართებიან კლასებისაკენ.

* * *

ამ დროს ზარიც დაირეკა...

გამოეღვიძა.

ნიკუშა ანთაძეს გაკვეთილზე ჩასძინებოდა...

21 მაისი - 24 ივნისი.

2005 წელი



გივი ალხაზიშვილი

სიმღერა

შენ რას მოიგებ, ლექსის წერით სხვამ რა მოიგო,
შეეშვი წერას, ივაჭრე და დროზე მოი გონს.

უნდა მიბაძო ფართლის ვაჭარს, ანდა სოვდაგარს,
იმ ჭიას ჰგავხარ აბრეშუმის რომ იქსოვდა გარსს,
ნუ მოიწყინე, გაატანე შავი სევდა ქარს.

ღვინოვ კახურო, რქანითელო და აგრე შუმო,
იქნებ ცხოვრება, ანუ ჯვალო ააბრეშუმო.

პოეტის გასამხნევებლად

შენ ეს ცხოვრება ჯერჯერობით ვერ მოიბეზრე,
მომავალ წუთში ცდილობ სიტყვის კვლავ მოხელთებას,
ჩაირბენს წუთი წარმავალი დროის კიბეზე -
ჯერ კიდევ ბავშვი მყისიერად თვალწინ ბერდება.

განსაცვიფრებლად საბრალოა იგი ვინც ჰობად
აქცია წერა, მიივიწყა წესი მესტვირის,
წაშლით დაღლილი ვის უნახავს გულმავიწყობა,
უთვალავ ფურცელს შლის და ტოვებს პალიმფსესტივით.

შენც თქვი ზეპირად, წამღერებით, მაგრამ ხმადაბლა,
დრომ შეისრუტოს, დრო ხომ არი ყოვლის შთამთქავი,
მხოლოდ ზეპირად, ხელნაწერში სიტყვა არ დაფლა,
ვინმეს ხსოვნაში იქნებ ჩარჩეს შენი ნათქვამი.

... და თამაშია სხვა ყველაფერი

დღე აღარ მყოფნის, ჩამომადნა ხელში ცვილივით, -
წუთი, გულში რომ იბზარება ელვის სადარი
და მიდის იგი და მივყავარ სახე შეცვლილი
დროში, რომელიც მიდი-მოდის და არსად არი.

ბინდშერეული, გრილი სუნთქვა ისმის ველების
და მდინარის ხმა ჭალებისკენ გადარნეული,
დასაბამიდან იქ გალობდნენ ტყის ფრინველები
და დღიდან დღეში გადაჭყავდათ ათასწლეული.

დღე დღეს გადასცემს მდუმარების ხმაში ჩარჩენილ
სიტყვებს, რომელიც არის გულთა შესაკრებელი
და თამაშია, თამაშია სხვა დანარჩენი
და თავის ნაყოფს თვითონ მოკრეფს დღეთა მკრეფელი.

არსებობს ხსოვნა და იმ ხსოვნას სიტყვა ინახავს,
სიტყვა ფიჭაა, შენ - ფუტკარი ფრთაგაცვეთილი
დაეძებ ყვავილს და არ იცი ახლა ვინა ხარ,
მხოლოდ სიცოცხლე თუ სიცოცხლის ბოლო წერტილი.

მცოცავი ზღვარი

რადგან შლეგისთვის ეს დღე ღამეა,
ღამე კი დღეა, ანდა პირიქით,
იგი კი მიდის, მზეს ეხამება
და გული ლოცვით უცემს პილიგრიმს.

თითქოს და ზარის ჟღერას მიჰყვება,
რიდით აღსავსე და შეპყრობილი,
ცდილობს ცდუნებას, ჩვენ გაბრიყვებას,
დრო ახლანდელი, თანაც ყოფილი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

იგი არსებობს ვით წარმოსახვა
და ვიღაც მისი წარმომსახველი
აღარც ამ სივრცეს, აღარც დროს აჭყვა
და არ არსებობს მისი სახელი.

მე კი ყოველთვის ვცხოვრობ წვეთივით,
ვიბრწყინებ თუ კი სხივმა მომძებნა,
ხმა, სიჩუმიდან ჩამონრეტილი
მახარებს, ღვთისგან თუ მებოძება.

ამ არსებობა-არარსებობის
სიტყვა სისხლისგან არ დაიცლება,
ბუნდოვანია მხოლოდ საბაბი,
ზღვარი, რომელიც მარად იცვლება.



ალიზის ლექსი

ალიზი. ალიზზე ალი ზის.
მკრთალი მზის სხივი თვლემს,
გაკრთება ქალის ალუზია,
იელვებს იელის სიყვითლე.

სიტყვების მარცვლებიც ალიზი არი,
ეცადე მოზილო ეს ლექსი ალიზის,
სადაც სიჩუმეა და არ იზიარებს
შენს ფიქრებს, გულში რომ ქალი ზის.

შუადღე. ჩურჩულიც არ ისმის,
დროდადრო იხსენებ ვინმეს სისინს,
სარკეში პროფილი ქარიზმის
და ავტოპორტრეტის მიმესისი.

ხმამ ხმას რა ჰკითხა?!

დღემ დღეს რა უთხრა, ღამემ ღამეს რა უკარნახა?!
სურდა გაეგო წასაყვანად ვინ შეიგულეს,
გასწია ფარდა და ბაღებში მან ქარი ნახა,
ტოტებით როგორ ხატავდა და შლიდა ფიგურებს,

რომლებიც სიტყვებს დაეებდნენ და შესაბამის
ტექსტს უმარტივესს, გამჭირვალეს და მრავალშრიანს,
რომ ყოველ ფერში და ბგერაში არის საბაბი,
არის მიზეზი, რომ აგროვებს ახლა ამ შრიალს.

დღემ დღეს რა უთხრა, ღამემ ღამეს თავის მწუხრითა,
ხმამ ხმას რა ჰკითხა, ტკივილი რომ არ დაგიამდა,
ამომავალმა თვალებიდან, ყელის ბუხრიდან,
ბგერამ, რომელსაც სიტყვად ქცევა დააგვიანდა.

დროის გამეორება

მწვრთნიან ფიქრები უწყვეტელი და ღამღამობით
ვპოულობ სარკმელს გაბმულ ტანჯვის წილად შეძენილს,
ასე შემკრთალი ვარსკვლავები რად ხამხამებენ,
რა დაინახეს, რისი ხილვაც მე ვერ შევძელი?!

აქ ყველაფერი ჩვეულებრივ რიტმში ბინადრობს,
ველარ იცლიან ველარაფრის სანახავადა,
აბრუნებს ორთქლი, იმეორებს ზუსტად იმავ დროს,
როცა დეიდა მაგიდაზე დგამდა ყავადანს.

იგივე კადრი, ფინჯნებს მშვიდად რომ ალაგებენ,
სარკე, ლიმონის ბუჩქი ტოტებჩამოხუნძლული,
ვერცხლის კოვზების მოწკრიალე ზანზალაკები,
ნათურის ბჟუტვა და ოთახი - ღამის კუნძული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არსებობს ხილვა, იგი უფრო მართალი არი -
ის გულში ცხოვრობს და გულივით წამით მეტკინა,
ახლა იქა ვარ და იქიდან ვათვალიერებ
დროს, რომლის ყოფნა არ შემეძლო წარმომედგინა.

შენ უწყი მხოლოდ

გაქცეულ ქუჩებს და შენობებს ორსართულიანს
აგურით ნაგებს, გადახურულს წითელ კრამიტით,
გავხედავ მაშინ, გზის გაკვლევა როცა რთულია
და უმიზეზოდ რომ გადამდებს წუხილს ამინდი.

აქამდე აღწევს ჩუმი სუნთქვა გარდასულების,
მათი ხილვები ახატია ნაყოფს შეთვალულს,
როგორც სიცოცხლის გაგრძელება, არდასრულება,
ამ ფერადებით თითქოს ვინმეს შემოეთვალოს.

გზებზე წყალივით დავიღვარე და ძვლებდაშლილი
მომაქვს სხეული და ცვილივით გული მიდნება
გვამში, რომელსაც შერჩენია თვალი ბავშვივით,
მზერა, რომელშიც გაიელვებს სხივი თვითნება.

ამომცნობელო გულისა და ფარულ ზრახვათა,
შენ მეუფეო ზეცისა და წასულ-მოსულთა,
შენ უწყი მხოლოდ, სხვა ვერავინ დაინახავდა,
ცხოვრება ჩვენი ბოროტისგან რომ დაორსულდა.

შენ საით მიხვალ?!

ამ სიჩუმეში, მზის სუნთქვაში განაბვა მინდა,
ვგრძნობ, რაც მებოძა უფალზე მეტს ვინღა მომცემდა,
ყველა თაობა დაგეძებდა დასაბამიდან
და ჩაიკარგა შენში შენგან ვინც აღმოცენდა.

თვალი შეზრდილი შემოდგომის ბაღის გობელენს,
გაახუნებენ ეს დღეები მზერით ამ ფერებს,
ჯერ კიდევ ახალ ფერადებით შესამკობელებს,
სამყაროს სუნთქვა სუსხიანი ჩამოაბერებს.

შენ საით მიხვალ, რომ დაეძებ გზა-კვალს საუფლოს,
იქითკენ, სადაც გაეშურა, ვინც გზას ეძებდა
და მხოლოდ გულში გინდა ვინმეს გაესაუბრო,
ვინც უკანასკნელ წუთისაკენ ხელს აცეცებდა.

დათოს

გავიდა, სცენიდან მრავალი გავიდა,
გავიდა, გავიდა, გავიდა...
ნაოჭი ხნულია გულისკენ მავალი,
ვინ იცის, ვინ იცის, როდემდე ავიტან.

ხელში სალამურით და ღრუბლის კრავითა -
გავიდა, გავიდა, გავიდა...
ბგერა ამოაღწევს ძველი საკრავიდან
და ვერ გამიგია, აქ რა მინდა.

ამ მზემ ჩამავალმა ცა გააქლამინდა,
მე შენთან, მე შენთან უფრო ახლა მინდა,
ისე რომ შიგ შუბლში ტყვიის დახლა მინდა
და მშვიდი გადასვლა ცაში ამ "ხლამიდან".

გავიდა, გავიდა, გავიდა, გავიდა,
იგივე იგავი გივის იგავიდან.

* * *

მოსწონს ანარეკლი ხიდს ხიდის,
ისმის გიტარის ხმა და სიმი შვიდია,
რომ არა კახპების ხითხითი,
რა ბიბლიური სიმშვიდეა.

რაღაც გაიბზარა ძველი სარკესავით
და ვგრძნობ გულს დაკემსილბზარიანს,
აქ აღწევს ჭრილობის დამკემსავი,
მისი ხმა ეკლესიის ზარია.

შენ გახსოვს, რა გითხრა ქალაქმა:
კარებსაც აღიქვამ ჩიხებად,
ვინც ყველა სურვილი ალაგმა,
საკუთარ დუმილში გადაიჩეხება.

გახსენებს ნიავის შეხება
ბავშვობას და ურეოლას გახატავს ლოყაზე,
სადღაც ძაღლს წამოეყეფა
ტკივილი, ხელით რომ მოხაზე.

ამ ქალაქს საღამო შეღებავს,
სიტყვას კი სხვაგვარი მოჰყავს მზე,
გულს კარი თავისით ეღება,
როცა დაფიქრდები მოყვასზე.

თელავის გახსენება

აღარ მინდოდა შეჩერება, მაგრამ ვჩერდები,
პატარა ქუჩას დაეფინა ღრუბლის ჩელტები.

სახლებს დაბზარულს და სიძველეს ქცეულს კრამიტად,
ვათვალიერებ აღერღილი ასი გრამითაც.

ძველი უბანი, გრილი სუნთქვა - ფიქრის მგეზავი,
თვალს გადაკრული მოგონება ღვინის პკესავით.

ცალთვალა გუბე და გუბეში ისევ მზის სარკე,
ფანჯრებს თვალები გაქცევია ზარის ხმისაკენ.

ამ დროს კი ბავშვი შეშინებულ ქუჩას გადაჭრის,
ხელში შოთები, ბოსტნეული და სხვა ნავაჭრი.

მინდა აქ ყოფნა და ცოტა ხნით აქვე დარჩენა,
რა უნებლიეთ ეპარება პირჯვარს მარჯვენა.

პასუხი შეკითხვაზე: როგორ ხარ?!

ვარ ჯერჯერობით, ამის მეტი, აბა, რა გითხრა?!
კითხვის ნიშანი იკლაკნება, თანაც იმხელა...
მოვეშვი კითხვას, აღარაფრის მინდა წაკითხვა
და წერა-კითხვას მირჩევნია ჩუმი სიმღერა.

წავიღიღინებ, რადგან სიტყვას ვერ მივაგენი,
მუსიკა შეძლებს ამოუთქმელ განცდის ამოთქმას
და აჰყოლიან უცნობ მოტივს ჩემი ბაგენი,
რომ გააგრძელოს მელოდიამ სარკის დაორთქლვა.

მზეს აუვსია თეთრი ღრუბლის ნავი ქარვებით,
უფოთლო ხენი უქცევია ასაკს ძელებად,
ალბათ, თანდათან, მეც აქედან ავიკარვები,
დასაბამიერ მდუმარების გასაგრძელებლად.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლუკა ბაქანიძე

სიჩუმე

ეძღვნება გეროს

ასეა სულ.
დილაბნელზე დგება, მამლის ყივილისთანავე და მიდის.
თან პატარა ყველი და პურის ნატეხი მიაქვს საგზლად.
ყანაში მუშაობს შებინდებამდე.
მარტოდმარტო.
შუადღისას, მზე რომ ძალიან დააჭერს, შეისვენებს.
ხის ძირას, ჩრდილში ჩამოჯდება, წაიხემსებს ცოტას.
კალიების ჭრიჭინს უსმენს და ფიქრობს.
ბევრს ფიქრობს.

წამოდგება, ხელებს შარვალს შეახოცავს და მუშაობას აგრძელებს.
ნელა მოძრაობს, აუჩქარებლად.
დიდი ხელები აქვს და ნაოჭებთ დაღარული სახე.
დროდადრო გაიმართება, ოფლს მოიწმენდს შუბლიდან,
მთის კალთებს შეავლებს თვალს.
მიეჩვია სიჩუმეს, შეუყვარდა კიდეც.
მოსწონს, ხანდახან, შორიდან რომ შემოიპარება ტრაქტორის რახრახი.
უყვარს შორით მოსული ხმა.
ბავშვობა ახსენდება, კარადაში რომ ემალებოდა უფროსებს.
"ნეტა სად გაქრა ის უპატრონო" - ყასიდად კვირვობდნენ.
ის კი სიბნელეში იჯდა, ბედნიერი.
ახლა ყანაში მუშაობს მარტოდმარტო და ფიქრობს.
ბევრს ფიქრობს.

შებინდებისას წამოვა შინისაკენ.
ნახევრად დაცარიელებულ სოფელში შემოვა.
ეზოებიდან გადმოსძახიან კანტიკუნტად.
ისიც მიესალმება დინჯად და გზას აგრძელებს;
არ უყვარს ლაპარაკი.
სახლში შემოვა, ჭრაქს აანთებს. ივახშმებს.
ცოტას წაიჩხირკედელავებს, ოჯახს მიხედავს.
მერე სახლის წინ ჩამოჯდება ჯირკზე.
ციცინათელებს უყურებს და ფიქრობს.
ბევრს ფიქრობს.



ხვალაც დილასისხამ წამოდგება.
ყველს და პურის ნატეხს წაიღებს საგზლად.
იმუშავებს ყანაში, მარტო.
შებინდებისას სახლისკენ გაეშურება.
გადმოსძახებენ ეზოებიდან, მიესალმებიან.
ისიც მიესალმება დინჯად და გზას გააგრძელებს.
არ უყვარს ლაპარაკი,
სიჩუმე უყვარს.

კევი

მეც ვიყიდე კევი.
ვღეჭავ, ენერგიულად ვიქნევ ყბებს.
მიხარია.
მიხარია, რომ მეც შენსავით უტიფარი გამომეტყველება მაქვს.
ახლა აღარ შემომხედავ იჭვნეული მზერით.
შენნაირი გავხდი მეც.
მათი აღარ მეშინია, ვისაც ჩემზე დიდი სხეული აქვს.
არც მათი, ვინც ჩემზე უფრო ხმამაღლა ლაპარაკობს.
პირში ნერწყვს ვიგროვებ შენსავით,
რომ მერე გადავაფურთხო.
თან გავყოლო ეს დედამიწერილი შიში, გაფაციცება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამაყით ვიყურები აქეთ-იქით.
მომწონს ასე რომ მხედავ,
პირში კევით და წინ ფურთხის გუბით.
მაგრამ ამას რა ვუყო, შიგნით.
გამუდმებით რომ ყვირის, ღრიალებს.
პირზე ხელს ვაფარებ, ვგუდავ.
ოღონდ შენ არ გაიგო,
ისევ იჭვნეულად არ შემომხედო.
მიჭირს.



ერთი

ღამით, ძველი უბნის ქუჩებში,
აქა-იქ ლამპიონებით განათებულ ვიწრო ქუჩებში,
გაბრუებული, ფერმკრთალი თაობა დაბორიალებს.
ფიქრობენ სხვადასხვა მარკის თუ სერიის მობილურებზე,
ან მანქანის საჭესთან ამოჩრილ შიშველ მუხლისთავებზე.
"ბოზიშვილი ვიყო..." - წამოიწყო ვილაცამ.
"ჩუშუშ" - გააჩუმა ერთმა.
გაკვირვებული მიაჩერდნენ დანარჩენები.

"ახლაც ისევ ის ზუზუნებს.
დენის ტრანსფორმატორია თუ რაღაც ოხრობა.
ნეტავ რატომ მიყვარს ეს ხმა,
არადა, დღისით საერთოდ არ ვფიქრობ ამაზე.
სუნიც სულ სხვანაირი აქვს ქუჩას ამ დროს,
გამთენიისას.
აი, უკვე დაიწყო.
ჯერ ერთი ჩიტი იწყებს გაუბედავად, ნაწყვეტ-ნაწყვეტ.
ნამძინარევია ალბათ.
ნელ-ნელა სხვებიც აჰყვებიან და იწყება ჟრიამული.
ახლა იმ კორპუსის ფანჯრები აბდღვიალდება ვარდისფრად;
ეტყობა, სადღაც იქიდან ამოდის.
მე ვერ ვხედავ, სახლები მეფარება.
ღმერთო, როგორ მიყვარს ქუჩა ამ დროს.
გამთენიისას".

დაბორიალებს გაბრუებული, ფერმკრთალი თაობა.
ერთი ჩამორჩა. იქვე ჩამოჯდა, ტროტუარზე.
"ე, ცუდად ხომ არა ხარ, ბიჭო!"
ხმას არ იღებს.
წინ, კორპუსს უყურებს გაღიმებული.

"მაშინაც ისმოდა ეს ზუზუნი,
დილის ბინდბუნდში რომ დავუყვებოდით ქუჩას.
ზოგან განათებული ფანჯარა მოჩანდა,
შიგნით ვიჭყიტებოდი, კისერწაგრძელებული.
მთვლემარე ქარი ხანდახან შეითამაშებდა ძილში.
სახეზე მელამუნებოდა.
რამდენს ვეფერებოდით ერთმანეთს მინდვრებზე, ტყეში,
მე და ქარი".

ღამით,
აქა-იქ ლამპიონებით განათებულ ვიწრო ქუჩებში,
გაბრუებული, ფერმკრთალი თაობა დაბორიალებს.
ფიქრობენ გაკვამლულ ოთახებზე,
ან სადარბაზოში დამდგარ სისხლის გუბეზე.
("აგერ, შარვალზეც მოცხებია, ტო!")

სასაფლაო

მიყვარს ხანდახან აქ შემოვლა, თუ შემოპარვა:
ის ხომ ყოველთვის თვალყურს მადევნებს.
ხელს მტაცებს, მიყვირის, "საით, უჩემოდ?"

ეროვნული ბიბლიოთეკა

თან გამომცდელად მომჩერებია.
ფეხს ინაცვლებს მოუთმენლად,
სახეზე მაზუთი ჩამოსდის ოფლად.
უდარდელ ღიმილს ვაგებებ პასუხად. "არსად".
მშვიდდება და აქეთ-იქით აცეცებს თვალებს,
სხვაც ბევრი ჰყავს მისახედი.
რამდენი ტკივილი, რამდენი ცრემლი გადავცვალე
ამ შტერულ, უზრუნველ ღიმილში,
ხანდახან მაინც რომ მოვატყუო, გამოვეპარო.
გზას მივიკვლევ საფლავებს შორის.
აქ ვერ მომაგნებს, აქ დამიცავენ.

ოპერის ბალი

ჩემს მეგობრებს

ძმაკაცები მექაჩებიან - წამო, წავიდეთ, ჩავუჯდეთ ბარში.
მინდა ვთქვა "არ მინდა", მაგრამ ვიცი, მკითხავენ "რატომ?"
და წინასწარ ვღიზიანდები.
სიამოვნებით გამოვთვრებოდი სადმე მარტო, შუკაში, ბაღში.
მაგრამ ამას ვერ ვიტყვი, ტეხავს.

კურტკის ჯიბეში "ტროიკის" ღერები (თამბაქო გაძვირდა).
ცივ ქვაზე ჯდომით მძვრება ყვერები.
ერთ ხელში არყის ბოთლი და ფურცელი, მეორეში სიგარეტი და პასტა.
მუზის შებმით გართულს
ხანდახან მეშლება, პასტიდან ვცდილობ ნაფაზის დარტყმას.

თითქოს აქ უფრო სუფთა ვარ.

მომწონს არყისბოთლიანფურცელპასტიანი ჩემი იერი.
ზურგსკუან ვილაც ფრუტუნებს, მოვიხედე - ბულტერიერი.
თან ჯეელი პატრონი ახლდა.
ძაღლი მე მიყურებს, პატრონი - არყის ბოთლს.
გამოლაპარაკება მინდოდა, მაგრამ გამშორდა პირზე ხელაფარებული,
ამრეზილი თაობის ჭეშმარიტი წარმომადგენელი.

ნეტავ ის ვიყო, ვინც შენ გეგონე, თუმცა შეიძლება სწორედ ის ვარ.

ვზივარ და ვფიქრობ იმაზე. შენზეც ვფიქრობ.
შორს ხარ, ვერ გხედავ და მენატრები.
მაგრამ როცა ერთად ვართ, როცა ჩემთან ხარ, მალე მბეზრდები.
ვიცი, ასი წელი რომ გიბერო სული
მაინც ვერ გაგაცლი თვალებზე მტვერს.



სცენაზე მოხუცი შემოდის. ბუნკერს მიადგა.
ჩამქრალი, ჩუმი თვალები აქვს,
როგორც ყველა ბუნკერთან მიმდგარს.
ხელი ჩაჰყო სარჩოს მოსაძიებლად, ფათური დაიწყო.
აქეთ-იქით არ იყურება, როგორც ყველა ბუნკერთან მიმდგარი.
უცებ გაჩერდა. გაშტერდა დიდხანს.
მეთქი, ალბათ გაჩითა ვირთხა.
ბოლოს ნაგვიდან წიგნი ამოიღო ფრთხილად.
საათვალე გაიკეთა, გადაფურცლა.
მერე ბუნკერის გვერდით მიწაზე ჩაჯდა და დაიწყო კითხვა.

გამიგეთ ძმებო, აქ უფრო კარგად ვარ.
არყისბოთლიანპასტაფურცელ ბუნკერიანად.
აქ უფრო სუფთა ვარ.

ორი ათას რომელიღაც წელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მიხო მოსულიშვილი

"ალლოპლანტი"

(მოთხრობა)

ახლა ის უნდა მოგიყვე, გუშინწინ ღამით რომ ერთი ფეთიანი ამბავი შეგვემთხვა. შეიძლება, დაგაინტერესოს და დაწერო კიდეც... აბა, სულ იმ ვიღაც ნაომარ ძველბიჭებზე ხომ არ უნდა მოგვიყვე ხოლმე?

ამ ჩემს ქალიშვილს ხომ ადრინდელი ამხანაგებიც ჰყავს, სამედიცინო აკადემიიდან. ჰოდა, იმათში არის ერთი შალვა მარქარაშვილი, შვილი ტაგანროგში თუ სიკტივკარში მცხოვრები კრიმინალური ავტორიტეტისა, რომლის მეტსახელია ხანდახან "დომინო", მაგრამ ძირითადად "მაკინტოში".

ჰოდა, ეს ჯგუფელები "სასაცილო", ანუ "შეკეთებულ" სიგარეტებსაც ეწევიან და არც დიაბეტიკების ნემსით ნარკოტიკის შეშხაპუნებაზე ამბობენ უარს. მათ წრეში ვინც ტრიალებს, ხომ იმათებური უნდა იყოს. აი, მაგალითად, ამ ჩემი მარის ადრინდელი ჯგუფელი, თათა ნოდია დაიმეგობრეს და ის თათა ნოდია უკვე იმ სასაცილო სიგარეტებსაც ეწევა ჩუმ-ჩუმად და თუკი სახლიდან მთელი ღამით ამხანაგებთან გაშვებაზე დაითანხმა მშობლები, არც დიაბეტიკების შპრიცით წამლის გაკეთებაზე ამბობს უარს და საყვარლადაც ჰყავს შალვა მარქარაშვილის ძმაკაცი, დათკა ბუაძე.

შალვა მარქარაშვილი ხშირად აწყობს ხოლმე მეგობრულ შეხვედრებს თბილისშიც, სადღაც მეიდნის ახლოს მდებარე სახლში და აგრეთვე მცხეთის აგარაკზეც, სადაც მთელი ღამით უყვართ წასვლა და მეორე დღის საღამოს ჩამოდიან.

მარი დაუმეგობრდა ამათ, მაგრამ ამათ წრეში მაინც თეთრი ყვავივით არის, რადგან დამოუკიდებელია და თან აკრიტიკებს კიდეც - თათა ნოდია რომ წავიდა ნიდერლანდებში, დათკა ბუაძემ და შალვამ ასწავლეს, რომ ჯერ პასტა გამოეშვა კბილის პასტის ტუმბოდან, მერე მარიხუანა წვრილად დაეხვია, ცელოფანში გამოეკრა ჰერმეტულად და იმ დაცლილ კბილის პასტის სათავსოში შეეცურებინა. მერე შიგ ისევ კბილის პასტა შეეშვა და ასეთი რამდენიმე ცალი წამოეღო, რადგან არ არსებობს ქვეყანაზე მებაჟე თუ გერმანული ნაგაზი ანდა კოკერსპანიელი, რომელიც იმ მარიხუანას იპოვნის.

მართლაც ასე ჩამოიტანა თათა ნოდიამ ნიდერლანდებიდან მარიხუანა. მერე მარის შეხვდენენ და ეს ამბავი დიდი სიამაყით გაუმხილა შალვამ. მარიმ უთხრა, მასეთი რამის გაკეთება როგორ შეიძლება, რომ გაეგოთ, ხომ ციხე უკან დარჩებოდა იმ საწყალ თათასო.

ამ ბოლო ხანებში ეს თათა სულ ურეკავდა მარის და ეუბნებოდა, მცხეთაში წამოდი ღამე დარჩენით შალვა მარქარაშვილის აგარაკზე, ჩვენი კუტოკი ვიკრიბებითო.

მარის ძალიან უნდოდა წასვლა, დედამისს ედავებოდა ხოლმე - მთელი ღამით გამიშვი წყნეთშიო. დედამისი ეუბნებოდა, - ერთი საღამო გაგიშვებ, მაგრამ მთელი ღამე - ვერაო. მაშინ, საერთოდ არ მინდა იქ წასვლა, ერთი ღამით გამიშვიო. იქიდან არავინ მოდის, ვიღას უნდა გამოვყვე იმ შუაღამისასო. ვერ გაგიშვებო, - დედამისი ეუბნებოდა. ეს ლაპარაკი მე მესმოდა და მახსოვდა.

აი, ასეთი წინასიტორია აქვს ამ ამბავს.

ჰო, არ დამავიწყდეს, შალვას ჰყავს დედა, საკუთარი კოსმეტიკური სალონი აქვს და ბოლო მოდელის BMW-თი დაიარება. ჰყავს მომხიბლავი, პრიალათვალებიანი დეიდაც, ნატალი, რომელიც აქაური ტოპ-მოდელების წრეში ტრიალებს და თან პოდიუმებზეც გამოდის ხოლმე, თუ კაი გუნებაზეა. იმისი კაი გუნება კიდევ თბილისში ელიტარულ ნარკოტიკად შემოტანილი კოკაინისგან არის ძირითადად და ისე, არც სუბუტექსს იწუნებს მაინცდამაინც, ოღონდ პატარა დოზებით.

ჰოდა, გუშინ საღამოსაც მარი თავის მეგობარ ნატუკასთან ერთად ვაკის რომელიღაც კლუბში წავიდა, თერთმეტი ხდებოდა.

ცოლს ვუთხარი, - ნატა, ასე გვიან რატო უშვებ მეთქი.

და, - ახლა იხსნება ყველა კლუბი, შინ ხომ არ გამოვკეტავო.

ჯანდაბას...

მოკლედ, წავიდა.

ვზივარ ჩემს მაგიდასთან და სანამ ფუტბოლი დაიწყება, ერნსტ რიფგატოვიჩ მულდაშევის "ღმერთებს ქალაქის ძებნაში"-ს პირველ ტომს ვკითხულობ, რომელსაც "წინაპრების ტრაგიკული გზავნილი" ჰქვია. მოსკოვიდან გამომიგზავნა ვალოდიამ, - ჩემმა იქაურმა ჯგუფელმა, კოლეგამ და მეგობარმა, უფრო სწორად, ვლადიმირ ანდრეევიჩ ზიმამ, - მე მთლად ჭკვაში არ მომდის, მაგრამ შენ გადახედე მაინცო.

ეს მულდაშევი ისეთი მსოფლიო მასშტაბის სწავლულია, რომ იმისი ტიტულების ჩამოთვლას რამდენიმე გვერდი არ ეყოფა. მედიცინაში ახალი მიმართულების, რეგენერატიული ქირურგიის ფუძემდებელია, ანუ ადამიანის ქსოვილებს "გამოზრდის" ხოლმე. თვალის ტრანსპლანტაციაც პირველად მან გააკეთა.

პროფესორი მულდაშევი აღიარებს, რომ ჯერჯერობით ბოლომდე ვერ ჩასწვდომია თავისი მთავარი გამოგონების - ბიომასალა "ალლოპლანტის" არსს, რომელსაც გარდაცვლილი ადამიანის ქსოვილებისგან ამზადებს და მერე ეს ქსოვილები სხვა ცოცხალი ადამიანის ქსოვილების რეგენერაციას უწყობს ხელს. ამიტომ მიმართავს რელიგიის საფუძვლებს და ეზოთერულ ცოდნას. ხუთი სამეცნიერო ენციკლოპედიაცია მოაწყო ჰიმალაებში, ტიბეტში და ეგვიპტეში...

ვკითხულობ და თან ისიც მესმის, რომ ჯერ ნატას დაურეკა მარიმ, თორმეტის ნახევარზე, - შალვა მარქარაშვილი და იმისი მეგობრები შემხვდნენ ლუდის ბარში, შალვა მარქარაშვილის სახლში მეპატიჟებიან, ნატუკას გავაცილებ და გავყვებიო. კარგი, გაყევი, ოღონდ მალე მოდიო, ნატამ. ეს დავიმახსოვრე.

გულგახეთქილი განვაგრძობ ამ მულდაშევის წიგნის კითხვას - კაცი გაიძახის, - ადამიანების ამპარტავნობა, ანუ ღმერთთან თავის გატოლება ძალიან რომ მოიმატებს დედამიწაზე, ღმერთი არიული (ესე იგი, ყველა თანამედროვე და არა მხოლოდ გერმანული) კაცობრიობის განადგურებას გადაწყვეტს ისევე, როგორც მანამდე გაანადგურა ცივილიზაციები: ანგელოზისმაგვარი ადამიანებისა, მოჩვენებისმაგვარი ადამიანებისა, ლემურიელებისა და ატლანტებისაო. ჰოდა, ამ საშინელ ამბავს რომ გადაწყვეტს უფალი, აიღებს და ჩრდილოეთის პოლუსს 6666 კილომეტრით გადასწევს მაინცდამაინც ამერიკისკენო (რუსეთისკენ რატომ არ უნდა გადმოწიოს, - ამაზე არაფერს ამბობს!) და აი, მაშინ დაიწყება მთელი რიგი უბედურებებისაო; ჯერ ერთი, მთელ დედამიწას ერთი კილომეტრის სიმაღლის ტალღა გადაუვლის და ყველაფერს დაანგრევსო; მერე მიწისძვრები დაიწყება, ვულკანები ამოხეთქავს, უღრმესი ნაპრალები გაჩნდება და ვინც გადარჩება, ისინიც განადგურდებიანო. ხმელეთიდან ჰიმალაი-ტიბეტი და ალტაი-პამირის მიმდებარე ალაგები დარჩებაო და საქართველოს ადგილზე კავკასიონის მწვერვალებიღა იქნება კუნძულებადო, მერე რამდენიმე ასეული წელიწადი გამყინვარება იქნება, სანამ სქელი ყინულით არ დაიფარება მექსიკა-ამერიკა-კანადის ტერიტორიაო. მაგრამ ტიბეტის ქვეშ ღმერთების ქალაქიაო და იქ შემოინახავს ღმერთი კაცობრიობის უკეთეს ნაწილს და მილიონი წლების მერე, კარგი პირობები რომ დადგება, ისევ კლონირებას გაუკეთებს და უკეთეს ადამიანებს აღადგენსო...

ვაა, შენ რა გითხარი ვალოდია, ეს რა წიგნი გამომიგზავნე?! და ეს ფეხბურთიც რომ აღარ დაიწყო რა...

არც ჩემს მეორე მეგობარს, გურაშა თვალჭრელიძეს მოსწონს ეს წიგნი და რაკი გეოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორიც გახლავთ, თავისი კუთხით აკრიტიკებს კიდეც - ამ პროფესორ მულდაშევს ელენე ბლავატსკაიას "საიდუმლო დოქტრინა" ამდენი რომ არ ეკითხა და ცოტა გეოლოგიაშიც ჩაეხედა, ხომ ეცოდინებოდა, რომ ეს მაგისი აკვიატებული ტიბეტიც და ჰიმალაებიც ვერ გადარჩება, კონტინენტები მოძრაობენ და სულ სხვაგან იქნება რამდენიმე მილიონი წლის მერე მთებიო...

აი, ამეებს ვფიქრობ და ნატამ გადაურეკა მარის, თორმეტი საათისკენ, - რა ქენი, ჩიტო, მიხვედი მარქარაშვილთანო?..

ჰო, დედა, ახლა მივედითო, - მარიმ უთხრა, - აი, ტელეფონის ნომერი ჩაიწერე, აქ ვიქნებიო.

და ნატამაც ჩაიწერა ტელეფონის ნომერი - შვიდი-შვიდი, სამი-სამი და ექვსი-ექვსი. თან დაუბარა, - აბა, შენ იცი, დიდხანს არ დარჩეო. ვითომ "ბლატნოი" ნომერია, მაგრამ სამი-სამი და ექვსი-ექვსი ძალიან საშინელი რიცხვები ყოფილა პითაგორას მიხედვით...

ჰო, კარგი, პაკაო, - უთხრა მარიმ და გაუთიშა მობილი.

- თუკი ვაკის რომელიღაც კლუბში წავიდა, ლუდის ბარში რაღა უნდოდა?

რა ვიცი, - მხრებს იჩეჩავს ცოლი.

ვაგრძელებ ერნსტ რიფგატოვიჩ მულდაშევის წიგნის კითხვას, პირველის თხუთმეტი წუთია და ნატას მობილური ისევ წკრიალებს.

დიდად აღარ მივაქციე ყურადღება - ნაწყენი ვარ, რა უნდა ღამით ლუდის ბარში?..

- ვაიმე, შვილო! - იკივლა ნატამ, - რა იყო, დედა, რა მოგვივიდა?

ეროვნული ბიბლიოთეკა

მობილური გაეთიშა.

- ვაიმე, მიშველე კახა! მარიმ დამირეკა, "მიშველე, დედა, ავად ვარ!". ჩქარა, რაღაც ამბავია!..

კახა მე ვარ და რაღა დროს მულდაშვილი და წუთი-წუთზე დასაწყები ფუტბოლია!..

წამოვხტი მაშინვე, საგარეო შარვალი ამოვიცვი მხოლოდ, ზემოთ ტილოს ლურჯი სპორტული მეცვა და პირდაპირ იმაზე გადავიცვი შავი, უსახელო ჟილეტი.

კიდევ დარეკა ნატამ, მაგრამ მარის უკვე ენა ებმოდა - ასე იძახის: "მიშვეე დეე..." მეტს ველარაფერს ამბობსო.

კიდევ დარეკა ცოლის მობილურზე და ისევ გაითიშა.

- სახლის ტელეფონზე დაურეკე მეთქი! - ვუყვირე.

დარეკა.

- მარქარაშვილის ბინაა? მარის დედა ვარ. ჩქარა, მითხარით მისამართი, თუ არადა, პოლიციით მოვდივარ!..

ამისი თქმა იყო და რამდენიც არ დარეკა ნატამ, იმდენი გაუთიშეს.

ამასობაში მზად ვიყავი.

ახლა მე დავიწყე რეკვა და სახლის ტელეფონს აღარავინ იღებდა.

ნატა კი იცმევდა და მოსთქვამდა - ვაიმე, მომიკლავენ ჩქარა, კახა, ჩქარაო.

გავრბოდით ბავშვთა საავადმყოფოსკენ, თან ნატას ვუყვიროდი:

- იმათი სახლის ტელეფონი აესე გეჭიროს ორ თითში და როგორც კი მოგთხოვ, მაშინვე მომეცი! სად უშვებდი, რო უშვებდი?! ღამის კლუბი მე მომატყუეთ, თორემ ხომ იცოდი, რომ ლუდის ბარში მიდიოდა?!

- კარგი, თავი ხომ არ-უნდა მომაკვლევინო, შევცდი ერთხელ! - ტიროდა ნატა.

თან დარეკვას ვცდილობდი, მაგრამ მარის მობილი ითიშებოდა. აშკარად ვიღაც უთიშავდა.

ჰო, ასე იყო - დაირეკებოდა ნატასთან და ტირილნარევი ხმით დაიწყებდა ჩემი ცოლი - "რა იყო, დედა, მისამართი მითხარი, მისამართი. ქუჩა, ქუჩა მითხარი!.."

"ქუუჩა... ქუუჩა" - მიუგებდა ენადაბორკილი მარი და ისევ უთიშავდა ვიღაცა.

ასე მივირბინეთ სახანძროს უკანა ეზომდე, იქ ვაჩერებ ხოლმე ჩემს მანქანას ღამეში მანეთად, სახლთან ვერ ვტოვებ, "ოპელებზე" ხომ სარკეებს იპარავენ.

თან ბენზინი წითელანთებული იყო, სასწრაფოდ უნდა ჩამესხა. არც ყარაულების მანეთ-მანეთი მქონდა მიცემული.

ნატას ორმოცდაათი მანეთი ჰქონდა ნასესხები და ის წამოიღო.

გამოვაქროლე გიჟივით მანქანა, სარაჯიშვილის აღმართიდან ჩამოვიარე, რუსთაველზე გამოვედი, დავუხვიე ელბაქიძეზე და ქვემოთ დავუყევი, "ლუკოილში" ბენზინის ჩასხმის დრო აღარ იყო. იქვე ჩავასხი და ძნელაძეზე გავვარდი, მთაწმინდის რაიონის პოლიციაში.

შევქროლდი ეზოში, გადმოვხტი, შევირბინე შენობაში, მაგრამ იქ არავინ იყო. დავრბოდი დერეფნებში, მთელი ხმით ვღრიალებდი, მაგრამ არავინ გამოსულა. მერე გამახსენდა, მთაწმინდისა და კრწანისის პოლიციები ხომ შეერთდა და მგონი, ათონელის ქუჩაზე გადავიდნენ. მაშინ კი რა მახსოვდა, ჭკუიდან ვიყავი გადასული უკვე.

დავქოქე და მეიდანში გავვარდი.

ერთხელ მარი წავიდა, მაშინაც ღამით მაგ მარქარაშვილთან და მეიდანში, ხიდის პირდაპირ მდებარე მოედნამდე მივიყვანე და ვიღაც ბიჭი დაგვხვდა და იმან წაიყვანა მაშინ მარი.

ახლაც იქ გავაჩერე მანქანა.

გზაში ნატა საპატრულო პოლიციაში რეკავდა, მაგრამ ვერ დარეკა.

მე მანქანიდან გადმოვხტი, ტაქსი გავაჩერე და ყვირილით ვთხოვე:

- თუ საპატრულო პოლიცია ნახო, გამომიგზავნე. ტელეფონს უთიშავენ ჩემ ბავშვს და მომიკლავენ, ჩქარა!

მძღოლმა ეჭვით შემათვალიერა და მანქანა ადგილიდან მოწყვიტა.

მერე იქით, ჯიხურებთან გადავირბინე. საპატრულოში როგორ უნდა დავრეკო მეთქი.

ნულ-ორი-ორიო.

რვიანით ვერ ვრეკავ მეთქი.

წინ რვიანი არ უნდაო.

ავკრიფე მეორედ და როგორც იქნა გავედი.

- გოგონა, მიშველეთ, თქვენი ჭირიმე, ვინმე გამომიგზავნეთ. ტელეფონის ნომერი ვიცი სახლის, ბავშვი ცუდად არის და სახლის მისამართს არ მეუბნებიან. მიშველეთ, არ მომიკლან, ჩქარა!

- კარგი, დამშვიდდი. წელან თქვენმა ცოლმა დარეკა, ტელეფონი გვითხრა, მე შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპიუტერულ ცენტრში დავრეკე, სახლის მისამართი ვიცით და ჯგუფი გავიდა! - მამშვიდებდა ქალის ხმა.

ამ დროს საპატრულო პოლიციის თეთრ-ლურჯი მანქანაც გამოჩნდა, ჩართული სირენებითა და სახურავზე ანთებული მოციმციმე ფარებით.

თანაც ვიღაცა იმ უბნელები აგვივლიდნენ და ჩაგვივლიდნენ ხოლმე, რომ ჩვენი ლაპარაკი გა-

ეგოთ.

- ჩქარა, მიშველეთ! აი, ტელეფონი, ჩემი ბავშვი იქ ჰყავთ. ქურდის ბინაა. მიშველეთ!

- დაწყნარდით, მეგობარო! - პატრულმა რაციაზე გამოიძახა მეორე მანქანა. - ის ჯგუფი გავიდა? ჰო, გასულა.

- ბელუჯის ქუჩაზეა. ოცდაექვსი ნომერში. მაგრამ იქ ყველაფერი დაკეტილია.

მოვარდა მეორე საპატრულო მანქანაც.

გამოგვყევითო.

დავიძარით. მივვარდით ბელუჯის ქუჩაზე.

დაკეტილი კარი ქუჩის მხრიდან შეამტვრიეს. შევვარედით შიგნით. ავირბინეთ მეორე სართულზე. ვიღაცას გააღებინეს კარი. მე სულ წინ გავრბოდი და პატრულები უკან მწევდნენ, ჩვენ გვაცადეო!

იკითხეს მარქარაშვილის ბინა.

- აქ არ არის, მეორე მხრიდან უნდა მოუაროთ, ყურყუმელის ქუჩის ჩვიდმეტი ნომრიდანო.

გამოვიქეცით სასწრაფოდ და მოვუარეთ მეორე მხრიდან.

ეზო იყო იქ. ეზოიანი ძველებური სახლი და იმ ძველებური სახლის ეზოში ჩადგმული იყო თეთრად შეფეთქილი ორსართულიანი სახლი, ფანჯრებზე აფარებული თეთრი რკინის ჟალუზებით. დაბლა ერთი ფანჯარა, მაღლა ორი ფანჯარა. სახლი ჩაბნელებული იყო.

პატრულები რაციებზე ლაპარაკობდნენ და საბოლოოდ დაადგინეს, რომ ეს ნამდვილად ის სახლი იყო.

დარეკეს ზარი. კარი არ გააღო არავინ.

ახლაც, ამას რომ ვიხსენებ და გიყვები, სულ ხელები მიკანკალებს...

როგორ თუ რა უნდა მექნა?! შენ ხომ არ გავიწყდება, ხევსურეთიდან რომ ჩამოვიდა პაპაჩემის მამა?!

ჩემი სკალპელი მქონდა წაღებული და რაღაში მაინტერესებდა, თუ ქურდის შვილი იყო ის შალვა მარქარაშვილი - მარი რომ ცოცხალი აღარ დამხვედროდა, სულ ნაკუწ-ნაკუწ ავჩეხავდი, ხელს ვერ შემიშლიდა ამდენი პატრული ანდა იმის ხსოვნა სადღა იყო, რომ ოფთალმოლოგიაში მაქვს დაცული საკანდიდატო დისერტაცია და ეს მეორე, სადოქტორო, კიდევ დასამთავრებელია.

- გააღეთ კარი, საპატრულო პოლიციაა! - უკვე მერამდენედ უმეორებდნენ შიგნით მყოფებს.

შიგნით მართლა იყვნენ ვიღაცები, რადგან მეორე სართულის ფანჯარაში დავინახე, ვიღაც იყურებოდა. თან ჯერ შუქი ენთო, მერე ჩააქრეს. კარგად გავარჩიე იმისი ოთხკუთხა თავის მოხაზულობა და რაკი ადრეც მყავდა ნანახი, მიცნობდი, ეს იყო შალვა მარქარაშვილი.

- გააღე, შალვა! გამიღეთ, ხალხი არა ხართ, გამიღეთ, საავადმყოფოში უნდა წავიყვანო ბავშვი. ნუ მომიკალით, თქვენი დედა მეთქი! - ვლრიალებდი დროდადრო და პატრული მამშვიდებდა. სხვა პატრულები კი სახურავზე ადიოდნენ, იქნებ იქიდან იყოს ჩასასვლელიო.

- გააღეთ, თქვენი ჯიში და ჯილაგი გადაშენდა! გააღეთ, ნუ მომიკალით ბავშვი! გააღეთ, საავადმყოფოში უნდა წავიყვანო!

არ აღებდნენ, რა თქმა უნდა.

პატრული და სხვებიც მატულობდნენ. ისიც კი მოვიდა, შეთავსებით ტელევარსკვლავი რომ არის და ძირითადად პოლიციის მაღალჩინოსანი - ჯომარდი მებუკე.

გამოჩნდა ვიღაც სამოქალაქო ფორმიანი და გააღეთ, პატრულის უფროსი ვარო.

არც იმისმა თქმამ გასჭრა.

- გააღეთ! გააღეთ! - ვხაოდი მე.

მერე ერთმა პატრულმა მოირბინა და - სახურავზე ორი ბიჭი ამოვიდა იმ სახლიდან, ერთი დავიჭირეთ, ერთი კი გაგვექცაო.

მე უკვე ვფიქრობდი, რომ წამლის დიდი პარტია ჰქონდათ ამ სახლში, იმ გაქცეულმა გაიტანა სახლიდან და ალბათ, სადმე მიმალა.

მოიყვანეს დაკავებული ბიჭი.

მივარდა ნატა:

- შვილო, ვახტანგ, მარი იქ არის? შენ ხომ მარის ყოფილი ჯგუფელი ხარ?

- ვინ არის მარი, საერთოდ არ ვიცნობ! - ასე უთხრა იმ დამპალმა.

მერე ის დაკავებული ვახტანგი თავის ხელბორკილებიანად მიიყვანეს რკინის თეთრ კართან და იმას ათქმევინეს, - აზრი არა აქვს, კარი გააღეთო! - და როგორც იქნა, გააღეს კარი.

გააღეს კარი და შევვარდი.

ჩაკეტილი ფანჯრების გამო ოთახები დახუთული იყო.

პირველ სართულზე რომელიღაც ოთახში სუფრას მოვავლე თვალი.

- მაქეთ არა, კიბეზე. - მითხრა ვიღაცამ.

კიბეზე გავვარდი.

- ახლა მარცხნივ მოუხვიე! ახლა იმ ოთახში შედი.

შევვარდი ოთახში.

ეს ის ოთახი იყო, საიდანაც ოთხკუთხა თავი მიყურებდა ფანჯრიდან.

მარი ორსაწოლიან ტახტზე იწვა, ფეხზე გახდილი ჰქონდა. თავთან, ორივე მხარეზე გულარეულები იყო, რომლებსაც სასმელის სუ-

ნი არ უდიოდა.

მივედი, ვენები ვუნახე პირველ რიგში. არაფერი ჰქონდა, მაგრამ ვეღარ ლაპარაკობდა.

- არაფერია, კახა ბიძია, რამდენიმე ჭიქა დალია, ოთხი ჭიქა არაყი და ცუდად გახდა, - თავს იმართლებდა შალვა.

- რატომ არ დარეკე, რომ საავადმყოფოში წაგვეყვანა? - უკივლა ნატამ.

- მე მეგონა, დილამდე აქ იქნებოდა და მერე მოგიყვანდით.

- წადი, მოშორდი აქედან, მე შენ კაცი მეგონე! - ვუყვირე მე, - ჩქარა, სასწრაფო.

- დარეკილია, ახლავე მოვლენ, შენ დამშვიდდი, - მითხრა ჯომარდი მებუკემ, - უბრალოდ, დალია და მეტი არაფერი.

მერე სამოქალაქოფორმიანმა მარის თვალის ქუთუთოები გადაუწია.

- გუგები დაპატარავებული არა აქვს, ნუ გეშინია, წამალი არა აქვს გაკეთებული.

მარი ყველა მისულს ხელს ჰკრავდა და რუსულად იძახდა.

- ატაიდი! ატაიდი! ატაიდი!..

ასევე არ უშვებდა სასწრაფოს ექიმებს თავისთან.

- აქ არაფერი არის საშიში! - მერე სატელევიზიო ვარსკვლავი და თან პოლიციელი ჯომარდი მებუკე მამშვიდებდა.

- იცით ვისი შვილიც არის და ყველანი ხელს აფარებთ!

იქითა ოთახში ბიჭებს ვენებს უსინჯავდნენ.

- არავინ არის კაეფში. ნუ ღელავთ, ქალბატონო. მე, პირიქით, მაწყობს, რომ იყვნენ, მაგრამ არ არიან. - ნატას ამშვიდებდა ერთი ძალოვანი.

მერე საკაცის მოტანას ველოდით.

იგვიანებდნენ.

ჯომარდი მებუკემ აიყვანა მარი და კიბემდე იმან მოიყვანა, მერე მე ავიყვანე, ჩავიარე კიბე, დავიარე დერეფანი და ერთგვარი შვება ვიგრძენი, რომ ამ სიკვდილის სუნიანი სახლიდან გამოვედი.

- მარი, ნუ გეშინია, მარი! მე კახა ვარ და ყველაფერი კარგადაა! - ვეუბნებოდი ჩემს შვილს, მაგრამ იმას არაფერი ესმოდა.

ერთი ის იყო, რომ მე აღარ მეუბნებოდა:

- ატაიდი! ატაიდი!

მივიყვანე სასწრაფომდე.

გავაღეთ კარი, დავაწვინეთ საკაცეზე.

- მიხაილოვში მივიყვანთ! - მითხრეს ექიმებმა.

- საით არის მიხაილოვი, აღარ ვიცი! - დავიჩივლე, მაგარი არეული ვიყავი, თორემ ზემელზე ვარ გაზრდილი.

- აქვე, პლეხანოვზე. ჩვენ მოგვყევი!

- დაჯექი, მე წაგიყვან! - მითხრა ჯომარდი მებუკემ.

- არა, მანქანით ვარ!

- მოიცა, კახა, მეც შენ გამოგყვები! - ნატაც მე გამომყვა.

ჩაჯდა თუ არა, სიგარეტს მოუკიდა. ხელები უკანკალებდა.

- ხომ არაფერი მოუვა, კახა? - მეკითხებოდა გზაში.

- ახლა ნულარ გეშინია, მივხედავთ!

- როგორ იპოვე მარტო ტელეფონით, შენ რა მაგარი ყოფილხარ, კახა! - მეუბნებოდა გზაში.

შევედით მიხაილოვის საავადმყოფოში.

გავაჩერე მანქანა.

სასწრაფოდან საკაცით გადმოიყვანეს მარი და შიგნით შეარბენინეს.

მწვავე მოწამვლების რეანიმაციულ განყოფილებაში ადგილი არ იყო, მარისთვის საწოლი ჩადგეს.

იქ იყო ლურჯხალათიანი ექიმი ნინო. მარის ვენაში ჩაუდგეს წამალი, სისხლის გამასუფთავებელი, გემოდეზი ალბათ.

- კიდევ კარგი, რომ გული აერია. - თქვა ექიმმა, - თორემ უარესი იქნებოდა.

სასწრაფოს ექიმებს თუმანი მივეცი.

ისტორიის გახსნაში ოცი მანეთი გადავიხადე.

მერე ვიჯექით მე და ნატა და ვლაპარაკობდით, - თუ რატომ არ გვიღებდა შალვა მარქარაშვილი კარს, რატომ გვითიშავდა ტელეფონს, სახლისასაც და მობილურსაც.

მე ნარკოლოგიურ საავადმყოფოში წავედი, იქ ვიკითხე, რა ვქნა მეთქი.

შარდი მოგვიტანე, სისხლი არ გვინდაო.

რასაც შენ ლაპარაკობ, ეს იმისი ნიშნებია, რომ სასმელში ჩაუყარეს რაღაცაო, მითხრა ერთმა კაცმა. ეს ოხერი, ცოტა ექიმი მეც ხომ ვარ, მაგრამ არაფერი აღარ ვიცოდი!..

დავბრუნდი ნინოსთან.

- შარდი უნდა ავულოთ.

- კათეტერს ვერ ჩავუდგამ, ცოდოა. სითხის გამომყოფს მივცემ და მალე მოშარდავს.

ნინომ ოთხმოცდაშვიდი მანეთი გადამახდევინა ალკოჰოლით მოწამვლის მკურნალობისთვის.

- დილისთვის სახლში გამოვუშვებ. იცით რა, სულ რუსულად მელაპარაკება, თავი ისევ იმ კამპანიაში ჰგონია. "Что ты выпила?"-მეთქი და "Ману"-ო. "Что, что?"-მეთქი და "Ах, как Вы не знаете "ману?" - უკვირს. რა არის ეს "მანა",

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი გამაგებინეთ.

- არ ვიცი, ალბათ რომელიმე არყის სახელია. - ასე ვუთხარი.

მე რომ სახლიდან ფულის მოსატანად მივდიოდი, მოვიდნენ შალვა მარქარაშვილის დედა, სახელად თამარი და მოდელიერების წრეში მოტრიალე დეიდა - ნატალი.

თამარმა ნატას უთხრა, - აბა, ჩემი შალვა რა შუაშია?! მე რა ვიცი, შენმა შვილმა ჩემს სახლში მოსვლამდე რა დალია იმ ბარშიო... და ფული ხომ არ გჭირდებათო. სულ მუქარის კივილით ლაპარაკობდაო.

მაგისთანა ქალს ვერაფერს მოუხერხებს კაცი.

ქიმიო-ტოქსიკოლოგიური ლაბორატორიის უფროსმა ქეთა იაშვილმა დაიტოვა შარდი და მეორე დღეს დასკვნა მომცეს: "ბიოლოგიურ მასალაში იმუნოქრომტესტებით გამოკვლევით არ დადგინდა ბარბიტურატების და ბენზოდიზეპინის შემცველობა".

ლაბორანტმა დიანა იმედაძემ მითხრა, რომ მართალია ფსიქოტროპული ნივთიერებები არ დადგინდა და არც ოპიატები, მაგრამ ქალაქში ძალიან არის გავრცელებული კლოფელინის გამოყენება. ოთხი ტაბლეტი კლოფელინი უნდა გახსნა ან ჩაიში, ან სასმელში, გემოს არ უცვლის და - რამდენიმე წუთში ადამიანს დამბლას დასცემს, ენა ებმის, ველარ ლაპარაკობს, ითიშება. თანაც სასუნთქ გზებზე არ მოქმედებს. ჩემი დაქალი რესტორანში წავიდა მეგობრებთან და ისეთი კაცის საწოლში გამოიღვიძა, რომელიც სძულდა. გათიშული გამოუტანიათ რესტორნიდან. ეს ცნობილი მეთოდია, მთელ ქალაქში ამით სარგებლობენ გაძარცვისას, პუტანკებიც ამას იყენებენ. თანაც მთელმა კრიმინალურმა სამყარომ იცის, რომ კლოფელინის შემცველობის დამდგენი აპარატურა საქართველოში არ არსებობს, შარდის ანალიზი მოსკოვში უნდა გაკეთდეს, სკლიფასოვსკის სახელობის სასწრაფო დახმარების ინსტიტუტში, რეანიმაციულ განყოფილებაში, მწვავე მოწამვლების ცენტრში, ქიმიურ-ტოქსიკოლოგიურ ლაბორატორიაში. და სანამ იქამდე ჩააღწევ, მანამდე ის შარდი აიმღვრევა, რამდენი მშრალი ყინულიც არ უნდა შემოუწყო და მორჩა, ვერაფერსაც ვეღარ გაიგებენ.

ვიყავი სამედიცინო უნივერსიტეტის ფარმაკოლოგიური კათედრის პროფესორ თინათინ ლისაშვილთან. ბევრი ეცადა, მაგრამ ჩვენში კლოფელინზე მომუშავე ექსპერტი საერთოდ ვერ იპოვა.

ამ ექიმებთან ლაპარაკებისას მე ყველგან ვტოვებდი ამბავს, რომ ჩივილს კი არ ვაპირებ, უბრალოდ, ჩემთვის მინდა ვიცოდე, არის თუ არა კლოფელინი გამოყენებული. მაგრამ ამის დადგენა ვერ შევძელი.

მერე ნატა მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ თურმე, სანამ მარი წავიდოდა იმ ღამით, მანამდე დღისით ალერგიის საწინააღმდეგო სუპრასტინი დაულევია, მერე სმირნოვის არაყიც რომ დაუყოლებია, (თავისი თქმით, ერთი ჭიქა. მარქარაშვილმა კი ოთხი ჭიქა თქვა), - იმიტომ გამხდარა ცუდად. მაგრამ მე არ დავუჯერე.

მარქარაშვილს დაურეკია, ჩემი დედაო რა, თუ მე რაღე დამეშავებინოს შენთვისო, ამოვალ და მამაშენს "გავუიასნებო". მარის ეთქვა, არ ამოხვიდე, მოერიდეო.

დღეს, დილით საავადმყოფოს მორიგეობიდან რომ მოვბრუნდი, მარისთან შევედი, ყველაფერს ვუყვები ხოლმე თუ რამე მოხდება ჩემსკენ. წინა დღეს ჭაბუა ამირეჯიბი გვყავდა სტუმრად და თავისი წიგნი მაჩუქა ავტოგრაფით. ეს უნდა მეხარებინა.

შევედი, შევხედე და ენა დამება - გაოგნებული ადამიანის გამოხედვა ჰქონდა. ნუთუ შეიძლება ადამიანებმა ასეთი რამეც მოიფიქრონ? - ალბათ, ამას ამბობდნენ ჩემი შვილის თვალები... და ამ თვალებმა მიმახვედრა, რომ დავისაჯე - ეს ეზოთერული ცოდნა მთელი თავისი ბლავატსკაიაებით და შტაინერებით ხომ პირდაპირ მთავარი ეშმაკიდან მოდის... მე კიდევ ვიჯექი და პირდაღებული ვკითხულობდი თუ როგორი იქნებოდა დედამიწის აღსასრული, იგივე მეორედ მოსვლა, რომელიც ქრისტიანული სწავლებით, არავინ იცის, როდის იქნება.

და, თურმე, მარის რა ემუქრებოდა...

თუ იცი, რომ მარქარაშვილივით სახენაყვავილარი, მუდო და ნარკუშა ხარ და მარისთანა გოგო ზედ არ მოგაძღინკებს, აფთიაქში უნდა წახვიდე და ბებიაშენის მაღალი წნევის მომიზეზებით კლოფელინი იყიდო. მერე შინ მიიტანო და კარგად, წვრილად დაფქვა ოთხი ტაბლეტი და ის დაფქული მასა რამე პატარა შუშაში საიმედოდ შეინახო.

ამის მერე თათა ნოდიასნაირ ბანძს უნდა უთხრა, რომ როგორმე ერთი ღამით მშობლებს შენს სასტავში გამოაშვებინო მარი - მცხეთაში უკეთესია, მაგრამ რაკი იქ არ ხერხდება, ჯანდაბას, იყოს ყურყუმელის ქუჩა მეიდანში.

და მარის რომ მოგიყვანს თათა ნოდია, შეპირებული წამალი უნდა მისცე და შენი სახლიდან შინ გაუშვა, რაღად გინდა?

მარის კიდევ ის შუშაში გამზადებული კლოფელინი უნდა ჩაუყარო არყის ჭიქაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

და კარგად მოურიო. სულ ღიმილ-ღიმილით უნდა მიაწოდო, - ისე, რომ ვერავინ მიხვდეს.

დალევს და ცუდად რომ გახდება, უნდა უთხრა - ვაიმე, მარიშკა-ჯან, ეს რა მოგივიდა, მალლა ადი, სპალნაში დაწექიო.

ისიც ავა და დაწვება.

დაწვება და ნელ-ნელა გაითიშება.

გაითიშება და შენია მთელი ღამე ეს მშვენიერი გოგო, რაც გინდა, ის გაუკეთე...

დილით კიდევ პატარა ისტერიკას მოგიწყობს, - ეს რა გამიკეთე, შე დეგენერატოო. პატარასაც წაუტირებს და მერე იმის შიშით, რომ მშობლებმა არ გაიგონ, რომ ქალიშვილი აღარ ვარო, სულ ჩაიგდებს ენას.

ჩაიგდებს ენას და შენი საყვარელი გახდება.

გახდება და აღარ იქნება თეთრი ყვავივით შენს სასტავში.

მერე პატარა მოსაწევი, ზედაც წამალი და, - მარიშკა-ჯან, უკვე ჩვენიანი ხარ, საბოლოდ, შენი ხელით ჩამოგვიტან მარიხუანას კბილის პასტით, ნიდერლანდებში რომ გაგიშვებთ.

ოღონდ ეს მარი ოხერი გამოდგა.

ჯერ ერთი, შენი სახლის ტელეფონი მისცა თავის მშობლებს. კლოფელინიანი არყის დალევის მერე კიდევ, სანამ გაითიშებოდა, დედამისთან დარეკვა მოასწრო, მიშველეო.

შენ რომ მარქარაშვილი ხარ, ქვემოთ მოქეიფე ბიჭებთან ზიხარ და არ ჩქარობ მარიშკასთან განმარტოებას, რომ ეჭვი არ აიღოს არავინ, აი, მაშინ დარეკა სწორედ.

მერე კი, შენ რომ ახვედი, უკვე ველარ ლაპარაკობდა, მარტო დარეკვას თუღა ახერხებდა. და რომელი სულელი მშობელი მიაქცევდა ყურადღებას შვილის წამდაუწუმ დარეკვას?

ახლა, მართალია, მალე მოვიდნენ და ვერაფერი მოასწარი, მაგრამ ვერაფერსაც ვერ დაგიმტკიცებენ - ჩვენს ქალაქში კლოფელინის შემცველობის გაგება არ ხერხდება. მოსკოვში თუ წაიღეს ანალიზები, მაშინ ჭაკად ექნება საქმე. მით უმეტეს, იქაური სტუდენტობის ძმაკაციც ჰყოლია.

ამიტომ აეროპორტში უნდა გაათენოს და დაალამოს სამი "სუტკა" და მარის მამას უყარაულოს, აბა, ვინმეს ხომ არ ატანს რაიმე თერმოსს, რომელშიც შარდი იქნება.

"Ах, как Вы не знаете "ману?" - ახლაც ყურში მიტრიალებს ეს სიტყვები. ესე იგი, "მანა", "მანა"

რა უნდა ყოფილიყო, ნეტავი?

არ ვიცი, შეიძლება თანამედროვე ახალგაზრდებს ძალიან ჩამოვრჩი, მაგრამ არც ისეთი ბებერი ვარ, რომ ამათ თანატოლებს ვერსაიდან მივდგომოდი.

ჰოდა, ამიხსნეს კიდეც...

"მანა" რა უნდა იყოს, რა უნდა იყოს და, შეიძლება იმათ "სასტავში" შემოკლებით ასე ეძახიან "მანაგუას".

ეს "მანაგუა" კიდევ კანაფის ფოთლებისგან იხარშება შედედებულ რძეში და ქვაბის მოსარევად გაზქურასთან მისულ იმის გამკეთებელს უცებ რომ შეხედო, ჯოჯოხეთის ცეცხლმოდებული მუგუზლებით სახეგანათებული რომელიმე დაბალი რანგის ეშმაკი გეგონება...

მოკლედ, ახლაც არ ვიცი, ოთხი ტაბლეტი კლოფელინით დავისაჯე თუ "მანაგუათი", მაგრამ იმ საყოველთაო სიკეთის ნიღაბსამფარებული, მაგრამ საეჭვო ღირებულების წიგნის ცოტათი დაჯერებისთვის ზეციდან რომ გამისწორეს ანგარიში და გვარიანად შემაშინეს, ფაქტია - ის ამბავი რომ მომხდარიყო, რისი გაფიქრებაც კი მზარავს, ვაითუ თავიც კი მოეკლა მარის...

ეს ერნსტ რიფგატოვიჩ მულდაშვილიც კიდევ კარგი ვინმეა - რაის ეზოთერიული ცოდნები, ბლავატსკაიაები და შამბალები აგიტყდა, დაჯექი რა იმ შენს ბაშკირეთის დედაქალაქ უფაში და აკეთე თვალის გადანერგვის ოპერაციები ბიომასალა "ალლოპლანტით". ისე, მართლა უცნაური არ არის - მკვდარი ადამიანის ქსოვილი რანაირად აცოცხლებს სხვა ადამიანის შესაბამის ქსოვილს?

ეგ "ალლოპლანტი" თუკი აცოცხლებს, მაშინ უნდა მოკლას კიდეცო, - მეტყვი ალბათ და იმ ღამით, როცა აქ ეს ფეთიანი ამბავი ხდებოდა, თვალგადანერგილი "მაკინტოში" მოსკოვის იმ ოფთალმოლოგიურ კლინიკაში გარდაიცვალა მოულოდნელად, სადაც ჩემი მეგობარი ვლადიმირ ანდრეევიჩ ზიმა მუშაობს და სწორედ ქსოვილების დაშლით... და როგორც ვალოდია მატყობინებს, "მაკინტოშისთვის" დამზადებულ ინდივიდუალურ "ალლოპლანტში" თავისი შვილის ქსოვილებიც შედიოდა...

2005

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოჰსენ მახმალბაფი (1958წ.) ცნობილი ირანელი კინორეჟისორი, სცენარისტი და მწერალია. ქართველი მაყურებელი მის შემოქმედებას მხოლოდ ორი ფილმით ("პური და საყვავილე", "სიყვარულის ჟამი") იცნობს. სამწუხაროა, რომ ჩვენს მაყურებელს არ უნახავს მ.მახმალბაფის ფილმი "გაბე", რომელიც, ვფიქრობ, ყველაზე პოეტური ფილმია, რომელსაც ოდესმე გადაღებულა.

მ.მახმალბაფი საკუთარი ფილმებისთვის თავად წერს სცენარებს. მათი უმეტესობა გამოცემულია მის ნოველებთან, მოთხრობებსა და რომანებთან ერთად.

მ.მახმალბაფმა მოღვაწეობა პოლიტიკური საქმიანობით დაიწყო. მონარქისტული რეჟიმის დროს პოლიციელის განიარაღებისათვის ოთხი წელი ციხეში დაჰყო და მხოლოდ ისლამური რევოლუციის შემდეგ გათავისუფლდა. პატიმრობამ მნიშვნელოვანწილად განაპირობა მ.მახმალბაფის მომავალი ცხოვრებაც და შემოქმედებაც. ავტობიოგრაფიული ეპიზოდები გვხვდება როგორც მის ფილმებში, ასევე, მის პროზაშიც. "სულის ოპერაცია", რომელსაც დღეს მკითხველს ვთავაზობთ, ერთგვარად ეხმიანება მოჰსენ მახმალბაფის პოლიტიკურ ბიოგრაფიას, თუმცა ეს მოთხრობა ავტორის მხატვრული ფანტაზიის ნაყოფია.

მ.მახმალბაფი განსხვავებული ხელწერის მწერალია. უფრო ზუსტი განსაზღვრება, ვფიქრობ, ასეთი იქნებოდა: მოჰსენ მახმალბაფი არის რეჟისორი, რომელიც წერს.

"სულის ოპერაცია" არაჩვეულებრივად "კინემატოგრაფიული" ნაწარმოებია. მოთხრობის კითხვისას მკითხველი ძალდაუტანებლად "ხედავს" მოქმედებას, თითქოს ფილმს უყურებსო. მოჰსენ მახმალბაფის ენა სადაა, შედარებით მწირი მხატვრულ-გამომსახველობითი ხერხების გარეშე. ძლიერი მხატვრული ეფექტი აქ სიუჟეტის ემოციური დატვირთულობითა და თხრობის "ვიზუალიზაციით" მიიღწევა.

ქართულ ენაზე თარგმნილია მ.მახმალბაფის ნოველა "მაკოცე" ("ახალი თარგმანები 2005", მთარგმნელი თ. ჯაფარიძე).

მოჰსენ მახმალბაფი

სულის ოპერაცია



საზარელ ისტორიას გიამბობთ. გამომცემლის სნეგართვით, მკითხველს ვურჩევ, არ წაიკითხოს. გამომცემელმა ისიც კი გადაწყვიტა (მართალია, არ უთქვამს, აუცილებლადო) გარეკანზე დააწეროს: "თვრამეტ წლამდე ასაკის პირთათვის ამ წიგნის წაკითხვა აკრძალულია. ვისაც სუსტი გული ან ნერვები აქვს, ნუ წაიკითხავს". არ ვიცი, როცა წიგნს ხელში აიღებთ, ყდაზე გამაფრთხილებელ წარწერას აღმოაჩენთ თუ არა. არ გამოვრიცხავ, მოთხრობა ამ რამდენიმე სტრიქონითაც კი დაიწყოს.

მოკლედ, ერთი ურჩი კაცი გახლდით და, სხვა მრავალთა მსგავსად, თავი ხიფათში მქონდა გაყოფილი. გამომცემელმა ამიკრძალა იმის გამჟღავნება, რომელ იდეოლოგიას, დაჯგუფებასა თუ გაერთიანებას მივეკუთვნებოდი. კაცმა რომ თქვას, არც არაფერში გჭირდებათ. ეს დეტალებია. ერთხანს ვფიქრობდი: სხვა რომელიმე ჯგუფის ან დასის წევრიც რომ ვყოფილიყავი ან სხვა იდეოლოგიის მიმდევარი, ამით არაფერი შეიცვლებოდა. ეს არის არსებითი. მთავარია, შარიან საქმეს მოვეკიდე და ხიფათმა ყველაფერი გადამავიწყა. თქვენ, ალბათ, ამას მრწამსს დაარქმევთ. სიტყვებმა ჩემთვის უკვე ემოციურობა დაკარგეს. არც რამ

ეროვნული ბიბლიოთეკა

წმინდა დამრჩა, რომ მასზე დავიფიცო: არც ერთი სიტყვისა არა მჯერა. იქნებ იკითხოთ: "მაშ, რაღა გალაპარაკებსო?" ყველაფერი ნათელია: მომთხოვეს და მეც ვასრულებ - იმავე მიზეზით რა მიზეზითაც მანამდე სხვა რამეები ჩავიდინე. თავდაპირველად ასე არ მეგონა. მაშინაც კი, როცა დაპატიმრებული ვიყავი, ყველაფერს ვიფიქრებდი ამის გარდა.

მშვიდად ჩაიარა ყველაფერმა. ქუჩაში დამაპატიმრეს. ამას მოჰყვა ცოტ-ცოტა ჩვეულებრივი წამება: საწოლზე დაბმა და ფეხისგულებზე, წელსა და დუნდულებზე შოლტის ცემა, ელექტროშოკი, მძიმე ხელბორკილი, თავქვე დაკიდება, "ვინსტონით" ამოშანთვა - ეს სიგარეტი ხომ უკეთ წვავს. მეც, როგორც წესი და რიგია, ყველაფერი ავიტანე. შეთანხმებულ ზღვარს რომ გადავაბიჯე, ყველაფერში გამოვტყდი. ახლაც, როგორც ყოველთვის, ჩემი გამომძიებელი ვერაფერს გახდა - სულ გაბაზრებული ინფორმაცია დავუფქვი. თავადაც მეუბნებოდა, როცა გირტყამდი, არ ვიყავი დარწმუნებული, რომ იმ რამდენიმე საათში რამეს დაგაცდენინებდი, მხოლოდ სამსახურებრივ მოვალეობას ვასრულებდიო. ხმა არ გამიღია. მაშინ ავლაპარაკდი, როცა აზრი აღარ ჰქონდა ცემის მოთმენას. კიდევ შემეძლო საათები, თუნდაც დღეები ამეტანა ცემა და არაფერი გამეთქვა, მაგრამ ახლა, როცა უკვე საჭირო აღარ იყო, ჩვენს საათივით აწყობილ ორგანიზაციას კი ყველაფერი გათვლილი ჰქონდა, მეორე დათქმული მიჯნის გადალახვის შემდეგ შემეძლო თავისუფლად ავლაპარაკებულიყავი ისე, რომ არავინ დაეჭირათ. რა აუცილებელი იყო, შოლტი მომხვედროდა? ავდექი და ყველაფერი გმირულად დავფქვი. ჩემი გამომძიებელიც კი მასხრად ავიგდე. ის კი არა, რომ გამემწარებინა, ვუთხარი, ნეტავ, შენც მომეკალი-მეთქი. გამომძიებელმა მშვიდად მკითხა: "განა მიცნობდი?" "კი, რევოლუციონერების რადიოდან გაგონილი მქონდა შენი სახელი და ვიცოდი შენი კაიკაცობის ამბავი. ეგ არის და ეგ"- მეთქი, მივუგე.

გაუსწორდა ასეთი პოპულარობა! საკუთარი წარმატებით გალაღებული თავდაჯერებული კაცივით მოუკიდა სიგარეტს. მერე თავაზიანი ოფიციანტივით საგამოცდო ფურცლის მსგავსი ღერბიანი ქაღალდი დამიდო:

- შენს ჩვენებას რითი დაადასტურებ?

დავუწერე: "ხელმოწერით". მითხრა, თითის ანაბეჭდიც დატოვეო.

დანარჩენი ხომ ისედაც ცხადი იყო. არ მჭირდებოდა პროკურორის ბრალდებების მოსმენა, ან ჩემს "საქმეში" "შეიარაღებულ მეამბოხეთა დაჯგუფებაში მონაწილეობის" შესახებ მუხლის ნახვა, რაც, სულ მცირე, სიკვდილით დასჯას გულისხმობდა. დაპატიმრებამდეც ვიცოდი, რომ ჩემი დახვრეტის ბრძანება გაცემული იყო. ამიტომაც, როდესაც ჩემმა ცოლმა სუსანმა, ქალიშვილმა მუნამ და დედაჩემმა ნარგესმა მომინახულეს, სამუდამოდ გამოვეთხოვე მათ და ვუთხარი, არ დამლოდებოდნენ, შესაძლოა, ეს ბოლო შეხვედრა ყოფილიყო.

ეს იქიდანაც ჩანდა, რომ პირველი სასამართლოს შემდეგ ერთკაციან საკანში მომათავსეს. მეორე სასამართლოს მერეც ერთკაციან საკანში მოვხვდი. ის ერთი თვე, აპელაციის მოთხოვნა რომ გაითამაშეს, კედელზე ჩემს გალეულ ლანდს შევცქეროდი და დღეებსა და საათებს ვითვლიდი.

ამასობაში დადგა დახვრეტის წინა ღამე. ციხის, წამებისა და იმის თაობაზე, რაც იქ უნდა გადამხდომოდა, დაპატიმრებამდე უამრავი რამ მქონდა წაკითხული და გაგონილი, ასე რომ ჩემთვის ყველაფერი დღესავით ნათელი იყო. ჰოდა, წესით, ხვალ, ანუ მეორე სასამართლოდან ზუსტად ერთი თვის თავზე, სასიკვდილო განაჩენი უნდა აღსრულებულიყო. ამიტომ შევეცადე, დახვრეტისთვის მოვმზადებულიყავი. რა თქმა უნდა, გაიკვირვებთ, სიკვდილის წინა ღამის შესახებ ასე გულგრილად რომ ვლაპარაკობ და არაფერს ვამბობ, რა დღეში ვიყავი ან როგორ ვიქცეოდი. სავსებით ბუნებრივია. დღევანდელი გადასახედიდან ყოველგვარი აღელვების გარეშე ვფიქრობ იმ წუთებზე. ჩემთვის სულერთია, იმ ღამით შეშინებული ვიქნებოდი თუ სიკვდილით აღტკინებული. სინამდვილეში, ერთიც იყო და მეორეც. როცა იცი, რომ სიკვდილი გარდაუვალია და აქ ყოველივე დამთავრდა, გინდა, მოსახდენი, რაც შეიძლება, მალე მოხდეს. გარდაუვალი სიკვდილი უფრო იოლია და ადვილად მისაღები ვიდრე სავარაუდო სიკვდილი, რომელიც, ღმერთმა იცის, როდის მოგეწევა. ასეა თუ ისე, უკანასკნელ წუთებში მომაკვდინებელი მოლოდინი გახრჩობს, ასე მარტივად რომ უნდა დამთავრდეს ყველაფერი და უკან დაბრუნება შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

უძლებელია; ადამიანმა ხომ არ იცის, სად წავა - აი, ეს არის ყველაზე უარესი.

იმ ღამით, იქნებოდა ასე რვა საათი, როცა დაკეტილი კარის ხმა გაისმა. გუშაგის ფეხის ხმამ ჩემს საკნამდე მოაღწია. საკნის კარის რაზა გაიღო და შუქმა შემომანათა. სინათლეზე გუშაგის ფიგურა ჩემზე წამომართულ ურჩხულად მომეჩვენა. არ ვიცი, ასე პატარად რად ვიგრძენი თავი. თითქოს სხეული გამნახევრებოდა. მაშინაც, როცა მის ხმაზე უნებურად წამოვიწიე და ავდექი, ისევ მომეჩვენა, თითქოს მისი ნახევარი ტანისა ვიყავი, სიგრძე-სიგანით რამდენჯერმე აღემატებოდა. გუშაგმა თვალები ამიხვია, ხელი მომკიდა და საკნის კარი დაკეტა. გახევებული პლასტმასის ფოსტლები ჩექმით ჩემკენ გამოაცურა. ჩავიცვი და გზას გავუდექი. კიბეზე ასვლისას მივხედი, გამომძიებლის ოთახისკენ მივდიოდით, მეორე სართულზე. ჩემი გრძნობები განსხვავდებოდა ადრინდელისაგან, როცა ხან მდგომარე და ხან - მჯდომარე, დაკითხვაზე ამ კიბით ავდიოდი. გამომძიებლის ოთახში რომ შევედი, გუშაგმა თვალიდან სახვევი მომხსნა და წავიდა. როგორც ყოველთვის, გავიდა რამდენიმე წამი, სანამ გამომძიებელსა და ოთახს მკაფიოდ აღვიქვამდი. არსად ჩანდა ამ ადგილისათვის დამახასიათებელი, ფილმებში რომ აჩვენებენ, ისეთი განათების კვალი. ოთახს ნეონის ორი ნათურა ანათებდა. ამ შუქზე გამომძიებელი ფერმიხდილი ჩანდა. წამით ისიც ჩემი სიკვდილით შეშინებული მომეჩვენა. დაჯდომა შემომთავაზა, სიგარეტიც კი მომიკიდა და მკითხა, რამეს ხომ არ ვინებებდი. იმდენად გათიშული ვიყავი, პასუხის თავი არ მქონდა. რომ შეიძლებოდეს, ახლა თავად მას ვკითხავდი, რა ვუპასუხე მაშინ. ალბათ, მაინცდამაინც ქედმაღლობის გუნებაზე არ ვიქნებოდი და "არას" არ ვიტყოდი. უკანასკნელ წუთებში საკუთარ თავთან იმდენად გულწრფელი კი ვიყავი, რომ თავაზიანობაზე უარის თქმით არ მეკეკლუცა და ისევ რევოლუციონერობაზე არ დამედო თავი. ჩემთვის ისიც კმაროდა, რომ სიკვდილთან შეგებება არ გამჭირვებია; ჩემ უკან ყველა ხიდი საგულდაგულოდ გადავბუგე, რათა, რომ მომენდომებინა, უკან დაბრუნება ვერ მომეხერხებინა. არ მეშინოდა, ცოცხლად დარჩენის იმედი არა მქონდა. ჩემი საქმე იმდენად მძიმე იყო, რომ შეწყალების ალბათობა არ არსებობდა. მშვიდად ვიყავი, იმდენად, რომ "სამუდამო" "სიკვდილით დასჯაზე" უკეთესად არ მეჩვენებოდა. თუკი გამომძიებლის შემოთავაზების პასუხად არაფერი ვითხოვე, როგორც ჩანს, არც არაფერი მდომებია. ვერ გადმოგცემთ იმ ადამიანის გრძნობებს, რომელმაც იცის, რომ მოკვდება. ამ გრძნობის აღწერა შეუძლებელია. ისიც მსმენია, თურმე ბევრ რიგით მსჯავრდებულს არ სჯერა, რომ მოკვდება, ამიტომაც მშვიდად და თვინიერად მიდის სახრჩობელასთან. მე კი მჯეროდა. ვინ იცის, იქნებ სხვების შესახებაც ტყუიან.

გავიდა რამდენიმე წამი და გამომძიებელმა ხმა ამოიღო:

- გული არ მიშვრება ცუდი ამბის თქმას შენთვის.

მისი სიტყვები დამცინავად ჟღერდა. გავიფიქრე: "ნუთუ იმდენად ბრიყვია, არ იცის, რომ სასამართლოდან სიკვდილის განაჩენი მიღებული მაქვს? საათი და წუთიც კი შემიძლია ვივარაუდო." თითქოს ფიქრს მიმიხვდაო. ადრეც მინახავს მისი ასეთი გამომეტყველება. ხშირად თამაშობდა, თითქოს ყველაფერი იცოდა და ჩემი აზრების წაკითხვაც შეეძლო.

- არა, სიკვდილით დასჯაზე არ გეუბნები, ეგ ხომ ისედაც იცი. ამაზე უარესი ამბავია. მაგიტომაც არ მინდოდა ამის თქმა ახლა, როცა სიკვდილისთვის ემზადები. მოდი, თვითონ ნახე. გაზეთში წერია ყველაფერი.

წინ გაზეთი დამიგდო. ჯერ კიდევ გათიშული ვიყავი, ამიტომ რეაქცია არ მქონია. გაზეთი დაბლა დავარდა. აიღო, ჩემთვის რომ ეჩვენებინა. გადაფურცლა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. ისევ დახედა და გაითამაშა, თითქოს, რაც უნდოდა, იმას ვერ პოულობდა. გაზეთი მაგიდაზე დამიდო და გარეთ გავარდა. ვგრძნობდი, რომ იმ იდეალის გულისათვის, რომელმაც აქამდე მომიყვანა, ჭკუა უნდა მყოფნოდა და ამ ბოლო ანკესზე არ წამოვგებულიყავი. თუმცაღა, ჩემი ორგანიზაცია იმდენად სრულყოფილი იყო, რომ, გინდაც მოვტყუებულიყავი და მისთვის ზიანის მიყენება გადამეწყვიტა, ვერ შევძლებდი. ეს კი საკუთარი თავისადმი რწმენას მიმტკიცებდა. მაგრამ ცნობისმოყვარეობა არ მასვენებდა, მინდოდა გამეგო, რა მოიგონეს ასეთი, ან რა ფაქტი შეიძლებოდა კაცის სიკვდილით დასჯაზე უფრო მნიშვნელოვანი ყოფილიყო.

გამომძიებელი დაჭმუჭნილი, გაქონილი

FIG. 256.—THE INFRAHYOID MUSCLES IN FIG. 256, THE SUPERFICIAL MUSCLES OF THE FACE, THE HINDER PART OF THE PAROTID GLAND, THE SUBMAXILLARY GLAND, THE STERNOCLEIDOMASTOID MUSCLE, THE DIGASTRIC (POSTERIOR) BELLY OF THE OMOHYOID MUSCLE, THE UPPER PART OF THE CLAVICULAR PORTION OF THE PECTORALIS MAJOR MUSCLE, AND THE DEEP LAYER OF THE PECTORAL FASCIA, WERE REMOVED. THE DIGASTRICUS ORIS MUSCLE WAS INCISED ABOVE AND BELOW THE APERTURE OF THE MOUTH (RIMA ORIS) AND PARALLEL WITH THAT APERTURE, THE INCISION PERSISTING TO THE LABIAL GLANDS, IN ORDER TO EXPOSE THE COMMON ARTERIES OF THE LIPS.

The Deep Branches of the External Carotid, Subclavian, and Axillary Arteries.

77—2

გაზეთით დაბრუნდა ოთახში და მითხრა: "აჰა, მოდი. სადილის ჭურჭლისთვის გაუყოლებიათ გარეთ. ვირები არიან ეს გუშაგები."

ნაავარიეები მანქანა იყო გადაღებული. ერთხანს გამომძიებელს, მის საჩვენებლ თითსა და ფოტოს მივაშტერდი, რომელზეც მიმანიშნებდა. ვერაფერი აღმოვაჩინე. მერე გაზეთი სკამის სახელურზე ჩამომიდო, წავიდა, მაგიდას მიუჯდა და მითხრა:

- ნებისმიერ შემთხვევაში, ვწუხვარ, ასეთი ყოფილა განგების ნება: შენ და შენი ოჯახი ერთდროულად უნდა წასულიყავით ამ ქვეყნიდან.

იმწუთას ისეთივე გრძნობა მქონდა, როგორიც არაერთხელ განმიცდია, როცა ელექტროხელკეტს მიმაერთებდნენ ხოლმე. გაფიჩხებული ვიყავი, ტანი ნემსებით მეჭრნელიტებოდა, თვალები დამებინდა. წამით დამავიწყდა, სად ვიყავი.

დანამდვილებით არ მახსოვს, როგორ დავხედე გაზეთს და როგორ მოვერიე თვალწინ აკიაფებულ ვარსკვლავებს. სიმართლე აღმოჩნდა: სუსანი, მუნა, დედაჩემი და უცხო მამაკაცი - მძღოლი, მიკროავტობუსთან შეჯახების შედეგად დაღუპულიყვნენ.

გუშაგმა საკანში წამიყვანა. გამომძიებელმა ნება დამრთო, გაქონილი გაზეთი თან წამეღო. საკანში ინფორმაცია ათასჯერ წავიკითხე და არ დავიჯერე. ალბათ, ჩემთან შეხვედრიდან მიბრუნებულებს ავარია მოუხდათ, ალბათ, მძღოლს ჩაეძინა... თუმცა, რა მნიშვნელობა აქვს? მთავარია, რომ უეცრად, ჩემზე უწინ დაიხოცნენ. ათასნაირად წარმოვიდგინე ავარიის სცენა. მახსოვს, ხმამაღლა ვტიროდი და საკნის კარს თავს ვურტყამდი.

დილა იქნებოდა. საკანში გამომძიებელი შემოვიდა, გუშაგის სკამი დაიდგა, თან მოტანილი თერმოსიდან ჩაი დამისხა და მითხრა, ასეთი რამ ყველას ემართება და უმჯობესია, დახვრეტისთვის მოემზადოო. თავისი ჩაიც არ დაულევია, მე დამაძალა დალევა. უამრავი ილაპარაკა, ყური არც დამიგდია, რადგან გონებაში უცნაური სურათები კრთებოდა და ჩემი ფიქრიც თან მიჰქონდა: ოჯახის ავარია, სასიკვდილო განაჩენის აღმსრულებლები, მეგობრები, რომლებიც ხვალ ჩემი მოწამეობრივი სიკვდილის ამბავს ქვეყანას მოსდებენ...

ისევ გაისმა დაკეტილი კარის ხმა. გამომძიებელი გამომემშვიდობა და ვიგრძენი, რომ, მკვდრისა არ იყოს, შურისძიების გრძნობისაგან დავიცალე. სიკვდილის აჩრდილმა ისე ჩამითრია ფიქრებში, რომ სულ გადამავიწყდა, ეს კაცი ჩემი მტერი რომ იყო და დასახვრეტად მისტუმრებდა. ზედ არ შემიხედავს გუშაგებისთვის, რომელთაც ისე ნაზად მოეკიდათ ხელი ჩემთვის, თითქოს ძვირფასი სნეული ექიმის სანახავად ან სამკურნალოდ ფრთხილად მიჰყავდათ. არ ვიცი, რატომ გავიფიქრე, რომ დახვრეტისთანავე ჩემს ოჯახთან აღმოვჩნდებოდი. არ ვიცი, რატომ მეგონა, რომ გატეხილი თავითა და დამტვრეული ცხვირ-პირით უნდა მენახა ისინი ან საკუთარ თავს დაცხრილული მკერდით რატომ წარმოვიდგენდი. საბრალო მუნა! საბრალო სუსანი! ნეტავ უწვალებლად მომკვდარიყვნენ! ისიც ვერ გადამეწყვიტა, რა მენატრა: ცოცხლები ყოფილიყვნენ, ჩემზე ედარდათ, გარეთ მჩქეფარე ცხოვრებით ეცხოვრათ, თუ ღმერთისთვის მადლობა შემეწირა, რომ დაიხოცნენ. ერთი სიტყვით, იმ კაცის განცდები დამეუფლა, რომელსაც საყვარელი ადამიანი მოუკვდა, დასახვრეტად მიჰყავთ და დედის სიკვდილსა და საკუთარ სიკვდილს შორის ბეწვის ხიდზე გავლა უხდება. უკვე საკუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თარ თავზე მგლოვიარე მიცვალებული ვიყავი, რომელიც თავის უჭირისუფლო საფლავზე დარდობს.

ჩიზარის* გარნიზონი სხვაგვარად წარმომედგინა. რატომ მეჩვენებოდა სხვების სიკვდილი ასე რომანტიკულად? ეს გარემო იმდენად ჩვეულებრივი და არაფრით გამორჩეული აღმოჩნდა, თითქოს კაცს, რომელიც აქ სიცოცხლეს უნდა გამოთხოვებოდა, არანაირი პოლიტიკურ-ემოციური ღირებულება არ გააჩნდა, თითქოს აბანოში მივედით უჩვეულო, ნაცნობ ადგილას. სასწრაფო დახმარების მანქანიდან ჩამოსულს რამდენიმე გუშაგი შემომერტყა. ერთ-ერთმა, ყველაზე ტანმოსულმა, დანარჩენები უკან გასწია, ხელი დამავლო და დაიძახა:

- უკან დაიხიეთ! რაო, ისევ ლეშით ძღომა მოგინდათ? აბა, უკან! თვითონ გავანაწილებ.

გუშაგები დადგნენ. მან კი რამდენიმე ნაბიჯით განზე გამწია და ჩხრეკა დამიწყო. ფეხებზე ხელს რომ მისვამდა, მკითხა:

- სამართებელი ხომ არა გაქვს თან?

- სამართებელი? რისთვის?

- რისთვის და, ემანდ, შიშისგან თავი არ მოიკლა, ყოფილა შემთხვევა...“

მინდოდა, წინლი ჩამეზილა სიფათში, მაგრამ მხოლოდ შევაფურთხე. ფურთხი ოდნავ ასცდა. ისევ შემეკითხა:

- საათი სადაა?... ჩვენზე მარჯვე ბიჭებმა დაგაწერეს?

ერთ-ერთი გუშაგი მოგვიახლოვდა და უთხრა: “მაგის ტანსაცმლის ტომარა მანქანაშია, ჩამოვიღო?“ “არა, მერე იყოს, - უპასუხა ზორბამ, - გააღე პირი, ერთი ვნახო!“ ყბაში მუშტი მატაკა და პირი გამიღო:

- თქვი ა�ა, თქვი ააა!

მეგონა, სტომატოლოგთან ვიყავი და კბილებს ცოცხლად მაძრობდნენ. გაავებით ჩავაფრინდი თითზე და ვუკბინე. სიფათში შევაფურთხე. მაშინ გუშაგები მეცნენ, სახეში მუშტები და წიხლი დამიშინეს. პირი გამიღეს. ერთ-ერთმა გუშაგმა თქვა: “არა აქვს. ყველა კბილი საღია.“ ზორბამ პირში ჩამაპურჭყა. მერე სათითაოდ ყველამ ჩამაფურთხა. ერთმა პირი ღიად დამიტოვა და უნდოდა, შიგ ჩაეფსა, მაგრამ ვერ ქნა და დამეხსნა. ორმა მათგანმა ტანმსხვილ, დაცხრილულ, სისხლშემხმარ ხეს მიმაბა, რომლის ძირიც ფერით ზეთის გამოსაცვლელი პროფილაქტორიის იატაკს ჰგავდა - კაცს გული აერეოდა. თვალი ამიხვიეს, თავად საუბარს განაგრძობდნენ. მე კი თითოეული ნაკვთი ამიკანკალდა, ტანზე ეკლები მესობოდა, მუხლი მეკვეთებოდა. ერთ-ერთმა სასამართლოს განაჩენი წაიკითხა. მე კი ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ათასი საათი თოვლში მეგორაოს. იმან, ვინც განაჩენი წაიკითხა, დაიძახა, “დაიჩოქე!“-ო, მერე “მოემზადე!“-ო და - “ცეცხლი!“

გაისროლეს. არანაირი ტკივილი არ მიგრძვნია. თავი მკერდზე ჩამომივარდა. ჯერ კიდევ მესმოდა მათი ხმები. ცოტა ხანში შორიდან მანქანის ხმა მოისმა. გაჩერდა. მერე ვიღაცამ თავში საკონტროლო ტყვია დამახალა. არც მაშინ მტკენია რამე. ოღონდ თავი ჯერ შემეკუმშა, მერე კუნთების უნებლიე სპაზმი მომეხსნა და მოვეშვი. ვიგრძენი, როგორ გამიხურა ფეხები საკუთარმა შარდმა. გუშაგებს ხარხარი აუტყდათ. ზორბა მომიახლოვდა, თვალებიდან სახვევი შემხსნა, თმაში მწვდა და მითხრა: “აბა ერთი, კიდევ გამიღე პირი, ვნახო, ხომ არ მომატყუე.“

მივხვდი, რომ არაფერი მომსვლია, მაგრამ ჯერ კიდევ მისი ტყვე ვიყავი. გაქცევა მინდოდა, მაგრამ არ შემეძლო. ერთ-ერთი გუშაგი მოგვიახლოვდა და იკითხა: “გავხსნათ?“

- ჰო, უკან უნდა დავაბრუნოთ, - მიუგო ზორბამ.

საშინელი გულისტკივილი ვიგრძენი იმის გამო, რომ მკვდარიც იმათ ხელში ვიყავი. როცა თოკები შემხსნეს, ჯერ კიდევ ფეხზე დგომა შემეძლო. მკერდი სისხლიანი არა მქონდა, მაგრამ ხის ძირას ცხელი სისხლის კვალი ჩანდა. გამომძიებელი მომიახლოვდა, ხელი გამომიწოდა და მითხრა:

- მოხარული ვარ. მე საიქიოს სავაქიდან* გახლავართ.

გუშაგებმა გაიცინეს და ჩემი ხელი გამომძიებელს ჩაუდეს ხელში. მერე ხელი მკრეს და მანქანაში ჩამსვეს.

ვერ გეტყვით, რას ვგრძნობდი იმ წუთებში. უამრავი რამ გადამხდენია თავს, რაც ჩემს წარსულს ბურუსით მოსავს. ახლა ყველაფერი ცისფერ- მოიასამნისფრო ფერში მახსენდება, რომელსაც ზოგჯერ წითელი გადაჰკრავს ხოლმე. ყველაფერს, საკუთარ თავსაც კი, თითქოს ჭუჭყიან მინაში ვხედავ, ან იმ მიცვალებულის სათვალიდან, მორგიდან ხვატში რომ გამოიყვანეს. ყველაფერი ჭუჭყიანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეჩვენებოდა და, საერთოდ, ვერ ვხვდებოდი, სად ვიყავი, სანამ მანქანაში გამომძიებელმა სიგარეტი არ მომიკიდა და მითხრა:

- შენი სასამართლო განაჩენი სისრულეშია მოყვანილი. ამიერიდან ოფიციალურად მკვდარი ხარ. ამ ინფორმაციას გაზეთები დაბეჭდავენ, ეროვნულ გმირთა რიგებს შეუერთდი.

მერე თვითონაც გააბოლა სიგარეტი და მძღოლს უთხრა, მაგნიტოფონი ჩართეო. მანქანა აავსო მუსიკამ, რომელიც ერთიანად წივილ-კივილი იყო და სხვა არაფერი, გვირაბში მოძრავი სასწრაფო დახმარების მანქანის სირენას მაგონებდა. გაოცებული ვიყურებოდი გარეთ. მთელი გზა მანქანის ფანჯარაში შიშველი ხეები მიჰქროდნენ. საპყრობილემდე კაციშვილს ხმა არ ამოუღია. მუსიკა ჩემს გაოგნებას უფრო ამძაფრებდა. არ ვიცოდი, მკვდარი ვიყავი თუ ცოცხალი. იქნებ ჩემი დახვრეტა დამესიზმრა? საკანში რომ დამაბრუნეს, მაშინაც კი ვერ გავარკვიე, მართლაც გადამხდა თავს თუ ეს ყველაფერი დამესიზმრა და ახლა გამომეღვიძა?

უცებ ვიგრძენი, რომ გულ-მკერდის ტკივილისგან ვიკლაკნებოდი, ფეხები მუცელზე მქონდა მიბჯენილი და ვღმუოდი. ისევ გაიღო საკნის კარი. ორი სახეწაშლილი გუშაგი შემოვიდა მეტისმეტად გაკვირვებული გამომეტყველებით. თითოეულ მათგანს ცხვირის ჩრდილი პირზე სამკუთხედად ეცემოდა. თან წამიყვანეს. შუა კიბემდე თვალიც არ აუხვევიათ. მოსახვევში ერთ-ერთმა მათგანმა გადაწყვიტა ჩემთვის თვალების ახვევა. ღამის დაკითხვიდან მომავალი ორი კაცი დავინახე, რომლებსაც ფეხზე ახლად დადებული სახვევი გასისხლიანებოდათ. გამომძიებლის ოთახში რომ შევედით, თვალსახვევი არ მოუხსნიათ, ეგრევე კარი დაკეტეს და წავიდნენ. არ ვიცი, რა დრო გავიდა, იქნებ ნახევარ საათზე მეტი არც ყოფილა, მაგრამ ჩემთვის ისე გაიწელა, რომ, ვგონებ, სამჯერ მოვასწარი მთელი ჩემი ცხოვრებისთვის თვალის გადავლება. მერე ცხვირი მომეფხანა და უნებლიეთ თითით თვალსახვევი გადამეწია. დავინახე ის, რაც არ უნდა დამენახა: ჩემი ქალიშვილი მუნა, მეუღლე სუსანი და დედაჩემი ნარგესი თვალახვეულები, ჩემსავით უმოქმედოდ, ჩემს წინ სკამებზე ისხდნენ. თვალსახვევი მოვიხსენი, შევკივლე და მათკენ გავექანე. მათაც კივილი ატეხეს. ცოლმა თვალებიდან სახვევი მოიძრო. ქალიშვილი სკამიდან გადმოვარდა, თვალახვეულ დედაჩემს გული შეუღონდა. სუსანს ასჯერ ვკითხე: "ცოცხლები ხართ? მე ცოცხალი ვარ?" იგი არ მოერიდა გამომძიებელსა და ორ კაცს, რომლებიც ოთახში გვერდით ედგნენ, მე კი აქამდე ვერ შევნიშნე, გადამეხვია და ატირდა. გონება დავკარგე.

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიყავი უგონოდ. ის კი მახსოვს, რომ ტანსაცმელი და სხეული ერთიანად სველი მქონდა. ვიღაც სახეში მირტყამდა. წინ წითელი ვენტილატორი მიტრიალებდა. გონზე მოვედი. გამომძიებლისა და მისი თანმხლები იმ ორი კაცის გარდა ოთახში არავინ იყო. ერთ-ერთმა მათგანმა, უფრო ხნიერმა, რომელსაც მოკლემკლავიანი თეთრი პერანგი და შავი შარვალი ეცვა, ამოიღლიავებული მუშამბის საქაღალდიდან ფურცელი ამოიღო და წინ დამიდო. მეორეს, შავ პერანგსა და თეთრ შარვალში გამოწყობილ ახალგაზრდას, უთხრა, კალამი მიეციო. გამომძიებელმა თავი დამახრევინა, რომ ფურცელი წამეკითხა. მერე დამარცვლით მითხრა:

- დაწერ ლამაზად, გარკვევით და თითო ხაზის გამოტოვებით! კითხვის გასწვრივ, რომელსაც ოთხი პასუხი აქვს, მხოლოდ ერთ-ერთს შემოხაზავ. ჯერ ამ კითხვას უპასუხე: "ცოცხალი ხართ თუ მკვდარი?"

მერე შვიდ-რვაჯერ თავში ხელუკულმა დამკრა და დამიყვირა: "ნუ ფიქრობ, ჩქარა უპასუხე: ცოცხალი ხარ თუ მკვდარი? ცოცხალი თუ მკვდარი? ცოცხალი თუ ..."

გაუცნობიერებლად ოთხი კვადრატიდან კალმით ნიშანი იმას დავუსვი, რომლის გასწვრივაც "ცოცხალი ხართ" ეწერა. მოხუცმა ამხანაგს უთხრა: "გონება უმუშავებს, კარგი ვარიანტია... განაგრძეთ".

- ახლა ეგ კითხვა, - მითხრა გამომძიებელმა, - "თქვენი ოჯახის წევრები ცოცხლები არიან?" არ დაფიქრდე! უპასუხე: ცოცხლები არიან თუ მკვდრები?

კვადრატი "ცოცხლები არიან" კეფაში მუშტების ცემის ქვეშ შემოვხაზე. მოხუცი დაფაცურდა: "ის ქვედა კითხვა ნახე, გვერდის ბოლოს. მიყოლებით კი ნუ უპასუხებ, თორემ მოემზადები. მერვე კითხვა... მერვე კითხვა: "ამ ამბის შესახებ თუ გსმენიათ რაიმე?"

გამომძიებელი გამალებით შეუდგა ჩემ თავ-

ში ცემას და გამუდმებით ძახილს: "არ დაფიქრდე! არ დაფიქრდე! უპასუხე!"

კალმისტარი დავაგდე და თავში წავიშინე, დავიწყე კივილი და მოთქმა. ჯერ კიდევ არ ვიცოდი, სად ვიყავი და არაფერს შეეძლო ამ გაურკვევლობიდან ჩემი გამოყვანა. თავს რომ ვიცემდი, გამომძიებელმა და იმ ორმა სცადეს, ხელი შეეშალათ ჩემთვის, რომ მეტისმეტი არ მომსვლოდა. ის კი არა, მოხუცის მითითებით, გამომძიებელმა თმაზე ფერება დამიწყო, შუბლზე მაკოცა. მერე ჩემთვის წყალში გახსნილი ჰაერის მოსატანად წავიდა. შავპერანგიანმა ახალგაზრდამ მითხრა:

- პასუხების უკეთ გაცემაში დაგეხმარები. საერთოდ, ყური თუ გქონდა მოკრული, რომ ჩვენ ზოგიერთ იმათგანს, ვისაც სიკვდილს უსჯიან, არ ვკლავთ?"

- მათ უმეტესობას! -დაამატა მოხუცმა. ახლაგაზრდამ განაგრძო:

- მხოლოდ ფორმალურად ვასრულებთ სიკვდილით დასჯის პროცედურას, მერე კი ისინი გარკვეული ფსიქოლოგიური ექსპერიმენტებისათვის მიგვყავს. რამე თუ გაგიგია ამის შესახებ?

- რამე თუ გაგიგია ამის შესახებ?

- რამე თუ გაგიგია ამის შესახებ?

გამომძიებელი ისევ მირტყამდა თავში, პირდაპირ კეფაში და მეუბნებოდა: "არ დაფიქრდე, შემოხაზე! არ დაფიქრდე!" მეც "არას" დავუსვი ნიშანი.

- ჩემს თავს წარმოგიდგენთ, - მითხრა მოხუცმა, - "აზოდი - ექიმი-ფსიქოლოგი". "მანუჩეჰრი - ექიმი-ფსიქოლოგი", - თქვა ახალგაზრდამ.

- ნუ ნერვიულობ, არც შენ მომკვდარხარ, არც შენი ოჯახის წევრები, ყველანი ჩვენთან ხართ. რა თქმა უნდა, გარეთ მყოფებისათვის თქვენ მკვდრები ხართ და აღარ არსებობთ," - დამამშვიდა გამომძიებელმა.

- მისმინე, ჩემო ძვირფასო, - მომმართა მოხუცმა, - ჩვენ ბევრი საქმე გვაქვს ერთად გასაკეთებელი, აგიხსნი, რომ უფრო მალე მივიღოთ შედეგი. ჭკვიანი კაცი ხარ, კარგად შეგიძლია საკუთარი მდგომარეობის გააზრება. შენი წარსულიდან ჩანს, რომ გამძლე ადამიანი იყავი. დავალებული გვაქვს, ჩვენი დაზვერვის ორგანიზაციისა და სხვა ორგანოებისათვის გავზომოთ შენი, როგორც სტატისტიკური ერთეულის, ნებისყოფის წირი. როგორ ფიქრობ, რამდენად მზად ხარ ამისთვის?"

კედელზე დიდი მილიმეტრულა გააკრა, რომელზეც პუნქტირით რამდენიმე წრფე იყო გამოსახული.

მივშტერებოდი მათ და ვერ გამეგო, რა ხდებოდა ჩემს თავს. ისევ ტირილი ამივარდა. ცრემლიანი თვალებით ისე შევცქეროდი, როგორც ბავშვობაში მამაჩემს, რომელსაც ხელში მათრახი ეჭირა. თითქოს გუშინ იყო, თითქოს დღეს ხდებოდა ეს ყველაფერი და მე არ ვიცოდი, ახლა რომელი დრო იყო, ამ თამაშისა ვერაფერი გამეგო. ჯერ კიდევ მეგონა, რომ, შესაძლოა, მკვდარი ვიყავი, იქნებ მეძინა. რამდენჯერმე დავიყვირე და ხმა თავისუფლად ამომივიდა. სულ არ ჰგავდა ჩემს ყვირილს სიზმარში, როცა ხმა მეგუდებოდა და არ ამომდიოდა ხოლმე, თითქოს ვიხრჩობოდი.

აზოდიმ მითხრა: "არის რამე, რაც არ გაგითქვამს?" ჩემმა გამომძიებელმა უთხრა: "არა, სიტყვას გაძლევთ. გინდაც იყოს რაიმე, უვარგისი იქნება. მაგათი ორგანიზაცია იმდენად გონიერია, რომ ინფორმაციას არ დაგიტოვებს. სადამდეც შეთანხმებული იყო, წინააღმდეგობა იქამდე გასწია, მერე მთელი გაბაზრებული ინფორმაცია დაფქვა. ახლა ბოლომდეა დაცლილი." აზოდიმ მითხრა: "მაშ, სჯობს, იცოდე: ჩვენ შენგან არანაირი ინფორმაცია არ გვჭირდება. ერთადერთი რამ გვინდა - სტატისტიკური ერთეულის ნებისყოფის წირის მიღება."

- კეთილი და პატიოსანი. ერთი ამ კითხვას უპასუხე: "გინდა ცოცხალი დარჩე?"

უკვე თანდათან ყველაფრის აზრზე მოვდიოდი. გაბრუებულმა ამ გართულებული მდგომარეობიდან თავის დასახსნელად ვცადე, გონება მომეკრიბა.

აზოდიმ მეორედ მკითხა: "გინდა, რომ ცოცხალი იყო?" კითხვის გასწვრივ ოთხი კვადრატი იყო მოცემული პასუხებით: "დიახ", "არა", "ისე რა", "არ ვიცი". ვიცოდი, მე ისინი ცოცხალს არ დამტოვებდნენ, არც მინდოდა ასეთი ტანჯული სიცოცხლე. ადამიანს, წამებისა და ფსიქოლოგიური პრესის ქვეშ, ყოველთვის სიკვდილი სწყურია. მაგრამ მივხვდი: თუ ამათ სიმართლეს ვეტყოდი, უფრო ადრე მიაღწევდნენ საწადელს. ამიტომ ვუპასუხე: "კი, მინდა ვიცოცხლო". აზოდიმ ხელიდან კალამი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამომართვა და დადებითი პასუხის კვადრატი თავად გადახაზა. მერე მკითხა:

- ახლა მითხარი, რამდენი წამების შემდეგ გადათქვამ ამ სურვილს? მაგალითად, გინდა, ათასჯერ მოგხვდეს მათრახი და ცოცხალი დარჩე, თუ მოკვდე და ათასი მათრახი არ იწვნიო?"

არც დავფიქრებულვარ, მაშინვე ვუპასუხე: "ვიცოცხლო მინდა". ისევ მკითხა: "ორი ათასი მათრახი, ელექტროშოკი და ცოცხლად დარჩენა გირჩევნია, თუ სიკვდილი და წამებისგან გადარჩენა?" მათთვის თავგზის ასაბნევად ვუპასუხე, მინდა, მოვკვდე-მეთქი. აზოდიმ თავად აღნიშნა პასუხი და განაცხადა:

- აქამდე სწორად მიდიოდა. ერთი შემთხვევის გარდა, თითქმის ყველამ ასევე უპასუხა. ათასზე მეტი მათრახი ელექტროსელექტით აუტანელია და ყველა სიკვდილს ამჯობინებს ხოლმე. თუ სიკვდილს ვერ ახერხებენ, რაც უნდა ვთხოვოთ, ყველაფერს გვისრულებენ. შენც ხომ ასე ფიქრობ?

არ ვიცოდი, რა მეპასუხა. გამომძიებელი მომიახლოვდა და ხელუკუღმა გამალებით მირტყა თავში: "არ დაფიქრდე! უპასუხე! უპასუხე! არ დაფიქრდე!" დიახ-მეთქი, ვუთხარი. "ძალიან კარგი, - თქვა მოხუცმა, - ისინი შემოიყვანეთ".

ოთახის კარი გაიღო და გორგოლაჭებიანი სამი ვიწრო საწოლი შემოაგორეს. ჩემი ოჯახის წევრები საწოლებზე მიებათ, არც ერთს თვალი ახვეული არა ჰქონდა. უნებლიეთ წამოვხტი და ჩემი ქალიშვილის - მუნას საწოლს გადავეშვე. ჩემი გოგონა ჩემს სახელს ახსენებდა, "მამი, მამი"-ო, გაიძახოდა. რამდენიმე თვის წინანდელივით იყო, როცა ასაცრელად წავიყვანე, ყვიროდა, თან მეხუტებოდა და თან გამირბოდა. ახლაც, ღმერთმა იცის, რა უბედურება დამართეს - ჩემიც ეშინოდა. მეძახდა, ხელ-ფეხი დაბმული ჰქონდა. გამომძიებელმა ჩემი სკამზე დაბრუნება მოინდომა, მაგრამ აზოდიმ არ დაანება. ჩემს გოგონას სახე დავუკოცნე, დედას - ნარგესსა და ჩემს ცოლს, სუსანს, შევხედე. ვერაფერს ვუშველიდი. სამივესათვის ხელ-ფეხი შეეკრათ, საწოლის რიკულებიდან მათი ფეხისგულები მოჩანდა. გამომძიებელმა ხელში მათრახი მომცა. აზოდიმ მკითხა:

- მისმინე, ჩემო კარგო, მინდა, დაუფიქრებლად, მაგრამ ზუსტად მითხრა, რომელი უფრო გიყვარს: დედა, ცოლი თუ ქალიშვილი?

მყისვე მივუგე: "ყველა!"

- თუ გადაწყდა, რომ ან შენ უნდა გამათრახდე, ან რომელიმე მათგანი, რომელი თქვენგანის გამათრახება გირჩევნია?

- არც ერთის!

- თუკი ათასზე მეტ მათრახს დაჰკრავ, რომელს გირჩევნია, რომ მოხვდეს?

გარეულ ღორს დავემსგავსე. აზოდის სახეზე მათრახი გადავუჭირე. ტკივილისგან ორად მოიკეცა. გუშაგები ჩაერივნენ და თავს დამაცხრნენ. მათრახი ხელიდან გამომგლიჯეს და "აპოლოზე" მიმბეს. ფეხები მაგრად დამიკრეს, თითები ამომიბრუნეს და ღვედით დამიმაგრეს. თავზე მოტოციკლეტისტის ქუდი დამახურეს. ახლა ყურში აზოდის ხმა ჩამესმოდა. ჩემს წინ წითელი და ყვითელი ნათურები ინთებოდა და ქრებოდა. თვალს მჭრიდა. აზოდის ასისტენტის ხმა ყურში ისე ჩამესმოდა, როგორც ბავშვობისას აბანოში გაგონილი სიმღერის ექო:

- შენ სწორედ ისე იქცევი, როგორც გონიერი ადამიანი. ფსიქოლოგია ამბობს: ცხოველებიც კი, როცა მათ გასაქცევი გზა არა აქვთ და დიდ საფრთხეს გრძნობენ, თავს ესხმიან. შენც თავს დაესხი, როგორც განსაცდელში ჩავარდნილი კატა ჩაკეტილ ოთახში, როგორც დემონსტრაციის დროს ალყაში მოქცეული ადამიანები, რომლებსაც გასაქცევი გზა მოჭრილი აქვთ. ამიტომაც უტოვებს მათ პოლიცია ვიწრო გასაქცევს და მერე თავს ესხმის. ასე, ამ პატარა გზის იმედით, ისინი შეტევაზე არ გადადიან. კარგი, ბატონო. აქამდე ფსიქოლოგიისათვის ყველაფერი გასაგებია. ახლა უნდა ვნახოთ, რა რეაქცია ექნება უძლიერესი წნეხის ქვეშ აღმოჩენილ იდეალისტ ადამიანს - განსაკუთრებულ ეგზემპლარს - რომელიც თავისი სახეობის წარმომადგენლებისგან მეტი ემოციურობით გამოირჩევა, სიტუაციაში, როცა სიკვდილი შეუძლებელია, ხოლო გასაქცევი გზა არ გააჩნია. არსებობს ჰიპოთეზა, რომლის თანახმადაც, იგი მთელ თავის სულიერ ძალას იკრებს, რომ მოკვდეს და კვდება კიდეც. როგორც დერვიში, რომელმაც ათარის* თვალწინ გადაწყვეტილება მიიღო და მოკვდა. სხვა ჰიპოთეზა კი ამტკიცებს, რომ იგი იქცევა ისე, როგორც ექცევა საკუთარ ნაშიერს განსაცდელში მოხვედრილი ყველაზე მგრძნობიარე ცხოველი. ხომ გაგიგონია, გახურებულ აბანოში დაწვისგან

ეროვნული ბიბლიოთეკა

თავი რომ გადაერჩინა, როგორ გაიდო მაიმუნმა საკუთარი შვილი ფეხქვეშ? თუ გსმენია ეს ამბავი? თუ გსმენია ეს ამბავი?

თხემიდან ტერფამდე ტკივილმა დამიარა. მეგონა, მათრახის ნაცვლად ფეხისგულზე ხეს მირტყამდნენ. დარტყმისას ვიგრიხებოდი, ღვედებში მოქცეული თითები მელეწებოდა. წითელი და ყვითელი შუქი დარტყმაზე იყო აწყობილი. ნათურის წითლად ანთებას მათრახის დაკვრა მოსდევდა. ყველაფერი მტკიოდა. აინთებოდა ყვითელი - აღარ მირტყამდნენ. ისევ წითელი განათდებოდა და მოდიოდა მათრახი. ყვითელი რომ ენთო, წითლის შიშით მიცემდა გული, წითელი რომ ენთო - ყვითლის ტკივილის განცდა მქონდა. წითელ-ყვითელის შიში და ტკივილი მორიგეობით ერთმანეთს ენაცვლებოდა. ტკივილისგან მეჩვენებოდა, თითქოს ცხვარი ვიყავი და მკოდავდნენ. მესმოდა ექიმის ასისტენტის ხმა, რომელიც წამების მერე ფეხებს მიხვევდა. თირკმელზე ხელებს მაწყობდა და მასაჟს მიკეთებდა, თან ფსიქოლოგს ეუბნებოდა:

- მათრახი ფეხისგულს რომ ხვდება, კანქვეშ სისხლი დედდება. სისხლში შარდოვანა იმატებს და თირკმელი ვეღარ მუშაობს. მასაჟი სჭირდება. იქნებ ჩუმად მითხრათ, რის გაკეთებას აპირებთ, რათა სულის კორექცია კოორდინირებულად წარიმართოს. მეშინია, არ ჩამოგრჩეთ.

მერე წნევა გამიზომა. მათრახს რომ მირტყამდნენ, ფონენდოსკოპით ჩემს გულისცემას აყურადებდა და შიგადაშიგ ვენაში რაღაც ნემსს მიკეთებდა.

ახლა განსხვავებულად დამიწყეს ცემა. გავწამდი. მრავალჯერ მირტყეს მათრახი წითელი შუქის ნათებასთან ერთად იმავე რიტმით. მე კი, როგორც კი ნათურა აინთებოდა, წინააღმდეგობის გაწევის მიზნით, კბილს კბილზე ვაჭერდი და ტკივილს ვამცირებდი ან ყვირილს ვამთხვევდი, რადგან დარტყმის პროგნოზირება შემეძლო. მაგრამ ზოგჯერ, როცა წითელი აინთებოდა და წინააღმდეგობის გასაწევად მთელ კუნთებს დავჭიმავდი, ისინი მათრახს დაუშვებდნენ ხოლმე და ყვითელი შუქის ანთებას ელოდებოდნენ, რომ მოვდუნებულიყავი და აი, მაშინ მირტყამდნენ. ამ ერთგვარ გრძნობიერ გაურკვევლობაში, სულიერ მოუმზადებლობაში, როცა სული მეწვოდა და ტვინი მიწოდა, წი-



თელი და ყვითელი შუქი ერთმანეთში მერეოდა და ვხედავდი უწყვეტ ნარინჯისფერ სინათლეს, რომლის გააზრებაც და მისგან თავდაცვაც შეუძლებელი იყო. ერთადერთი ის ვიცი, რომ სულს მიდგაგვდა. იყო შოკი, სიგარეტ "ვინსტონით" ყურისძირას, მკერდზე, იღლიის ქვეშ და სხვა მგრძნობიარე ადგილებში კანის დაწვა. წვისგან სული მიგუბდებოდა. გული ბევრჯერ შემიღონდა და მომაბრუნეს. მრავალჯერ დაკარგა შეგრძნება ფეხებმა. მოედანზე ფეხშიშველა მარბენინეს, მგრძნობელობა რომ დამბრუნებოდა. მათრახის სისქეს წამდაუწუმ ცვლიდნენ: მსხვილიდან წვრილზე გადადიოდნენ, წვრილიდან - მსხვილზე, რომ წვრილს დაეწვა, მსხვილს - დაეზრო. შეგრძნებისა და უგრძნობლობის, ტკივილისა და უტკივარობის თამაში იყო. არაფერი გამეგებოდა. წამებამ იმდენ ხანს გასტანა, ასი ინფორმაციის გაცემას რომ დასჭირდებოდა.

ჩემმა გამომძიებელმა მოგვიანებით მითხრა, პირველ ჯერზე "აპოლოდან" ორი დღის მერე მოგხსნესო. ისეთი შეგრძნება მქონდა, თითქოს ქალი ვიყავი, რომელმაც ასჯერ დაბადა თავისივე ზომის ბავშვი. ვიტანჯებოდი და მთელი ეს ხანი დედაჩემი ნარგესი, ცოლი სუსანი და ქალიშვილი მუნა ჩემს აუტანელ წამებას ესწრებოდნენ.

- დასაწყისისთვის საკმარისია, - თქვა აზოდიმ, - ახლა უფრო გულითადად ვისაუბრებთ. ამჟამად შენს მიერ წამების აღქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა შემეცნებითი აღქმაა. სიკვდილი გინდა თუ სიცოცხლე?

პირი გავაღე, მაგრამ ხმა არ ამომივიდა, მხოლოდ თავი დავაქნიე. აზოდიმ მითხრა:

- ვიცი, ლაპარაკი არ შეგიძლია, არ თამაშობ. მართლა ვერ ლაპარაკობ. ყველა სტატისტიკურ ნიმუშს ასე დაემართა. მხოლოდ თავით დაადასტურე ან უარყავი. გინდა სიკვდილი?

თავის დაკვრით დავუდასტურე. მისი ასისტენტი კედელზე გაკრულ მილიმეტრულაზე პუნქტირით გავლებულ წრის ამუქებდა. აზოდიმ ისევ მკითხა:

- შენი სიკვდილის სანაცვლოდ თუ ხარ მზად, რომ შენს ცოლს, ქალიშვილს ან დედას ასჯერ დაჰკრა მათრახი?

არ მიპასუხია. გამომძიებელმა დაიძახა: "მიაბით "აპოლოზე"-ო და ნარინჯისფერი მაჯლაჯუნასავით დამეცა. როგორ არ ვცადე, მფრინავის ჩაფხუტიდან თვალებით შევვედრებოდი და წინააღმდეგობა გამეწია, მაგრამ ვერაფერი გავაწყვე. ამჯერად ფეხისგულებთან ახლოს პატარა გაზის ბალონიც შემიდგეს და იმავე რიტმით, მაგრამ ამჯერად უფრო სწრაფად, დამიწყეს გამათრახება. მეგონა, ქათამი ვიყავი, რომელსაც ცოცხლად ხარშავენ, ცოცხალს პტყვნიან; თითქოს ქალი ვიყავი, რომლის საშოდანაც მთელ სამყაროს გარეთ ეწეოდნენ. გამომძიებელმა მითხრა: "რა წამს დათანხმდები, რომ მათრახი დაჰკრა, ტანის გატოკებით მანიშნე"-ო. ყოველ დარტყმაზე უნებურად ვიგრიხებოდი და ვიკლაკნებოდი, ისინი კი არ მხსნიდნენ. არანაირი გამოსავალი არ მქონდა. ათასჯერ გადავწყვიტე, მოვმკვდარიყავი და არ მოვკვდი. ძაღლის სული აქვს ადამიანს.

სამ დღეში ბორკილი აუხსნეს და მაგიდაზე დამაგდეს. ზომით ორჯერ მოვიმატე. გამომძიებელმა სახესთან სარკე მომიტანა. დასიებულ სახეზე თვალები არ მიჩანდა. ფეხები შავი ტყავის მუთაქას მიმიგავდა. ექიმის ასისტენტმა მკლავზე ერთნახევარჯერ ძლივს შემომიჭირა წნევის აპარატის სამკლაური.

მაშინღა აღმოვაჩინე, რომ მთელი ამ ხნის მანძილზე სისტემა მედგა და ორგანიზმს წამლით კვებავდნენ.

- საბედნიეროდ, კარგად არის და შეგიძლიათ თავიდან დაიწყოთ. წამლების წყალობით გული გამართულად მუშაობს. შარდოვანას პროცენტული რაოდენობა ნორმალურია. ვენაში პენიცილინის ინექცია ნაიარევის დაჩირქებას ხელს უშლის, - თქვა ექიმის ასისტენტმა.

მერე მთელ სხეულზე მალამო წამისვა. მეჩვენებოდა, თითქოს მისი ხელები ჩემგან ერთი მეტრის დაშორებით მეხებოდა სხეულზე. აზოდის თანაშემწე კვლავინდებურად პუნქტირიან წრის ამუქებდა. დედასა და ცოლ-შვილს პირი ისევ აკრული ჰქონდათ და დაჭყეტილი თვალებით შემომცქეროდნენ. მაგრამ, განსხვავებით წინა ჯერისგან, როცა ამხსნეს, მოუსვენრობა არ ეტყობოდათ. მგონი, მათაც რაღაც ნემსი გაუკეთეს, ჩემთვის თვალი რომ არ მოეშორებინათ და სხვა არანაირი რეაქცია არ ჰქონოდათ. ისევ ეჭვებში ჩავვარდი: მკვდარი ვიყავი თუ მესიზმრებოდა? მინდოდა, თვალი გამეხილა, გამღვიძებოდა, გავცოცხლებულიყავი და დამენახა, რომ წამების ხსენებაც არ არის, რომ ცხოვრება მშვიდად მიედინება, რომ ლოგინი გაშლილია, რომ ვიღაცის ხელი მეფერება. მინდოდა, ამ კოშმარისათვის თავი დამეღწია და დამენახა, რომ მუნა იმ კოშმარის დროს ჩემმა გმინვა-ყვირილმა გამოაღვიძა და ჩემი კალთისთვის შეუფარებია თავი. ო, მუნა! ახლა შენ უფრო მჭირდები, ახლა შენ უნდა მიხსნა ტანჯვისგან! ახლა დროა, შენ შემიფარო, შენ უნდა ეწამო ჩემზე უწინ. ჩემი ნებისყოფის წირი შეივსო. ბოლოში გავედი. ვერ ხედავ რკინისმჭრელ ხერხს გამომძიებლის ხელში? ვერ ხედავ ელექტრობურღს, მანუჩეჰრის რომ უჭირავს? ქვა ხომ არა ვარ? რკინა ხომ არ ვარ?! ადამიანი ვარ. ეს აბანო იმ მაიმუნის აბანოზე უფრო მეტად წვავს. მაგრამ რა ვქნა? მე ხომ ის მაიმუნი არა ვარ?! არ შემიძლია, ვერ დაგარტყამ. ეგებ - სუსანს, ეგებ - ნარგესს, მაგრამ შენ - ვერასოდეს!

გამომძიებელმა ხერხი ფეხზე დამადო და ერთხელ მოსინჯა, მუშაობისას როგორ მოძრაობდა წინ და უკან. გარეთ რაღაც კუპრისმაგვარი გამოიპნა. მანუჩეჰრიმ ელექტრობურღი დენში ჩართო. ხმაურმა ოთახი გაბურღა. აზოდიმ განაცხადა:

- ახლა იწყება ჩვენი საქმე. ჩვენ ოპერაცია უნდა გაგიკეთოთ. იმისათვის, რომ შენს სულამდე მივაღწიოთ, ჯერ შენი სხეული უნდა გავიაროთ. შეგიძლია, მშვიდად იყო: ფსიქოლოგს ექიმი ეხმარება, შენი სულის შენივე სხეულიდან გარეთ გამოსვლა რომ არ დაუშვას. ის შენს სულს ამ სხეულში დააკავებს, ჩვენ კი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოპერაციას გაგიკეთებთ. აბა, გეთაყვა...

ისევ დამეჭიმა მთელი კუნთები. ჩემი სისხლი, ჩირქი და შარდი ერთმანეთში არეულიყო.

- არ გინდა, ფეხის წვერიდან კინკრიხომდე თითო სანტიმეტრიანი შუალედით დაგხვრიტო? - მითხრა აზოდიმ, - ხომ არ გინდა, საკუთარი ნარწყევი ჭამო?

მანუჩეჩრიმ ბურღის წვერი ფეხზე დამადო და ჩართო...

ჩემი სისხლიანი ნარწყევი მთლიანად შევჭამე და დაღლილი სული დამიბინძურდა. ვარწყიე, მთა კი მაიძულეს, უკან ჩამებრუნებინა. ამჯერად გამომძიებელს გულისრევა აუტყდა, სახეში შემაფურთხა და გავიდა. მანუჩეჩრიმ ზედ მარწყია, აზოდიმ ცხვირზე ხელი მოიჭირა და გარეთ გავარდა.

რა გრძნობაა, ღორი რომ ხარ? აფთრობა რა მდგომარეობაა? მატლის, ლოკოკინას ტანჯვა რა გემოსია? სიკვდილი რაღაა? ადამიანური უძლურების რომელ წერტილში მდებარეობს?

გამოცდილი მქონდა - ხელი ან ფეხი რომ დამესვრებოდა, სანამ იმ ადგილს არ გავიწმენდდი, ვწუხდი. ცხადია, ფიზიკურადაც და სულიერადაც. სული შიგნიდან მქონდა წაბილწული და საკუთარი თავი მეზიზღებოდა. რის ვაი-ვაგლახით, წელში გაწყვეტილ, გასრესილ ჭიაყელასავით, რომელიც მიწაზე თავს მიათრევს, საწოლის სადენს მივწვდი და შტეპსელში შევარჭვე, თავი რომ მომეკლა - დენი გაითიშა. რევოლვერის ასაღებად გამომძიებლის მაგიდის უჯრა გამოვწიე. მომეჩვენა, თითქოს ორი ათას კილოს იწონიდა. ლულა თავში დავიმიზნე, საფეთქელთან ჩახმახს გამოვკარი - ტყვია არ აღმოჩნდა. ოთახი ნამდვილ ჯოჯოხეთად ქცეულიყო.

ის დღეები სრულ ჭკუაზე არ ვიყავი. რა დრო გავიდა? არ ვიცი. ოღონდ ვგრძნობდი, რომ ერთგვარ ფსიქოლოგიურ დროში შევაბიჯე, რომლის ყოველი წამის წკრიალი ერთიანად ტკივილი იყო, ხოლო წუთების ძახილი - ყველა სიკვდილზე უფრო დიდი სიკვდილი; სიკვდილი, რომელიც არ არსებობდა და ტკივილი, რომელიც ჩემს არსებობას აღემატებოდა. ტკივილი, რომელიც ჩემში იყო დაგუბებული და უნდოდა, გავეგლიჯე და მთელი ოთახი მოეცვა, ოთახიდან გარეთაც გაეღწია. თითქოს ჩემი ჭიქაში ჩატენვა უნდოდათ და არ გამოსდიოდათ.

ისევ მობრუნდნენ ოთახში. "აპოლოზე" მიმაბეს. თავზე მფრინავის ჩაფხუტი დამახურეს. ვერაფერს ვხედავდი წითელი და ყვითელი შუქის, ურჩხულის მსგავსი ნარინჯისფრის გარდა, რომელიც ფოლადივით მადნობდა. ბევრი ვიფიქრე, მაგრამ ვერ მივხვდი, ახლა რაღას მიპირებდნენ. თითქოს, მათრახი, დაწვა, შოკი, ხერხვა და ბურღვა აღარ მელოდა. რამდენიც არ ვიფიქრე, ვერაფერი გავუგე ჩემს მდგომარეობას. მეჩვენებოდა, რომ საკუთარ თავს ვშობდი. თითქოს საკუთარ თავს ისევ ვსანსლავდი, რომ თავიდან მეშვა; თითქოს გველი ვიყავი, რომელიც ტყავს იცილებს, ქათამი, რომელსაც ცოცხლად ხარშავენ, ცხვარი, რომელსაც ცოცხლად ატყავებენ, ჭრილობა, რომელსაც მარილში აწობენ; თითქოს იმ ქათმის კისრის იარა ვიყავი, რომელსაც თავი წააცალეს და ეზოში ფართხალებს. თითქოს თვალი ვიყავი, რომელიც თითით ან დანის წვერით ბუდიდან ამოაგდეს; თითქოს ბალღი ვაყავი, რომელსაც ლომი, ვეფხვი თუ მგელი ფეხიდან დაუყვება და ნება-ნება ცოცხლად მიირთმევს; მწყურვალი, რომელსაც მდუღარე მარილწყალი დაალევინეს; ალმოდებული, რომელსაც ცეცხლის ჩასაქრობად გამდნარ ფისს გადაასხამენ; მეჩვენებოდა, რომ ის კაცი ვიყავი, რომელმაც უკვე აღარ იცის, ვინ არის, კაცი, რომელსაც გრძნობა არ გააჩნია... და წირმა პიკს მიაღწია. დადგა მომენტი, როდესაც ჩემს სულში უკვე აღარაფერი იძვროდა იმ ენით აუწერელი მდგომარეობიდან თავის დახსნის სურვილის გარდა.

ხელში მათრახი მეჭირა. ეს იყო წამი, როდესაც ორსულ დედებს მშობიარობა ეწყებათ, სწორედ ის მომენტი, როცა ცოცხლები კვდებიან, ხოლო მკვდრები ცოცხლდებიან, დრო, როცა ენა ხელის მაგივრობას ვერ სწევს, გული ვეღარ ითმენს გონების დევნას...

... მე ვურტყამდი დედას, მაგრამ ხელს ვერ ვიმორჩილებდი. მათრახი სწორად არ ეშვებოდა, ხან იქით ხვდებოდა, ხან - აქეთ. საწოლზე დაბმული დედა კი ცდილობდა, მათრახისთვის სხეული დაეხვედრებინა. მეხმარებოდა, მათრახი მკერდში და სახეში რომ მომერტყა მისთვის. ჩემი გოგონა დამჯდარი მომკვდარიყო, ცოლი სუსანი სისხლიან ლოგინში ცურავდა. მათ მიმართ ვეღარაფერს ვგრძნობ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დი, ყველაზე მივიწყებულ გრძნობებშიც კი მათ კვალს ვერ ვაგნებდი. ამაოდ ცდილობდა დედა, მათრახი მოხვედროდა. მე თავად ვაკეთებდი ამას და მისი საქციელის აზრს ვერ ვხვდებოდი. აზოდი ამბობდა:

- სწორია. ვაჟის ჩახშობილი კომპლექსები დედის მიმართ. ეს მათრახი იმ დათრგუნული კომპლექსების გამოძახილია.

გრძნობა დაკარგული მქონდა და ცემისგან ვიღლებოდი. ასისტენტი "აპოლოს" დამანახვებდა ხოლმე და მეც ჩემს ცოლს, სუსანს, გადავუჭერდი თავში. აზოდი ამბობდა: "ეს პირობითი რეფლექსია. სტატისტიკურ ერთეულად აღებულ ნებისმიერ მოქალაქეს მათრახს რომ დაანახვებ, შენი მთავრობისათვის, რასაც გინდა, იმას გააკეთებს." და მეც მუნას დავარტყი. მათრახის ერთი დაკვრით მოიცელა. მანამდე იყო მკვდარი, მაგრამ თვალები ფართოდ ჰქონდა გახელილი. მერე საკუთარ თავს გადავუჭირე, მერე - ისევ მუნას, ისევ დედაჩემს, ისევ საკუთარ თავს, ისევ - მუნას.

- აი, ეს გახლავთ სწორედ ასოციაცია, არაცნობიერი, - თქვა აზოდიმ. და მე ვურტყამდი ცოლს, რომელიც სისხლის ლოგინში იწვა შავი საპატარძლო კაბით, მისი უბიწობის კერას, მკერდს და ისიც, თავისი მზერით ფინიშის სწორზე იყო მისული, მე მეყრებოდა, "სულით უცხოები" ვხდებოდით. ჩემს მათრახს გაურბოდა. აზოდი და მისი ასისტენტი "აპოლოსკენ" მიმითითებდნენ. და მე ცოლს ვურტყამდი.

- პროფესორო! სიყვარულის უნარიც? - ეკითხებოდა ასისტენტი.

- სიყვარული მისთვის აღარ არსებობს. "აპოლომ" მოკლა. სიყვარულს აზრი აქვს იმათთვის, ვინც ჯერ არ იცის, ერთ მან* მაწონში რამდენი ცხიმია.

ისინი "აპოლოზე" მიმითითებდნენ, მე კი ცემის ძალა აღარ მქონდა. დედა ისევ უხვევდრებდა ჩემს მათრახს სხეულს. გამომძიებელი გაიძახოდა: "თახსირი დედაკაცი, ვირიშვილი!"

- ეგ არის სიყვარული, - ამბობდა აზოდი, - მაგის ტესტისთვის სტატისტიკური ერთეულები გვჭირდება.

მერე, როცა ჩემთვის უცხოდ ქცეული დედისა და ცოლის სისხლი ერთმანეთში აირია, მათრახი გამომართვეს.

გამომძიებელმა მიმართა: "ბატონო ექიმო, მაპატიეთ, მე თქვენსავით სამეცნიერო განათლება არა მაქვს, მაგრამ მაინტერესებს... ჩვენ, უბირ ხალხს ერთი ანეკდოტი გვაქვს... მითხარით, თუ შეიძლება, ესეც ფსიქოლოგიაა თუ ყლინჯოების ანეკდოტია?.."

- გთხოვთ, ამ ქალბატონების წინაშე ზრდილობიანად მოიქცეთ! - დატუქსა აზოდიმ.

- ერთ მასტს ეუბნებიან: შეყვარებულობა უარესია თუ შიმშილი. უპასუხია: ღმერთმა ისე არ გაგიჭირვოს, რომ ორივე დაგავიწყდესო. ეგაც სიყვარულის უნარი არ არი? ფსიქოლოგიაა, არა, ექიმო?

- ცოტა შევისვენოთ და მერე განვაგრძოთ, - თქვა აზოდიმ.

ახლა ვერ გეტყვით, მაშინ რა დღეში ვიყავი. დედაჩემი კვლავინდებურად თვალებით მეფერებოდა და ჭრილობებზე სალბუნს მადებდა, მაგრამ ყველაფერი იმ ოთახში ცოცხლად მმარხავდა, ანთებული სანთლით* ცოცხლად მწვავდა, ცოცხლად მკლავდა და არ ვკვდებოდი. ათასჯერ შევძახე:

- ჰეი, უბადრუკო, უსუსურო სიკვდილებო, სადა გდიხართ? ჰეი, სასიკვდილო ტყვიავ, შენა გნატრულობ! ცხვრების სასაკლაოვ, შენ მწყურიხარ... კეთილო სიკვდილო, საყვარელო სიკვდილო, დიდო სიკვდილო, მხსნელო სიკვდილო, სულმოუთქმელად დაგეძებ..."

ყელში ხელს ვიჭერდი, მაგრამ ჰაერი სხვა გამოსასვლელს პოულობდა. ისევ ვიჭერდი, სუნთქვა რომ შემკვროდა, გონებას ვკარგავდი, ხელები მიდუნდებოდა, მივარდებოდა და სუნთქვა ისევ აღმიდგებოდა. ამიტომ ამბობდა აზოდი, არავის შეუძლია თავის მოკვლაო. ერთადერთი, რაც ყველას შეუძლია - გადაწყვიტოს, მოკვდეს. ეს საქმე რომ გამოუვიდეს, მისი აღსრულება სხვას უნდა მიანდოს: რაიმე ნივთს, რომელიმე წამლის ბოთლს, რომელიმე თოკს, რათა, რომც მოინდომოს, ვეღარ გადაიფიქროს; რომც ვერ მოახერხოს, იმ სხვამ მოახერხოს.

სიკვდილსაც შემწე და მშველელი უნდოდა, მე კი ყველა ხელის შემშველელი ხელიდან გამომეცალა. განა დედაჩემი მზად იყო, მოვეკალი? ნუთუ ჯერ კიდევ ასე ძლიერ ვუყვარდი? ცოლს კიდევ ჰქონდა შერჩენილი ჩემი სიყვარული? მუნას?..

ვაი, რა წუთები იყო! კი ვცდილობ, ეს ამბავი ისე მოვყვე, როგორც იყო - ემოციების გარეშე, ქირურგივით დაუნდობელი ვიყო და მკვლევარივით მიუკერძოებელი, მაგრამ არ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომდის. გამომცემელს ვთხოვ, რედაქტირებისას ეს მონაკვეთები გაასწოროს და მეცნიერული სულისკვეთება შეინარჩუნოს.

დედაჩემს ხელები შეკრული ჰქონდა, მაგრამ თვალებით მკლავდა და არა ვკვდებოდი. მინდოდა, ზემოდან ეზოში გადამესროლა თავი - სართულებს შორის გისოსები არ გამიშვებდა. "მიწა პირს არ აღებდა და ზეცა მკლავებს არ შლიდა" და იძულებით ცოცხალი ვრჩებოდი: ტყავგამძვრალი, დაფერფლილი, დაფლეთილი. ტკივილი ღირსებას მითელავდა და თავმოყვარეობას მირღვევდა.

ისევ დაბრუნდნენ. მოვემზადე იმისთვის, რომ, რასაც მომთხოვდნენ, ყველაფერი გამეკეთებინა. მაგრამ აზოდიმ ჩემ წინ სკამი დაიდგა, ჩამოჯდა, ხელი გამომიწოდა და მომილოცა. გამომძიებელმა მითხრა: "ყველაფერი დამთავრდა. შენი სხეული ოფიციალურად მოკვდა". გაზეთი მომცა. ამას მეორე გვერდზე იუწყებოდნენ. განაგრძო: "შენი სული, რომელიც იძებნებოდა, გამოცვლილია".

- გული გამოგირეცხეთ, - მითხრა აზოდიმ, - ახლა, ვისაც მოვინდომებთ, იმას შეიყვარებ და ვისაც ვისურვებთ, იმის მტრობას ჩაიდებ გულში.

- აი, ეგ გვინდა, თორემ სადისტები ხომ არა ვართ?! - მითხრა გამომძიებელმა.

- თქვენი მეცნიერულად გამართული ორგანიზაცია, - მომმართა აზოდიმ, - მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ადამიანის გამძლეობას საზღვარი აქვს და გარკვეული წამების შემდეგ ყველა ტყდება ხოლმე. ამიტომაც ინფორმაცია კლასიფიცირებული აქვს, გამძლეობის ხანგრძლივობის მიჯნები აქვს განსაზღვრული. ჰოდა, ჩვენი მსოფლიო ორგანიზაცია საკითხს სხვა მხრიდან მიუდგა. არ ითხოვს მოძველებულ ინფორმაციას, არ აინტერესებს შეხვედრის დრო და არალეგალური ბინები - მეცნიერული მონაცემები სჭირდება!" მანუჩეჰრიმ დაამატა: "სული მეცნიერების სამსახურში! ჩვენ ახლა იქამდე მივედით, სადამდეც აინშტაინს ატომის აღმოჩენით არ მიუღწევია. მან ატომის ბირთვი გახლიჩა, ჩვენ - ადამიანისა. მომილოცავს, პროფესორო!"

ერთმანეთი გადაკოცნეს. ხელები მსუქან ფერდებში მოუთათუნეს ერთმანეთს. გამომძიებელს უკვე ძაღლადაც არ აგდებდნენ. მილიმეტრულა კედლიდან ჩამოხსნეს, საქაღალდეს



დაადეს, "საქმეები" იღლიაში ამოიჩარეს და ოთახი დატოვეს.

გამომძიებელმა, თუ რამე უშვერი გინება იცოდა, ყველა უკან მიაყოლა. დამიჯდა და მოთქმით ატირდა. მევედრებოდა, შემიბრალე დარჩენილი სულგრძელობითო. არ მქონდა დარჩენილი და არ შემებრალა. მაშინ გაბრაზდა. მათრახს ხელი დაავლო, მხარზე გადაიგდო, კედელზე მილიმეტრულა გააკრა, ზედ ავტოკალმით წირი გაავლო და მითხრა: "შე იმასქნილო, თუ ჩემი გულისთვის არ იტირებ, შენს წირს აი, ამ სიმაღლემდე ავიყვან!"-ო. მოვყევი მოთქმა-გოდებას მისთვის, თავი ვიგვემე, ავტირდი ისე, რომ გული არ გამტოკეტია. შევებრალე, მომეხვია, თითები გასივებულ ფერდებში ჩამავლო და მითხრა: "დაზვერვის ორგანიზაციის გამომცემლობის წინადადება უნდა გადმოგცე: დაწერე, რაც მოხდა, რომ მთელი ეს გამოკვლევა იმ ნაბოზარმა ფსიქოლოგებმა არ მიიწერონ, ემანდ არაფერი შეეშალოთ: ჩვენი ლაბორატორიის გარეშე ეგენი მძღნერები იყვნენ და ვერაფერს გახდებოდნენ."

დავეთანხმე. ერთი თვის თავზე, როცა გამოვკეთდი, წერას შევუდექი. მან მითხრა:

"ეს წიგნი იმით არის კარგი, რომ აღარ დამჭირდება სამ მილიონ კაცზე სათითაოდ ექსპერიმენტის ჩატარება იმისთვის, რომ კარგ მოქალაქეებად ვაქციო, ისეთად, როგორიც შენ ხარ: ნებაზე თუ მიგიშვებ, ცუდს არაფერს ჩაიდენ. საკმარისია, ეს წიგნი წაიკითხონ და ყველანი შენსავით ამ დასკვნამდე მივლენ. დაწერე, ყველაფერი ისე დაწერე, როგორც იყო, უფრო შთამბეჭდავი რომ გამოვიდეს."

მერე, როცა გამომძიებელი გამიშინაურდა, გამომიტყდა, რომ ესეც ფსიქოლოგების მოთხოვნით გააკეთა. განა ჩემთვის უკვე სულერთი არ იყო? ყველაფერზე წამსვლელი ვიყავი.

ახლა მშვენივრად შემიძლია ამ ამბისგან ერთი ბრძნული დასკვნა გამოვიტანო და განვაცხადო: მე უკვე შესწავლილი მოვლენა ვარ, რომლის ასავალ-დასავალი ცნობილია ფსიქოლოგიური მეცნიერებისათვის, ვიქეცი მშვიდ მოქალაქედ, რომელიც ნებისმიერ ხელისუფლებას გამოადგება. შეუძლიათ ჩემი ტიპი ათასობით ახალ ცივილიზაციას დაუდონ საფუძვლად ისე, რომ მას განადგურების საფრთხე არ დაემუქროს. ახლა ყველას შეუძლია დამიჯეროს: მეცნიერული წამების წყალობით, არც ერთი მეცნიერების საზღვრებსა და მიჯნას არ გადავაბიჯებ. ის კი არა, გამომცემელს შეუძლია დამერწმუნოს, რომ ამ თემას ისევ დავწერ ნებისმიერი სხვა სახით ისე, რომ ერთი წინადადებაც არ შეუქმნის საფრთხეს და, ათასი სხვა სათაურით, სხვა მოქალაქეთა ფსევდონიმით, გამოვაქვეყნებ. გამომცემელი დამპირდა, რომ ჰონორარის ნაცვლად თავისუფლებას დამიბრუნებს. ნება დამრთო, თუკი მოვისურვებ, ჩემს ოჯახთან ერთად ვიცხოვრო: ჩემს მკვდარ შვილ მუნასთან, დასახიჩრებულ ცოლ სუსანთან ან დედაჩემ ნარგესთან. ბევრი ვიფიქრე და ვხედავ, რომ სულერთია ჩემთვის, ოჯახის რომელ წევრთან ვიცხოვრებ. მე, როგორც ჩემი სამშობლოს რიგიან მოქალაქეს, პოლიტიკური ფსიქოლოგიის მიერ შესწავლილ ფენომენს, აღარავისი ბედ-იღბალი და მდგომარეობა აღარ მანაღვლებს. მზადა ვარ, ჩემი მხრივ, საკუთარი თავი, ჩემი ოჯახი, ჩემი ერი და მთელი მსოფლიო მეცნიერულ კვლევას შევწირო. ბედნიერი ვარ და დარწმუნებული, რომ ჩემი წიგნის გამომცემლის ფსიქოლოგ-კონსულტანტებს გასულ თვეში ღამით მშვიდად ეძინათ და არ დარჩენილა რაიმე უცნობი, რომლის ამოხსნაც ნერვიულობად და მღელვარებად დაუჯდებოდათ.

ო, რა მშვენიერი ღამეებია!

დასასრული: შუაღამე. ფსიქოლოგიური დროის მეორმოცე დღე.

I გამოცემის ეპილოგი:

პრესის კანონმდებლობის შესაბამისად, ავტორმა სრულად მიიღო ჰონორარი. ამჟამად იგი, როგორც ერთ-ერთი ბედნიერი მოქალაქე, საზოგადოებაში თავს მშვენივრად გრძნობს.

II გამოცემის ეპილოგი:

გამომცემელი, გამოთქვამს რა მწუხარებას ხსენებული ავტორისა და მისი ოჯახის წევრების დაღუპვის გამო, უარყოფს ყველა გავრცელებულ ჭორს ქუჩის დემონსტრაციაში მისი მოკვლის თაობაზე. ამასთან, აცხადებს, რომ ტერორისტულ აქტს ადგილი არ ჰქონია. იგი გარდაიცვალა შემთხვევით, ავტოკატასტროფაში მიკროავტობუსთან შეჯახების შედეგად. ამ ოჯახის სულის საცხონებლად ყველა მოქალაქესა თუ განსვენებულის მიმდევარს ვურჩევთ, წაიკითხოს ეს წიგნი.

სპარსულიდან თარგმნა
თეა შერვაშიძემ

ჩიზარი - თეირანის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე სოფელი, რომელიც ამჟამად თეირანის შიგნით არის მოქცეული.

სავაკი - სპ. აბრევიატურაა ("ქვეყნის ინფორმაციისა და დაზვერვის ორგანიზაცია"). ასე ეწოდებოდა უშიშროების სამსახურს მონარქისტულ ირანში.

ფარიდ ედ-დინ მოჰამად იბნ ებრაჰიმ ათარი - XII-XIII სს.-ის ირანელი სუფი პოეტი

მანი - წონის ერთეული ირანში (სხვადასხვა რაიონში მერყეობს 3-დან 12 კგ-მდე)

სანთლით - წამების ერთ-ერთი სახეობა: ადამიანს მთელ სხეულს უსერავენ და ჭრილობაში ანთებულ სანთლებს უდებენ.

ᲘᲝᲡᲘᲤ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘ

ᲙᲐᲠᲚ ᲓᲐ ᲔᲚᲔᲜᲓᲔᲘᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲔᲑᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ "ᲐᲠᲓᲘᲡᲘᲡᲐ" ᲓᲐ ᲟᲣᲠᲜᲐᲚ "Russian Literature Triquarterly"-ᲘᲡ ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲚᲔᲑᲘ (1969) ᲓᲐ ᲠᲔᲓᲐᲥᲢᲝᲠᲔᲑᲘ, ᲘᲝᲡᲔᲑ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘᲡ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ ᲛᲔᲒᲝᲑᲠᲔᲑᲘ ᲘᲧᲕᲜᲔᲜ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ. 1972 ᲬᲔᲚᲡ, ᲠᲝᲓᲔᲡᲐᲪ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘ "ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲔᲑᲨᲘ" ᲒᲐᲛᲝᲘᲫᲐᲮᲔᲡ ᲓᲐ ᲣᲚᲢᲘᲛᲐᲢᲣᲛᲘᲡ ᲡᲐᲮᲘᲗ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡ ᲓᲐᲢᲝᲕᲔᲑᲐ ᲛᲝᲡᲗᲮᲝᲕᲔᲡ, ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲔᲑᲘ ᲚᲔᲜᲘᲜᲒᲠᲐᲓᲡ ᲡᲢᲣᲓᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ. ᲔᲚᲔᲜᲓᲔᲘᲐ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘ ᲬᲔᲠᲡ, ᲠᲝᲛ ᲘᲡ ᲓᲐ ᲙᲐᲠᲚᲘ ᲕᲘᲖᲘᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲜᲔᲑᲐᲠᲗᲕᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲧᲝᲤᲘᲚᲔᲑᲘᲓᲐᲜ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐᲡ ᲛᲘᲡ ᲝᲗᲐᲮᲜᲐᲮᲔᲕᲠᲘᲐᲜ ᲑᲘᲜᲐᲨᲘ ᲔᲚᲝᲓᲜᲔᲜ, ᲞᲔᲡᲢᲔᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲨᲔᲘᲢᲧᲕᲔᲡ თუ არა, რომ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲓᲐᲜ ᲒᲐᲡᲐᲮᲚᲔᲑᲐ ᲔᲛᲣᲭᲠᲔᲑᲝᲓᲐ, ᲛᲐᲨᲘᲜᲕᲔ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲔᲡ ᲔᲜ ᲐᲠᲑᲝᲠᲨᲘ, ᲛᲘᲩᲘ�გᲐᲜᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲗᲐᲕᲐᲓ ᲪᲮᲝᲕᲠᲝᲑᲓᲜᲔᲜ. 1972 ᲬᲚᲘᲡ 4 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ ᲕᲔᲜᲐᲨᲘ ᲩᲐᲡᲣᲚ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘᲡ ᲙᲐᲠᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘ ᲓᲐᲮᲕᲓᲐ ᲓᲐ Ｕ.Ｈ.ᲝᲓᲔᲜᲘ ᲐᲞᲝᲕᲜᲘᲜᲐ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲞᲝᲔᲢᲘ ᲐᲦᲛᲔᲠᲗᲔᲑᲓᲐ. ᲝᲓᲔᲜᲘᲡ ᲬᲧᲐᲚᲝᲑᲘᲗ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘᲛ ᲔᲕᲠᲝᲞᲘᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲣᲚ ᲬᲠᲔᲔᲑᲨᲘ ᲨᲔᲐᲑᲘᲯᲐ, ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲔᲑᲘ ᲙᲘ ᲓᲐᲔᲮᲛᲐᲠᲜᲔᲜ, ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲨᲘ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲐ ᲓᲐᲔᲬᲧᲝ. ᲙᲐᲠᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘᲡ ᲠᲔᲙᲝᲛᲔᲜᲓᲐᲪᲘᲘᲗ (�გᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲠᲓᲐ, ᲘᲒᲘ ᲛᲘᲩᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲓᲐ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲚᲐᲓ), ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲨᲘ ᲝᲠᲘ ᲙᲣᲠᲡᲘᲡ ᲬᲐᲧᲕᲐᲜᲐ ᲨᲔᲡᲗᲐᲕᲐᲖᲔᲑᲘᲡ: ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ ᲠᲣᲡᲣᲚ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲖᲔ ᲓᲐ ᲚᲔᲥᲪᲘᲔᲑᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲝᲔᲖᲘᲐᲖᲔ.

ᲔᲜ ᲐᲠᲑᲝᲠᲨᲘ ᲒᲐᲓᲐᲡᲕᲚᲘᲓᲐᲜ ᲓᲐᲘᲬᲧᲝ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘᲡ ᲗᲘᲗᲥᲛᲘᲡ ᲐᲗᲬᲚᲘᲐᲜᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ ᲛᲘᲩᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲗᲐᲜ, ᲡᲐᲘᲓᲐᲜᲐᲪ ᲘᲒᲘ 1981 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲓᲐᲕᲘᲓᲐ ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ "ᲐᲠᲓᲘᲡᲘᲡᲨᲘ", ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ ᲛᲘᲡᲘ ᲨᲕᲘᲓᲘ ᲬᲘ�გᲜᲘ ᲒᲐᲛᲝᲐᲥᲕᲔᲧᲜᲐ: "ᲛᲨᲕᲔᲜᲘᲔᲠᲘ ᲔᲞᲝᲥᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲡᲡᲠᲣᲚᲘ" (1977), "ᲛᲔᲢᲧᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ" (1978), "ᲐᲮᲐᲚᲘ ᲡᲢᲐᲜᲡᲘᲔᲑᲘ ᲐᲕᲒᲣᲡᲢᲐᲡᲐᲓᲛᲘ" (1983), "ᲛᲐᲠᲛᲐᲠᲘᲚᲝ" (1984), "ᲣᲠᲐᲜᲘᲐ" (1987), "ᲒᲐᲩᲔᲠᲔᲑᲐ ᲣᲓᲐᲑᲜᲝᲨᲘ" (1988) ᲓᲐ "ᲞᲔᲘᲖᲐᲟᲘ ᲬᲧᲐᲚᲓᲘᲓᲝᲑᲘᲗ" (1996). ᲙᲐᲠᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘ 1984 ᲬᲔᲚᲡ ᲒᲐᲠᲓᲐᲘᲪᲕᲐᲚᲐ ᲙᲘᲑᲝᲗᲘ. ᲨᲕᲘᲓᲘ ᲗᲕᲘᲡ ᲨᲔᲛᲓᲔᲒ, 1985 ᲬᲚᲘᲡ 1 Ა�პᲠᲘᲚᲡ, ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘᲡ ᲡᲐᲯᲐᲠᲝ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐᲨᲘ ᲙᲐᲠᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲘᲡ ᲡᲐᲦᲐᲛᲝ ᲒᲐᲘᲛᲐᲠᲗᲐ, ᲡᲐᲓᲐᲪ ᲑᲠᲝᲓᲡᲙᲘ ᲛᲝᲒᲝᲜᲔᲑᲔᲑᲘᲗ ᲒᲐᲛᲝᲕᲘᲓᲐ.

ᲙᲐᲠᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘᲡ ᲒᲐᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲓᲦᲔᲡ ᲐᲥ ᲘᲛᲘᲢᲝᲛ ᲨᲔᲕᲘᲙᲠᲘᲑᲔᲗ, ᲠᲐᲗᲐ ᲞᲐᲢᲘᲕᲘ ᲛᲘᲕᲐᲒᲝᲗ ᲙᲐᲠᲚ ᲠᲘᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘᲡ ᲮᲡᲝᲕᲜᲐᲡ; ᲛᲐᲨ, ᲒᲐᲕᲘᲮᲡᲔᲜᲝᲗ ᲙᲐᲠᲚ ᲠᲘᲔ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲘ, ᲛᲘᲩᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲣᲜᲘᲕᲔᲠᲡᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲠᲣᲡᲣᲚᲘ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲐᲡᲬᲐᲕᲚᲔᲑᲔᲚᲘ, ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲐ "ᲐᲠᲓᲘᲡᲘᲡ" ᲓᲐᲛᲤᲣᲫᲜᲔᲑᲔᲚᲘ, ᲒᲐᲠᲓᲐᲪᲕᲚᲘᲚᲘ ᲒᲐᲡᲣᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲡᲔᲥᲢᲔᲛᲑᲠᲘᲡ ᲗᲕᲔᲨᲘ, ᲔᲜ ᲐᲠᲑᲝᲠᲨᲘ (ᲛᲘᲩᲘᲗᲐᲜᲘᲡ ᲨᲢᲐᲢᲘ). ᲘᲒᲘ ᲘᲥᲕᲔᲐ ᲓᲐᲙᲠᲫᲐᲚᲣᲚᲘᲐ - ᲨᲣᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘᲡ ᲔᲡ ᲛᲙᲕᲘᲓᲠᲘ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲒᲐᲘᲖᲐᲠᲓᲐ ᲓᲐ ᲪᲮᲝᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲐᲬᲘᲚᲘ ᲨᲣᲐ ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲨᲘ ᲒᲐᲐᲢᲐᲠᲐ ᲓᲐ ᲠᲝᲛᲔᲚᲛᲐᲪ, ᲛᲘᲣᲮᲔᲓᲐᲕᲐᲓ ᲐᲛᲘᲡᲐ, ᲨᲔᲫᲚᲝ ᲗᲐᲕᲘᲡᲘᲡ ᲬᲐᲛᲝᲬᲧᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲜᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲡᲐᲙᲛᲐᲝᲓ ᲓᲘᲓ ᲜᲐᲬᲘᲚᲨᲘ ᲒᲐᲠᲙᲕᲔᲣᲚᲘ ᲪᲕᲚᲘᲚᲔᲑᲐ ᲒᲐᲛᲝᲔᲬᲕᲘᲐ. ᲑᲝᲚᲝ ᲓᲦᲔᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲣᲡᲐᲐᲫᲚᲘᲡ ᲗᲙᲘᲕᲘᲚᲡ ᲠᲝᲛ ᲗᲕᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲓᲐᲔᲑᲜᲔᲚᲔᲑᲘᲜᲐ, ᲐᲚᲑᲐᲗ ᲗᲕᲘᲗᲝᲜᲕᲜᲕᲔ ᲓᲐᲘᲜᲐᲮᲐᲕᲓᲐ, ᲠᲝᲛ ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲗᲝᲕᲔᲑᲓᲐ, ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲘ ᲘᲧᲝ ᲐᲜ ᲡᲮᲕᲐᲜᲐᲘᲠᲐᲓ ᲛᲐᲘᲪ ᲐᲮᲠᲝᲕᲜᲔᲑᲓᲐ, ᲕᲘᲓᲠᲔ ᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲡᲐᲪ ᲐᲛ ᲗᲮᲣᲗᲛᲔᲢᲘᲝᲓᲔ ᲬᲚᲘᲡ ᲬᲘᲜ ᲘᲪᲜᲝᲑᲓᲐ; ᲛᲐᲡ ᲣᲤᲚᲔᲑᲐ ᲰᲥᲝᲜᲓᲐ, ᲔᲡ ᲡᲮᲕᲐᲝᲑᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲬᲘᲚᲐᲓᲐᲪ ᲛᲘᲔᲗᲕᲐᲚᲐ.

ᲩᲕᲔᲜ ᲛᲝᲡᲐᲬᲕᲔᲕᲔᲑᲖᲔ ᲒᲐᲛᲝᲡᲐᲮᲣᲚᲘ ᲪᲮᲔᲜᲔᲑᲨᲔᲑᲛᲣᲚᲘ ᲔᲢᲚᲘ "ᲐᲠᲓᲘᲡᲘᲡ" ᲛᲐᲠᲙᲐᲐ - ᲒᲐᲛᲝᲛᲪᲔᲛᲚᲝᲑᲘᲡ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲙᲐᲠᲚ ᲞᲠᲝᲤᲔᲠᲛᲐ ᲗᲐᲕᲘᲡ ᲛᲔᲣᲚᲚᲔᲡᲗᲐᲜ, ᲔᲚᲔᲜᲓᲔᲘᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲓᲐᲐᲐᲠᲡᲐ

70-იანი წლების დასაწყისში. ეს დილიჟანსი თვალსაჩინო გამოხატულებაა პუშკინის ფრაზის: "მთარგმნელები განათლების ფოსტის ცხენები არიან". "არდისი", მართლაც, ძალიან ჰგავდა დილიჟანსს, რომელიც გადალახავდა ვეებერთელა ტერიტორიას, ზოგჯერ მტრულსაც - მხედველობაში მაქვს ბოლო ასი წლის მანძილზე რუსულ ლიტერატურაში არსებული სინამდვილე.

ამ ტერიტორიაზე, გარდა საბჭოთა ხელისუფლებისა, ბატონობდა მრავალნაირი მცდარი შეხედულება, კუთხურობა, გააზრებული თუ გაუაზრებელი თავის მოტყუება. აქა-იქ, მზაკვარი ინდიელებივით, საფრებში ისხდნენ ღვარძლიანი ლიტერატურათმცოდნენი, აღფრთოვანებული უვიცები. მიუხედავად ამისა, ამ ტერიტორიის დიდი ნაწილი მაინც უხილავი და უცნობი იყო.

უფრო მარტივად რომ ვთქვათ, დაახლოებით 70-იან წლებში, კარლ პროფერი მიხვდა, რომ მეოცე საუკუნის რუსული ლიტერატურის სამი მეოთხედი ინგლისურად თარგმნილი არ იყო და გადაწყვიტა, საქმე გამოესწორებინა. მისმა საქმიანობამ რუსულ ლიტერატურას ერთიანობისა და ღირსების გრძნობა აღუდგინა.

ეს მჭექარე სიტყვებია, კარლ პროფერი კი მჭექარე სიტყვებს ვერ იტანდა; მაგრამ მისი ღვაწლი ძალაუნებურად მიბიძგებს აღმატებისკენ. არადა, დიდი მიზნების თუნდაც გაკვრით ხსენებაზე, ეს თავდაჭერილი და უზომოდ ირონიული კაცი, ალბათ უსიამოვნოდ შეიჭმუხნებოდა. თვით ჩემი ნათქვამი - "გადაწყვიტა, საქმე გამოესწორებინა" - ცოტა ყალბად ისმის, რადგან ეს იყო ყოველდღიური, მუხლჩაუხრელი შრომა. ამ საქმის წმინდა წყლის პრაქტიკული მხარე ბოლომდე ნთქავდა ყველანაირ დიდ ჩანაფიქრს, თუნდაც თავიდან მართლა ასე ყოფილიყო.

რამეთუ "არდისი" იყო - და ახლაც არის - ოჯახური წარმოება, სადაც არცთუ უმნიშვნელო როლს ბავშვები - მოზარდები ასრულებდნენ. მე მხოლოდ მარკაზე ენის ასმას და კონვერტების დაწებებას არ ვგულისხმობ - რუსეთში მრავალგზის მგზავრობასაც, სადაც პროფერები მუდამ შვილებთან ერთად ჩადიოდნენ. ბავშვები თავგზას უბნევდნენ "სუკის" აგენტებს, იფანტებოდნენ სხვადასხვა მხარეს, ზამთრის ქურთუკებში მალავდნენ ამანათებს და საერთოდ, დიდ აურზაურს ტეხდნენ.

"არდისის" მთავარი საქმე, ცხადია, ქვეყნიდან ხელნაწერების გატანა იყო და მისი სიუჟეტი ზოგჯერ ცბიერებით ლე კარესა და ლენ დეიტონის გამოგონილს ეჯიბრებოდა, მაგრამ გარდა იმისა, რომ ტექსტები, ბოლოს და ბოლოს, პროფერის სარდაფში ხვდებოდა, საჭირო იყო მათი თარგმნა, აწყობა, რედაქტირება, ტიპოგრაფიაში ჩაბარება, გავრცელება, რეკლამა და ხარჯის გასტუმრება. ამ ყველაფერს კარლ პროფერი შემდეგ და თავისი ჯაბაგირით აკეთებდა. ძირითადად კი იგი უნივერსიტეტის შემდეგ მუშაობდა. იგი გულმოდგინედ არიდებდა თავს ყველა სახის დაფინანსებას - ფედერალური პროგრამა იქნებოდა, გრანტი, ნახევრად სახელმწიფო სააგენტო თუ თუნდაც უნივერსიტეტი. რუსეთიდან ხელნაწერების კონტრაბანდაზე იოლი არც თავის გატანა იყო.

კარლ პროფერი ასე არც პატივმოყვარეობის გამო იქცეოდა და არც იმიტომ რომ არ უნდოდა, მოგება სხვისთვისაც გაეყო. არავითარი მოგება არ ჰქონდა, ხოლო იმ იშვიათ შემთხვევაში, როცა ცოტაოდენი ფული შემოვიდოდა, მაშინვე სხვა პროექტში, წიგნების ახალ სერიაში იდებოდა. სიტყვა პატივმოყვარეობა მე ყველაზე ნაკლებად გამახსენებს კარლ პროფერს. მე მგონი, მისი ერთადერთი პატივმოყვარეობა იყო - შეენარჩუნებინა თავის საქმეში დამოუკიდებლობა და ოჯახი ბედნიერი და კმაყოფილი ჰყოლოდა. ბოლოს ასეც გამოვიდა. რამდენადაც გარედან მაყურებელი კაცი ამის განსჯაში შეიძლება მართალი იყოს - ერთი მეორეს უმაგრებდა ზურგს.

დამოუკიდებლობა, ავტონომია, შეჯიბრზე გამოსული სპორტსმენის ფსიქოლოგია - ყველაზე ხშირად ეს მომდის ხოლმე აზრად, როდესაც ვცდილობ ჩემთვის დავხატო ან სხვას აღვუწერო, როგორი კაცი იყო კარლ პროფერი. ეს თვისებები ყველაზე კარგად ასახავს მის შეუპოვრობას, რისკზე წასვლის მზაობას, თანაც, მხოლოდ პროფესიონალურზე: რასაც ის ხელნაწერებს უშვრებოდა რუსეთში, ძალიან სახიფათო იყო. თვითონ, ალბათ ამას რისკს არ დაარქმევდა, უფრო აზარტული თამაშიაო, იტყოდა. იმიტომ არა, რომ საფრთხე გაეუფერულებინა ან თავი ვაჟკაცად წარმოეჩინა. ცხოვრება მისთვის, ბევრი რამით, ავანტურა იყო - თამაში, რომელსაც თან რისკიც ახლდა, ოღონდ - თამაში წესების დაცვით. მას კეთება სურდა და იმას აკეთებდა, რაც უნდოდა ეკეთებინა, რაც მისი და არა ვიღაც-ვიღაცების აზრით, გაკეთებად ღირდა. მესმის, რომ ამას ინდივიდუალიზმი ჰქვია, მაგრამ რამდენი სიცოცხლე, რამდენი თავი სარგებლობდა და კი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დევაც ისარგებლებს ამ ინდივიდუალისტის შრომის ნაყოფით! სარგებელი ნახა მთელმა ლიტერატურამ - ჩვენმა დიდმა რუსულმა ლიტერატურამ - არ ვგულისხმობ მხოლოდ დასავლეთის შეფასებას, არამედ მის ფასს თავად რუსეთში; რა ამაგიც კარლ პროფერმა რუსულ ლიტერატურას დასდო, გუტენბერგის გამოგონებას ჰგავს, რადგან მან ისევ დაბეჭდა წიგნი. როდესაც კარლ პროფერმა რუსულად და ინგლისურად გამოსცა ნაწარმოებები, რომლებიც განწირული იყო, ამით მან მრავალი მწერალი და პოეტი იხსნა დავიწყებისგან, დამახინჯებისგან, ნევროზისა და სასოწარკვეთისგან. მეტიც, მან რადიკალურად შეცვალა ლიტერატურული კლიმატი. დღეს ავტორი, რომლის ნაწარმოები უარყოფილი ან აკრძალულია, უფრო თავისუფალია, რადგან იცის, რომ ბოლოს და ბოლოს, თუ უსაშველო გახდა, თავის ნაწარმოებს "არდისში" გაგზავნის. ცხადია, ეს საშიშია, მაგრამ გამოსავალი მის ფსიქიკას სახელმწიფოს წნეხისგან ათავისუფლებს. მისი მართვა უფრო გაძნელდა, თანაც სახელმწიფო იძულებულია, წნეხი შეამსუბუქოს და თუნდაც, შემოფარგლული, მაგრამ მაინც მეტი სივრცე დაუთმოს ლიტერატურაში სტილისტური თუ ფილოსოფიური მანევრირებისთვის. რაც მთავარია, რუსული ლიტერატურა სულ უფრო და უფრო ნაკლებად იყოფა ოფიციალურად და იატაკქვეშა ლიტერატურად. პირველი მეორის ზეწოლისგან ფრიად შესამჩნევად იცვლება კიდეც. აკრძალული მემკვიდრეობა ნამდვილის საკუთრება ხდება.

ცხადია, დიდი ოპტიმიზმისთვის საფუძველი არა გვაქვს. ქვეყანაში "არდისის" მიერ გამოცემული წიგნების ძალზე მცირე ნაწილი აღწევს და მას ერის უმცირესი ნაწილი კითხულობს, მაგრამ ასეთი "სასწაულით" მოხვედრილი წიგნი გაცილებით დიდ ინტერესს აღძრავს, ვიდრე ის, რითაც რეგულარულად ამარაგებენ. ზემოხსენებული ერის ნაწილი კი სწორედ ის ლიტერატურული ერთობაა, რომელიც ყველაზე მეტად მიდრეკილია სტილისტური თუ ფილოსოფიური ნოვაციისკენ და რომელიც ისედაც, არცერთ ქვეყანაში მრავალრიცხოვანი არ არის. ამასთან, ნუ დაგვავიწყდება, რომ საზღვარგარეთ გამოცემული წიგნი ადგილობრივზე გაცილებით მიმზიდველია და მის ხელში ჩასაგდებად ძალ-ღონეს არ იშურებს არც მკითხველი და არც საიდუმლო პოლიცია.

ამით იმის თქმა მინდა, რომ კარლ პროფერისა და მისი "არდისის" წყალობით, რუსული

იოსიფ ბროდსკი, კარლ და ელენდეია პროფერები სან-ფრანცისკოში (1972 წ.)

სიტყვიერების მდგომარეობა შეუქცევადი გახდა და გაცილებით გაჯანსაღდა, ვიდრე ამ საუკუნის დიდი მონაკვეთის მანძილზე იყო. დაახლოებით ისეთივე სიტუაცია შეიქმნა, როგორც მე-19 საუკუნეში, როდესაც საზღვარგარეთ და ქვეყნის შიგნით გამოცემული წიგნები ერთ ლიტერატურად აღიქმებოდა, არადა ასეც იყო.

არა მგონია, კარლ პროფერს მიზნად ცვლილებები დაესახა. იშვიათად შემხვედრია ამერიკელი, ვისაც ასე ცოტა ილუზია ჰქონოდა საბჭოთა კავშირზე და ამიტომაც ამაზე უცხო მისი აზროვნებისთვის არაფერი იქნებოდა. იგი აკეთებდა ამას - რასაც აკეთებდა - უბრალოდ, რუსული ლიტერატურის სიყვარულით. როგორც ყველა სიყვარული, მისიც ნამდვილი ხიბლის, ცნობისწადილის, ეჭვის, თანალმობისა და ყველაზე მეტად თავისი ობიექტისადმი უძლიერესი ლტოლვის ნაზავი იყო. მას უბრალოდ სურდა, რომ ის ყოფილიყო ნაბეჭდი, ფურცლებზე, სხვების ტოლი და სწორი. ვერ იტანს და როცა მის თვალწინ აწამებდნენ, ჯიჯგნიდნენ, შეურაცხყოფდნენ რუსულ ლიტერატურას. მან, სხვებისგან განსხვავებით, რომლებიც იმავეს გრძნობდნენ, გადაწყვიტა, ემოქმედა. უფრო მარტივად რომ ვთქვა, კარლ პროფერმა რუსული ლიტერატურისთვის გააკეთა ის, რაც რუსებს სურდათ გაეკეთებინათ და ვერ შეძლეს. ამისთვის, რუსული ლიტერატურის გაერთიანებისა და ღირსების აღდგენისთვის ჩვენ მისი მადლიერი ვართ. ჩვეულებრივ, წიგნის კითხვისას, იშვიათად გაგახსენდება გამომცემელი - ჩვენი მადლობა ავტორს ერგება ხოლმე. რუსული ისტორიის თავისებურებამ გამომცემელი მნიშვნელობით ლამის მწერალს გაუტოლა და მათ შორის არსებული სხვაობა ძალზე შეამოკლა - ცუდ დროებაში სხვაობას ასე მოსდის ხოლმე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუკი კარლ პროფერს მისი ავტორების გვერდით იხსენიებენ, ეს იმიტომ, რომ ისიც იმათებურად შინაგან მოთხოვნილებას ემორჩილებოდა. თუმცა, ისიც უნდა დავძინო, რომ მისი შინაგანი მოთხოვნილება შეფერილი არ ყოფილა ავტორებისთვის ჩვეული უეჭველი ეგოიზმით.

კარლ პროფერი კეთილი კაცი იყო, უზომოდ კეთილი. იგი, თითქოს სიკეთეს ასხივებდა, ოღონდ თავისებურ სიკეთეს; მისი სიკეთე არ გახრჩობდათ, პირიქით, თუმცა გრძნობდით, რომ თავით ფეხამდე ამოცნობილი ჰყავდით და თქვენს მიმართ არავითარი ილუზია არ ჰქონდა, მაინც კეთილად გექცეოდათ.

არ ვიცი, როგორ უძლებდა ამდენს. იქნებ იმიტომ, რომ ძალიან მაღალი იყო, ძალიან ღონიერი - თუმცა, მის გვერდით, უფრო დაბლად ან უფრო უღონოდ, თავი არავის უგრძვნია; ალბათ ნაწილობრივ იმიტომ, რომ ხმადაბლა ლაპარაკობდა, ცოტა ბეჭებში იხრებოდა, ხოლო სათვალიდან ჭკვიანი, მთვლემარე თვალები გიმზერდათ. თითქოს ხვდებოდით, რომ თქვენი ნათქვამი ან საქციელი კიდეც რომ არ მოწონებოდა ეს, ყველაზე ბოლოს თუ გაახსენდებოდა, ისიც უნებლიეთ და მაშინაც, უფრო პატიებისთვის, ვიდრე განსჯისთვის.

როდესაც დახმარება გჭირდებოდათ, ძალღონეს არ დაიშურებდა. ეს ჩემზე უკეთ არავინ იცის. 1972 წელს, როდესაც რუსეთი დავტოვე, იგი ჩემს დასახვედრად ვენაში ჩამოფრინდა და რამდენიმე წელი პროფერები ისე ზრუნავდნენ ჩემზე, თითქოს მათი მეოთხე შვილი ვყოფილიყავი. როგორც ხედავთ, დილიჟანსი გზადაგზა მგზავრებსაც კრეფდა. ორი მათგანი დღეს აქ არის... ამ წლების მანძილზე მე მის იმედად ვიყავი, ბავშვივით მშვიდად ვგრძნობდით თავს, თუმცა ჩემზე სულ ორიოდე წლით იყო უფროსი. დღე-ღამის ნებისმიერ დროს - ჩემს თავზე მაქვს გამოცდილი - მზად იყო გამოგსარჩლებოდათ: ბუზღუნით, ლანძღვით, მაგრამ უეჭველად გამოგესარჩლებოდათ.

ამაოებას ყველაზე მძაფრად მაშინ გრძნობ, როდესაც ცდილობ, სიტყვით გააცოცხლო ის, ვინც მოკვდა. ეს რომ შეიძლებოდეს, მწერლის პროფესია ყველაზე დაფასებული იქნებოდა. მინდოდა ამით დამემთავრებინა, მაგრამ ნება მიბოძეთ, ორიოდე სიტყვა კიდევ ვთქვა.

გარკვეულ ასაკში, როცა დაკარგულ ადამიანთა სია მრავლდება, როცა იგი შეძენილს სჭარბობს, ყოველი სიკვდილი თითქოს გეპატიჟება, გიხმობს, რომ წაჰყვე. მხოლოდ იმიტომ კი არა, რომ მიგატოვეს - ამით თითქოს შენი ცხოვრების ის ნაწილიც მიდის, რომელიც გარდაცვლილთან გაგიტარებია. ზოგჯერ ეს ნაწილი ძალიან დიდია, როგორც ახლა - თითქმის თხუთმეტი წელი.

რაც უფრო ბევრს კარგავ, მით მეტი მიდის შენგანაც და ბოლოს დგება დრო, როდესაც თუკი მოითვლი, აღმოჩნდება, რომ მეტი დაგიკარგავს, ვიდრე დაგრჩენია ანდა მომავალში შეიძენ. ყოველი დანაკარგი მიწვევასავით არის, ყველა გარდაცვლილი მეგობარი ნათესავივით არის - მშობელივით, რომელსაც ვეღარ შეიძენ, იმიტომ, რომ შენ მშობლები აღარ გეყოლება.

მიპატიჟებაზე რაც შეიძლება დიდხანს უარის თქმას არც ლაჩრობა გაიძულებს და არც თავის სიბრალული. ალბათ უფრო იმიტომ უარობ, რომ წასულები თავის რაღაც ნაწილს შენ გიტოვებენ შესანახად და შენ უნდა იყო, რომ ისინიც იყვნენ. ბოლოს და ბოლოს, ეს არის ცხოვრება, ვაცნობიერებთ ამას თუ არ ვაცნობიერებთ.

რამეთუ ყველა, ვისთანაც ურთიერთობა გვქონია, თავის ანაბეჭდს ტოვებს ჩვენ ბადურაზე, რომ აღარაფერი ვთქვათ ფსიქიკაზე. რაც უფრო ძლიერია პიროვნება, ანაბეჭდი მით უფრო ღრმად გვიჯდება კანში, კუნთებში, ნერვებში, მსოფლმხედველობაში. ის შეუმჩნევლად გასხვაფერებთ - ეგუება, ეთვისება - ასხვაფერებს თქვენს გარსს. თქვენ ხდებით ის, ისინი: ბაძავთ მათ ჟესტებს, მანერებს, იდეებს, ეჭვებს. მოკლედ, სხვისი სულის მატარებელი ხდებით ისე, რომ თავად ვერ ამჩნევთ, რამეთუ ტვირთი იგი მსუბუქია. რასაც ახლა მე ვამბობ, აუცილებელი არ არის კარლ პროფერი იყოს, მაგრამ ჩემშიც და იმაშიც, რასაც ისმენთ, მისი ნაწილიცაა. იგი ცოცხლობს ამ ექვს ადამიანშიც და კიდევ მრავალში. ყველაზე მეტად კი ცოცხლობს თავის წიგნებში. ერთად შეკრებილი ეს წიგნები საკმაოდ დიდ პირამიდას ქმნის, რომლის შიგნითაც იგი განისვენებს; ყოველთვის, როცა თქვენ "არდისის" ერთ-ერთ წიგნს გადაშლით, იმ ადამიანის ნაწილსაც იპოვით, რომელსაც კარლ პროფერი ერქვა.

თარგმნა ᲘᲐᲛᲐᲠ ᲐᲑᲠᲐᲛᲘᲨᲕᲘᲚᲘᲨᲕᲘᲚᲘ

ეკა ჩანქსელიანი

წყვდიადის გულის ადგილსამყოფელი

"სიტყვების ერთ ნაწილს საერთოდ არ აქვს მნიშვნელობა, მეორე ნაწილს კი ყველა საკუთარი ახირებებისა და ქედმაღლობის მიხედვით იგებს. რწმენა მითია და მრწამსი იცვლება ისე, როგორც ნისლი ნაპირზე; აზრები ქრება; სიტყვები კი წარმოთქმის შემდეგ დავიწყებას ეძლევა."

კონრადის "წყვდიადის გული" ის ნაწარმოებია, რომელსაც ბევრი კითხულობს, მაგრამ ცოტანი თვლიან, რომ იგებენ და უფრო ცოტანი ხვდებიან იმას, რომ "გაგება" აუცილებელი არ არის. მას კითხულობენ ჩვეულებრივი მოკვდავნი ისევე, როგორც ლიტერატურულ კრიტიკოსთა სხვადასხვა კასტები. ეს უკანასკნელნი ხშირად სთავაზობენ ჩვეულებრივ მკითხველს "ახსნა-განმარტებებს", ცდილობენ გამოააშკარაონ "რისი თქმა სურდა კონრადს", ანუ გვიხსნიან იმას, თუ რას ნიშნავს / სად მდებარეობს წყვდიადის გული. ძიებებით გართული, კრიტიკოსები ხშირად ვერ ამჩნევენ, რომ ძალიან შორდებიან თავად რომანს, როცა ცდილობენ აღმოაჩინონ წყვდიადის გულის აბსოლუტური მნიშვნელობა. იშვიათად ვინმეს თუ ებადება კითხვა: არსებობს კი წყვდიადის გულის განსაზღვრული ადგილმდებარეობა და მისი ცალსახა მნიშვნელობა? განა ტექსტი თავად არ მიანიშნებს იმაზე, რომ ეს მნიშვნელობა და ადგილმდებარეობა გამოუცნობია?

საინტერესო იქნებოდა, შეგვეხედა ამ საკითხისათვის ფსიქოანალიტიკური, მითოსური და პოლიტიკური პერსპექტივიდან. თუ წყვდიადის გულის ლოკაციის საკითხს მივუდგებით ამ სამი სრულიად განსხვავებული მხრიდან, შევამჩნევთ, რომ ლიტერატურული კრიტიკოსები ხშირად ამჟღავნებენ ავტორიტარულობასა და ზედმეტ თავდაჯერებულობას, როდესაც დოგმატურად უდგებიან წყვდიადის გულის მნიშვნელობისა და რომანში მისი მდებარეობის საკითხს.

"წყვდიადის გულს" ხშირად განიხილავენ, როგორც ფსიქოლოგიურ რომანს. მკითხველები და კრიტიკოსები, რომლებიც მას ფსიქოლოგიურ ნაწარმოებად თვლიან, წყვდიადის გულს თავად მარლოს არაცნობიერში ხედავენ და მიიჩნევენ, რომ ის საკუთარ არაცნობიერში მოგზაურობს, როცა წყვდიადის გულს ეძებს. კრიტიკოსთა ამ ჯგუფს მიეკუთვნებიან: ფ. კარლი, ბ.ს. მეიერი, ფ. ქრიუსი, ა.ჯ. გუერარდი და ა.შ. ისინი ტექსტის ანალიზისას ხშირად იყენებენ ფროიდისეულ ტერმინებს, რადგან მათთვის კონრადისეული ჯუნგლების სიბნელე გაიგივებულია ფროიდის მძინარე ცნობიერების სიბნელესთან. მაგალითად, ფრედერიკ ქრიუსი მიიჩნევს, რომ არაცნობიერის დონე არის ყველაზე მნიშვნელოვანი დისკურსის დონე კონრადთან და თუ მის ნაწარმოებებს ამ თვალთახედვით მივუდგებით, მაშინ კონრადის სამყარო დალაგდება. ქრიუსი ეთანხმება მეიერის მოსაზრებას იმასთან დაკავშირებით, რომ კონრადის გმირები უდ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ედოდ დარჩენილი მოხეტიალეები არიან, რომლებიც ესწრაფიან დედასთან დაბრუნებას. ის საუბრობს რომანის სიზმრისებრ ფორმაზე და დედობრივ სხეულში მოგზაურობაზე. კრიტიკოსი ახსენებს კასტრაციის ორ პოტენციურ წყაროს - მამის გაბრაზებასა და დედის სხეულს და აკეთებს რამოდენიმე პასაჟის ციტირებას რომანიდან. სხვათა შორის, ქრიუსი ხვდება, რომ თუ მკითხველი ამ რომანს მიუდგება ფსიქოლოგიური სიმბოლიზმის თვალსაზრისით, ნაწარმოები კლინიკურ დოკუმენტად იქცევა. კრიტიკული სტატიის ბოლოს ქრიუსი აღნიშნავს კიდეც, რომ რომანი სინამდვილეში კლინიკური დოკუმენტია, რაც, მისი აზრით, ხელოვნების ნაწარმოების ძლიერებაზე მიანიშნებს. ამავდროულად, ის ფსიქოლოგიური მომენტების არსებობას მიაწერს რომანის ავტობიოგრაფიულობას, ანუ ის კონრადის ნევროზულობას უმადლის ამ რომანის შექმნას (!). ამრიგად, ქრიუსი იყენებს ტექსტს იმისათვის, რომ მოახდინოს კონრადის ფსიქოლოგიური ანალიზი.

ლიტერატურული კრიტიკის ეს მიმართულება, როცა კრიტიკოსები ავტორის ფსიქოლოგიის დადგენას მისი ნაწარმოების გმირების ფსიქოლოგიის გათვალისწინებით ცდილობენ, ხშირად "ბიოგრაფიულ კრიტიკად" იწოდება. ასეთი კრიტიკის მაგალითს მრავალთა შორის წარმოადგენს ბ.ს. მეიერი, რომელიც, როგორც ფსიქოანალიტიკოსი, კონრადის ფსიქიკას კანიბალიზმთან მიმართებაში იკვლევს.

ასე რომ, როგორც "ფსიქოლოგიური ამბავი", წყვდიადის გული ქრიუსისათვის ასოცირებულია ადამიანური ხასიათის ამოცნობისაკენ მიმართულ მოგზაურობასთან, რომელშიც მარლოუს თავგადასავალი, მისი ინიციაცია წყვდიადის გულში, წარმოადგენს "სახიფათო თვითგამორკვევას". წყვდიადის გულიც თავად მარლოუშია, მის არაცნობიერში. ანალოგიური დამოკიდებულება აქვს წყვდიადის გულის ადგილმდებარეობასთან ა.ჯ. გუერარდსაც, რომელიც ნაწარმოებს კითხულობს როგორც "კონრადის ყველაზე გრძელ მოგზაურობას საკუთარ თავში", "ღამის მოგზაურობას არაცნობიერში" და, რა თქმა უნდა, თავად მარლოუს აიგივებს კონრადთან.

ფსიქოლოგიური კრიტიკა ზედმეტად დიდ ყურადღებას აქცევს ავტორის ფსიქოლოგიის ინტერპრეტაციას და ნაკლებად იღებს მხედველობაში მხატვრული ნაწარმოების ესთეტურ ღირებულებასა თუ ნაკლს. ასეთი ცალმხრივი ინტერპრეტაცია ხშირ შემთხვევაში ამახინჯებს ნაწარმოების გაგებას, რადგან

"ჩვენ ყველას გვყოლია მშობლები, ყველას აქვს მამის ან დედის კომპლექსი, ყველას გაუგია სექსის შესახებ და, აქედან გამომდინარე, გვაქვს გარკვეული საერთო და ტიპიური ადამიანური სირთულეები. ერთ პოეტზე შეესაძლოა უფრო დიდი ზეგავლენა მოახდინა მამასთან ურთიერთობამ, მეორეზე კი - დედასთან ურთიერთობამ, მაშინ როცა მესამე, თავის პოეზიაში სექსუალური ზეწოლის შეუმცდარ ნიშნებს ამჟღავნებს. გამომდინარე იქიდან, რომ ამის თქმა შეიძლება არა მხოლოდ ყველა ნევრასთენიკზე, არამედ ყველა ნორმალურ ადამიანზეც, არანაირ კონკრეტულ ინფორმაციას ეს არ იძლევა ხელოვნების ნიმუშის შესაფასებლად."

არიან კრიტიკოსები, რომელთათვისაც წყვდიადის გულის მნიშვნელობა დაიყვანება მითოსურ კატეგორიამდე. ამ შემთხვევაში მარლოუს მოგზაურობა აფრიკაში იკითხება, როგორც გმირის ქვესკნელში ჩასვლა და ტრანსცენდენტული გამოცდილების შესაძენი მოგზაურობა, ძიება. კრიტიკოსები ლ. ფედერი, რ.ო. ევანსი და ჯ. თეილი განიხილავენ "წყვდიადის გულს", როგორც მითოსურ რომანს და თვლიან, რომ იგი აფრიკაში მდებარეობს, ტერიტორიაზე, სადაც წარიმართება მარლოუს მითოსური ძიება.

ლილიან ფედერის სტატიაში "მარლოუს ჩასვლა ქვესკნელში" მარლოუს მოგზაურობა შედარებულია ვერგილიუსის "ენეიდის" მეექვსე წიგნში აღწერილ ენეასის ჯოჯოხეთში ჩასვლასთან. ის ამტკიცებს, რომ კონრადი იყენებს ჯოჯოხეთში ტრადიციული მოგზაურობის მხატვრულ სახეებსა და სიმბოლიზმს. ფედერისათვის წყვდიადის გულია აფრიკა (ჯოჯოხეთი). ფედერი ჯოჯოხეთის აღწერილობასთან დაკავშირებულ ნაწყვეტებს "ენეიდიდან" ადარებს მსგავს ნაწყვეტებს რომანიდან და ორ მოგზაურობას შორის პარალელებს ეძებს.

რ.ო. ევანსისათვის კი ეს არის მარლოუს სწრაფვა ცოდნის შეძენისაკენ. თავის სტატია-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ში "კონრადის მიწისქვეშეთი" ის ახსენებს ფედერს და იწონებს ვირგილიუსთან ანალოგიის გამოყენებას. თუმცა დასძენს, რომ "წყვდიადის გული" მეტია, ვიდრე ძველი თემის ახლებურად გადამუშავება, რადგან კონრადზე, ვირგილიუსისაგან განსხვავებით, ბუნებრივად ახდენს ზეგავლენას ქრისტიანული ეთიკა. ევანსის არგუმენტი საბოლოოდ ძალიან სუსტია, რადგან სტატიაში ხშირად ურთიერთგამომრიცხავი იდეების წამოყენებას ცდილობს. ამტკიცებს რა, რომ "წყვდიადის გულის" სტრუქურული ბაზა "ჯოჯოხეთის" მსგავსია, ევანსი ამავდროულად წერს, რომ კონრადი დანტესეულ ესქატოლოგიას მკაცრად არ მისდევს და რომ კონრადი უგულვებელყოფს დანტესეული ჯოჯოხეთის ციკლებს. მსგავს შეუსაბამობებთან გვაქვს საქმე, როცა ვეცნობით ორი ნაწარმოების პერსონაჟთა ევანსისეულ შედარებას. რა თქმა უნდა, საინტერესოა დეკონსტრუქციის გზით შეუსაბამობების ძიება მხატვრულ ტექსტში, მაგრამ როცა ლიტერატურული კრიტიკა არათანმიმდევრულობისა და შეუსაბამობის ნიშნებს ამჟღავნებს, ის უვარგისი ხდება.

ჯერომ თეილი მარლოუს მოგზაურობას გრაალის მითოსური ძიების მოტივს უკავშირებს. ის ცდილობს დაუმტკიცოს მკითხველს, რომ კურცი მარლოუსათვის არის "მოჯადოებული პრინცესა" და "ზღაპრული სასახლე", მარლოუ კი მისთვის გრაალის მაძიებელია (სინათლის მაძიებელი) წყვდიადის გულში. თეილი ამტკიცებს, რომ მარლოუ აღწევს გასხივოსნებას, როცა მას კურცის შეძახილი ესმის: "რადგან კურცში მარლოუ აღმოაჩენს არა მხოლოდ იმას, რომ ერთი ადამიანი იქცა ბოროტებად, არამედ მასში აღმოაჩენს უნივერსალურ შესაძლებლობას". ეს გასხივოსნება მაშინ ეწვევა მარლოუს, როცა სიბნელე მისთვის ხილვადი ხდება.

თეილისათვის წყვდიადის გული ნამდვილად აფრიკაშია, თუმცა "ირონიულად შეიძლება ითქვას, რომ "ყველაზე ბნელ აფრიკაში" მუქია არა მიწა ან ხალხი, არამედ ის სამყარო, რომელიც ნაწარმოებში შემოყავთ სინათლისა და ცივილიზაციის შემომტანთ." ამავდროულად აფრიკა წყვდიადითაა მოცული, "რადგან ეს არის შემოწმება, პირობა, რომლის დროსაც ადამიანი კონტაქტში შედის საკუთარ მესთან: კურცი და მარლოუ მოგზაურობენ აფრიკის გულში და ადამიანის გულში." ყველაზე მეტი, რისი იმედიც შეიძლება გქონდეს ცხოვრებაში, მარლოუს აზრით, არის "საკუთარი თავის გარკვეული შეცნობა - რაც ძალიან გვიან მოდის". ასე რომ, თეილისათვის მარლოუ მაძიებელი გმირია, რომელიც ცოდნისაკენ ისწრაფვის, ხოლო წყვდიადის გული კი აფრიკაა.

როცა ლიტერატურული კრიტიკოსები ცდილობენ, დაამტკიცონ, რომ "წყვდიადის გული" დაწერილია "ენეიდის", "ჯოჯოხეთის" ან გრაალის მითის მიხედვით, ისინი ცდილობენ, მკაცრ ჩარჩოებში მოაქციონ ნაწარმოები. მკითხველს რჩება დოგმატური, ცალმხრივი მიდგომა, რომელიც სათანადოდ არ ასახავს კონრადის მხატვრულ სამყაროს.

რაც შეეხება პოლიტიკურ პერსპექტივას, "წყვდიადის გულის" პოლიტიკურ კრიტიკაში გამოიყოფა ორი დისკურსი, ნაწილი მიიჩნევს, რომ კონრადი იმპერიალისტია და, აქედან გამომდინარე, მისთვის წყვდიადის გული აფრიკაშია, სხვანი კი თვლიან, რომ კონრადი ანტი-იმპერიალისტია და, შესაბამისად, წყვდიადის გულია ევროპა (კოლონიზატორი) და არა აფრიკა (კოლონია).

პოლიტიკური კრიტიკის განხილვას დავიწყებ ჩ. აჩებეს ცნობილი ლექციით "აფრიკის სახე: რასიზმი კონრადის წყვდიადის გულში", რომელშიც ის კონრადს რასიზმში ადანაშაულებს. მწერალი კონრადს მარლოუსთან აიგივებს და ამტკიცებს, რომ "წყვდიადის გულში" აფრიკა წარმოდგენილია, როგორც ევროპის (ცივილიზაციის) ანტითეზა, როგორც ბარბაროსული, ისტორიის არმქონე კონტინენტი. აჩებე იმოწმებს მაგალითებს ტექსტიდან, რათა დაადასტუროს, რომ კონრადი რასისტი და იმპერიალისტია. მაგალითად, ის მკითხველის ყურადღებას ამახვილებს ორი მდინარის - ტემზას და კონგოს აღწერაზე და აღნიშნავს, რომ პირველი წარმოდგენილია, როგორც "კარგი", ხოლო მეორე - როგორც "ცუდი". მას გრძელი ციტატა მოყავს რომანიდან, რომელიც ეხება ევროპელების შეხვედრას აფრიკის მაცხოვრებლებთან და განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს შემდეგ წინადადებას: "მაგრამ გაღელვებდა გაფიქრება იმაზე, რომ ისინიც, შენიანებივით, ადამიანები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყვნენ (ავტორს ამის გარდა კიდევ რამდენიმე მაგალითი მოჰყავს).

აჩეგე ადანაშაულებს კონრადს იმაში, რომ ის აფრიკელებს ლაპარაკის უფლებას ართმევს და რომანიდან იმ ორ ეპიზოდს განიხილავს, სადაც აფრიკელები ლაპარაკობენ. პირველი ეხება კანიბალიზმს, მეორე კი - კურცის სიკვდილის ცნობის გამოცხადებას. იმ ფაქტს, რომ კონრადი არ აძლევს აფრიკელებს ლაპარაკის უფლებას, აჩეგე უკიდურესად უარყოფითად აფასებს და "შეურაცხყოფას" უწოდებს.

მაშინ როცა ჰოუქინსის სტატიაში "იმპერიალიზმის კონრადისეული კრიტიკა წყვდიადის გულში" რადიკალურად განსხვავებულ მიდგომასთან გვაქვს საქმე. ჰოუქინსი ამტკიცებს, რომ რომანი ანტიიმპერიალისტურია და რომ კონრადი მკითხველს კონგოში არსებული იმპერიალიზმის მკაცრ კრიტიკას სთავაზობს. განსაკუთრებულ ყურადღებას ამახვილებს იდეის რწმენაზე და მიიჩნევს, რომ იდეა, რომელსაც მარლოუ აფასებს კურცში, არის მისი რწმენა ადგილობრივი მოსახლეობის გამოსწორებაში, მათ ცივილიზაციაში.

ჰოუქინსი თვლის, რომ კონრადი, ამ რომანის მიხედვით, კოლონიალიზმის წინააღმდეგია. ის წერს: "კონრადი ეწინააღმდეგებოდა იმპერიალიზმს ზოგადად [...] რადგან უცხოელების დამორჩილებისას ის იჭრება მათ კულტურებში", ან "მთელ მის მხატვრულ შემოქმედებაში კონრადი გმობს ყველა სახის იმპერიალიზმს". უფრო მეტიც, ჰოუქინსის აზრით, რომანში მჟღავნდება გარკვეული პატივისცემა აფრიკელთა ცხოვრების წესისადმი.

ზემოთწარმოდგენილი სამი მიდგომის გარდა, წყვდიადის გული შეიძლება წავიკითხოთ, როგორც გოთური რომანი, მოგზაურობის რომანი, კანიბალიზმის ამსახველი ნაწარმოები, მისტერია, რომელიც უკავშირდება ბენიამინისეულ "აურას", ჩვეულებრივი ტრილერი. კრიტიკოსები გვთავაზობენ ანთროპოლოგიურ და ბუდისტურ მიდგომებსაც. თითოეული ინტერპრეტაციის ავტორი შესაბამის ადგილმდებარეობასა და მნიშვნელობას უძებნის წყვდიადის გულს. თუმცა თითოეული ინტერპრეტაცია მეტნაკლებად ნაწილობრივია, რადგან ნებისმიერი ინტერპრეტაცია, რომელიც წარმოდგენილია, როგორც ტექსტის სრული ანალიზის გასაღები, თავისთავად არასრულყოფილია ისეთი რთული ტექსტის ასახსნელად, როგორიცაა "წყვდიადის გული".

მკითხველი ეძებს წყვდიადის გულის "ნამდვილ", "მართალ" ადგილმდებარეობას, რადგან ფიქრობს, რომ "ნამდვილი" ადგილმდებარეობის / მნიშვნელობის მიგნების შემთხვევაში ახსნის ავტორის "ჩანაფიქრს". მაგრამ საქმე იმაში მდგომარეობს, რომ დოგმატური მნიშვნელობა არ არსებობს კონრადის ადრეულ მოდერნისტულ ტექსტში. მეცხრამეტე საუკუნისათვის ჩვეული წესრიგის ადგილს აქ გაურკვევლობა იკავებს, მნიშვნელობაც უსრულია.

როგორც ზემოთ ვახსენე, კონრადის "წყვდიადის გული" ადრეული მოდერნისტული ტექსტია. მოდერნიზმი კი მკვეთრად ემიჯნება მე-19 საუკუნისათვის დამახასიათებელ წერის მანერას (მაგალითად, რეალისტურს), რომელიც გამიზნული იყო აესახა სამყარო, რომელშიც წესრიგი მიღწევადია და მნიშვნელობის წვდომაც შესაძლებელი. მოდერნისტი მწერლების ტექსტებში თხრობის კონსტრუქცია წესრიგის კონსტრუქციასთან აღარ ასოცირდება, უწყვეტად ხდება თხრობის დე-კონსტრუქცია. თანამედროვეობის ისტორიის, როგორც "ტრივიალურობისა და ანარქიის უზარმაზარი პანორამის" აღქმით, მოდერნისტი მწერლები უარყოფენ მე-19 საუკუნისეულ რწმენას, რომ ამქვეყნიური მოვლენების მიღმა დგას წესრიგი და მნიშვნელობა. მოდერნისტულ ტექსტში "ყველაფერი ნაწილებად იშლება", რადგან ფაბულას აღარ ენიჭება ცენტრალური მნიშვნელობა და ხდება ტრადიციული, ავტორიტარული ტექსტის ცხადი და მოწესრიგებული სტრუქტურის დეკონსტრუქცია. ასე რომ, ხშირად შეუძლებელია ცენტრალური მნიშვნელობის აღმოჩენა. უფრო მეტიც, მოდერნისტები აღიარებენ, რომ ენა, როგორც წესი, უძლურია მოახდინოს მნიშვნელობის კომუნიკაცია ("ეს ის არ არის, რასაც მე ვგულისხმობდი, სულაც არა"). შესაბამისად, მოდერნისტული ტექსტი ხშირად აღიქმება, როგორც გაურკვეველი და კომპლექსური, რომელსაც გამჭვირვალობა აკლია. კონრადის რომანი ცხადად ამჟღავნებს ამ მახასიათებლებს. მნიშვნელობის არარსებობა, უფრო ზუსტად კი, მნიშვნელობის უნაყოფო ძიება

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცენტრალურია მთელს ნაწარმოებში, "ყველაფერი ნაწილებად იშლება, ცენტრი ვეღარ იჭერს; სრული ანარქია სუფევს სამყაროში."

თხრობის ცენტრალურ ხაზს, სიუჟეტის ღერძს, წარმოადგენს მარლოუს მოგზაურობა. ასე რომ, ნაწარმოებში მნიშვნელობის ძიება უნდა უკავშირდებოდეს მარლოუს მოგზაურობას, რომელიც კურცის გარშემოა კონცენტრირებული. მთელი ნაწარმოების მანძილზე მთხრობელი თითქოს აიმედებს მკითხველს, რომ არსებობს ცენტრალური მნიშვნელობა და ის მას ნაწარმოების ბოლოს გააცხადებს. მარლოუ ამტკიცებს, რომ უდაბნოს ცენტრში არის "მისი დაფარული ცხოვრების გასაოცარი რეალობა" და მსმენელს ეუბნება, რომ ის ცდილობს შეაღწიოს "უფრო და უფრო ღრმად წყვდიადის გულში", რათა მიუახლოვდეს ცენტრს. მარლოუს მოთხრობა კონცენტრირებულია კურცზე. გამომდინარე იქიდან, რომ თავად ტექსტი ეხება მნიშვნელობის ძიებას და რომ კურცი წარმოადგენს მარლოუს მოგზაურობის ბოლო წერტილს, შეიძლება იმის მტკიცება, რომ კურცი არის მოთხრობის მნიშვნელობის ალეგორია.

თუმცა, როგორც მკითხველი ამჩნევს, თხრობა კი არ გვაახლოებს კურცთან, არამედ პირიქით, თითქოს თანდათანობით უფრო გვაშორებს მას. ნაწარმოებში განვითარებული მოქმედებები მიმართულია არა კურცისა და მარლოუს შეხვედრისაკენ, არამედ იმ ხელისშემშლელი პირობებისაკენ, რაც აფერხებს მათ შეხვედრას. კურცი კი თავად მნიშვნელობას განასახიერებს, რაც მარლოუს სიტყვებითაც დასტურდება, როცა ის ამბობს, რომ კურცი არის ""მხოლოდ სიტყვა" მთხრობელისათვის." ასე რომ, ის არის მნიშვნელობის აღმნიშვნელი. მარლოუ მას რაღაცას უწოდებს, როცა აღნიშნავს, რომ "პილიგრიმებმა დამარხეს რაღაც ბინძურ ორმოში." მკითხველი ელის კურცის არსებობას, ისევე როგორც დოგმატური მნიშვნელობის არსებობას. მაგრამ როცა კურცი ჩნდება, მის შესახებ მკითხველი ბევრს ვერაფერს იგებს, კურცი არის "ცარიელია." მისი ცხოვრება უკვე "სწრაფად მიედინება [...], გამოედინება, გამოედინება მისი გულიდან და უერთდება დაუნდობელი დროის ზღვას". ის ნელ-ნელა ქრება და რჩება შთაბეჭდილება, რომ მოგზაურობის მიზანი მარლოუს ხელიდან ეცლება: "ყველაფერმა, რაც კურცის იყო, ჩემს ხელებში გაიარა: მისმა სულმა, მისმა სხეულმა, მისმა სადგურმა, მისმა გეგმებმა, მისმა სპილოს ძვალმა, მისმა კარიერამ". მასთან ერთად ქრება მარლოუს აფრიკაში მოგზაურობის არსიც. ანუ მოგზაურობის მნიშვნელობა და არსი იკარგება, როგორც კი მარლოუ აღწევს მოგზაურობისა და ძიების მიზანსა და ობიექტს. მასთან ერთად მკითხველს ხელიდან ეცლება აბსოლუტისტური, დოგმატური მნიშვნელობაც.

ერთადერთი, რაც რჩება ამ მნიშვნელობის, კურცის ძიებიდან, არის ამ მოგზაურობის მოგონება, მარლოუ ახსენებს კიდეც, რომ კურცისაგან დარჩა მხოლოდ მოგონება მასზე. მოგონება, რომელსაც მარლოუ ახსენებს, ადასტურებს იმას, რომ ის აცნობიერებს კურცის ამოცნობისაკენ საკუთარ სწრაფვას, იმ მნიშვნელობის შეცნობისაკენ, რომელიც გაუხსნელი რჩება ნაწარმოების ბოლოს. მაგრამ კურცის შესახებ მოგონება დარჩება არა მხოლოდ მარლოუს მეხსიერებაში, არამედ მის დანიშნულშიც. თუმცა, მკითხველი ადვილად ხვდება, რომ მისი დანიშნულის მოგონებები კურცზე არც თუ ისე სრულყოფილია, და ხშირად მცდარიც. როცა ის ისმენს მარლოუს ტყუილს კურცის ბოლო სიტყვების შესახებ, ის მაშინათვე დარწმუნდება მათ სიმართლეში. მარლოუსა და კურცის დანიშნულის საუბრის დროს "სიბნელე თანდათან ძლიერდება ოთახში". სიბნელე კარგავს ცენტრს, "ყველაფერი ნაწილებად იშლება". რჩება შთაბეჭდილება, რომ კონრადს სურს, მარლოუს მსმენელმა/მკითხველმა გაიაზროს, რომ "ცენტრი ვეღარ იჭერს", რადგან არ არის ცენტრი, არ არსებობს წყვდიადის გული, რომლის გარშემოც ყველაფერი ტრიალებს.

ნაწარმოების დასაწყისში კონრადი აკეთებს საინტერესო მინიშნებას ნაწარმოების მნიშვნელობის შესახებ, მთხრობელი აკონკრეტებს:

"მეზღვაურთა მოთხრობები სიმარტივით გამოირჩევა, რომელთა მთელი შინაარსი კაკლის ნაჭუჭში ეტევა. მაგრამ მარლოუ არ იყო ტიპიური [...], და მისთვის ეპიზოდის მნიშვნელობა იყო არა შიგნით, როგორც კაკლის გული, არამედ გარეთ, რომელიც გარს ეხვეოდა ამბავს და ფარავდა მას ბუნდოვანი გასხივოსნებით, რომლის დანახვაც ხანდახან

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაძლებელი ხდება ხოლმე მთვარის მოჩვენებით შუქზე“.

მთხრობელი ასხვავებს მეზღვაურთა მოთხრობების მარტივ არსს/შინაარსს მარლოუს მოთხრობის შინაარსისაგან, დასძენს რა, რომ მარლოუ არ იყო ტიპიური მეზღვაური. განსხვავება მდგომარეობს იმაში, რომ მეზღვაურები თავიანთი მოთხრობის მნიშვნელობას ცენტრალურ დატვირთვას ანიჭებენ, მაშინ როცა მარლოუსათვის მოთხრობის მნიშვნელობა ცენტრალური კი არ არის (“შიგნით, როგორც კაკლის გული“), ბუნდოვანია. ეს ბუნდოვანება იგულისხმება ამ ესეს ეპიგრაფშიც, რომელშიც კონრადი ასკვნის, რომ სიტყვების უმეტესობას არა აქვს მნიშვნელობა და რომ რწმენა იმისა, რომ არსებობს მნიშვნელობა, მითია. საერთოდ, მნიშვნელობის არარსებობა უფრო გადამწყვეტია ამ ნაწარმოებში, ვიდრე მისი არსებობა.

ტრადიციული რეალისტური წერის მანერა (ჩვეულებრივი მეზღვაურების მანერა, როგორც კონრადის ნაწარმოების მთხრობელი იტყოდა), რომელიც აღიარებს, რომ სამყაროში მიღწევადია წესრიგი და მნიშვნელობა, ნაწარმოების ცენტრში ათავსებს ყოვლისმომცველ მნიშვნელობას. მაშინ როცა ადრეული მოდერნისტი კონრადი და მისი მთხრობელი მარლოუ ცდილობენ სიცარიელე დაგვანახონ და აშკარად წარმოაჩინონ, რომ მოთხრობის ერთადერთი შესაძლო მნიშვნელობა შეიძლება მხოლოდ მნიშვნელობის ძიება იყოს.

ის ფაქტი, რომ სათაურს არ აქვს არტიკლი, დაკვირვებული მკითხველისათვის უკიდურესად მნიშვნელოვან მინიშნებას წარმოადგენს - არ არსებობს წყვდიადის გულის ერთადერთი ავტორისეული ადგილმდებარეობა და ერთადერთი კონკრეტული მნიშვნელობა. სათაურს რომ ჰქონოდა განსაზღვრული არტიკლი, ეს იქნებოდა მიმანიშნებელი იმაზე, რომ ნაწარმოების წერისას კონრადი ერთ განსაზღვრულ წყვდიადის გულს გულისხმობდა. იმ შემთხვევაში, თუ იქნებოდა განუსაზღვრელი არტიკლი, გაცხადდებოდა ავტორის “ჩანაფიქრი“ იმასთან დაკავშირებით, რომ არსებობს რამდენიმე წყვდიადის გული, მაშასადამე, რამდენიმე მნიშვნელობა. სინამდვილეში გვაქვს ნულოვანი არტიკლი, ანუ კონრადს არ ჰქონია არანაირი ჩანაფიქრი, წარმოედგინა წყვდიადის გულის კონკრეტული ადგილმდებარეობა. რივსი ენის კონრადისეულ ხედვას ადარებს ნიცშესეულ ხედვას: “მართლაც, მისი ნიცშესეული ჭეშმარიტება არის ის, რომ არ არსებობს ჭეშმარტება, როგორც ასეთი. ... თხრობაში არ არის წარმოდგენილი ის პერსპექტივა, რომელიც ცხადად განასხვავებდა სიბნელეს სინათლისაგან“.

“ხედავ მას [კურცს]? გესმის მოთხრობა? რაიმე გესმის?“ ამ ესეში განხილული იყო ის, თუ როგორ აღიქვამენ ლიტერატურული კრიტიკოსები კონრადის რომანს სრულიად სხვადასხვა სიბრტყეებში. და რომ დოგმატური მნიშვნელობის ძიების ნებისმიერი მცდელობა უნაყოფოა ამ რომანში, რადგან მასში არ არის საბოლოო მნიშვნელობა, შეუძლებელია დაინახო (შეიცნო) კურცი, თავად მონათხრობი ამბავი ან საერთოდ რაიმე დეტერმინისტულად. ამასთანავე, უმნიშვნელოვანესია იმის აღნიშვნა, რომ “გაურკვევლობა“ რომანში არ არის კონრადის “არაპროფესიონალიზმის“ ან “დაბნეულობის“ ბრალი. მისი, როგორც ადრეული მოდერნისტის, მიზანია, წარმოაჩინოს, რომ არათუ მნიშვნელობა არამედ მისი ძიებაც კი თავისთავად ამოუხსნელი და გამოუცნობი პროცესია და, ამრიგად, წყვდიადის გული შეუცნობელია. წყვდიადის არსებობა ყველაფრის ცენტრში მუდმივად ახსენებს კონრადსა და თავად მკითხველს ქმნადობის სიმყიფესა და ილუზორულობას, რეალობის ეფემერულობას. გვარწმუნებს რა იმაში, რომ ხელოვნების ნიმუშის, როგორც რეალობის ერთ-ერთი გამოხატულების მნიშვნელობა უჩინარი, მოუხელთებელი და მიუწვდომელია, “წყვდიადის გული“ წარმოადგენს შესანიშნავ მაგალითს იმისა, თუ როგორ შეიძლება არ არსებობდეს ცენტრალური, დოგმატური მნიშვნელობა მრავალმხრივი ინტერპრეტაციების არსებობის პირობებში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

არილი

http://www.opentext.ge/arili

წასვლა HERE

"არეზე"

- ზრადიცია
- სიახლე
- გეოვნება

ი 101/5